14/3
99
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ცისკარი

სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი 5 | 1999





გამომცემლები:
საქართველოს მწერალთა კავშირი
და ჟურნალ „ცისკრის“ რედაქცია

# ცისკარი

**5** | 1999

დაარსებულია 1852 წელს აღდგენილია 1957 წელს

მთავარი რედაქტორი:
გაურ კალანდია

სარედაქციო საბჭო:

გალათერ არაგული
ირაკლი ბაზაძე
ლევან მალაზონია
ელზა მეტრეველი -
(მთ.რედაქტორის მოადგილე)
მიხო მოსულიშვილი
ზურაბ ნარმანია
ჯემალ ქირია -
(პასუხისმგებელი მდივანი)

საკონსულტაციო საბჭო:

გივი გეგეჭკორი
ნოდარ გრიგალაშვილი
დავით თედორაძე
ზაზა თვარაძე
ემზარ კვიტაიშვილი
რევაზ მიშველაძე
დავით მჭედლური
გიგი სულაკაური
მიხეილ ქვლივიძე
ჯანსულ ღვინჯილია
შადიმან შამანაძე
ნუგზარ შატაიძე
როსტომ ჩხეიძე
ჯანო ჯანელიძე

მხატვარი:
გიორგი წერეთელი

მხატვრული რედაქტორი
დავით აგულაძე

ტექრედაქტორი:
ზიული სირაძე

გამომცემელი:
ლევან თითმერია

საქართველო, თბილისი, ხიდის ქუჩა№1
ტელ: **99-85-81** მთ. რედაქტორი
**98-36-43** მოადგილე

## შინაარსი

**გამოიღვიძე, ქნარო!..**

**3.** ფსალმუნები. გაგრძელება. ებრაულიდან თარგმნა ჯემალ აჯიაშვილმა

**პოეზია და პროზა**

**6.** გივი ალხაზიშვილი. ლექსები
**12.** ჯემალ ქარჩხაძე. განზომილება. რომანი. გაგრძელება
**41.** ზაზა ქინქლაძე. ულმერთობის საუკუნეში. პოემა
**51.** ნუნუ ქადაგიძე. გაცოცხლებული მუმია. მოთხრობა
**72.** ნაილი ნეკერიშვილი. ლექსები
**76.** ზაზა სიგუა. ლექსები
**79.** ზვიად ბერიძე. მოთხრობები
**86.** დარეჯან კვანჭიანი. ლექსები
**88.** ოსიკო გვარიშვილი. საფეხურები. დოკუმენტური მოთხრობა
**90.** თამარ გომართელი. ლექსები
**93.** გია მიქაძე. ნირვანა. მოთხრობა
**98.** ციური თარგამაძე. ლექსები

**დიდებული იდუმალებიდან**

**100.** ესმა ონიანი. ესეები

**გრიგოლ წერეთელი – 130**

**104.** იოსებ ფიხმანი. გრიგოლ წერეთელი და იტალია
**110.** აკაკი გაწერელია. ეროვნული ტაძრის ქურუმი

**თეატრი**

**112.** ნათელა არველაძე. „დარჩება ხსოვნად შთამომავლობას...“

**წერილები**

**118.** ივანე ამირხანაშვილი. გმირის თვალი ქარვის კრიალოსანში
**123.** მაია არველაძე. როგორ იწერებოდა პოემა „პატარა კახი“
**125.** ნათელა ნაკუდაიძე. ქართული სალიტერატურო ენის დასაბამი
**127.** იკა ქადაგიძე. პიროვნება და საზოგადოება
**131.** გვანცა ღვინჯილია. ქართული საკომპოზიტორო სკოლის გენეზისის საკითხისათვის
**135.** შორენა ანჯაფარიძე. ტანჯული გმირი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა



იერუსალიმი. სიონის მთა.

# ფსალმუნები

## ფსალმუნი 118

1. ქება-დიდება შეასხით უფალს,
რადგან ტკბილია
უფალი ჩვენი
და მარად ჰგიეს
წყალობა მისი.
2. დე, ისრაელმა ილაპარაკოს,
რომ მარად ჰგიეს
წყალობა მისი.
3. თქვას აჰარონის შთამომავალმა, –
რომ მარად ჰგიეს
წყალობა მისი.
4. ღვთისმოშიშებმა ილაპარაკონ –
რომ მარად ჰგიეს
წყალობა მისი.
5. შეიწრებულმა ავმახე უფალს,
ისმინა მან და
იწროებას გამომარიდა.
6. უფალი მწედ მყავს –
ვის შევუშინდე,
რას მიზამს კაცი,
ადამთაგანი?
7. მხსნელად მომივალს უფალი ჩემი
და მე ვიხილავ
მოძულეს ჩემსას.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

8. რადგან სჯობია მინდობა უფლის
ადამიანზე დაიმედებას;
9. სასოება და
მინდობა უფლის –
დიდებულებზე დაიმედებას.
10. გარე-მომადგნენ უსჯულონი
შესამუსრავად,
უფლის სახელით დავამხობ ყველას.
11. გარე-მომადგნენ,
გარე-მივლიან, –
უფლის სახელით
შევმუსრავ ყველას.
12. თავს მახვევიან ფუტკრების დარად,
რომ ჩაიშრიტოს ყოველთაგანი, როგორც კოცონი
ეკალთა შორის, –
უფლის სახელით მოვაშთობ ყველას.
13. მემალებიან დასანარცხებლად,
მაგრამ უფალი
აღმიპყრობს ხელებს.
14. ნუგეშად მივის უფალი ჩემი – ძალი ჩემი და
ნუგეში ჩემი, –
მომაშურა და
შეწევნად მოდგა.
15. ხმა ლხინისა და
გადარჩენისა
გახმიანდება წმინდანების საბრძანისებში
და ძლიერებას აღასრულებს
უფლის მარჯვენა.
16. ხელთაღმპყრობელი აღაპყრობს ხელებს –
და ძლიერებას აღასრულებს
უფლის მარჯვენა.
17. მე არ მოვკვდები,
დავშთები ცოცხლად,
რომ გავაცხადო საქმენი უფლის.
18. მსჯავრი მომაგო
უზენაესმა,
თუმც ამარიდა
სიკვდილის ხელი.
19. განახვნეთ ბჭენი სიმართლისანი,
შევალ და უფალს
შევასხამ ქებას.
20. და გაბრწყინდება კარიბჭე უფლის,
შიგ შებრძანდება
წმინდანთა დასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

21. გაქებ, რამეთუ
შეისმინე ჩემი ვედრება,
შემიფარე და
მეოხად მექმენ.
22. და ქვა, რომელიც დაიწუნეს კალატოზებმა, –
ქვაკუთხედად და
სამირკვლად იქცა.
22. ესე ყოველი აღსრულდა უფლით,
გაცხადდა ჩვენს წინ
მისეული სასწაულები.
24. და დღე, რომელიც აღაჩინა უზენაესმა,
ლხინად და შვებად
მოიქცა ჩვენდა.
25. გვსავ, უფალო –
მოგვმადლე შველა,
გვსავ, უფალო –
მეოხად გვექმენ!
26. უფლის სახელით მოარულნო, –
კურთხევა თქვენდა,
უფლის სახლიდან წარმოგივლენთ
ლოცვა-კურთხევას.
27. უფალი ჩვენი
ღმერთია ჩვენი –
ის გაგვინათებს თავისი ნათლით:
გაბაწრეთ მსხვერპლი ორკეცი საბლით
და საზეიმოდ გამოაბით
სამსხვერპლო რქებზე.
28. ო, ღმერთო ჩემო,
გადიდებ კვლავაც,
მოგამაღლებ და
შეგასხამ ქებას.
29. ქება-დიდება შეასხით უფალს,
რადგან ტკბილია უფალი ჩვენი
და მარად ჰგიეს უნაპირო
წყალობა მისი.

ებრაულიდან თარგმნა
ჯემალ აჯიაშვილმა

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გივი ალხაზიშვილი

* * *

მე აღარა ვარ და ჩემს აქ ყოფნას
ვთამაშობ სხვისთვის... თუმცა ვნანობდი,
რომ სიუცხოვის მწარე ნაყოფად
მექცა ეს გული თანდათანობით.

აზრი არა აქვს ვინმეს მოლოდინს,
რომელიც უკვე იქცა „ნიჰილე“-დ,
იმ ბაგეებით და სიმბოლოთი -
დაუნანებლად რომ დამქირქილებს.

აღარ ვკითხულობ: - თუ არად იქმნა,
როგორღა აღწევს დღემდე სიძველე?!
როგორც აბსურდი ან პარადიგმა, -
ასე ცვალებად დროს რომ იგრძელებს.

...და მკვდრეთით აღმდგარ ყველა
არსებას -
ძველ სიცოცხლეს რომ იწყებს ხელახლა,
თავიდან უნდა გულის ავსება,
ხორცისაც, ბევრჯერ ძვლებს რომ შეახმა.

სიკვდილის მერე მე აქ რა მინდა,
მგონი ნიღბისთვის ვეძებ თაბაშირს?!
ასე გრძელდება დასაბამიდან
ჩვენი ცხოვრება, ანუ თამაში.

გადამხმარ ხავსთან რომ იგივდება
მოყვასის კვნესა გულმოსაკლავი,
ის დარდი ზეცას წამოსტკივდება
და განათდება, როგორც ვარსკვლავი.

* * *

ეს მხოლოდ ცდაა ან მინიშნება,
როცა უთქმელად იცი, რა გინდა,
ყვავილივით რომ რაღაც იშლება
შენში და მერე ჭკნება უმალვე...

ეს ის წუთია, რასაც ვერ ჩაწვდი
და თავს ბოლომდე ვერ დაუმალე
ის, რაც იხილე თუ ძლივს იხილე
და ხილვასა და არხილვას შორის -
რაღაც განათდა, რომელიც წამში
შენც გასხვაფერებს და სხვა ცას აგებს,
ეს ის შუქია, უკანასკნელად
რომ გადაურბენს ავადმყოფ ბაგეს.

ეს ის შუქია, რაც მან აგროვა
თავის სისხლით და სულით, აგრეთვე,
და შეამჩნია: მისი ჩაქრობა
იყო ნიშანი თუ მინიშნება,
როცა სხეულში ან იქნებ სულში
სიტყვისმაგვარი რაღაც იშლება,
რომ საბოლოოდ გამოავლინოს
სხვისთვის კი არა, მხოლოდ თავისთვის,
რა შეუმჩნევლად უნდა გალიოს
გზა, რომ მთავრდება ჩუმი დაისით.

თუმც იქ სხვა ენა მეტყველებს მუდამ,
ჩვენ რომ ვიცოდით და აღარ გვახსოვს -
და უთქმელობა როდესაც გვხუთავს,
თვალებში ნათელს ტკივილი აქსოვს.

ეს მხოლოდ ცდაა ან მინიშნება,
რაც საკუთარ თავს ვერ დაუმალე,
ყვავილივით რომ შენში იშლება
და შეუმჩნევლად ქრება უმალვე.

## უკვდავების ილუზია

კედლებსაც უნდათ, წავიდნენ სადმე
და მიმატოვონ, როგორც ოდესღაც,
იმის საძებნად, რაც ნებით დავთმე,
რასაც ნაყოფი უნდა მოესხა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ვეღარ გაუძლებს ამ თვალებს ჭერი,
ჭერი - თვალებით რომ იბურღება,
ცას გამოაჩენს, რომელიც ჯერაც
გადამხობია ქალაქს ურყევად.

სხვა ყველაფერი ინგრევა ნებით
ახალ სიცოცხლის აღმოსაჩენად
და თრთის ვარსკვლავი იმგვარი ვნებით,
რომ ჩემს თვალებში უნდა დარჩენა.

მეც უნებლიე სიტყვების ფესვით
იმ წუთის სიღრმეს ვებღაუჭები,
როცა სისავსემ გაგითბო პეშვი
და ხმოვნის სივრცეს მივწვდი ტუჩებით.

ამქვეყნად ყველა დარჩენას ლამობს,
რომ წარმავალი ყოფა დაძლიოს,
შენ შეგიძლია, სიტყვათა ქამო,
მათი სიცოცხლე გაახანგრძლივო.

სარკის ხსოვნაში ჩარჩენილ ნაკვთებს
აღადგენ, ჩუმად აქცევ ქანდაკად,
შენ გააცოცხლებ, ვინც უნდა ჩაკვდეს,
წიგნის ქალაქში დასვამ ქადაგად.

და ეს კედლები, რომლებიც სადმე
წასვლას ცდილობენ, სადაც დანგრევა
აღარ მოუწევთ და თვითონ დათმეს
ქამი, რომელშიც ყველა გაქრება,
წიგნში შემოსვლას ცდილობენ, სადაც
დამკვიდრდებიან თავის სიმწყობრით.
და მომავალი მკაცრი და სადა,
განთქმული თავის გულმავიწყობით,
ან დაივიწყებს, ან მერე იქნებ
წუთით დახედოს თავის ნაფუძარს,
ბნელ თაროებში შემალულ წიგნებს
თავშესაქცევად რომ გადაფურცლავს.

## საგზალი

როცა მოლოდინი არაფერს ნიშნავს
გარდა ცარიელი დარბაზისა,
სადაც ბოლთას სცემ უაზროდ
საკუთარ უმწეობასა და იმედს შორის,
მერე უმწეობასა და უმწეობას შორის,
მერე კი დაღლილი ჩაესვენები
ძველებურ სავარძელში
და იგრძნობ, რომ ის სარკმელი ხარ,
საიდანაც ქვეყნის მხოლოდ ერთი მხარე
მოჩანს
თავის სახლებით და ქუჩებით,
ჰორიზონტით და იმ ცით,
რომელიც არაფერს გიმხელს,
თვალზე ხელს კი არ აიფარებ,
თვალს დახუჭავ,
რათა იმედი და უმწეობა გაამთლიანო
და ცრემლთან ერთად ჩაიბრუნო
ის ერთი სიტყვა -
სიბერის საგზალს რომ ემატება...

* * *

ცარიელ ბაღში,
სადაც ერთი სკამი მაინც არაა ცარიელი,
როცა ვიღაც ზის და არც იცის, რატომ
ზის
ან რაზე ფიქრობს,
ის აუცილებლად შეამჩნევს -
რა სიფრთხილით დადიან შაშვები
სუროთი მოფენილ მიწაზე
და შაშვებს იმ ბერებს მიამგვანებს,
რომლებიც თავისთვის გალობენ ხოლმე
უსასრულო მყუდროებაში -
„უცნობ ღმერთს“ რომ
მიუახლოვდნენ.

აქვს კი აზრი აქ რაიმეს ხმამაღლა თქმას
ან უცნობთან შეხმიანებას?!
ხმას თუ კი გასცემ, ისიც შეკრთება,
ისიც შაშვივით შეფრთხიალდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დაუსაბამო დღის ელეგია

არც მიფიქრია, რომ გავიდოდა ეს დღე თავისთვის,
თითქმის უჩვენოდ და უიმათოდ,
ვინც მხოლოდ თვლემდა ანდა ფხიზლობდა
ღვთის მოლოდინში
და ლოცვის სივრცეს იფართოებდა თვალის მოხუჭვით,
რომ უკეთესად შეეგრძნო იგი, რომელიც არ ჩანს...

არც მიფიქრია, რომ გავიდოდა ეს დღე თავისთვის,
თითქმის უჩვენოდ...
გულში რომ დამრჩა კვალი ავი თვის -
არ მინდა, ახლა ვინმეს ვუჩვენო,

მაგრამ სურვილი მკლავების გაშლის,
უმეტეს სივრცის აღმოსაჩენად
არის ოცნება ხანდაზმულ ბავშვის,
რომელიც ჩემში მუდამ დარჩება.

არ უწერია ვისაც სიბერე
და გაუგრძელდა დღის შეღამება,
ის მარადიულ სიყრმეს იფერებს,
დამცინავ თვალებს რომ ეხამება.

არც მიფიქრია, ეს დღე თავისთვის თუ გავიდოდა,
თითქმის უჩვენოდ და უიმათოდ, ვინც სადღაც დარჩა
და შემოდგომის კენტი ვარდი ახლა ვითომდაც
ბაძავს ჩვენს ღიმილს, ემგვანება თანდათან მარჯანს,

რომელსაც ხელი შემოდგომისა არც შეხებია
და დღე თავისთვის მიმავალი ვერ შეეხება - ...
კვიპაროსებიც ამ ხეებში ის ხეებია,
რომ მიკრძალავენ დაფარული კარის შეღებას.

მე არ მეგონა, თუ კი ეს დღე აქ დარჩებოდა
და ვარსკვლავები არ მოვიდოდნენ ბინდის ფურცლიდან,
მეასედ გავხსნი, ჩავალაგებ მერე ჩემოდანს
და იმას ვეძებ, ვინც ჩემს სადმე წასვლას უცდიდა.

მაინც რა დღეა, რა ნათელი, რომ არ ღამდება,
რომელსაც უკვე აღარ ეკუთვნი,
როგორც ის ძაღლი, სოფელში რომ აღავლავდება
და თავის ტკივილს იმ ღავლავში ისე შეფუთვნის -

თვითონ ცალკეა, მისი ხმა კი სადღაც მიიწევს,
ამოღწეული ტკივილიდან სმენას შეერთვის
ის ჩვენს სმენაში თავის ტკივილს რომ დაიმიწებს,
იმ ღავლავივით უპატრონო რჩები შენ ერთი.

არ მიფიქრია, რომ გავიდოდა ეს დღე თავისთვის,
იარსებებდა სადღაც გულს გარეთ, ვით უნაპირო

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსასრულობა, ვისაც მზადა აქვს ერთი პასუხი ყველა დავისთვის
და ყოველივეს შთანთქმას უპირებს.

არ მიფიქრია, რომ გავიდოდა ეს დღე უჩემოდ
მეგონა ჩემი ამ ნაპირზე გამომრიყავი
დამაბრუნებდა სახლში უჩუმრად,
სადაც უაზროდ დიდხანს ვიყავი -

ბებერი მწყემსი დღეთა მიმოსვლის
და მომლოდინე რაღაც სიახლის
ჩაყანგებულ ბაღს რომ შემომისევს
და სასწაულის სარკმელს მიმახლის.

სადაც არც მთები და არც მასივი.
უწინდებურად ნიშნავს არაფერს,
არაფერს ნიშნავს სახლიც, ასევე,
ჩამავალი მზე შუქს რომ დააფენს,
გარდა იმისა, რომ დღე ღამდება
და რომ უჩემოდ იგი გავიდა,
სადღაც ძაღლი რომ აღავლავლება,
მისი ხმა ისმის იმ იგავიდან,
რომლის ამოხსნა შეძლო ვერავინ.
რადგან უცნობი არის სათავე,
მეტად მკაცრი და შეუფერავი,
რომელსაც მუდამ სხვაგან მართავენ.

* * *

შენ მხოლოდ ის ხარ, რასაც ვფიქრობ და სხვა არავინ
და რასაც ნატრობ, ისიც შენა ხარ,
გასაოცნებლად ცვალებადი და ამოუხსნელად თავისებური,
გასაღწევს ეძებ, მაინც ტყვე ხარ იმავ წრებრუნვის,
რომ გატრიალებს, თუმცა უძრავად
საკუთარ ფიქრში ბევრჯერ შებრუნდი,
ზურგი აქციე ლამის ყველაფერს, რასაც ვერასდროს გადაურჩები
და მიივიწყე თითქმის ყოველი,
მაგრამ შემკრთალი შენი ტუჩები
გაიხსენებენ კოცნას უწინდელს,
თითქოს მაგ ხელებს ისევ უწვდიდე
იმას, ვინც უკვე გაქრა თავისით,
გადასხვაფერდა თუ შეიცვალა
და აღარც ახსოვს, წინათ ვინ იყო
და არც ის იცის, ახლა ვინ არი,...
შეუმჩნეველი და უწყინარი,
ცვალებადია ისიც ფიქრივით
და თავს იწონებს მხოლოდ წარსულით,
ოდესღაცინდელ მკერდის სიმკვრივით.

გაოცებული ზოგჯერ შეჰყურებ
სახეს, წინათ რომ მას ეკუთვნოდა,
ახლა კი მხოლოდ ხსოვნაში ჩარჩა
და სურათებში, სადაც აღბეჭდილ -

ეროვნული ბიბლიოთეკა



მშვენიერებას მშვიდად ინახავს ძველი ალბომი
და შენი სიტყვა: ისევ მიყვარხარ,
თვალცრემლიანი როცა ამბობდი,
ახლაც ჩამესმის, მაგრამ წარსულში ვეღარ მაბრუნებს,
თუმც მოგონებას გავუყუჩდები
და მახსენდება სექტემბრის ბაგეს
როგორ კოცნიდნენ ქოლოს ტუჩები...

და სურნელებამ, თავბრუდამხვევმა, თვალების ბრწყინვა როგორ შებურა,
შენ თვითონ გაქრი, თვითონ წახვედი,
შენ შეუერთდი დროის წრებრუნვას,
რომელიც შთანთქავს დღეებს წარმავალს
და თუ ინახავს მარადიულად ჟამს გამორჩეულს თავისებურად.

ცხოვრება მუდამ იმას გახსენებს, რომ მხოლოდ ის ხარ,
რაც ამ წარმავალ დროის სურვილებს ემორჩილება
და გირჩევს, თავი არ მოიტყუო მარადიულის შორი ნათებით,
თუმც შენ ისიც ხარ, რასაც ნატრობ და
რითაც ცხოვრებას აღემატები.

* * *

აღარ მომბეზრდა იმ უძველეს ბაღის აღწერა,
ფანჯრიდან რომ ჩანს და სამყაროს დუმილს აგროვებს,
რას ვიფიქრებდი, სხვა ქალაქშიც თუ მოაღწევდა
მისი ჩურჩული, ზუსტად მაშინ, შუქს რომ აქრობენ.

ბაღის მუსიკა დუმილიდან რომ იბადება,
როგორც საკუთარ კენწეროებს ისე მოძებნის -
ვარსკვლავთა ციმციმს და წყვდიადის ყოველ ნათებას
და ეს სიცოცხლე ღვთით ნაბოძები

მუდამ მზადაა იმ სიტყვათა აღმოსაჩენად,
ჩვენ რომ ვერ ვამბობთ და სახეზე ნაოჭს ამრავლებს,
ნიშნად იმისა, რომ ყოველთვის გულში დარჩება
ის, რაც ჩამოგვყვება და რაც უკან მიგვაქვს წარმავლებს.

* * *

ჩვეულებრივი სიხარული გაიშვიათდა, -
უმარტივესი, გამჭვირვალე და გადამდები,
მადლობა უფალს, ამ უმკაცრეს დროშიც მშვიდად ვარ,
რადგან საკუთარ სიმშვიდეში უფრო ვღრმავდები.

მე გავიხსენებ მივიწყებულ და ძველ სახელებს -
წინათ რომ მერქვა და რომელსაც გულში ვიმარხავ,
სათქმელს დაფარულს ეს დღეები ვერ გაამხელენ,
ის დრომ თავისთვის ჩემს ფიქრებში შემოინახა,

რომ გაამჟღავნოს სანახევროდ, რისი თქმა სურდა,
ვით პარადიგმა, მინიშნება ანდა იგავი,
რომ ყოველივე, რაც დაიწყო, კი არ დასრულდა, -
ისევ გრძელდება, რომ წარსულთან გამაიგივოს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ჩემს სათქმელს სხვა ამბობდა, თანაც იმავე
დუმილის სიღრმით მონუსხული და შეპყრობილი -
ის სხვა მე ვიყავ, სამყაროში ვერ დავიმალე,
„მე იგივე ვარ“ ახლანდელი და მე - ყოფილი.

* * *

შენ გამახსენე, მომავალი როგორი იყო, -
შენ, ვინც ახლახანს მოევლინე ქვეყნიერებას
და ძილში შენთვის რომ იღიმები -
ეგ ღიმილია - ანგელოზს რომ ფრთა გამოუჩნდა
შენს ჩვილ ბაგეზე
და მივხვდი, ჰაერს ვინ აფაქიზებს,
საიდან მოსწვდა ეს შრიალი ამ ჩვენს ქვეყანას -
შენ გამახსენე, მომავალი როგორი იყო,
როგორ გინდოდა, თავი შენი ამოგეყვანა -
არარაში რომ არსებობდა დაუსაბამოდ,
ის ჩვენშიც არის, რადგან იგი არის ყოველთვის,
მისგან დასხლტომას ვცდილობთ ამაოდ.

შენ უნდა მითხრა, უნდა მასწავლო
ის, რაც ცხოვრებამ გადამავიწყა
და გამახსენო ძველი ანბანი
და როცა გხედავ ახლად განბანილს -
ასე უცოდველს და მოღიმარეს,
მე ვიცი შენი ცოდნის მგეზავი,
იგი შორეულ ციდან ჩამოგყვა
და მიგატოვებს მერე ჩემსავით,

რათა ისწავლო ენა ამქვეყნის
და მიივიწყო, ახლა, რაც იცი,
ის საიდუმლო, მე რომ მწყურია
და რომელთანაც მინდა ლაციცი.

შენ გამახსენე მომავალი, რომელიც იყო,
რაც ჩვენთვის იყო - სხვისთვის იქნება,
მე რაც არ ვიცი, შენ იცი მისი
ახლად შობილი ბგერით მიგნება.

## წონასწორობა

როცა უსიტყვოდ შეიგრძნობ სათქმელს
და აღმოაჩენ, რომ რაღაც არღვევს წონასწორობას,
არასმცოდნე და უსურვილო დუმილს ეძლევი.....

მაგრამ თანდათან დუმილის სფეროს
თავს რომ დააღწევს პირველი სიტყვა -
ისიც უცნობი და ყოველთვის ამოუხსნელი,
როგორც თვითონ „უცნობი ღმერთი“, -
ყოველივე რომ შექმნა ოდესღაც
და მიგვატოვა, რომ მუდამდღე ვეძებოთ იგი
ჩვენს ტკივილებში,
სიამეთა გვერდის ავლით,
სიამეთა უარყოფაში...

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჯემალ ქარჩხაძე

## განზომილება

### თავი მესამე

### კვარცხლბეკი

დიად დამთხვევათა და უცხო კვანძთა ელვისფერ ფონზე (ამ დამთხვევათა და კვანძთა შესახებ ქვემოთ უფრო დაწვრილებით ვილაპარაკებთ) ჰორიზონტის ხაზთან უკვე გამოჩნდა პრ. დიდებულიძის გრანდიოზული (თუმც შესაძლოა ცოტა ამორფული) ფიგურა, რომელიც სულიერ ძალთა უკიდურესი დაძაბვითა და ღვთაებრივი ინსპირაციის მეოხებით უკანასკნელ წამს მაინც შექმნა ჩემმა ამოუხსნელმა სანაკლიომ, მაგრამ, როგორც დავთქვით, ვიდრე თქვენს ყურადღებას მთლიანად და განუყოფლივ მივმართავ მისკენ, მოვლენებს ოდნავ გავუსწრებ და ჯერ იმას ვეცდები, ჟამსა და ჟამიანობას გადარჩენილი ნაწილები შევაგროვო და შეძლებისდაგვარად ის გარემო აღვადგინო, სადაც სიკვდილის პირას მისულ ამ დევგმირს ეგზომ მოულოდნელად და სასწაულებრივად სიცოცხლის სული კიდევ ერთხელ მოეფინა.

აკადემიური სიზუსტით თუ ვილაპარაკებთ, სასწაული არის არა რაღაც აბსოლუტური შეუსაბამობა, არამედ ქრონოლოგიური ცთომილება, რომელიც, საკმარისია გლობალური დროის ფონზე განვიხილოთ, მყისვე დაკარგავს იდუმალების შარავანდედს და მორჩილად ჩაჯდება საგანთა ბუნებაში. ზემოაღნიშნულ სასწაულსაც უჩინარი ფესვი ეჭვი არაა მიზეზშედეგობრიობის რომელიმე ლოგიკურ სეგმენტში უდგას. ამ სეგმენტს - ღმერთი დიდია და მწყალობელი - ადრე თუ გვიან აუცილებლად მივაგნებთ, მანამდე კი მინდა გაცნობოთ, რომ, როცა სანაკლიოში რამე მნიშვნელოვანი ხდება, მოვლენათა შუაგულში ყოველთვის და უსათუოდ დგას ჩემი მრავალჭირნახული ბიძა. ოღონდ გაფრთხილებთ, შაბლონის ბანალურმა ღმერთმა არ გაცთუნოთ და არ იფიქროთ, თითქოს რაკი შუაგულშია, მთავარი გმირიცაა. არა, ბატონებო, ბიძაჩემის ზეგარდმო პატივმოყვარეობა ასე არ დაეცემა. მთავარი გმირები სხვები არიან. ბიძაჩემის მისია გაცილებით რთული და საპატიოა. ბიძაჩემი - არ შევუშინდები პათეტიკას - სანაკლიელი მთავარი გმირების გზის მანათობელი ვარსკვლავია და ამიტომაც ვალდებულია გამუდმებით ცენტრში იმყოფებოდეს, სადაც თავს იყრის ყველა უხილავი ძაფი, რომლებშიც არსებობის ფარული და ჭეშმარიტი მიზნებია კოდირებული. ბიძაჩემი ამ ძაფებს ხან გადააბამს, ხან გახსნის, ხან მსხვილ კვანძად შეკრავს, ხან წვრილ კვანძად შეკრავს, ხან პარალელურად შეაერთებს, ხან ჯვარედინად შეაერთებს, და რაც მთავარია, მთელ მის საქმიანობას ამ დროს წარმართავს არა რაიმე მიზანდასახულობა, არამედ დემონის ხუშტური; აქედან გამომდინარე, ალვირი, რომლითაც ამა თუ იმ მთავარი გმირის მოქმედება რეგულირდება, ბიძაჩემის ქვეცნობიერ კვინტესენციას უპყრია ხელთ. ხოლო რაკი ამგვარი, იდუმალ ჯურღმულებში დაგეგმილი და დამწყალობნებული საქციელი ძნელად ეგუება ხილული სიცოცხლის წაღმართ კანონებს, ბიძაჩემიც, როგორც წესი, ჟამიდან ჟამზე უცხო რამ ხათაბალაში ჩადგამს ხოლმე ფეხს.

ვისაც „ბიძაჩემი იონა“ წაუკითხავს, ეცოდინება, რა ძნელია იონა კამკამიძე იყო და სანაკლიელთა შორის ცხოვრობდე. ხატოვნად რომ ვთქვათ (ან კი სხვანაირად როგორ უნდა ვთქვათ!), ეს იგივეა, თივის ზვინს ღამე ცეცხლში გაათევინო. ბიძაჩემი, ჩემი ურჩი და უტეხი ბიძა, მთელი სიცოცხლე ცეცხლში დგას და რაღაც მანქანებით იგერიებს ცეცხლს, რითაც შიშველ აბსტრაქციას გრძნობად შარვალს აცმევს და ისეთ შეუთავსებადსა და თითქმის დაუჯერებელ სიტყვათშეხამებას, როგორიცაა „ცეცხლგამძლე თივა“, რეალურ შინაარსს ანიჭებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ბიძაჩემი ცეცხლგამძლე თივაა.

ბიძაჩემი იმთავითვე მაღალხარისხოვანი თივა იყო, მერე, ჟამთა მღვრიე დინებაში და გარემოებათა ულირს ბრუნვაში ისე გამოიკვერა, სულ მთლად სუპერთივა გახდა, რაც მშობელ ქალაქს აკი ნათლად დაუმტკიცა, როცა თავისუფლების მძვინვარე ხანძრიდანაც კი, სადაც ბედის უკულმართობის გამო მოხვდა, პრაქტიკულად უვნებელი გამოვიდა.

...თავისუფლება სანაკლიოში გამთენიის ხანს გამოჩნდა, როცა ირგვლივ ყველასა და ყველაფერს გულის ძილით ეძინა. ეძინა სახლებს, ეძინა ქუჩებს, ეძინა ხალხს, თვით ნაკლისწყალიც კი წამით გაჩერებულიყო, ჭუჭყიანი თავი სიპ ქვაზე მიედო და ხანმოკლე ძილს მისცემოდა.

თავისუფლება, მოგეხსენებათ (ზოგს შეიძლება არც მოეხსენება) ისეთი რამაა, ვერ დაინახავ, ვერ გაიგონებ, გემოს ვერ გაუსინჯავ, სუნს ვერ გაუგებ და ხელით ვერ შეეხები, ხოლო რაკი ის მეექვსე გრძნობა (ნუმერაცია, რაღა თქმა უნდა, პირობითია), რითაც მისი დადგენა ხდება, სანაკლიელებს არ გააჩნიათ, მოსალოდნელი იყო, ქალაქს კიდევ დიდხანს ეცხოვრა ამ გამოუცნობი მოვლენის გვერდით ისე, რომ არც რა მისი თვითონ შეეტყო და არც რა თავისი მისთვის შეეტყობინებინა, მაგრამ სადღაც ვიღაცამ საჭიროდ დაინახა რაღაცა გაეთვალისწინებინა და თავისუფლებას თან ინსტრუქცია მოჰყვა, რომელიც, გრიფის მრისხანე შესახედაობით („სრულიად საიდუმლო“) შეშინებულმა ქვეშევრდომებმა, პირდაპირ შინ მიართვეს ქალაქის უზენაეს მამას.

დღის თორმეტ საათზე, როცა აპათიას როგორც იქნა თავი დააღწია და მსოფლმხედველობის იდეოლოგიური პლანერი ხანგრძლივი ტორტმანის შემდეგ ნამდვილი მატერიალიზმის მშობლიურ პლატფორმაზე დასვა, ხსენებული მამა, რომლის სახელი კრეონტი იყო და გვარი წილოსანი, რადიოთი გამოვიდა და მთრთოლვარე ხმით, მაგრამ ტექსტის რაიმე სერიოზული დამახინჯების გარეშე მოსახლეობას ცოტა ყრუდ და ცოტა ქარაგმულად, რათა ყველა ხიდი არ აეფეთქებინა და უკანდასახევი გზა საბოლოოდ არ მოეჭრა, თავისუფლების შემობრძანება აუწყა.

ბიძაჩემს ამ დროს, ბუნებრივია, ეძინა. ტახტზე იწვა აივნის კუთხეში და, ანგელოზივით ნეტარი, გარდასული დროის იმ ფაფუკსა და გრილ ბურუსში დაცურავდა, როცა ბიცოლაჩემ იაიას ჯერ კიდევ არ შეხვედროდა და, ბედნიერი და უცოლო, არხეინად დაჭიხვინებდა ღრუბელთქარავანში, როგორც თეთრი ცხენი თეთრ რემაში. მაგრამ რეალური ვითარება, მოგეხსენებათ, სიზმარეულ ჩვენებებს ძნელად ესადაგება, ხოლო რაკი ბიცოლაჩემმა ქალაქის მამის ბუნდოვან პათეტიკაში საკმაო მიზეზი დაინახა ხმაურის ასატეხად, აივანზე გავიდა, ბიძაჩემი ღონივრად შეანჯღრია და ჩასძახა:

- ადექი, კაცო, გაკეთდა ქვეყანა!

იმ ბობოქარი ამბებიდან (იხ. „ბიძაჩემი იონა“) ამდენი ხნის შემდეგაც კი ბიცოლაჩემი ძველებურად მშვენიერია. ეს თვითონაც იცის და ქალების შურსა და კაცების აღტაცებას (რაც არსებითად ერთი და იგივეა) ღირსეულად და საქმიანად იმკის, როგორც ობიექტური ჟიურის სამართლიან გადაწყვეტილებას. ლაპარაკია, ცხადია, გარეგნობაზე, თორემ მისი ხასიათისა და ბუნების აღწერა, უბრალოდ, გადაუჭრელი ამოცანაა, ვინაიდან ადამიანთა ენა მეტისმეტად სწორხაზოვანი, მოუქნელი და მწირია საიმისოდ, რომ საჭირო ძალითა და ხატოვანებით აღწეროს მოვალეობის, ერთგულებისა და სიყვარულის ის უხინჯო ჯაჭვები, რომლებითაც ბიცოლაჩემი გამობმული იყო ოჯახზე. ამის არაპირდაპირი დასტურია, სხვათა შორის, ის გარემოებაც, რომ დედაჩემი, როცა მისი ძვირის თქმის დაუძლეველ მოთხოვნილებას იგრძნობს, როგორც წესი, დიდხანს და ნერვიულად ეძებს ხოლმე საჭირო სიტყვებს.

მაგრამ ბიძაჩემი ამ რეალურ ოჯახურ ბედნიერებას სათანადოდ ვერ აფასებდა და გული თავისი საეჭვო სიზმრებისკენ მიუწევდა. ახლაც მხოლოდ ცალი თვალი (ისიც ნახევრად) გაახილა, რათა დარწმუნებულიყო, რომ ღონჯშემოყრილი სილუეტი, რომელიც სულთამხუთავივით წამოადგა თავს, ნამდვილად ცოლი იყო და მძინარე ხმით ბლანტად ამოილუღლუღა:

- მტყუანს...

ამაზე ბიცოლაჩემს ხმაში მოუთმენლობა დაეტყო.

- ეს წუთია რადიოთი თავისუფლება გამოგვიცხადეს.

მაშინ ბიძაჩემმა ორთავ თვალი გაახილა. გაახილა ფართოდ, გაახილა გაკვირვებით, გაახილა ურწმუნოდ. ერთხანს ასე - კონცენტრაციის უნაყოფო მცდელობით - მისჩერებოდა ცოლს, მერე ცოტა უფრო მაღალფარდოვანი კილოთი, ვიდრე ვითარება მოითხოვდა, შესძახა:

- მართლა თუ?! - და საზეიმო მაღალფარდოვნებამ რომ სხეულიდან მოსალოდნელი გამოფხიზლების ცივი ხიჭვები ფრთხილად ამოაცალა, სახეზე კვლავ არაამქვეყნიური

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნათელი დაეფინა და უკვე ჩამტკბარი ხმითა და ნელი წამღერებით დაასრულა, - აბა მაშ ავსებულა სანაკლიო გმირებით!

ამ სიტყვებით გვერდი იცვალა და ელვის უსწრაფესად გაემურა უკან, ღრუბლის ფთილებისაკენ, რომლებიც - მათდა სასახელოდ უნდა ითქვას - ანგელოსური მოთმინებით უცდიდნენ.

...სანაკლიო მტვრიანი ქალაქია. საითაც უნდა წახვიდეთ, მტვერს აქ ვერსად დაემალებით. იგი სქელ ფენად აღევს ყველა საგანსა და მოვლენას, რომელიც საკმარისად სწრაფად არ მოძრაობს (სანაკლიოში კი საკმარისად სწრაფად არაფერი მოძრაობს, საათი რომ საათია, ისიც ყოველთვის უკან რჩება, წინ არასოდეს მიდის); იგი თვალისმომჭრელად ლივლივებს ჰაერში, განსაკუთრებით ზაფხულობით, და დილის მზეზე ირეალურობის ქრუანტელისმომგვრელ განცდას იწვევს; იგი უძრავია, ვითარცა აწმყოს მარადიული სამეფო გაუქმებული დრო-ჟამის ნანგრევებზე. მაგრამ როცა ქალაქში განახლების ან სხვა რამ იდეურად გამართული სიო დაუბერავს და სანაკლიელებს აიძულებს თვალები დააჭყიტონ, ყურები დაცქვიტონ და პირი დააღონ, მაშინ კი ამოძრავდება და ამ გაფართოებულ არხებს შხუილითა და მაღალი დიფუზიური გულმოდგინებით ავსებს, რის გამოც მოქალაქეები ერთმანეთს დაუკონკრეტებელ ლანდებად ხედავენ და ერთიმეორის ლაპარაკი დაუნაწევრებელ ხმაურად ესმით.

თავისუფლების ფეთქვა ისეთი შემაშფოთებელი რამ გაუგებრობა აღმოჩნდა, ხელმძღვანელი მუშაკებიც კი საგონებელში ჩაცვივდნენ. მაგალითად, თითქმის ყოვლადძლიერმა ბატონმა კრეონტმა, რადიოთი გამოსვლა რა დაასრულა, მყისვე მდივანს უხმო, მეორე დღის დილის ათი საათისთვის საგანგებო სხდომა დაანიშვნინა და სხდომაზე ქალაქის მთელი ელიტური ჭკუა-გონება გამოაძახებინა, რათა მათი დახმარებით დაედგინა, რა შეიძლება იყოს თავისუფლება როგორც ასეთი, და რა უნდა იგულისხმებოდეს, კერძოდ, იმ დირექტიულ თავისუფლებაში, ეს წუთია რომ თავისი პირით გამოაცხადა, ხოლო რაკი „ქალაქის ელიტური ჭკუა-გონება“ პირობითი და სწრაფცვლადი ცნებაა, გამოძახებული ხალხის სია თავად უკარნახა მდივანს. შემდგომ ამისა, სალად შეაფასა რა ვითარება (ღმერთს ღმრთისა, კეისარს კეისრისა და წილოსანს წილოსნისა), გადაწყვიტა სხდომაზე სხვებთან ერთად მოეწვია ქალაქის ოდინდელი მამა, სახელგანთქმული კაცია გოგია (იხ. „ბიძაჩემი იონა“), ვინაიდან ასეთ მღვრიე ვითარებაში ყველაზე სასარგებლო რჩევა სწორედ მას შეეძლო მიეცა. მართლაც, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, კაცია გოგია ბებერი მელა იყო: უთვალავი ინტრიგის შემსწრე და მათი უმრავლესობის მონაწილე, ათას საიდუმლო ხვრელში განაძრომი და ათი ათას საიდუმლო გამოქვაბულში ღამეგანათევი, ცხოვრების ყველა ციცაბო და მოლიპულ ზღვარზე გადანავალი, ყველა ფუღუროში თითჩანაყოფი და ყველა კორძს წამონადები, გამოცდილი, გამობრძმედილი, გამოსუქინსინებული. მოკლედ, რომ არ გავაჭიანუროთ და ყველა ჩამოთვლილსა და მრავალ ჩამოუთვლელ თვისებას ერთ სიტყვაში - ცოტა ბუნდოვან, მაგრამ მტკიცედ შესისხლხორცებულ სიტყვაში - მოვუყაროთ თავი, კაცია გოგია ბრძენი გახლდათ.

ბატონმა კრეონტმა საკუთარი ხელით აკრიფა საჭირო ნომერი და გამოჩენილ წინამორბედს ხაზგასმული თავაზიანობით სთხოვა სხდომაზე მობრძანება.

წინამორბედმა დასტური თქვა. ოღონდ, ბატონი კრეონტის გასაკვირად, იონა კამკამიძის მოწვევაც მოითხოვა (ვისაც „ბიძაჩემი იონა“ წაკითხული აქვს და იცის, რომ ძაღლის ნაკბენი მაშინ უკეთ დაშუშდება, თუ ის ძაღლი სხვებსაც დაკბენს, ვფიქრობ, ბატონი კრეონტის გაკვირვება არ გააკვირვებს).

ბატონი კრეონტის მდივანმა სამის ნახევარზე დარეკა. ყურმილი ბიცოლაჩემმა აიღო და იერარქიულად გაუცხოებული ცრუ თავაზიანობის მატერიალისტური ამპარტავნობით გაჯერებული ყრონტისმიერი ხმა რომ მოესმა, რომელმაც ბიძაჩემთან „დაუყოვნებლივ დაკავშირება“ მოითხოვა, დაბნეულმა და დაფეთებულმა ქმარი ისეთი ძალით შეანჯღრია, თითქოს მძინარე კი არა, მკვდარი უნდა გაეღვიძებინა. რეალურ ცხოვრებას თუ გადატანითი მნიშვნელობის მცირეოდენ მარილს მოვაყრით, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ იმ დღეს (ზომიერად თბილი, საამური ივნისი იდგა) ბიძაჩემმა არსებითად მრავალწლიანი ძილიდან გამოიღვიძა. მართლაც, დიდი, დიდი ხნის განმავლობაში მისთვის ამქვეყნიური ყოფის ყველაზე ცოცხალი და ნათელი ფერი, ცხოვრების ყველაზე რეალური - მე ვიტყოდი, ყველაზე აქტიურიც - გამოხატულება ძილი იყო. მას შემდეგ, რაც მშობლიურ სანაკლიოს დიდებული და ღირსსახსოვარი იუბილე უძღვნა და ჯილდოდ ბიცოლაჩემი იაია მოიპოვა (იხ. „ბიძაჩემი იონა“), შესაფერის საქმეს ველარაფერს ეწია, შეუფერებელი კი არ იკადრა და დარჩა ხანგრძლივი დროით ასე - უმიზნოდ, უქმად, მოწყენით. უმიზნოდ დაეხეტებოდა აღმა-დაღმა,

მოწყენით ეძალებოდა ღვინოსა და არაყს, უქმად მოძღვრავდა ნაცნობსა და უცნობს და იჟანგებოდა. როგორც მამაპაპური ხანჯალი ბაქტერიოლოგიურ ომში. გავბედავ და ვიტყვი, რომ ნეტარხსენებულ „უძრაობის ხანაში“ ყველაზე უძრავი ბიძაჩემი იყო. თუ წვრილ-წვრილ, შემთხვევითსა და ზოგჯერ ცოტა ნაძალადევ გამოხდომებს არ ჩავთვლით, მრავალი წლის მანძილზე ფასეული არაფერი უკეთებია ბავშვების გარდა. ეს უკანასკნელნი, მართალია შეუპოვრად, რაღაც ჯიუტი გააფთრებით კი ჩნდებოდნენ, თითქოს ბიძაჩემი უიღბლობის ჯავრს ცხოვრებაზე იყრიდა, და ბოლოს და ბოლოს იმდენი მოუგროვდა, რომ მთელი თავისი გავლენიანი მტრებისა და მოყვრების (მათ შორის მამაჩემის) ჩარევა დასჭირდა, რათა ბიცოლაჩემისთვის გმირი დედის საპატიო წოდება აერიდებინა, მაგრამ ამგვარი საბავშვო შემოქმედება ის გზა და ის საქმიანობა არ არის, რომელმაც ბიძაჩემის პატივმოყვარეობა შეიძლება დააკმაყოფილოს. ასე რომ, იწვა თავისთვის კუთხეში და დროდადრო წყალგადასხმული მუგუზალივით უაზროდ და უმისამართოდ შიშინებდა. ერთი გამოცოცხლება მაშინღა გამოცოცხლდა (უკანასკნელი ჭეშმარიტი აქტიურობაც ეს იყო), როცა სამეორასიათასე იუბილის მომზადებაც მას მიანდეს.

და აი, როგორც იქნა – დრო ულმობლად მიქროდა და ბიძაჩემი, როგორც ერთ დროს ემპედოკლე, უკვე სამოცს უკაკუნებდა – სანაკლიოს თავზე სიცოცხლის კიდევ ერთი ქარბორბალა დატრიალდა; სამშობლოს კიდევ ერთხელ დასჭირდა თავგანწირული შვილი, რომელმაც თავის მხრივ არ დააყოვნა და დაუფიქრებლად გადაეშვა უხილავ მორევში.

სასტარტო შთაგონება ბიძაჩემმა გამოფხიზლებისთანავე იგრძნო, მერე, ნაშუადღევს, ტვინში პირველი ნაპერწკლებიც აუტკაცუნდა და დილით, წასვლის წინ, ჰალსტუხი შეიბა, რათა ქალაქის ღირს მამათა სხდომაზე ეფექტი მოეხდინა.

ეფექტისას ვერაფერს გეტყვით, ჰალსტუხისა ის შემიძლია გითხრათ, რომ მამაჩემის ნაქონი იყო.

ბიძაჩემის გამოჩენაზე ქალაქის ჭკუაგონებამ, რომელიც უკვე სრული შემადგენლობით და ნაღვლიანად გატრუნული უჯდა სათათბირო მაგიდას, შვებით ამოისუნთქა, ვინაიდან მსწრაფლ იაზრა, რომ ეს ახირებული კაცი მას ახლა დაუყოვნებლივ ახსნიდა აზროვნების მძიმე ტვირთს და თანახმად ძველი ჩვეულებისა, ყველა ქვასა და აგურს თვითონ აიკიდებდა.

მაგრამ ის, რაც ელიტისთვის მაცოცხლებელი ნამი იყო, ბატონი კრეონტისთვის მაცოცხლებელი ნამი არ ყოფილა. მართლაც, ფშუტე იგი შვება მის გულს სრულებით არ მიჰკარებია. ბატონი კრეონტი გაშტრიკინებული იჯდა, ტუჩმოკუმული შესცქეროდა ბიძაჩემს და სახეზე ნატიფი პესიმიზმი ეწერა. არც გაემტყუნებოდა. ზოგმა იცის და, ვინც არ იცის, იცოდეს: მარტოობა კარგია სამეფო ტახტზე, მაგრამ ცუდია ბრძოლის ველზე. ბატონი კრეონტი გრძნობდა, რომ რაღაც უცხო ძალებმა – შესაძლოა დივერსიულმა – სწორედ ბრძოლის ველზე გადაისროლეს და იქ მარტო დატოვეს. და თუნდაც „ბრძოლის ველი“ ზედმეტად მაღალფარდოვნად ჟღერდეს, განა იგი ახლა სანაკლიოში ყველაზე შესაბრალისი კაცი არ იყო? სხვას ვის ედო წინ ესოდენ უცნობი დილემა და გაუკაფავი ჯაგნარი? მთელს ამ დეგენერატ ჭკუა გონებას, ვინც დარბაზში (და საერთოდ სანაკლიოს საზღვრებში) იმყოფებოდა, მხოლოდ სათათბირო ხმა ჰქონდა და პასუხისმგებლობაც შესაბამისად მხოლოდ პირობითად თუ დაეკისრებოდა. მაშასადამე, გზა თვითონ უნდა გაეგნო, ჯაგნარი თვითონ უნდა გაეკაფა, გადაწყვეტილება თვითონ უნდა მიეღო და პასუხიც თვითონ უნდა ეგო. ხოლო ვინც პასუხი უნდა აგოს, მას სიფრთხილეც მართებს. ბატონმა კრეონტმა კარგად იცოდა, რომ ბიძაჩემი ჭკვიანი იყო (ასე იცნობდნენ სანაკლიოში და განსხვავებულ აზრს ძვირად თუ ვინმესგან გაიგონებდით), მაგრამ საიდუმლო პარტიული ინსტრუქციებიდან, რომლებიც კვარტალში ერთხელ მოსდიოდა, ისიც იცოდა, რომ ადამიანი რაც უფრო ჭკვიანია, მით ნაკლებ სანდოა. ამიტომ დარბაზში აფოფინებულ მსუბუქ სიხარულს ანგარიში არ გაუწია და ვითარება წვრილად (რამდენადაც ამის უფლებას დირექტივა აძლევდა) და სევდიანად ახსნა (კითხვის ისარი კაცია გოგიას რჩევით მაინც პირდაპირ ბიძაჩემის ნათელი შუბლისკენ ჰქონდა მიმართული); კერძოდ, თქვა, ქვეყანაში ეგრეთწოდებული „გარდაქმნა“ დაიწყო და ჩვენ ახლა ჩვენი ტაქტიკა და სტრატეგია ამ სიახლეს უნდა მივუსადაგოთო; მაგრამ უბედურება ისაა, რომ თავად სიახლეა გაუგებარიო; არავინ იცის, რას ნიშნავს ეს „გარდაქმნაო“, ზოგს რა ჰგონია და ზოგს რაო; ხოლო თუ ვინმემ იცის, არ ამხელსო. ერთი სიტყვით, ბევრი ილაპარაკა თუ ცოტა, საბოლოო ჯამში საკმაოდ ნათლად ჩამოაყალიბა ყველაფერი, რისი ნათლად ჩამოყალიბებაც კი ამ ბნელ ვითარებაში შეიძლებოდა. მერე გულმოკლულმა დასძინა:

– რაც მთავარია, ახლა საჭიროა ხალხს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფლება მივცეთ...

- აქამდე ვინ უკავებდა?! - გაიკვირვა ბიძაჩემმა, მაგრამ მისი გაკვირვება მეტისმეტად ყასიდი იყო და ბატონი კრეონტი ცოტათი გაწყრა:

- კარგი ერთი, თუ ძმა ხარ, ნუ დამიწყებ შენებურად დემაგოგიას! - სევდიან-უკმაყოფილო კილოთი თქვა და სულ ოდნავ აუწია ხმას. მერე ისევ დაღმავალი ტონით დაასრულა, - ვითომ ჩემი გაჭირვება არ მეყოფა!

ბატონი კრეონტის ხმის კილოსა და სახის (განსაკუთრებით თვალების) გამომეტყველების უკან წამით ისეთმა შემზარავმა უფსკრულმა იელვა, რომ ბიძაჩემის მუცელში წარმოსახვითი ღუმელი რეალური გუგუნით აინთო. ბიძაჩემი ცხლად აიქოჩრა, მაგრამ მაინც, რაკი ღუმელი გადამჭრელი მოქმედებისათვის საკმარის სიმხურვალეს ჯერ კიდევ ვერ გამოჰყოფდა, თავი დაიმუხრუჭა და დროის მოგების მიზნით იკითხა:

- იქნებ ვინმეს უკვე აქვს რაიმე მოსაზრება?

- აი, - მიუგო ბატონმა კრეონტმა და ქაღალდის დასტა ახლო მიუჩოჩა. ამ „მოსაზრების" არსი ჩემთვის ცნობილი არ არის. სამაგიეროდ ცნობილია ის, რაც არსზედაც მეტია, კერძოდ - ბიძაჩემის წინდაუხედავი შეფასება, რომელიც კმაყოფილებით გაუზიარა კრებას:

- ამის შემდგენელი, მეტი რომ არა ვთქვა, რეგვენია.

ამაზე ბატონ კრეონტსაც კმაყოფილებით გაებადრა სახე.

- აგერ, ამის შედგენილია, - თქვა და მარჯვენა ხელი ოთხი ერთმანეთზე მიტყუპებული თითით - ცერი მოკეცილი ჰქონდა - თანაშემწეს (იმავ საიდუმლო მრჩეველს) რომაული მახვილივით მიაშვირა. თანაშემწე თურმე პასუხად უტყვი, ქვადქცეული სახით შემოსცქეროდა ბიძაჩემს და მის მზერაში, ბუნდოვანი, მაგრამ აშკარად არაკეთილმოსურნე დაპირებები ეწერა.

ბიძაჩემმა კი თვალი თვალში გაუყარა, რაც დიდი უგუნურება იყო და მცირე პაუზის შემდეგ ლირიული კილოთი უთხრა:

- მაინც ბრუნავს...

რაზედაც თანაშემწემ კბილები გააღრჭიალა.

ამ მომენტისათვის ბიძაჩემის მგრძნობიარე გულ-გვამში ტემპერატურამ ბოლოს და ბოლოს საჭირო დანაყოფს მიაღწია და ცეცხლი სხვა ასოებსაც მოედო. ბიძაჩემი გავარვარდა, ათუხთუხდა, ელემენტებად დაიშალა, ზეგარდმო ძალთა წრედში ჩაერთო, ზეგარდმო რწმენით აივსო და, ლაპარაკის საღერღელმაც რომ ჯებირი გაარღვია, ყელის ვიწრობიდან ლავის ამოფრქვევას შეუდგა.

- იქნებ ყველაფერი ეს ბლეფია, ბატონებო! - ასე დაიწყო მან.

კაცია გოგიას თვალები გაუბრწყინდა და სავარძელში კიდევ უფრო მოხერხებულად მოკალათდა, მაშინ როცა ბატონმა კრეონტმა შუბლი ეჭვით შეიჭმუხნა და რიტორიკული უნდობლობით იკითხა:

- რა არი, კაცო, ბლეფი?!

ბიძაჩემს მოეწონა ბატონი კრეონტის რეაქცია.

- საქმე ის გახლავთ, - თქვა მან, - რომ, როდესაც ცვლილებები ჩაკეტილ სისტემაში მიმდინარეობს - ვთქვათ, ციხეში, ქვევრში, აკვარიუმში, მოჯადოებულ წრეში, ცირკში, სანაკლიოში და ასე შემდეგ - ასეთი ცვლილებები თითქმის ყოველთვის ბლეფია. ისინი ისეთ ეფექტს იწვევენ, როგორც წუმპეში ჩაგდებული ქვა. წუმპეში ჩაგდებული ქვა, მოგეხსენებათ, წარმოქმნის კონცენტრირებულ წრეებს, რომლებიც მეთოდურად მიიწევენ პერიფერიისკენ, ხოლო მოვლენის მარილი და წიწაკა ისაა, რომ როცა ბოლოს და ბოლოს ნაპირს მიაღწევენ, მათი ცენტრი - ის ადგილი, სადაც ქვა ჩავარდა - უკვე მოწმენდილია. ანდა უფრო შთამბეჭდავი მაგალითი ავიღოთ: ვარსკვლავები, ღამღამობით რომ ვითომცდა თავს დაგვნათის (რაც ოდესღაც პოეტების ძალუმ გაშმაგებას იწვევდა), რეალურად - თუ გინდათ ასტრონომებს ჰკითხეთ - მხოლოდ მანამ არსებობენ, სანამ გამოჩნდებიან, ხოლო მას შემდეგ, რაც გამოჩნდებიან, უკვე აღარ არსებობენ. ხედავთ? არა, ხედავთ?! ასეთი მაგალითი კი უამრავია და ყველა მათგანი ბლეფია. მართალია, ზოგჯერ, თუ დიდია, ალაგ-ალაგ ბლეფიც აფეთქდება ხოლმე - მე რომ მკითხოთ, მაგალითად, ტუნგუსის მეტეორიტიც ბლეფი იყო - მაგრამ მადლი უფალს, უფრო სწორად ბუნებას, ზემოთ საკმარისი ცოდნა და გამოცდილება აქვთ საიმისოდ, რომ ქვა წუმპეს მიუსადაგონ. ასე რომ ნუ წამოეგებით ანკესზე, ბატონებო, თქვენ ხომ თევზები არა ხართ! ლოგიკა და მაგალითები, მით უფრო თუ ზოგიერთ სადღეისო პოლიტიკურ ქარაგმასაც გავითვალისწინებთ, იმაზე მეტყველებენ, რომ ამ ყაიდის დირექტივებისა შეუსრულებლობა უფრო სასარგებლოა, ვიდრე შესრულება. ცენტრი უკვე მოწმენდილია, მოკრიალებულია, დაწყნარებულია და ახალი დირექტივაც, რომლის დანიშნულება წინამდებარე დირექტივის უარყოფაა, უკვე გამოგზავნილია. მაშ, დააკონსერვეთ ცრუ დირექტივა! ნუ გაახმაურებთ თავისუფლებას! იგი არავის

ეროვნული ბიბლიოთეკა



სჭირდება, ენდეთ ჩემს ნათქვამს, რომელიც თუ სიმართლე გინდათ, ზეგარდმო რწმენას ემყარება.

ელატის კონცენტრირებული წრეების თამამი განზოგადება და, საერთოდ, ბიძაჩემის აზრთა ლაღი და უკონტროლო დინება მოეწონა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დასკვნა ერთხმად დაიწუნა.

პარადოქსი მოჩვენებითია.

მართლაცდა, ერთის მხრივ, კონცენტრირებული წრეები როგორ არ მოეწონებოდათ! ბიძაჩემის რწმენა - მეც მოგახსენეთ და არც თვითონ დაუმალავს-ზეგარდმო იყო. ზეგარდმო რწმენა კი ისეთი რამ არის, ადამიანს, როგორც მაცხოვრის ცნობილი დებულებაც ადასტურებს, შეუძლია მისი მეშვეობით მთები გადააადგილოს. მთებს ბიძაჩემი, რამდენადაც ვიცი, იმ პერიოდში არ ერჩოდა და ამ მხრივ რაიმე გეოლოგიური კატაკლიზმები მოსალოდნელი არ უნდა ყოფილიყო, რწმენის შესახებ კი ის უნდა ვთქვა, რომ, როცა რწმენა ზეგარდმოა, მისი შემოქმედების ძალაც ზეგარდმოა, კერძოდ, ყველა ფარს ამსხვრევს, ყველა ჯებირს არღვევს, ყველა კლიტეს აღებს, ყველა სამალავში შედის და ყველა გულსა და გონებას იპყრობს.

მეორე მხრივ, რჩეულთა კრებამ რომ ესოდენ დამაჯერებელი წინამძღვრებიდან გამომდინარე დასკვნა დაიწუნა და დირექტივის შეუსრულებლობაზე კატეგორიული და ცოტა ანჩხლი უარი თქვა, ესეც სავსებით ბუნებრივია. საქმე ის გახლავთ, რომ, თუ ბიძაჩემის რწმენას, როგორც ზეგარდმო ძალას, მან ვერაფერი დაუპირისპირა, სამაგიეროდ პრაქტიკულ დასკვნას კი ხიფათის გრძნობა დაუპირისპირა, რაც სანაკლიოში არანაკლებ ზეგარდმო ძალაა. მართლაც, სანაკლიოს გეოპოლიტიკურ განედზე ადამიანურ გრძნობათა შორის ყველაზე მეტად ხიფათის გრძნობაა განვითარებული, რის გამოც აქაურებს ბუნების მარადიული კანონები ერთგვარად ფეხებზე ჰკიდიათ და იმ დროებით, პრაქტიკულ და საყოველდღეო წესებს მისდევენ, რომლებსაც კონკრეტული ეპოქა და ეპოქის კონკრეტული სისტემა უყენებს. იმ დროს, როდესაც ჩვენთვის საინტერესო სხდომა მიმდინარეობდა, უმთავრესი პრაქტიკული წესი ასეთი იყო: სახიფათოა მხოლოდ ის, რაც სახიფათოა დღეს. სანაკლიელის ინსტინქტმა კარგად იცის, რომ ხვალ შეიძლება ეპოქა გულაღმა ამოტრიალდეს, მეტიც - შეიძლება ეს „ხვალ“ არც კი დადგეს. ამ სულისკვეთებით და ამ სულისკვეთებაში გადაზელილი შიშით თხემით ტერფამდე გამსჭვალული იგი მორჩილად ასრულებს მხოლოდ დღევანდელ ინსტრუქციას, რომლის შეცვლა მისი აზრით არც შესაძლებელია და არც სასურველი.

... ბატონი კრეონტის რეზიდენცია - ვინც ნამყოფია სანაკლიოში, ეცოდინება - ნაკლისწყლის მარცხენა ნაპირზე, მაღლობზე იდგა ისე, რომ მრავალი ფანჯარა, მათ შორის სათათბირო დარბაზის ოთხივე ფანჯარა, მდინარეს გადაჰყურებდა. და აი, დაახლოებით ორის ნახევარზე, ქალაქის უზენაესი ჭკუაგონების თვალწინ ნაკლისწყალში უეცრად სქელი, მკვრივი, განიერი და მღვრიე ნისლი ჩაწვა. სქელი, მკვრივი, განიერი და მღვრიე. ეს მთლად ჩვეულებრივი ამბავი არ გახლდათ, ვინაიდან ცა იმ დღეს ისეთი კრიალა იყო, გეგონებოდათ ქალაქმა ვიღაცას ქუდი მოუხადა და მოტვლეპილი თავი გამოაჩინაო. გარდა ამისა, რაკი ნისლიც სქელი იყო და დიდი, ხოლო ორ ბორცვშუა მოქცეული ნაკლისწყალი ამ ადგილას ორ მუხლშუაც არის მოქცეული და სასახლის მაღალი თვალთახედვიდან მხოლოდ ერთ, ძალზე დეფორმირებულ მონაკვეთად მოჩანს, ეს ნისლი (დეფორმაციასთან ერთად მისი მღვრიე ფერიც მიიღეთ მხედველობაში) ცოტათი გველეშაპს ჩამოჰგავდა. ეს მსგავსება ცხადია მოჩვენებითი იყო. ჯერ ერთი, ვისაც რეალიზმის გრძნობა არ ღალატობს, უნდა აღიაროს, რომ ასეთი ფაფუკი გველეშაპი არ არსებობს, და თუნდაც ამ წინააღმდეგობას რაიმე მანქანებით თავი დავაღწიოთ, წინ სხვა, არანაკლები წინააღმდეგობა გადაგვეღობება. მაგალითად, ის, რომ ნისლში თეთრი ნავი დაცურავდა. მართალია მკაფიოდ არ ჩანდა, მაგრამ კონტურების მიხედვით აშკარად ნავი იყო. და თუ ნისლისა და გველეშაპის იგივეობას სერიოზულად შევხედავთ, მაშინ უნდა დავუშვათ არა მარტო ის, რომ გველეშაპს თეთრი ნავი გადაეყლაპა, არამედ ისიც, რომ გველეშაპის სხეული გამჭვირვალე იყო, რაც უკვე მართლა მეტისმეტია. ნავი, თითქოს ვიღაცას ეპარებაო, ნელა, ძალიან ნელა მოძრაობდა ნისლში. ნავს ზემოთ, ნისლის შედარებით თხელ ფენაში, შეიძლება ითქვას, პირდაპირ გველეშაპის კანქვეშ, მიმობნეული იყვნენ და ნავის სიმეტრიულად - იმავე სიჩქარითა და იმავე მიმართულებით - მოძრაობდნენ ვარსკვლავები. არა ხუთქიმიანი, არამედ საერთოდ ვარსკვლავები - სხვადასხვა რაოდენობის ქიმებით. ვარსკვლავთა ფერები იყო: ყვითელი, მეწამული, ცისფერი და შავი. ამგვარად, ნისლში, რომლის მსგავსება გველეშაპთან არსებითად მოჩვენებითი იყო და რეალური იდენტიფიკა-

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ციის საბაბს ნაკლებად იძლეოდა, ნელა დაცურავდა თეთრი ნავი. ნავს ზემოთ, ზედაპირის მახლობლად, ასევე ნელა დაცურავდნენ ვარსკვლავები. ყვითელი, მეწამული, ცისფერი და შავი. ეს ღირსშესანიშნავი ნისლი ნახევარ საათს იწვა ნაკლისწყალში გველეშაპობის საეჭვო, მაგრამ გამომწვევი პრეტენზიით და მღვრიედ ანათებდა. მერე ნავიან-ვარსკვლავებიანად გაქრა. სხდომის მონაწილეები, რომელთა შორის ცრუმორწმუნე არავინ ყოფილა - ხოლო ცრუმორწმუნეობის გარეშე ამგვარი მოვლენის ახსნა თითქმის შეუძლებელია - პრობლემას მოპირდაპირე მხრიდან მიუდგნენ და იოლადაც გადაწყვიტეს: მათ არაფერი დაუნახავთ. ცრუმორწმუნე - თუ ამას რაიმე საგანგებო საჭიროება არ მოითხოვდა - არც ბიძაჩემი ყოფილა, მაგრამ მან დანარჩენ სანაკლიელთაგან განსხვავებით არა მარტო დაინახა ეს უცნაური ნისლი, არამედ დიდხანსაც იფიქრა მასზე. თქ-მით არაფერი უთქვამს, ვინაიდან იცოდა, რომ სანაკლიელებთან ამ თემაზე ლაპარაკი - თემას რომ არ მოეწყვიტა - ნისლის ნაყვა იქნებოდა, მაგრამ ფიქრით კი ბევრი იფიქრა. იმ ნახევარ საათს ხომ ფიქრობდა, ვიდრე ეს ნისლი ჩანდა, იმ ნახევარ საათსაც ხომ ფიქრობდა, ვიდრე სხდომაზე შესვენება იყო გამოცხადებული, მერეც, სანამ სახლში მივიდოდა, და მერეც, სანამ საბოლოოდ დაავიწყდებოდა, სულ ფიქრობდა. ისეთი გრძნობა ჰქონდა - ეს გრძნობა შინაგან ხმას ემყარებოდა - თითქოს ამ არასანაკლიურ გამოცხადებაში რაღაც ნიშანი და სიმბოლო იმალებოდა.

უნდა ვაღიაროთ, თუ მართლა იმალებოდა, კარგად იმალებოდა. ყოველ შემთხვევაში ბიძაჩემმა ვერაფერი აღმოაჩინა.

...კრიტიკულ ჟამს, როცა წინ იდეოლოგიური უფსკრული გამოჩნდა, ბატონმა კრეონტმა სხდომის მონაწილეთა ერთსულოვანი მხარდაჭერით გადაწყვიტა - რაც არის, არის - გაერისკა და სახელმწიფოებრივი სპირალის ზედა ხვეული შეერხია, რათა დამატებითი ინსტრუქცია გამოეთხოვა (ჩვენებს დავურეკავო, ოდნავ რომანტიკული, ოდნავ დაეჭვებული და ოდნავ ნაღვლიანი კილოთი თქვა და, ეს „ჩვენები“ რომ მთლად პირდაპირი მნიშვნელობით არავის გაეგო, ყოველი შემთხვევისთვის თითი დარბაზის მაღალ ჭერს მიაშვირა) და შესვენებისას, ვიდრე ჩვენ ნისლითა და გველეშაპით ვიყავით დაკავებული, თავის კაბინეტში განმარტოებულმა ეს გადაწყვეტილება სისრულეში მოიყვანა. სამწუხაროდ, „ჩვენებმა“ დამატებით ინსტრუქციაზე უარი უთხრეს. არავითარი დამატებითი ინსტრუქციაო, ცივად მოუჭრეს, იმოქმედეთ საკუთარი შეხედულებითო. იმ დროს ამგვარი პასუხი გაუგონარი იყო, მაგრამ კიდევ უფრო გაუგონარი ის იყო, რომ ამას მოჰყვა მწყრალი შეგონება („ცოტა თქვენც გამოიჩინეთ ინიციატივა, მიდექ-მოდექით, ტვინი გაანძრიეთ, ჭკუას ძალა დაატანეთ! სანამ უნდა იყოთ სხვის ხელებში შემყურე?! სანამ უნდა იცქირებოდეთ მაღლა-მაღლა მწიფე ინსტრუქციების მოლოდინში?!.“), რამაც ბატონი კრეონტი საბოლოოდ დააბნია. ახლა ხომო?! - მწარედ თქვა გულში და ნაწლავები აეწვა. მაგრამ საბედნიეროდ შეგონებასა და შეგონებას შორის შეფარვითა და მამაშვილური ტკბილწყრომით მოისმა თუ ინსტრუქცია არა, გაფრთხილება მაინც (ო, კასტურ-კოლეგიალური აკუპუნქტურავ!), საიდანაც იმ აზრის გამოტანა შეიძლებოდა, რომ პრობლემა რთული იყო და უცნობი, რომ ამჯერად ისეთი რამის ჭამა მოუხდათ, რისი მონელებაც იოლად არ მოხერხდებოდა, რომ ეს დღევანდელი ქარი გუშინდელივით და გუშინწინდელივით სწრაფად და მშვიდობიანად არ გადაივლიდა და რომ საჭირო იყო დიდი სიფრთხილე, დიდი სიფხიზლე, დიდი წინდახედულება.

ბატონი კრეონტის თანაშემწე (იგივ საიდუმლო მრჩეველი) მაღალი ყოფილა და შავგვრემანი. მისი გარეგნობის შესახებ ამის მეტი არაფერია ცნობილი. ვიდრე საკუთარი თვალით ვნახავდი, მიკვირდა და არ მჯეროდა, ღვთით გაჩენილ (ალბათ ღვთით გაჩენილი იყო) ადამიანს ამ ორი ნიშნის გარდა სხვა რამ ნიშანი არ ჰქონდეს. ბიძაჩემი მიმტკიცებდა, ნამდვილად ასეა და ამის გამო ეს კაცი - შენ თუ გინდა ნუ დაიჯერებ - არაფერსა ჰგავსო. მე რომ ამაზე შუბლი სკეპტიკურად შევიკარი, განმარტა, არაფერსა ჰგავს, რადგანაც ერთდროულად ყველაფერსა ჰგავსო. მერე, კიდევ უფრო სკეპტიკურად რომ შევიკარი შუბლი, დასძინა, შენისთანა ჭირვეულ რაციონალისტს შეიძლება გაუჭირდეს ამის გაგება, მაგრამ რა ვქნა, რომ მართლა ყველაფერსა ჰგავს; მაგალითად, მის შემხედვარეს თამამად შეგიძლია თქვა, მსუქანიაო და გამხდარიაო, დიდი ცხვირი აქვსო და პატარა ცხვირი აქვსო, თაფლისფერი თვალები აქვსო და ჭროღა თვალები აქვსო, ვიწრო სახე აქვსო და განიერი სახე აქვსო, მაღალი შუბლი აქვსო და დაბალი შუბლი აქვსო, თმა შუაში აქვს გაყოფილიო და თავზე ერთი ღერი თმა არა აქვსო, მარცხენა ყური უფრო დიდი აქვსო და მარჯვენა ყური უფრო პატარა აქვსო, ოვალური ფორმის სათვალე

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკეთიაო და სათვალეს საერთოდ არ ხმარობსო... მოკლედ, ბიძაჩემმა თავისი თქვა, ოღონდ, მისდა სასახელოდ, ჩემი დარწმუნება არ უცდია, როგორც მე ახლა თქვენს დარწმუნებას არ ვცდილობ (თორემ ის კაცი - ყოველ შემთხვევაში მანამ, სანამ მესამე ნასკვი არ გაინასკვა - მართლა ყველაფერს ჰგავს და არაფერს ჰგავდა).

როდესაც სხდომა განახლდა და ბატონმა კრეონტმა „მისიანებთან" საუბრის შედეგი დამსწრეთ აცნობა, დარბაზში ჩამოვარდნილი საზეიმო-სამგლოვიარო დუმილი ისევ ბიძაჩემმა დაარღვია, რომელიც კონცენტრირებულ წრეებზე და სახალისო ასტრონომიაზე ჩატარებული ნაყოფიერი მოთელვის შემდეგ თავს უკვე სავსებით მზად გრძნობდა საიმისოდ, რომ ჭეშმარიტი და სრულყოფილი შედევრი გამოეჩეკა. ხოლო ეს მაღალი მისია რა გაითვალნათლივა, სასწრაფოდ განდევნა გონების თვალსაწიერიდან ნაკლისწყალში ჩაწოლილი გველეშაპი, რომელიც თავს იკატუნებდა ღრუბელი ვარო, და თქვა:

- რაკი კონცენტრირებული წრეების თეორია - თავისთავად სავსებით სწორი - შექმნილ პოლიტიკურსა და ფსიქოპოლიტიკურ ვითარებას ვერ მიესადაგა, ისღა დაგვრჩენია, ბატონი კრეონტის მოსწრებული თქმისა არ იყოს, ხალხს თავისუფლება მივცეთ. - აქ ცოტა შეყოვნდა, რათა მსმენელთათვის საშუალება მიეცა კარგად მიმხვდარიყვნენ, რა კატასტროფის წინაშე იდგნენ. მერე, ამ მიზანს რომ ასე თუ ისე მიაღწია, დამსწრეთა ნერვიული ჩურჩულის ფონზე განაგრძო, - სამწუხაროდ, ქვეყანა დღეს განვითარების (თუ ამას განვითარება ჰქვია) ისეთ სტადიაშია, როცა ცხადზე უცხადესი დებულებებიც კი აქსიომათა ნუსხაში ვერ მოხვდა და დასაბუთებას საჭიროებს, ხოლო რაკი ყველაზე ძნელი სწორედ იმ დებულებათა დასაბუთებაა, რომლებიც უსაბუთოდაც ნათელია, ჩვენც მძიმე და მომქანცველი შრომა მოგველის. დირექტივა რომ ხალხისთვის თავისუფლების მიცემას გვავალებს, მოდით და ერთი ესეც ვიკითხოთ, ვინ არის ის ხალხი, ვისაც თავისუფლება უნდა მიეცეს? სიის შედგენა რომ დაგვჭირდეს, ვინ უნდა ჩავწეროთ ამ სიაში და ვინ არა? რა ადგილას გადის ის საზღვარი, რომლის ერთ მხარეს თავისუფლების გამღები დგას და მეორე მხარეს თავისუფლების მიმღები? თვითონ ეს თავისუფლება სად არის და ვის ხელშია? ანდა, საერთოდ, რა არის თავისუფლება? უკონტროლო კუნტრუში თუ წრეხაზის მიერ ლიმიტირებულ-პროკრუსტირებული რადიუსი? და თუ რადიუსია, ან სად იწყება, ან სად თავდება, ან რამსიგრძეა? თავისუფლების მიცემა რაღას ნიშნავს? როგორ უნდა მიეცეს, ვისაც უნდა მიეცეს, თავისუფლება? როგორც მზე იძლევა სინათლეს თუ როგორც კიტრი იძლევა ნაყოფს? ყველაფერი ეს ჩვენი გადასაწყვეტია და ჩვენს მაგივრად სხვა ვერ გადაწყვეტს.

ამ პატარა შესავლის შემდეგ, რომლითაც, რაც ჯერ კიდევ აუბურდავი იყო, ისიც აბურდა, და რაც ჯერ კიდევ დაუბნელებელი იყო, ისიც დააბნელა, მეთოდურად შეუდგა ახალი, ძალზე ორიგინალური თეორიის ჩამოყალიბებას. სანაკლიელ ქურუმთათვის, რომლებიც იერარქიის ტაძარში კრძალვით მიმოდიოდნენ და მაღლით მონიჭებულ იდეოლოგიას შეფრფინვით ემსახურებოდნენ, ასეთი თეორიის დამტკიცება, მეტი რომ არა ვთქვათ, ძნელი იყო; ამიტომ ბიძაჩემმა დიალოგის ხერხს მიმართა (სოკრატეც, როგორც ცნობილია, ასე იქცეოდა):

- არსებობს თუ არა, ვანიკო ბატონო, ადამიანის ენაში სიტყვა „შეცდომა"?

- რავა, მასხრათ მიგდებ, შე კაცო?! - იწყინა ვანიკომ.

- როგორ გეკადრება! - დაუყვავა ბიძაჩემმა, - მასხრად მტერმა აგიგდოს, მასხრად ასაგდები რა გჭირს! უბრალოდ...

და გაუტია...

სხდომის მონაწილენი, რომელთა შორის სხვებზე მეტად აქტიურობდნენ ქალაქის პროკურორი ლაფიაშვილი (კაცი სამჯერ ნაჯდომი და, საერთოდ, მრავალჭირგამოვლილი), უკვე ნახსენები ვანიკო, გვარად კოზმანაშვილი (რომელიც მერე და მერე აცეტდა და ერთიორჯერ თავს უკბილო ხუმრობის ნებაც მისცა), დოცენტი მიროტაძე და, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს (ახლა ეს უკვე აღარავის უკვირს) სასაფლაოს დირექტორი ხერხეულიძე (რომელსაც ბედის უკუღმართობით უმაღლესი განათლება რუსეთში მიეღო, ორივე დისერტაცია - საკანდიდატოცა და სადოქტოროც - იქ დაეცვა, პროფესორის წოდებაც იქ მოეპოვებინა, მაგრამ ცოლი ჩვენებური ჰყავდა და მოგვიანებით, სამშობლოს სიყვარულში რომ დიდი შეჯიბრი გაიმართა, არა ერთი და ორი მაღალი ჩინის პატრიოტი მოიტოვა უკან), მკვირცხლად, ხალისით და აქტიურად პასუხობდნენ ბიძაჩემის მიზანმიმართულ შეკითხვებს და სულ თამაშთამაშით, ისე რომ არც გაუგიათ, მალე, სრულუფლებიანი თანაავტორები გახდნენ „აუცილებელი შეცდომის" უკვდავი თეორიისა, რომელიც მოგვიანებით დაწერილი, შეკუმშული, თითქმის მშრალი რეზიუმეს სახით (თუ ვინმეს სურვილი აქვს უფრო დაწვრილებით გაეცნოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ თეორიას, სხდომის სტენოგრაფიული ჩანაწერი მე მაქვს და მზად ვარ ნებისმიერ ორმხრივ მოსახერხებელ დროს ვაჩვენო) ბიძაჩემის მიერ ამგვარად იქნა ჩამოწიკწიკებული: 1)შეცდომა უცხოა უსულო საგნისთვის და ორგანულია სულიერი არსებისთვის. 2. განვითარების რაც უფრო მაღალ საფეხურზე დგას სულიერი არსება, მით უფრო მაღალია მასში შეცდომის კოეფიციენტი. 3. შეცდომა ცნობიერების თვისებაა და, მკაცრად თუ ვიტყვით, არსებითად მხოლოდ ადამიანისთვისაა დამახასიათებელი. 4. ყოველი ჩადენილი შეცდომა ჭეშმარიტებისკენ გადადგმული ნაბიჯია. 5. თავისუფლება, ფაქტიურად, შეცდომის ჩადენის თავისუფლებაა.

ბიძაჩემი ტრიუმფული რიხინ-რიხინით მიდიოდა მიზნისკენ. მართალია, ერთ მომენტში (როცა მეორე პუნქტს გასცდა და მესამეს აყალიბებდა) საიდუმლო მრჩეველმა მაინც სცადა მისი შეჩერება, რისთვისაც დათაფლული ღიმილითა და შემპარავი ხმის კილოთი ჰკითხა, მაშ რისგანაა, ჩემო იონა, რომ ჭკვიანი კაცი იშვიათად ცდება, უჭკუო კი ხშირადო, მაგრამ არა გამოუვიდა რა.

- ჩიტი სკლინტით იცნობაო, ნათქვამია, - ბრძნული კილოთი და არანაკლებ დათაფლული ღიმილით მიუგო ბიძაჩემმა, და თუმცა ეს უტიფარი ტყუილი იყო, ვინაიდან არსად მსგავსი არაფერია ნათქვამი, დიდი და ზეშთაგონებული თავდაჯერების წყალობით საიდუმლო მრჩეველი აიძულა, ეს მოგონილი ანდაზა, ჩიტისა და სკლინტის ეს გამხმარი აბი, მორჩილად ჩაეყლაპა, - ვისაც აქცენტი ჭეშმარიტებაზე აქვს აღებული, მან უწინარეს ყოვლისა იმისთვის უნდა იზრუნოს, რომ მიზეზი და შედეგი ერთმანეთში არ აურიოს. თქვენი დებულება ცრუ წანამძღვრებზე დგას. ჭკუა პირობითი სიდიდეა, რომლის საზომი უჭკუობაა. მეტიც: უჭკუობა ჭკუის საზრდოა და ჭკუა უჭკუობის გარეშე არ არსებობს. კიდევ მეტი: ჭკუა და უჭკუობა ერთი და იმავე ფურცლის გვერდებია. უგუნური ამაზე იტყვის, ადამიანი შეცდომებისკენ მიისწრაფისო, გონიერი კი იტყვის, სიმართლის გზა შეცდომებზე გადისო. დიახ, ადამიანსა და ჭეშმარიტებას შორის ბეწვის ხიდია გადებული და იგი შეცდომების კენჭებითაა მოკირწყლული. ეს ხიდი რომ გადავიაროთ, გზად შემხვედრი ყოველი კენჭი უნდა ამოვატრიალოთ. ასე რომ, გარკვეული აზრით, შეიძლება ითქვას, ადამიანი შეცდომის ჩამდენი ცხოველია. სხვათა შორის, ტვინი რომ გვაქვს წაჭმული, იარაღის მკეთებელია და იარაღის მკეთებელიაო, ვერაფერი იარაღის მკეთებელი ვერ იქნებოდა, შეცდომის ჩამდენი რომ არ იყოს.

საბოლოოდ, მიუხედავად გადაჭარბებისა, რაც ბიძაჩემისთვის, საზოგადოდ, დამახასიათებელია, მკაცრად და შეუვალად იქნა დასაბუთებული, რომ თუ სანაკლიოში ვინმეს თავისუფლება აკლდა, უწინარეს ყოვლისა ბატონ კრეონტს აკლდა, ვინაიდან მას, ესოდენ განვითარებულს, აქამდე არც ერთი თვალსაჩინო შეცდომა არ ჰქონდა ჩადენილი, ხოლო იქ, სადაც თავი არ არის თავისუფალი, დანარჩენი ასოების თავისუფლებაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

- ერთი სიტყვით, - ომახიანად (ბიძაჩემს რომ ვიცნობ, ალბათ, ცოტა მრისხანედაც) დაასკვნა მან, - თუ შეცდომის ჩადენა ცნობიერების ნიშანია, ხოლო ჩადენის ინტენსივობა გონების ხარისხის მაჩვენებელი, შეცდომის აღიარება სულიერების ნიშანია, ხოლო აღიარების ინტენსივობა თავისუფლების ხარისხის მაჩვენებელი. და რაკი სანაკლიოში თავისუფლება სწორედ თავისუფლებისგანაა თავისუფალი, ჩვენი რეფორმისტული ვალია, პირველ რიგში ქალაქის თავსა და ტვინს ავყაროთ ბორკილები, რათა სრულიად სანაკლიოს ამით ბორკილთმსხვრევის ნიშანი მივცეთ, - აქ, ბატონ კრეონტს რომ დაღრეჯილობა შეატყო, ხმაში თაფლი და შაქარი შეურია, - საშიში არაფერია, დასაწყისისთვის ერთი პატარა შეცდომა გვეყოფა, რომელსაც ვინმე ერთგული და სანდო მუშაკი პრესის მეშვეობით საზოგადოების სამსჯავროზე გამოიტანს, რათა ამ პატარა სასწაულის შემხედვარე ქალაქმა თქვენი რეალური თავისუფლება თავის პოტენციურ თავისუფლებასთან გააიგივოს და საბოლოოდ დარწმუნდეს, რომ იერარქია მოჩვენებითია, ყველანი ერთსა და იმავე პალოზე ვართ გამობმული. მთავარიც ეს არის. სანაკლიელი კაცი ხომ თავისუფლებას განიხილავს, როგორც შეფარდებით სიდიდეს, რომელშიაც არსებითია არა თავად თავისუფლება, რომლის განსაზღვრა მას დამოუკიდებლად არ ძალუძს, არამედ ის, რომ ყველანი ერთ ტაფაში ვიხრაკებოდეთ.

დარბაზში კიდევ ერთხელ ჩამოვარდა საზეიმო - სამგლოვიარო დუმილი და იგი ამჯერად საიდუმლო მრჩეველმა დაარღვია. საიდუმლო მრჩეველმა ჯერ მარჯვენა ხელის თითებით მაგიდაზე რაღაც მინორული მელოდია გამოიყვანა, მერე კი ლაკონურად და გასამხედროებული ხმით თქვა:

- ცენზურა უნდა გაძლიერდეს.

რაზედაც ბიძაჩემმა მართალია სამოქალაქო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმით, მაგრამ არანაკლებ ლაკონურად მიუგო:

- ცენზურა უნდა გაუქმდეს.

მაშინ დისკუსიაში ჩაება კაცია გოგია, რომელიც აქამდე ჩუმად იჯდა, ვინაიდან მშვენივრად უწყოდა არა მარტო ის, რომ მის სიტყვას დიდი წონა ჰქონდა, არამედ ისიც, რომ რაც უფრო დიდი წონა აქვს სიტყვას, მით უფრო მომჭირნედ გვმართებს მისი ხარჯვა. კაცია გოგიამ თავი ასწია, ღრმააზროვანი მზერა აუჩქარებლად (და სულ ოდნავ კრიტიკულად) მოავლო დამსწრეთ და დინჯად, დაჯერებულად, ოდინდელი სიმტკიცით გამოჭედა:

- ცენზურა უნდა გაუქმდეს და კონტროლი უნდა გაძლიერდეს.

აქ სრულიად მოულოდნელად, თითქოს უადგილოდაც, თანაშემწემ (ნუ დავივიწყებთ, რომ იგი იმავდროულად საიდუმლო მრჩეველიც იყო), ბიძაჩემს გაუღიმა. გაუღიმა გულღიად, ფართოდ, მადლიერებით, სიყვარულით, გაუღიმა ისე, როგორც შეიძლება გაუღიმო შენი ცხოვრების საუკეთესო წამს და ამ საუკეთესო წამის შემოქმედს. ბიძაჩემმა ამ ღიმილში შეხვეული ცხელი ტყვია, როგორც თვითონ მითხრა, მაშინვე დაინახა, მაგრამ იმას, რაც მაშინ თანაშემწემ ჩაიფიქრა, თორმეტი ბიძაც კი ვერ ამოხსნიდა, ვინაიდან ამის ამოხსნა თეორიულადაც კი შეუძლებელი იყო. შემდგომ ამისა თანაშემწე ზეზე წამოდგა და სიტყვა წარმოთქვა. დანარჩენი ელიტის გასაკვირად და გასაწბილებლად მან სავსებით მოიწონა ბიძაჩემის თეორია და, როგორც საახალწლო ნაძვის ხეს, ტოტებზე მრავალი ბრჭყვიალა ეპითეტიც დაჰკიდა. ქებაც ბევრი თქვა და მადლობაც ბევრი თქვა. ბოლოს დასძინა:

- მაგრამ, ამხანაგებო, ყველაფერს თავისი დრო აქვს. კარგი ის გაბედულებაა, რომელსაც მრჩევლად სიფრთხილე ჰყავს. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება ის ტოტი მოვჭრათ, რომელზედაც ვსხედვართ. თეორია, ვიმეორებ, ჩინებულია, მაგრამ ვინაიდან დღევანდელ მრავალმხრივად რთულ ვითარებაში სულ მცირე წინდაუხედაობასაც კი შეიძლება გამოუსწორებელი შედეგი მოჰყვეს, საჭიროა ყველა შესაძლო ასპექტის გამოწვლილვით შესწავლა, რისთვისაც ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია შეიქმნას კომპეტენტური კომისია, რომელიც ყოველდღიურად აღნუსხავს ვითარების ხასიათსა და მიმართულებას და ზუსტად შეარჩევს ოპტიმალურ დროს, როცა წარმოდგენილი თეორიის განხორციელება შესაძლებელი იქნება რაიმე სერიოზული გართულებების გარეშე.

მცირე ყაყანის შემდეგ, რომელიც უკვე არა მარტო მშვიდობიანი იყო, არამედ ტკბილიც, კომისია მართლაც შეიქმნა. კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა ბატონი კრეონტის თანაშემწე, იგივ საიდუმლო მრჩეველი. ბიძაჩემი იონა კომისიაში შეყვანილ არ იქნა.

სწორედ ამ დროს დაიწყო ზემოთ ნახსენები ოთხი ნასკვის პარალელური და თითქმის ერთდროული განასკვა.

მაგრამ, რამდენადაც ეს შესაძლებელია, მაინც დავიცვათ თანმიმდევრობა.

ადამიანთა შეფასება ბიძაჩემის აქილევსის ქუსლია. ეს კოჟრებიანი ქუსლი, ქვეცნობიერ სამყაროში დაბანაკებული და ბოროტი ძალების მიერ გაქეზებული, გამუდმებით იმის ცდაშია, რაც შეიძლება მეტი მტერი შესძინოს ჩემს ცოდვილსა და სასიქადულო ბიძას. ალბათ, ამის ბრალია, რომ ეს, მუდამ შურის აღმძვრელად (მამაჩემის ვერსიით ქარაფშუტულად) არხეინი და გულდაჯერებული კაცი, ვისაც, თუკი ამქვეყნად რამე ეჯავრება, პირველ რიგში თავის შეწუხება ეჯავრება, უკიდურესად - და ეს ძალზე რბილი სიტყვაა - ენერგიული, მუყაითი და მომთხოვნი ხდება, როცა საქმე მტრის შეძენაზე მიდგება (ცხადია ლაპარაკია არა პატარა და თავშესაქცევ მტერუკებზე, არამედ დიდსა და სერიოზულ მტრებზე). თანაც ეს საშიში თვისება იმ ზომამდე აქვს წამახული და გაშიშვლებული, რომ, თუ ვინმე მტრად გადაიკიდა, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ ყველაზე ვერაგს, ყველაზე ცბიერს, ყველაზე ფხიზელსა და ყველაზე ჭკვიანს აარჩევს.

სწორედ ასეთი მტერი იშოვა იმხანად ბატონი კრეონტის თანაშემწის (იმავ საიდუმლო მრჩევლის) სახით, რომელმაც თავისი ძლევამოსილი ლაშქრობა (რომელიც, როგორც თავის ადგილას ვნახავთ, ერთ-ერთი, კერძოდ, რიგით მესამე, ნასკვის განასკვით დასრულდება), იმით დაიწყო, რომ ბიძაჩემს ელიტარულ კასტაში ფეხი ამოუკვეთა, ანუ, თავად ბიძაჩემის თქმით, პირშიჩალაგამოვლებული დატოვა, ბიცოლაჩემის თქმით, მშრალზე დატოვა, კაციას, ჩემი უფროსი ბიძაშვილის თქმით, თამაშგარე მდგომარეობაში დატოვა, ხოლო დანარჩენი ბიძაშვილების თქმით, რომლებიც ასაკისა და სხვა ბუნებრივი უპირატესობის წყალობით სხვებზე უკეთ ადევნებენ თვალს ჟარგონის განვითარებას, „მოტეხა“.

როგორც ბიცოლაჩემმა მითხრა - ბიცოლაჩემი სათქმელს ყოველთვის გასაგებად ამბობს - საბრალო ბიძაჩემი იმხანად თურმე მართლა გვარიანად მოტეხილი ყოფილა.

თუმცა ტერმინებში არ არის საქმე. ყოველ შემთხვევაში, მაშინ საქმე გაცილებით უფრო

ეროვნული ბიბლიოთეკა



რთულად იყო, ვიდრე რაგინდარა ტერმინით შეიძლება გამოიხატოს. კერძოდ, მას შემდეგ, რაც ერთი ხანობა მაინც ელოდა მორიგ სხდომაზე გამოძახებას, მაგრამ არ გამოიძახეს, იმედი ნელ-ნელა დაკარგა, ძილი გაუტყდა, შფოთვა დასჩემდა, დაბნეული და გულმავიწყი გახდა და ბოლოს მისი აბობოქრებული და დაუსაქმებელი (დააკვირდით, რა საშიში შეხამებაა!) ენერგიის ზღვა ისე აღელდა, ლამის ნაპირები წალეკა. ადიდებულმა ენერგიამ ბიძაჩემს მთელ ტანზე გამოაყარა. ბიძაჩემს ენერგია აქავდა. მთავარმა ძარღვმა კონტროლის ლაგამი გადაღრღნა და გონების მარწუხებს დაუსხლტა. ვისაც გამოცდილი გაქვთ, უჩემოდაც გეცოდინებათ, რომ ეს უილაჯობის ისეთი მწვერვალია, როცა კაცი მზადა ხარ საკუთარი ხორცი დაიძიძგნო, ვისაც არ გამოუცდია, უბრალოდ ვუთხრათ, რომ, როგორც ზვავის შეკავება შეუძლებელია, როგორც მეწყრის შეკავება შეუძლებელია, როგორც ვულკანის შეკავება შეუძლებელია, როგორც მიწისძვრის შეკავება შეუძლებელია, ასე შეუძლებელი იყო იმ პერიოდში ბიძაჩემის ავად დაგორგლილი ენერგიის შეკავება. მოკლედ, ბიძაჩემის საარსებო სივრცეში საშიში სუბიექტური ვაკუუმი წარმოიქმნა. ბიძაჩემი დაემსგავსა თუნუქის ბიდონს, რომლიდანაც ჰაერი ამოტუმბეს.

ერთადერთი, რაც ამ ვითარებაში უშველიდა, იყო ობიექტი, ანუ გრამატიკული სიზუსტეც რომ დავიცვათ - ირიბი ობიექტი, რომელიც ლავად ამოხეთქილი პირდაპირი ობიექტის შთანთქმასა და მონელებას შეძლებდა.

ასეთი ობიექტი არსად ჩანდა. მართალია, ერთი ხანობა ბიძაჩემი ცდილობდა მთელი ჯავრი საკუთარ ოჯახზე ამოეყარა, რაშიც ჩუმჩუმად, ისე რომ არ შეემჩნევინებინა, საგონებელში ჩავარდნილი ბიცოლაჩემიც ეხმარებოდა, მაგრამ ოჯახი მეტისმეტად მცირე აუზი იყო საიმისოდ, რომ ამოდენა ზღვა დაეტია. და ბიძაჩემი, ენერგეტიკულად გახელებული, გამეტებით აწყდებოდა აქეთ-იქით, რითაც ერთგვარ პერპეტუუმ-მობილეს ემსგავსებოდა, ვინაიდან, რაც უფრო გამეტებით აწყდებოდა აქეთ-იქით, მით უფრო ხელდებოდა და რაც უფრო ხელდებოდა, მით უფრო გამეტებით აწყდებოდა აქეთ-იქით.

ძალიან ბევრს კი ვლაპარაკობ საკუთარ ბიძაზე, მაგრამ, ვფიქრობ, არ გამემტყუნება. მართლაცდა, თუ ცრუ ჰუმანიზმს თავს დავაღწევთ (სავსებით შეგნებული მაქვს, რაოდენ რთულ ამოცანას გისახავთ), დავინახავთ, რომ ამქვეყნად ყველას თავისი ბიძა უყვარს, ყველა თავის ბიძას უფრთხილდება და ყველა თავის ბიძაზე ლაპარაკობს. ერთი შეხედვით ეს უსინდისო ეგოიზმია, მაგრამ აბა დააკვირდით: მოყვასის ქრისტიანული სიყვარული ხომ ოდენ თეორიაა, რომლის სრული რეალიზაცია მხოლოდ იქ არის შესაძლებელი, სადაც ჩვენ მთლად „ჩვენ“ აღარა ვართ, გრძნობად სამყაროში კი სიყვარულის ამ ქრისტიანულ უნიფიკაციას დიდი-დიდი მივუახლოვდეთ (თუნდაც ამ ტერმინს ისეთი ძვირფასი ქურქი ჩავაცვათ, როგორიცაა სიტყვა „მაქსიმალურად“), თორემ მიღწევით ვერასოდეს მივაღწევთ. ვისაც კაცთმოყვარეობა შემოსავლის წყაროდ არ უქცევია, ვფიქრობ, ამ ცხად ჭეშმარიტებას სადავოდ არ გახდის. მართლაცდა, განა შეიძლება წარმოვიდგინოთ კაცი, რომელსაც სხვისი შვილი ისე უყვარს, როგორც თავისი, სხვისი დედ-მამა ისე უყვარს, როგორც თავისი, სხვისი და-ძმა ისე უყვარს, როგორც თავისი, სხვისი ცოლი... თუმცა სხვის ცოლს მოვეშვათ, ამან შეიძლება საქმე გაგვირთულოს... ერთი სიტყვით, მე ის მინდა ვთქვა, რომ რაკი პრაქტიკულად გამორიცხულია, მოყვასი ისე გიყვარდეს, როგორც საკუთარი თავი, როდესაც მე სხვის ბიძას ჩემი ბიძა მირჩევნია, ამ სიყვარულს ბუნების კანონი მართავს და არა ეგოიზმი.

ხოლო ქალაქში უკონტროლოდ დაგორავდა თავისუფლების ნაღმი და ლოკოკინასავით, საცა გაივლიდა, მოყვითალო კვალს ტოვებდა. ეს კვალი ჯერ შეუმჩნეველი იყო, მერე თითქმის შეუმჩნეველი, მერე ძლივსშესამჩნევი, მერე ოდნავ შესამჩნევი, მერე შესამჩნევი, მერე აშკარა, მერე მკაფიო და ბოლოს დამაბრმავებელი.

ფრთხილი და წინდახედული სანაკლიელები თავისუფლების ამ აღვირახსნილ პარპაშს ერთხანს შიშითა და ეჭვით შესცქეროდნენ, მასზე საუბარს ერიდებოდნენ და ისეთ ადგილებში სიარულს, სადაც შეიძლებოდა ნაღმს გადაჰყროდნენ, ბეჯითად გაურბოდნენ. საერთოდაც გარე-გარე სიარულს, როცა ყოველ წამს მოსალოდნელი იყო თავისუფლების სლიპინა კვალზე ფეხი დასხლტომოდათ, შინ ჯდომას ამჯობინებდნენ, თუმცა მთლად მშვიდად ცხადია ვერც შინ იქნებოდნენ, ვინაიდან გაგებულიც ჰქონდათ და საკუთარი გამოცდილებაც აფრთხილებდა, ცხოვრება რომ ასერიგად ატროკდება, ტყიდან ნადირმა იცის გამოსვლაო. ერთი სიტყვით, ისხდნენ თავიანთ ბაკნებში - ბუნებრივია, გადატანითი მნიშვნელობით - და ერთიანად თავდაცვის ინსტინქტად ქცეულები ათასი ყურითა და ათასი თვალით აკვირდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდნენ მოვლენათა განვითარებას. მაგრამ მოვლენათა განვითარებას დიდხანს არაფერი მოჰყოლია. ეს იყო მხოლოდ, ბაზარი კიდევ უფრო გაძვირდა.

იცადეს სანაკლიელებმა, იცადეს და, რაკი გაძვირების მეტი მნიშვნელოვანი სხვა არა მომხდარა რა, იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ხელისუფლებამ ამჯერად რაღაც ხანგრძლივი თამაში წამოიწყო, თამაშთა მთელი სერიალი, და თუ საერთოდ აპირებდა ეს სერიალიც, ჩვეულებისამებრ, დაჭერობანათი დაეგვირგვინებია, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით არ ჩქარობდა. სანაკლიელები ამ ვარაუდს, ცხადია, მაქსიმალური სიფრთხილით მოეკიდნენ, მაგრამ ადამიანი ყველგან ადამიანია და მისი ფსიქიკაც ყველგან მეტ-ნაკლებად სანაკლიურია. დღეს თუ არ დაგიჭირეს, ხვალ თუ არ დაგიჭირეს, ზეგ თუ არ დაგიჭირეს, ძალაუნებურად გიჩნდება რწმენა, რომ აღარასოდეს დაგიჭერენ.

მოკლედ, რა ნახეს, განსაკუთრებით საშიში არაფერი ხდებოდა, ან თუ ხდებოდა, შეუმჩნევლად ხდებოდა - ხოლო იმის გულისთვის, რაც შეუმჩნევლად ხდება, თავს რატომ აიტკივებდნენ - სანაკლიელები თამაშში ჩაებნენ. ერთი ხანობა კი მაინც ფრთხილობდნენ და დროდადრო უკან იხედებოდნენ, მაგრამ მერე და მერე, გემო რომ გაუგეს, გახალისდნენ, შიშიც საბოლოოდ ამოირეცხეს გულიდან და ლაღები და აზარტულები ისეთი სანაკლიური ენთუზიაზმით აენთნენ, როგორსაც სხვაგან ძნელად თუ შეხვდებით. საქმე ის გახლავთ, რომ სანაკლიელები პოლარული ბუნების ხალხია და გაუბედაობიდან პირდაპირ თავდავიწყებაზე გადადიან ხოლმე, ამიტომ მათ ცქერას - განსაკუთრებით ენთუზიაზმის ფაზაში - არაფერი სჯობს. მართლაც, მალე იქამდე შეტოპეს, ხელისუფლებას სულ ჩამოართვეს ინიციატივა. ხელისუფლებამაც თავის მხრივ იგი სიამოვნებით დათმო - მხოლოდ საჭე და კომპასი დაიტოვა - და ასე შეერთებული ძალით, ზემოდანაც და ქვემოდანაც, სანაკლიოში თავისუფლების დიდი ზეიმი დაიწყო.

ზეიმის მთავარი ლაიტმოტივი, როგორც ყოველთვის, ის იყო, რომ სანაკლიელები ერთმანეთს დაერივნენ. თავისუფლების პირველივე ნაჩვრეტებიდან წლობით ნაგროვები ბალღამი ამოანთხიეს და სულ ნარჩევი სიტყვებით, ხატოვანი გამოთქმებით, ძარღვიან-სურნელოვანი ქართულით თათხეს და ათრიეს ერთმანეთი, ქვა ქვაზე არ დატოვეს ერთმანეთის სახელიდან და ღირსებიდან. უნდა ითქვას, კარგადაც ამოვიდნენ ერთმანეთის ოხტში. ამის პირუთვნელი და დოკუმენტური მოწმე გახლავთ იმდროინდელი პრესა, რომელიც ერთი პირველთაგან გადაეშვა თავისუფლების მყრალ ჭაობში, რასაც შედეგად ის მოჰყვა, რომ იმხანად „სოიუზპეჩატის“ ჯიხურებს უაირწინაღოდ ახლო ვერ გაეკარებოდით, თუმცა მარტო „სოიუზპეჩატებს“? საერთოდ, ირგვლივ - ყველგან - ისეთი სუნი იდგა, შუა ზაფხულში რომ ერთდროულად მრავალი გვამი გაიხრწნას (გადაჭარბება არ გეგონოთ. მაშინ მართლა იმდენი - მათ შორის არაერთი ცნობილი და სახელოვანი - გვამი გაიხრწნა, შესაძლოა სიტყვა „მრავალი“ მათ დათვლას ვერც კი აუვიდეს).

დიდხანს გრძელდებოდა ეს ნეტარი ქრიამული თუ ცოტა ხანს, იმ დროს, როდესაც თავისუფლების მისტერიაში თავით ფეხამდე ჩამბალი ქალაქი თავდავიწყების მწვერვალზე როკავდა და ტლინკაობდა, ბოლოს და ბოლოს ბიძაჩემმა ირიბი ობიექტი იპოვა. ეს არ ყოფილა გრანდიოზული წყალსაცავი, რომელსაც შეეძლო ზღვა დაეტია, მაგრამ მეორე მხრივ ეს გრანდიოზულ წყალსაცავზე მეტი იყო. ეს იყო გრანდიოზული იდეა.

ბიძაჩემი თავისუფლების საერთო-სანაკლიურ თამაშში ჩაება.

ბიძაჩემი თავისუფლების საერთო-სანაკლიურ თამაშში თავისებურად ჩაება, რაც იმაში გამოიხატა, რომ მაისის ჩვიდმეტს სანაკლიოს დილის გაზეთში გამოაქვეყნა სტატია: „თავისუფლება. შემობრუნება 360 გრადუსით“, რომელშიაც უხვი საილუსტრაციო მასალის მოშველიებით დამაჯერებლად ამტკიცებდა, ხელისუფლების მიერ წამოწყებული დიდი ექსპერიმენტი პირქვედამხობილ ქალაქს მალე 360 გრადუსით ამოაბრუნებსო.

სტატიაში ბიძაჩემმა კეთილსინდისიერად აღწერა ყველაფერი ის, რაც თავისუფლების ინტერიერში ხდებოდა, ხოლო მზაკვრობა მისი, ვერაგობა მისი, გაიძვერობა მისი და დიადი ჩანაფიქრი მისი სათაურში იყო გაცხადებული. რედაქციის თანამშრომლები რომ გრადუსებში ვერ ერკვეოდნენ (ლაპარაკია, ცხადია, სპეციფიკურ გეომეტრიულ გრადუსებზე, თორემ ისე როგორ ვერ ერკვეოდნენ!), ეს დღესავით ნათელი იყო და ამ თვალსაზრისით სტატიის გამოქვეყნებას წინ არაფერი დაუდგებოდა.

მაგრამ რა უნდოდა ბიძაჩემს? რას მოელოდა ამ თავისი მზაკვრობისაგან?

(გაკვრით უნდა შევნიშნოთ, რომ მოგვიანებით, როცა სტატია გახმაურდა და ბიძაჩემს კიდევ ერთხელ გაუვარდა სახელი სანაკლიოში, ადგილობრივი მოსახლეობა მისი საქციელის

დასახასიათებლად იყენებდა არა ლიტერატურულ „მზაკვრობას“, არამედ დიალექტურ „ხიმანდრობასა“ და „მაკვარანცხობას“, კერძოდ, ნაკლისწყლის მარჯვენა მხარე უპირატესობას „მაკვარანცხობას“ ანიჭებდა, მარცხენა კი „ხიმანდრობას“, თუმცა გამონაკლისებიც იყო „მაღვალაკობის“ სახით).

ბიძაჩემს სკანდალი სჭირდებოდა, სრულიად სანაკლიური აურზაური, უმაღლესი დონის ადმინისტრაციული გრგვინვა, რათა კვლავ სამოქალაქო დუღილის ეპიცენტრში მოქცეულიყო, და ამ მიზნით წარმოსახვით რაშს (თეთრს) აბსურდული ბრძოლის ველისკენ მიაგელვებდა (ცხადია, ის არ იცოდა, რომ ამ ბრუნვა-ტრიალში ძალზე სახიფათო მანძილზე უახლოვდებოდა იმ გავარვარებულ წერტილს, საიდანაც გაწაფულ თვალს (გონების თვალს) პირველი ნასკვის დანახვა შეეძლო).

მაგრამ იმისათვის, რომ ტექსტი და მისი სათაური, ვითარცა ნივთიერება და ანტინივთიერება, მთელი ქალაქის დასანახად შეხბოდნენ ერთმანეთს, რათა აფეთქებას შეძლებისდაგვარად ფართო მასშტაბის სკანდალი მოჰყოლოდა, აუცილებელი იყო შემსრულებელი, ვინც სტატიის ღველფში შეხვეულ ცეცხლს მოიძიებდა და დღის სინათლეზე გამოიტანდა. კერძოდ, საჭირო იყო დაწყებითი განათლების მქონე კეთილი ნების ადამიანი, გეომეტრიის ანბანში გათვითცნობიერებული ვინმე მოხალისე, ვინმე ღვთისნიერი, ვინმე ქრისტიანი (ამ სიტყვის არა ვიწრო-რელიგიური, არამედ ზოგად-სარწმუნოებრივი გაგებით, თორემ ბიძაჩემი, ვისთვისაც უცხოა ყოველგვარი რელიგიური შეუწყნარებლობა, ცხადია ამ როლში არც მაჰმადიანს დაიწუნებდა).

გამოჩნდებოდა კია ასეთი კაცი?

ოპტიმიზმი ბიძაჩემის ერთგვარი alter ego-ა, მაგრამ ეს ფუტე alter ego ამჯერად სავსებით რეალურ ნიადაგში ჩავარდა. ბიძაჩემს ყველაფერი ისე ზუსტად ჰქონდა გათვლილი, მისი იმედი პირიპირზე დაემთხვა გარდუვალობას, გარდუვალობას კი წინ აბა რა დაუდგება! მართლაცდა, თუ ღმერთი ისე გაწყრებოდა, რომ სანაკლიოს დილის გაზეთის მრავალრიცხოვან მკითხველთა შორის პირველდაწყებითი გეომეტრიის მცოდნე არავინ გამოჩნდებოდა, ბიძაჩემი თავად მოჰკიდებდა ხელს ამ საქმეს და თავისი სტატიის გაშიშვლებულ მავთულებს თვითონვე მიადებდა ერთმანეთს. ხოლო სანაკლიოს რესტორნებში, სასადილოებში და დუქნებში საიდუმლოდ დარხეული ხმები იმის შესახებ, რომ იონა კამკამიძემ თავისუფლება მასხრად აიგდო, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ისეთ ყუმბარად შედედდებოდა, ღმერთმა ყველა უცოდველს (აგრეთვე ყველა ცოდვილს) გაშოროთ.

ერთი სიტყვით, ბიძაჩემმა ყველაფერი გაითვალისწინა. მარტო ის ვერ გაითვალისწინა, წრიული თავისუფლების ამ ცრუ ჰიმნს თუ ვინმე პრ. დიდებულიძე გამოეხმაურებოდა.

_ არადა, როგორც ქვემოთ ვნახავთ, სწორედ ასე მოხდა.

თუმცა მაშინ რაღა არ ხდებოდა! მაგალითად, იმ დროისათვის, როცა ბიძაჩემმა პრ. დიდებულიძის წერილი მიიღო, უკვე იმდენი მნიშვნელოვანი და ღირსსახსოვარი სისაძაგლე იყო მომხდარი, საგონებელში ჩავარდნილ დრო-ჟამს ვერც კი გადაეწყვიტა, რომელ მათგანზე აეღო აქცენტი, რომ თავისი იდუმალი და ავი საქმე უკეთ ეკეთებინა.

რაც შეეხება შემსრულებელს, შემსრულებელი მალე გამოჩნდა. არავინ იცის, სად, როდის და რა მიზნით შეისწავლა ბატონი კრეონტის თანაშემწემ გეომეტრიის საფუძვლები, მაგრამ ფაქტია, რომ პირველმა სწორედ მან იფეთქა.

ბიძაჩემის ჩანაფიქრი ჩინებულ ნიადაგში მოხვდა. ქალაქის ღირსებაშელახულმა მამებმა ვერ შეძლეს გულგრილი დუმილით აევლოთ გვერდი 360 გრადუსისათვის და თავი ისე დაეჭირათ, ვითომ არა გაუგიათ რა.

ისტორიული ქრონიკების ლაკონურობით თუ ვიტყვით, ბიძაჩემი გამოიძახეს და ტყავი გააძრეს. მაგრამ ქრონიკები დაე ისტორიკოსებმა იკმარონ, ჩვენთვის სურათზე უფრო მნიშვნელოვანი ჩარჩოა, ვინაიდან, როდესაც ტყავის გაძრობაზე ვლაპარაკობთ, საქმე სწორედ იმ ჰერმეტულ ტყავს ეხება, რომლის შიგნითაც ბიძაჩემს სული ეხუთებოდა. საბედნიეროდ გეგმამ იმედები გაამართლა და „ტყავის გაძრობა“ ფსიქოლოგიის ენაზე „წრედის გახსნად“ ითარგმნა. დიაღაც ტუქსავდნენ ბიძაჩემს ვრცელსა და ჭერმაღალ საკრეონტოში, უჯავრდებოდნენ, უყვიროდნენ, ლანძღავდნენ, ემუქრებოდნენ, თვალებს უბრიალებდნენ, თითს უქნევდნენ, მუშტებს უბრახუნებდნენ, მორალს უკითხავდნენ, შიგადაშიგ - არ ვიცი, მიამიტობით მოსდიოდათ, არ ვიცი, მღელვარებით - ნამუსზეც აგდებდნენ... ერთი სიტყვით, სანაქებო გულმოდგინებით ათავისუფლებდნენ შედედებული ენერგიისაგან, რომელიც კეცა-კეცად შემოხვეოდა და, რომ არა ეს მაშველი ძალა, მალე ალბათ გაგუდავდა კიდეც. მაშველი ძალა კი, რომელსაც თავი დამსჯელი ძალა ეგონა, ბობოქრობდა და ვერ კი ხედავდა, რომ ესოდენი წურწურით ბიძაჩემს ოფლი კი არა, დაგუბებული ენერგია გასდიოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა


პროცედურა დიალაც საამური იყო და ბიძაჩემი მალე ალბათ სრულ განცხრომას მიეცემოდა, მაგრამ უეცრად გაკვირვებითა და შეშფოთებით შენიშნა, რომ ეს გამობრძმედილი კაცები, ქალაქის ეს ღირსი მამები, ტყავს ისე ვერ აძრობდნენ, როგორც მათს გამოცდილებასა და პროფესიონალიზმს ეკადრებოდა.

არადა, ძალებს თითქოს არ იშურებდნენ.

საგონებელში ჩავარდნილმა ბიძაჩემმა მიზეზი თავიდან ესთეტიკის სფეროში ივარაუდა და სინანულით დაასკვნა, ამ ხალხს დღეს შთაგონება აკლიაო, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ ეს ცუღლუტი გონების ხალტურული დასკვნა იყო. სინამდვილეში მიზეზი მიზეზთათვის განკუთვნილ არც ერთ ხილულ მწკრივში არ ჩანდა. შეიქმნა პარადოქსული ვითარება: მიზეზი არსებობდა, ვინაიდან შედეგი არსებობდა. და მიზეზი არ არსებობდა, ვინაიდან მიზეზი არ არსებობდა, ასეთ შეუსაბამობასთან შერიგება არ შეიძლება. სამყაროულ წესრიგს მოფრთხილება უნდა. მაგალითად, მოსე წინასწარმეტყველს რომ თვალითაც დაენახა ის ღმერთი, რომელიც მაყვლის ბუჩქიდან ნახევრადინკოგნიტოდ და იდუმალ-დამაინტრიგებლად გამოეცნაურა, როგორც პირბადეაფარებული ქალი, რომელსაც სურვილის ღუღღუდა ნაკვერჩხლები კდემამოსილების ნაცარში აქვს შეხვეული, ისტორია ალბათ ებრაული ფანტაზიის დასაბამიერ მირაჟებს არ გამოეკიდებოდა და გზიდან არ გადაუხვევდა. შეგვიძლია ვუწოდოთ მოსეს ამ უეცარ ელდას ანომალია, ფსიქიური აშლილობა, გონების გადახრა... რა ვიცი, რაც კი გაგვახსენდება. მაგრამ, რაც უნდა ვუწოდოთ, ჩვენი მეცადინეობა ფუჭი გამოდგება, ვინაიდან ტერმინებს თავისთავად არავითარი ღირებულება არა აქვთ, ღირებულებას მათ ისეთი ფხვიერი და არასაიმედო - არსებითად, არანამდვილი - ძალა ანიჭებს, როგორიცაა პრაქტიკა და ინდუქცია. არავინ იცის, რა არის გადახრა და რა არის გადმოხრა, ვინაიდან შეფასება ყველაფერს post factum ეძლევა, ფაქტი კი ალალბედი არჩევანია თანაბარმნიშვნელოვან შესაძლებლობათა შორის. თუმცა ეს თემა ცოტა რთულია და მასზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ, მხოლოდ იმას შეგახსენებთ, რომ ეგვიპტიდან გამოსვლას ებრაელები უნდა უმადლოდნენ არა მოსეს, არა იეღოვას და არა, მით უმეტეს, „ისტორიულ კანონზომიერებას" (რაც, მკაცრად თუ ვიტყვით, თვალში ნაცრის შეყრაა და სერიოზულ მეცნიერებაში დიდი-დიდი სამუშაო ჰიპოთეზად გამოდგეს), არამედ იმ გარემოებას, რომ შეგრძნების ორგანოთა თანხმობა დაირღვა და მოსეს სმენამ და მხედველობამ ტვინს ურთიერთშეუსაბამო ჩვენება მისცა (აქედანვე გამომდინარეობს მთელი ის ალოგიკური სული, რომელიც მოსეს წიგნებში დანის პირზე დადის ქრონიკასა და შემოქმედებას შორის და ისე ცდილობს არსისა და მოვლენის შერწყმას, თითქოს არსი და მოვლენა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არსებობდნენ). საზოგადოდ, სამყარო და შეგრძნების ორგანოები გაცილებით უფრო მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, ვიდრე გვგონია და, როცა შეგრძნების ორგანოთა თანხმობა ირღვევა, სამყაროს დიდი და პატარა „ტიკები" უჩნდება და ისტორიის მდინარებაში შესაბამისად დიდი და პატარა ცვლილებები ხდება. ცვლილებებზე (განსაკუთრებით, დიდ ცვლილებებზე) ბიძაჩემს იმ დროს არ უფიქრია, მაგრამ შედეგის მიტოვებას კი ისეთი განუყრელი მეწყვილის გარეშე, როგორიცაა მიზეზი, ნურას უკაცრავად და, ვერ დაუშვებდა. მაშინ მთელი შინაგანი ძალები ერთ ფოკუსში შეკრიბა, დაიძაბა, თავს ძალა დაატანა და - ყველაფერი კარგად აგიხდეთ - ელდანაკრავმა და ღვთიური ნაპერწკლით განათებულმა შეძრწუნებით იპოვა საძიებელი მიზეზი. მიზეზი იგი ისეთი ნასკვი აღმოჩნდა, რაც მოქმედებით უკვე მოქმედებდა, მაგრამ არსებობით ჯერ კიდევ არ არსებობდა. ჯერ მხოლოდ იდეათა სამყაროს თეორიული გადაწყვეტილება იყო, რომელიც რეალურად მაშინღა დაიბადებოდა, როცა დრო-ჟამის ბილიკით განფენილობაში შემოვიდოდა (ჩვენ კი ცნობიერების ეს იდუმალი უნარი დაუბადებელ მიზეზთან ურთიერთობისა შეგვიძლია - ცხადია, თუკი ძალა და გამბედაობა გვეყოფა ისეთ სიღრმეებში ჩავეშვათ, სადაც მეტაფიზიკის ზღვარი გადის - სულის უკვდავების კიდევ ერთ არგუმენტად გამოვიყენოთ).

...და ბიძაჩემი, შინაგანად განათებული და გარეგნულად დაპანიკებული, საკრეონტოდან რომ გამოვიდა, ჯერ ნელა გაუყვა ქუჩას, მერე, რაღაც უცხო ბიძგის გამოისობით, ფეხს აუჩქარა, მერე, ბიძგები რომ სხეულში მეტისმეტად მომრავლდნენ, იძულებული შეიქნა სირბილზე გადასულიყო (მოკლე-მოკლე ნაბიჯებით სირბილი იცოდა, ცოტა სასაცილო), მერე, სახლს რომ მიაღწია და ფილთაქვის გულისმომფონებელი კაკუნი შემოესმა, მონუსხული გაჰყვა იმა გამაღლობელ და დამათბუნებელ ხმას და ბოლოს - უკვე სამზარეულოში - აღელვებით, მაგრამ ჩურჩულით, ისე რომ ცოლს გაეგონა, კედლებს კი ვერა, ღაღადჰყო:

– მარქსიზმმა კრახი განიცადა, ქალო, სისტემამ ვენები გადაიჭრა, რეჟიმი ნაკერებზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირღვევა, კომუნისტები იძირებიან, მეფე მიდასს ვირის ყურები გამობმია, ჩშშ!..

აი, ეს გახლდათ პირველი ნასკვი. მოდი და ნუ შეშინდები!

ბიცოლაჩემმა პასუხად განჯინის თავიდან დაბეჭდილი კონვერტი გადმოიღო და გაუწოდა.

- წერილია შენს სახელზე.

„ბატონო კამკამიძე!

მინდა გაუწყოთ, რომ ა/წ 17.V. გაზეთ „დილის სანაკლიოში" გამოქვეყნებულ თქვენს საყურადღებო სტატიაში „თავისუფლება. შემობრუნება 360 გრადუსით" დაშვებულია სერიოზული შეუსაბამობა. კერძოდ, თუ ცნება „360 გრადუსი" აბსოლუტური მნიშვნელობით უნდა გავიგოთ, მაშინ რას უშვრებით დროის, სივრცისა და მოძრაობის თანმდევ ზემოქმედებას? ხოლო თუ მხედველობაში გაქვთ სპირალი, რომელსაც ბუნების კანონები უფლებას აძლევს პერმანენტულად მიისწრაფოდეს წრისაკენ, მაგრამ იმის უფლებას კი არ აძლევს, რომ წრედ იქცეს, მაშინ რატომ არ მიუთითებთ, რომ ლაპარაკია არა სუფთა 360 გრადუსზე, არამედ ისეთ 360 გრადუსზე, რომელიც კორექტირებულია პირობითობის შესაბამისი კოეფიციენტით? საერთოდ, ვის შეუძლია თქვას, რას უდრის 360 გრადუსი გრძნობად სამყაროში?

პატივისცემით - პრ. დიდებულიძე"

ბიძაჩემს ტანში ჟრუანტელმა დაუარა; მერე მხრები აიჩეჩა და წერილი მაგიდაზე მიაგდო. ცოტა ხნის შემდეგ ისევ მიუბრუნდა, აიღო, დახედა და რა ნახა, გამომგზავნის მისამართი არ ეწერა, იგივე მხრები ამჯერად ზედიზედ ორჯერ აიჩეჩა. და პირველი ნასკვი მოულოდნელად გაუფართოვდა.

თუმცა ჩვენ ახლა ამისთვის არ გვცალია, ჯერ მეორე ნასკვს უნდა მივხედოთ.

ზოგი რამ იმითაა კარგი, რომ მარადიულია. ზოგი რამ იმითაა კარგი, რომ წარმავალია, ცხოვრება იმითაა კარგი, რომ წარმავალია, და თუ მარადიული ურია ჯერ კიდევ ცოცხალია, დარწმუნებული ვარ პირველი ის დამემოწმება.

*არაფერი* ისეთი სუბსტანციაა, რომლის მეშვეობითაც ძალიან ადვილია სამოქალაქო აჟიოტაჟის გამოწვევა, მაგრამ *არაფრის* შემოქმედმა თუ ისიც არ გაითვალისწინა, რომ *არაფრის* არსებობა დროსა და სივრცეში მკაცრად ლიმიტირებულია, და თავისი მოქმედება ამ ნიშანს არ შეუწონა, ყველა ისარი უკან მოუბრუნდება და ძმისთვის გათხრილ ორმოში შესაძლოა ძმაზე ადრე მოადინოს ზღართანი.

თუ ოჯახის უფროსს სურს მის მიერ შემოღებული წეს-ჩვეულებანი უცვლელად და შეურყვნელად გადაეცეს შთამომავლობას, მემკვიდრედ ის შვილი უნდა დანიშნოს, რომელიც ამ წეს-ჩვეულებებს ყველაზე მეტი გააფთრებით ებრძვის (თუ ამ დებულებამ ვინმე დააეჭვა, დაეჭვებულს ვურჩევ იგი დაპირისპირებულთა დიალექტური ერთიანობის ზოგად კონტექსტში განიხილოს).

მართალია - როგორც ბანალური ჭეშმარიტება გვასწავლის - გრძნობად სამყაროში ყველაფერი შეფარდებითია - მაგალითად, ათი გრადუსი ტემპერატურა ეკვატორზე სიცივეა, პოლუსზე სიცხე; ანდა მეორე მაგალითი: კრეონტ წილოსანი პრ. დიდებულიძესთან შედარებით ძალიან უჭკუოა, ბაჭულიასთან შედარებით ძალიან ჭკვიანი, - მაგრამ, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ყველაზე უფრო შეფარდებითი თავად შეფარდებითობაა; სანაკლიოში მაგალითად უდავო მიღწევად ითვლება, მზე თუ წელიწადში ორას ორმოცდაათჯერ მაინც აღმოსავლეთიდან ამოვა და დასავლეთით ჩავა.

სიტყვაკაზმულ მწერლობას (ნუ დავკარგავთ ამ გამოთქმას) სხვა მრავალ ღირსებათა შორის ის ღირსებაც აქვს, რომ შეუძლია სიმრავლეთა უსასრულობა ერთ მეტაფორაში მოაქციოს, რათა სამყაროს თემატურ-სისტემატური ინვენტარიზაცია მოახდინოს და ქაოსი დანომროს.

...ოდესღაც სანაკლიო - ყოველ შემთხვევაში თავად სანაკლიელებს ასე სწამთ - აიეტის ყანა იყო; საერთო-სახალხო საკუთრება მოგვიანებით გახდა. აიეტის ყანა კი - ვინ არ იცის - ჯადოსნურია, ხადაც განსაკუთრებით კარგად დრაკონის კბილები ხარობს. და აი, გარემოებათა უცნაური (ეგებ საეჭვოც) დამთხვევით კრეონტ წილოსანი და სხვა ნომენკლატურული მუშაკები, რომელთაც თავისუფლების ბუტაფორიის თესვა ჰქონდათ დავალებული, შეცდომით - სად იშოვეს, არ ვიცი და - სწორედ დრაკონის კბილებს თესავდნენ. ისინი ბევრი იყვნენ - მთესველებად გამწესებული მუშაკები - მაგრამ მთავარი რაოდენობა როდია. მთავარია გაიხსენეთ სახარების სათანადო ადგილი - რა ნიადაგში მოხვდება თესლი. მართალია, სახარებაში კონკრეტულად დრაკონის კბილებზე არ არის ლაპარაკი, მაგრამ, თუკი დრაკონის კბილები შესაფერის ნიადაგში მოხვედრისას ისევე ამოდის, როგორც ნებისმიერი სხვა თესლი, ვფიქრობ, უნდა იგულისხმებოდეს.

ბუნებრივი სასუქით მდიდარ სანაკლიურ

ეროვნული ბიბლიოთეკა


ნიადაგში, მაგალითად, ისეთი ძალაყინები აღმოცენდნენ, კუნთები ასკდებოდათ, საბრვე-ლებივით ქშინავდნენ და მკერდი ძალუმი გა-შმაგებით აუდ-ჩაუდიოდათ. და რა გასაკვირია (ბევრს არც გაკვირვებია) რომ დამწიფებას არ დალოდებიან, როგორც კი მკლავში ძალა იგრძნეს, გულში ცეცხლი და თავში ქარი, ომახიანი ყიჟინით ამოცვივდნენ ნიადაგიდან და საომრად მოემზადნენ. ოღონდ აქ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ, როგორც მრავალი უცხოელი დამკვირვებელი იუწყება, ეს რკინის მეომრები, ეს მამაცი ჯარისკაცები უსინათლონი არიან, რის გამოც მტრისა და მოყვრის გარჩევა არ ძალუძთ. ამიტომ ომი მათთვის ოდენ პროცესია, პროცესი თვინიერ მიზნისა, ხოლო რაკი უმიზნოდ ომის დაწყება ისეთი აბსურდია, არმატურაც კი მხრებს აიჩეჩავს, დრაკონი-შვილები მიზანსაც და ნიშანსაც გარედან ელიან ხოლმე. ტრადიციულად ასეთი ნიშანი ქვა იყო. მეომრები დაძაბული აყურადებდნენ სამყაროს ხმაურს და თუ ვინმე ქვას ისროდა, წამსვე იქით გაეშურებოდნენ, საიდანაც ქვის დაცემის ხმა შემოესმოდათ, რათა უქმი, მაგრამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაეჩაღები-ნათ. თავის დროზე ერთი ასეთი ქვასროლია გმირი საბერძნეთიდან მოგვევლინა და მას შემდეგ, რაც ჩვენებურ ქალბატონთან ვერაგო-ბის შესავალი კურსი გაიარა, ქვა პირდაპირ შუაგულ ლაშქარში ჩააგდო. მიამიტმა დრაკო-ნიშვილებმაც კეთილსინდისიერად გაჟლიტეს ერთმანეთი.

ეს ძველად მოხდა, დიდი ხნის წინ. და აი, დიდი ხნის შემდეგ ისევ დაჰკრა ჟამმა. მზისა და ჯარის ნაშიერთაც არ დააყოვნეს, წამსვე სტარტზე დადგნენ და რაკი ჰაერში უკვე ტრი-ალებდა ქვის ნაცნობი სუნი, ერთიანად ყურა-დღებად იქცნენ.

ვიღაცამ რაღაცა ვერ მოზომა და *არაფერს*, რომელზედაც თავისუფლება ისე იყო გამობ-მული, როგორც ძროხა თეორიულ პალოზე, ყავლი გაუვიდა. პალო დრომ შთანთქა და ძრო-ხამ აიშვა. იდეა იდეოლოგიის კონტროლს დაუსხლტა და თავისუფლება ეპიდემიად იქცა.

თუმცა – მეტაფორა მეტაფორად და – შიგა-დაშიგ თუ რეალურ ღრმულებსა და შვერილ-ებსაც არ მივხედეთ, შეიძლება მეტი მოგვივი-დეს. მეტაფორა მხატვრულ ნაწარმოებში იგი-ვეა, რაც პილოტი თვითმფრინავში; უპილოტოდ თვითმფრინავის ფრენა ძნელია, მაგრამ კიდევ უფრო ძნელია უთვითმფრინავოდ პილოტის ფრენა.

როდესაც *არაფერი* მზეზე გადნა, როგორც ყინულის პალო, და თავისუფლების ძროხა თავისუფლების უპატრონო ძროხად იქცა, მთე-ლი ქვეყანა მას დაედევნა. ყველა იმას ცდილო-ბდა ძროხა თავის ქოთანში მოეწველა. ამას ანარქია ეწოდება.

ანარქია ისეთი მთელია, რომელიც ნაწილ-ებისგან შედგება. ნაწილი, ცალკე აღებული, შემთხვევაა, ან, დიდი-დიდი, მოვლენა. ნაწილ-ების ერთობლიობა ანარქიაა (ამასთან დაკავ-შირებით იხ. მარქსიზმის კლასიკოსთა დებულ-ებები რაოდენობრიობის თვისობრიობაში გადასვლის შესახებ).

როდესაც ტოტიდან ჩამოვარდნილი ხოჭო გულაღმა დაეცემა, პაწაწინა ფეხებს დიდხანს და გულისმომკვლელად აფართხალებს ჰაერში და ბოლოს, საყრდენს რომ ვერ იპოვის, ასე გულაღმა ასრულებს ტანჯულ სიცოცხლეს.

ხოლო ბუნება რომ სიცარიელეს ვერ იტანს, ეს ჯერ კიდევ ცივილიზაციის გარიჟრაჟზე იყო ცნობილი. ბუნება დაუღალავად დაფუსფუსებს და საცა სიცარიელეს დაინახავს, ამოუქოლავს არ ტოვებს.

მაგალითად, იმ ადგილას, სადაც თავისუფ-ლება გულაღმა დაეცა და ველარ გადმობრუნდა, ბუნებამ საკუთარ თავს შხაპუნა წვიმა მოუვ-ლინა, რათა გახურებული სიცარიელე დაენამა და აბურდული გორგლიდან სიცოცხლის ახალი წვერი გამოეჩინა.

არ ვიცი, ვინ მოაფრქვია და, ვინც მოაფრქ-ვია, ამისთანა რა მოაფრქვია თავისუფლობანას თამაშით გართულ სანაკლიელებს, მაგრამ ფაქტია, რომ უეცრად საუკეთესო შვილებმა იხუვლეს და, როგორც სოკო ნაწვიმარზე, სანაკლიოში პოლიტიკური ორგანიზაციები წამოიშალა. ელვის უსწრაფესად შეიქმნანაირ-ნაირი პარტიები, კავშირები, ჯგუფები, გაერ-თიანებები, ასოციაციები, კლუბები, ორდენები, საზოგადოებები, ლიგები, ფორუმები, მთავარი კომიტეტები, ნაკლებად მთავარი კომიტეტები, ისე კომიტეტები... ცალკე უნდა აღინიშნოს ქალთა ორგანიზაციები, რომელთა რიცხვი სანაკლიოში კიდევ უფრო დიდი იყო, ვიდრე სხვა კუთხეებში, ვინაიდან გარდა ფილიალ-ებისა, რაც აქ ყველა საერთორესპუბლიკურ ორგანიზაციას ჰქონდა, მრავალი დამოუკ-იდებელი ამქარიც დაარსდა, ისეთები, მაგალი-თად, როგორიცაა სანაკლიელ ბანოვანთა კავშირი, სრულიად თავისუფალ მანდილო-სანთა ასოციაცია, ვეტერან დიაცთა კლუბი, მამალი ქალების გაერთიანება, პოლიტიკური კავშირი „ამორძალი“, უბიწო ასულთა საქველ-მოქმედო საზოგადოება, ასოციაცია „ქუქუნა“,

ეროვნული ბიბლიოთეკა



შავგვრემან ქალთა კავშირი, კლუბი „ქართვლის დედა“, ყოფილ ქალწულთა ინტელექტუალური ცენტრი, მოიერიშე დედათა ორდენი, გაერთიანება „რა ხელჰყრის პატივს ნაზი ბულბული“, ჭრელი ლეჩაქის ლიგა, ღვთიშობლის სახელობის კლუბი „დედავ, ისმინე ქართლის ვედრება“, ღმერთთან მოუბარ ქალთა სექტა და სხვა (ახლა ყველასთვის ნათელია - და თავის დროზეც არაერთი პოლიტოლოგი, სოციოლოგი, ფსიქოლოგი და ფსიქიატრი მიუთითებდა - რომ ქალთა ორგანიზაციების ესოდენი სიმრავლე მანამ უნდა გამხდარიყო სპეციალისტთა საგანგებო კვლევის საგანი, სანამ ამ ორგანიზაციათა ბაზაზე „წვეროსან მანდილოსანთა ლაშქარი“ აღმოცენდებოდა, სახელგანთქმული და მრისხანე სექტა, რომელმაც, როგორც საყოველთაოდ ცნობილია... თუმცა ეს უკვე სულ ახალი ისტორიაა და ჩვენი ამჟამინდელი ინტერესების სფეროში არ შემოდის).

რაკი თავისუფლების ძროხა ჯერაც უპატრონოდ დაკუნტურშობდა, სანაკლიოში ყოველი ორგანიზაცია ყველა დანარჩენ ორგანიზაციას კრიჭაში ედგა. მართალია, ყველა თვლიდა, რომ საჭირო იყო გაერთიანება, რადგან ყველას წაკითხული ჰქონდა წკეპლების კონის იგავი, მაგრამ ერთია თეორიული ცოდნა და სულ სხვაა თეორიული ცოდნის პრაქტიკული განხორციელება. ერთადერთი საერთო ნიშანი, რომელიც ზედაპირზე იდო და ამიტომ აშკარად ჩანდა, გახლდათ მმართველი კასტის სიძულვილი. სამწუხაროდ მაშინ ამ ნიშნით გაერთიანება ვერ მოხერხდა, ვინაიდან ფეთიანმა და პანიკიორმა მორალისტებმა, რომელთა რიცხვი ჩვეულებრივ მით უფრო დიდია, რაც უფრო გადაგვარებულია საზოგადოება, სავარაუდო გამაერთიანებელ ნიშანს მყისვე ზნეობრივი სარცხვინელი გაუშიშვლეს და ისეთ დროს დაიწყეს ჭიჭყინი - სიძულვილის ირგვლივ შემოკრებილი ძალა, შენ ხარ ჩემი ბატონი, არ შეიძლება თავისი ულრმესი დანიშნულებით ბოროტების სამსახურში არ იდგესო - რომ ორჭოფთა, დაეჭვებულთა, გულსუსტთა და გაუბედავთა ჯერ კიდევ რიცხვმრავალ გუნდში ბევრი დაფრთხა. გაერთიანება რომ დასცლოდათ, ალბათ მომძლავრდებოდნენ და მორალისტების ყრანტალიც მაგდენს ვეღარაფერს დააკლებდათ, ახლა კი ეს უშვერი მაქსიმა რეალურ დაბრკოლებათ ექცათ.

მაშინ სხვა ნიშნით სცადეს გაერთიანება (თავისუფლების ძროხა კვლავაც ღობე-ყორეს ედებოდა). ეს ნიშანი გახლდათ პატრიოტიზმი და მისი უპირატესობა წინა ნიშანთან შედარებით სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ იგი, როგორც მაშინ ვარაუდობდნენ, წმინდა სიყვარულის შვილია.

ნაპერწკალი თივაში ჩავარდა.

პატრიოტულმა ჟრჟოლამ ქალაქს თავით ფეხამდე დაუარა. სანაკლიელები აღელდნენ, სანაკლიელები აფორიაქდნენ, საამო მღელვარებისაგან გულები ბუდეებიდან ამოუცვივდათ და დიადი იდეით ატაცებულები დაუფიქრებლად ჩაიძირნენ პატრიოტიზმის თბილ აბაზანაში. ქალაქს ტოტალური პატრიოტიზმი დაეფინა; სამშობლოს სიყვარულით აღტკინებულმა მოქალაქეებმა უყოყმანოდ შეაქციეს ზურგი თავისუფლებას, როგორც რომეომ - გაიხსენეთ - ჯულიეტა რა დაინახა, უყოყმანოდ შეაქცია ზურგი საბრალო როზალინას. ახლა ცხადი შეიქნა, რომ თავისუფლება სანაკლიელთათვის (ისევე, როგორც როზალინა რომეოსათვის) მხოლოდ შემზადება იყო, ერთგვარი გარდამავალი ეტაპი, რომელსაც ნიაღვრის ძალა უნდა შეერბილებინა, რათა მომავალი პატრიოტიზმის ტალღა ისეთ მოუზომავ ბედნიერებად არ დატყდომოდათ თავს, რომ უბედურება მოეტანა.

მაგრამ პარტიებმა საერთო ენა მაინც ვერ გამონახეს. ამის მაგივრად პატრიოტიზმის წახნაგები დაითითოვეს და დათითოებული წახნაგების წვეტიანი ქიმები ნიშნისმოგებით მიუშვირეს ერთმანეთს, მერე კი, რაღაი ამასობაში სახალხო შეიარაღების ახალი ეტაპიც შეესწროთ, კრიჭაში დგომა აღარ იკმარეს და პირდაპირ ბრძოლის ველს მიაშურეს.

იარაღის ჟღარუნმა მალე მოსახლეობაც აატროკა. ატროკებულმა მოქალაქეებმა ფსიქიკის ინდიკატორზე ისარი ლმობიერებიდან მსწრაფლ ულმობლობაზე გადაიყვანეს, გულჩვილობიდან გულქვაობაზე, შემწყნარებლობიდან დაუნდობლობაზე, თვინიერებიდან აგრესიულობაზე და, რაკი რომანტიზმის ისარი ადრევე ჰქონდათ გადაყვანილი პრაგმატიზმზე, გატაცებით ეკვეთნენ ერთმანეთს.

სწორედ ეს კვეთება, სწორედ ეს დუღილი, სწორედ ეს უცნაური და უჩვეულო ამოძრავება, სწორედ ეს ეროვნულ-პატრიოტული აპილპილება გახლდათ მეორე ნასკვი და იგი, თუ სანაკლიელის ბუნებრივ მიდრეკილებებს გავიხსენებთ, არანაკლებ საკვირველი და მოულოდნელი იყო, ვიდრე პირველი ნასკვი.

თავიდან ძალიან ჭირდა ერთი პარტიის მეორესგან განსხვავება. და თუმც მთლად იოლი არც მერე გამხდარა, მაინც მრავალრიცხოვან შეტაკებათა შედეგად ასე თუ ისე ჩამოყალიბდნენ, შედარებით დამოუკიდებელი სახე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ები მიიღეს და იერარქიის ხეზე საბოლოოდ განლაგდნენ. ნაწილი ზედა ტოტებზე აღმოჩნდა, ნაწილი ქვედაზე, ნაწილიც შუაში. შუათანები - მით უმეტეს, ნაბოლარები - მაშინაც არავის აინტერესებდა, მოწინავეები კი, ვფიქრობ, უნდა მოვიხსენიოთ, რათა ისტორიის ქარმა და წვიმამ მათი კვალი არ წაშალოს. მოწინავეთა შორის გახლდნენ მკაფიოდ გამოხატული ნაციონალისტური პარტია „სანაკლიელ ქართლოსიანთა კავშირი", რომელსაც კარლო წუწუნავა მეთაურობდა (წუწუნავას - თუ გახსოვთ, მან ჯერ კიდევ „ბიძაჩემ იონაში" გამოიჩინა თავი - არც ამჯერად უმტყუნა ალღომ: როგორც კი ქვეყანა აირია, რამდენიმე თანამოაზრესთან ერთად მყისვე გამოსცა გაზეთი „ჯილაგი" დევიზით „წვეთი სისხლის არ არის ჩემში არაქართული", რომლის გარშემო წმინდა სისხლის სანაკლიელები წვეთ-წვეთად მოაგროვა და საბოლოოდ ისეთი ორგანიზაცია შექმნა, რომ ხელისუფლების სისხლისგამშრობთა სიაში ერთ-ერთ პირველ ნომრად შევიდა), შემდეგ - „ლიბერალ-დემოკრატთა რადიკალური ფრთა", რომელსაც შტაბი სასაფლაოზე ჰქონდა, ვინაიდან სათავეში ხერხეულიძე ედგა, შემდეგ - სახელგანთქმული „შავგვრემან ქალთა კავშირი", რომელსაც „მამალი ქალების ასოციაცია" შეუერთდა და მომავალ „წვეროსან მანდილოსანთა" საბაზო გაერთიანება გახდა, შემდეგ - ყოფილ კომკავშირელთა ეროვნულ-პატრიოტული ძმობა „კომკა", რომელმაც დიდხანს დამოუკიდებლად იარსება, მერე კი „სანაკლიელ ქართლოსიანთა კავშირს" შეუერთდა „ახალგაზრდა ქართლოსიანელთა" სახელით. მაგრამ ყველაზე მრავალრიცხოვანი და ყველაზე გავლენიანი პარტია იყო „დემოკრატიული შტურმი". ამ პარტიის ლიდერი გახლდათ - უნდა გაგაკვირვოთ (თუმცა რა ვიცი, იქნებ ვერც გაგაკვირვოთ, დღეს ვინმეს გაკვირვება ძალიან ძნელია) - კრეონტ წილოსანის ყოფილი თანაშემწე და საიდუმლო მრჩეველი - ვოლფგანგ (დავით) კუტუბიძე.

აქ იწყება მესამე საკვირველი ნასკვის გამოსკვნა.

არსებობს მიამიტური გაიძვერობა და გაიძვერული გაიძვერობა. ბიძაჩემი მიამიტ გაიძვერათა მცირერიცხოვან და საცოდავ გუნდს ეკუთვნოდა, ვოლფგანგი კი (დავითი) გაიძვერა გაიძვერათა მრავალრიცხოვან ბანდას.

და აი, იმ დროს, როდესაც სანაკლიელთა პატრიოტულმა აზვირთებამ ქაოსის პიკს მიაღწია, რაც გინდათ ის იფიქრეთ და, ბიძაჩემის თეორიულმა დებულებებმა მოულოდნელად პრაქტიკული გამოყენება ჰპოვა, რაც მანამდე არასოდეს მომხდარა და ალბათ არც არასოდეს მოხდებოდა, სამყაროს რომ მხოლოდ ევოლუციის მშვიდი და ნატიფი კანონები მართავდეს: ჩანს, ვოლფგანგ (დავით) კუტუბიძის კომისიამ, რომელიც მკითხველს, ვინ იცის, დაგავიწყდა კიდეც, ვითარებათა რაღაც ისეთი განსაკუთრებული ნიშნები დაინახა, რომ ერთ მშვენიერ დღეს სანაკლიოს დილის გაზეთში გამოქვეყნდა პატარა, მაგრამ მწვავე სტატია, რომელშიც ფრიად გაბედულად სააშკარაოზე იყო გამოტანილი კრეონტ წილოსანის ერთი შეცდომა, რომელიც საკადრო პოლიტიკას ეხებოდა. კერძოდ, ქალაქის მამას ბრალად ედებოდა, რომ მან ბევრი მთავარი მრჩევლის (სიტყვა „საიდუმლო" არ იყო ნახსენები) პასუხსაგებ თანამდებობაზე დანიშნა საეჭვო წარსულის მქონე პიროვნება. აქამდე ყველაფერი წესსა და რიგზე მიდიოდა. როგორც დათქმული ჰქონდათ, რამდენიმე დღის შემდეგ იმავე დილის გაზეთში უნდა გამოქვეყნებულიყო ბატონი კრეონტის ვრცელი ინტერვიუ, რომელშიც იგი, გაკვრითა და სასხვათაშორისოდ, მაღალი თავმდაბლობით აღიარებდა საკადრო პოლიტიკის „გარკვეულად" მცდარ ხასიათს, შემწყნარებლურ მადლიერებასაც გამოხატავდა წერილის ავტორის „პრინციპულობისა" და „პირდაპირობის" გამო, მერე მრჩევლის წარსულს დაიცავდა, გაშავებულს მკითხველის თვალში ისევ გაათეთრებდა და, საბოლოოდ, ასე იაფად და იოლად მოიპოვებდა იმ საჩვენებელ თავისუფლებას, რომელზედაც თავის დროზე ამდენი ილაპარაკა ბიძაჩემმა.

მაგრამ აქ მოხდა გაუთვალისწინებელი და სკანდალური ამბავი. ვიდრე ბატონი კრეონტის ინტერვიუ მომზადდებოდა, საღამოს გაზეთში გამოქვეყნდა თავად კუტუბიძის საპასუხო წერილი, რომელშიც ამა კუტუბიძემ საკუთარი პირით დაადასტურა მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდება. კერძოდ, წერილში შავით თეთრზე ძალზე მკაფიოდ აღნიშნული იყო, რომ თუკი საეჭვოა წარსული კაცისა, რომელმაც თავისი ცხოვრების ყოველი დღე და ყოველი საათი თავისუფლებისათვის ბრძოლას, დემოკრატიისათვის ბრძოლას, სატანასთან წილნაყარი რეჟიმის დამხობისათვის ბრძოლას, ხალხის პატრიოტული გამოღვიძებისათვის ბრძოლას და ა. შ. (კიდევ რამდენიმე სახეობის ბრძოლა იყო დასახელებული) შეალია, თუ საეჭვოა წარსული კაცისა, რომელიც მოქალაქეობრივი თავგანწირვის სრული შეგნებით გაეხვია ოფიციალური სტრუქტურის აქოთებულ ქსელში, რათა ციხე შიგნიდან მოერღვია, თუ საეჭვოა წარსული კაცისა, რომლის ერთადერთი საფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



იცარი ერი და სამშობლოა, მაშინ იგი, ეგრეთ-წოდებული „მრჩეველი“ (სიტყვა „საიდუმლო“ მანაც გამოტოვა), დიალაც საეჭვო წარსულის კაცია. ამის შემდეგ თანაშემწემ მიატოვა პირკ-ატანაცემი ხელისუფლება, მიატოვა სამსახური, მიატოვა პარტია, გამოიცვალა იდეები და შექმნა პოლიტიკური გაერთიანება „დემოკ-რატიული შტურმი“, რომელიც მხოლოდ მშვი-დობიანი ბრძოლის ფორმებს აღიარებდა და სულ მალე ყველაზე მრავალრიცხოვანი და ყვე-ლაზე უკეთ შეიარაღებული ოპოზიციური ძალა გახდა. მართალია, სხვა გაერთიანებათა მეთა-ურები ყოველნაირად ცდილობდნენ მისთვის (ისევე როგორც ერთმანეთისთვის) სახელი გაეტეხათ და ამ მიზნით მას (ისევე როგორც ერთმანეთს) უხვად ამკობდნენ ისეთი ეპითეტ-ებით, როგორიცაა „გაყიდული“, „აგენტი“, „სულძაღლი“, „ქვემძრომი“, „შანტაჟისტი“, „ჩა-თლახი“, და სხვა, მაგრამ ყოფილი საიდუმლო მრჩევლის სასახელოდ უნდა ითქვას, ვალში არასოდეს არავის დარჩენია.

პატრიოტიზმის ცეცხლზე შემოდგმულ ქვაბში კი, სადაც ნაკურთხი წყალი თავდაუზოგავად დუღდა, ყველაფერი ჩაიხარშა, აიზილა და აილუფხა. ფენები და ქანები ერთმანეთში აირია. წინანი უკან აღმოჩნდნენ და უკანანი წინ, მარჯვენანი მარცხნივ და მარცხენანი მარჯვნივ, ზემოთანი ქვემოთ და ქვემოთანი ზემოთ, აქეთურნი იქით და იქითურნი აქეთ. რაღაც ფსკერზე მიიწვა და რაღაც ფსკერიდან აიფხიკა. ლექი აიშალა და ყოველივე გაქლინთა. ქაფმა ნალებობა მოინდომა და ნალები აქაფდა. არეული მონასტერი კიდევ უფრო აირია და თეთრისა და შავის გარჩევა შეუძლებელი შეიქნა, ვინაიდან შავი თეთრობას იჩემებდა და თეთრი, იმის შიშით, რომ შავად ჩათვ-ლიდნენ, ველარ ბედავდა თქმას, თეთრი ვარო.

აბსურდი ანარქიის სამკერდე ნიშანია.

არ ვიცი, მართლა მხოლოდ შემოდგომაზე ითვლიან წიწილებს თუ წელიწადის სხვა დროსაც, მაგრამ ჩვენ ჩვენი ნასკვები სჯობს ახლავე ჩამოვთვალოთ. მართალია, მათი რიც-ხვი ჯერ მხოლოდ სამია, მეოთხე ჯერ არ გამოსკვნილა, მაგრამ ეს სამიც საკმარისია იმისთვის, რომ ადამიანს თავზარი დაგეცეს.

თავად განსაჯეთ:

ნასკვი I - ვინ იფიქრებდა, რომ სისტემა, რომელსაც თითქოს საიმისო არაფერი ეტყობ-ოდა, მოულოდნელად ჭიანი კბილივით მოირყეოდა!

ნასკვი II - ვინ იფიქრებდა, რომ სანაკლი-ოში, სადაც არასოდეს არაფერი მოძრაობდა, უცებ ასეთი პოლიტიკური და პატრიოტული ქარბორბალა დატრიალდებოდა!

ნასკვი III - ვინ იფიქრებდა, რომ ბიძაჩემის მახვილგონივრულ თეორიას ვინმე -უახლესი ხუთი საუკუნის განმავლობაში მაინც - პრაქტი-კული მიზნებისთვის გამოიყენებდა!

ერთი სიტყვით, სანაკლიოში უკიდურესად რთული და ჩახლართული იყო პოლიტიკური, სოციალური, ეროვნული, ფსიქოლოგიური, ფსიქიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური, სულიერი, ზნეობრივი, ინტელექტუალური, კრიმინალური, იდეოლოგიური, ფილოსოფიური, პედაგოგიური, რელიგიური, ბიოლოგიური და სექსუალური ვითარება, როცა ბიძაჩემმა რკინის ქალამნები ჩაიცვა, ხელში რკინის ჯოხი დაიჭირა, ფოსტაში წავიდა და მკითხველის-ათვის უკვე ცნობილი ისტორიული დეპეშა გამომიგზავნა.

მაგრამ ასეთი იყო ზოგადი ვითარება, ხოლო კონკრეტული მიზეზი, რამაც ამ ზომამდე მიიყვანა, მეოთხე ნასკვი გახლდათ.

მართლაც, ვინც გაითვალისწინებს ბიძაჩემ-ის საზოგადოებრივ შეგნებას, კერძო შეგნებას, მათ შორის მიმართებას, ზნეობრივ საზომთა სისტემას და სხვა მნიშვნელოვან მსოფლმხედვ-ელობრივ სისხლძარღვებს, ვერ დაიჯერებს, რომ ზემოთ აღწერილი ვითარების გამო იგი ფოსტაში წავიდოდა, რომელიც მისი სახლიდან კარგა მოშორებითაა, და ასეთ - უფრო სამ-ხედრო მინისტრისთვის, ვიდრე რომელიმე მშვიდობიანი და სავსებით სამოქალაქო ბიძისთვის შესაფერის - დეპეშას აფრენდა. არა, ანარქიას არ ძალუძს ბიძაჩემის ფილოსოფი-ური კრედოს შერყევა. მეტიც: ამ მოხარშულ ქაოსში იგი ისე ლაღად და მსუბუქად გრძნობდა თავს, როგორც სიცარიელე ატომებს შორის (ან პირიქით). ბიძაჩემის შეშფოთების მიზეზი შეიქნა ქალაქ სანაკლიოს მოულოდნელი კონსოლიდაცია, რომლის ცენტრში, ვითარცა კისერი ყულფის რგოლში, აღმოჩნდა პრ. დიდებულიძე.

გახსოვთ ალბათ - როდესაც პრ. დიდებული-ძის წერილი მიიღო, ბიძაჩემმა (მას შემდეგ, რაც ტანში ჟრუანტელმა დაუარა) ჯერ ერთხ-ელ, მერე კი, რა ნახა, ავტორი თავის მისა-მართს არ იტყობინებოდა, ზედიზედ ორჯერ აიჩეჩა მხრები.

მოსალოდნელი იყო, რომ ეს ეპიზოდი ამით დამთავრდებოდა და გაგრძელება აღარ მოჰ-ყვებოდა. სამწუხაროდ, ის, რაც მოსალოდ-ნელია, ყოველთვის არ ხორციელდება. ბიძაჩ-ემს თავადაც ეგონა, რომ პრ. დიდებულიძის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილი დავიწყებას მისცა, მაგრამ ეს ვარაუდი მცდარი გამოდგა. ცოტა ხნის შემდეგ რაღაცამ ააწრიალა და, რა იგრძნო პრ. დიდებულიძის წერილმა ააწრიალა, კიდევ ერთხელ წაიკითხა. მერე შეგნებულად სცადა დავიწყება და, ცხადია, ვერ დაივიწყა. წერილი რაღაც გაუგებარ ინტერესს აღუძრავდა და ჟრუანტელს იწვევდა. მაშინ მძიმე საგონებელში ჩავარდნილმა სცადა, უცნაურად მოძალებული ინტერესი მხრების ჩეჩვით დაეკმაყოფილებინა, მაგრამ ეს მცდელობა იმას ჰგავდა, კაცი ყოველ ღამე თავზესაბანწაფარებული ფიქრობდე ბანკის გაძარცვაზე, ნაცვლად იმისა, რომ წახვიდე და გაძარცვო. რაკი ამას მიხვდა, კიდევ ერთი პატარა წერილი გამოაქვეყნა (ამჯერად საღამოს გაზეთში), რომლითაც ფორმალურად მართალია ადგილობრივ ხელისუფალთ მიმართავდა – რაკი თავისუფალი შევიქენით, განა დრო არ არის ქალაქსაც გამოვუცვალოთ სახელი, როგორც ბევრი იქცევა, და აწ უკვე შეუფერებელი „სანაკლიოს" ნაცვლად „უნაკლიო" ვუწოდოთო – მაგრამ სინამდვილეში წერილის ფარულ ადრესატად პრ. დიდებულიძე ჰყავდა დაგულებული.

პრ. დიდებულიძე აღარ გამოხმაურებია. და საერთოდაც, აღარავინ გამოხმაურებია, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ნიღბიან ტუტუცს, რომელთაც – არ ვიცი ამ მიზეზით, არ ვიცი სხვა მიზეზით – ეზოში საშუალო ზომის ყუმბარა შეუგდეს, რამაც ბიცოლაჩემი საბოლოოდ აიძულა შვილები – კაციას გარდა, კაცია ოქსფორდში იყო – სოფლად გაეხიზნა.

ბიძაჩემმა კი ფარ-ხმალი მაინც არ დაყარა და მას შემდეგ, რაც ცოტა კიდევ უქმად იჩეჩა მხრები, მესამედ სცადა ბედი. ეს ის დრო იყო, როდესაც თავისუფლება საბოლოოდ მოკვდა და მის საფლავზე მეწამული პატრიოტიზმი ამოვიდა. ბიძაჩემი პატრიოტიზმის ქიმიური შემადგენლობით დაინტერესდა და პრ. დიდებულიძის ყურადღების მისაქცევად მალე ხერხეულიძის გაზეთში გამოაქვეყნა ჩინებული სტატია „მშობლიური მიწა. განზომილებათა რიცხვი". სტატია გეომეტრიული იყო ამ სიტყვის ოდინდელი მნიშვნელობით, კერძოდ, ბიძაჩემი ამტკიცებდა, ჩვენი პატრიოტიზმი რეალურად მხოლოდ ორგანზომილებაში არსებობსო. იმიტომ, რომ დღესდღეობით მშობლიური მიწისა მხოლოდ სიგრძე-სიგანე თუ ვიცით მეტნაკლები ისტორიული სიზუსტით, სიღრმეზე კი არავითარი წარმოდგენა არა გვაქვსო. არადა, მიწა ხომ სამგანზომილებიანი სუბსტანციააო! ბოლოს და ბოლოს, როცა ერთმანეთს სამარეს ვუთხრით, განა მშობლიურ მიწაში არ ვუთხრითო?! მაშ, ისიც უნდა დავადგინოთ, რა მანძილზეა მიწის სიღრმისეული განზომილება მშობლიურიო. მაგრამ როგორ დავადგინოთო? რომელი ფორმულით გაიზომებაო? მანძილის კვადრატის უკუპროპორციულიაო? მანძილის კვადრატის პირდაპირპროპორციულიაო? არც ერთია, არც მეორე და სრულიად სხვა პროპორციები აქვსო? მაინცო? ჩვენი მშობლიური მიწა სიღრმეში სხვის მშობლიურ მიწას ებჯინება თუ მშობლიურ მიწასა და მშობლიურ მიწას შორის რაიმე ნეიტრალური, ბუფერული, არამშობლიური ზონა დევსო? აი კითხვებიო, – ასკვნიდა ბიძაჩემი, – რომლებსაც ცეცხლი უკიდია და დაუყოვნებლივ პასუხს მოითხოვს, თუ გვინდა ჩვენი პატრიოტიზმი ნამდვილი და სრულყოფილი იყოსო.

ამ მესამე სტატიაზე ბიძაჩემი დიდ იმედებს ამყარებდა, მაგრამ მოტყუვდა. ამჯერად არათუ პრ. დიდებულიძე არ გამოეხმაურა, ყუმბარაც კი არავინ შეუგდო ეზოში. მაშინ ძალიან მოიწყინა, ფრთები ჩამოყარა, მხრების ჩეჩვასაც უმატა და ძნელი სათქმელია სადამდე მიიყვანდა ეს ჩუმი მელანქოლია, უფალ ღმერთს რომ მისი დარდი გულთან არ მიეტანა და წყალობის თვალით არ გადმოეხედა.

და აი, მეოთხე საკვირველ კვანძს ვუახლოვდებით.

უფალმა ღმერთმა ეს საკვანძო ეპიზოდი ასე წარმართა: ერთ მშვენიერ დღეს ქალაქის ცენტრალურ მოედანზე (სადაც ოდესღაც ბიძაჩემმა მეასიათასე სანაკლიელის – ხოლო უფრო გვიან მეორასეათასისაც – იუბილე გამართა) ერთდროულად სამ პოლიტიკურ ძალას გაამართვინა მიტინგი: „დემშტურმს", „ქართლოსიანთა კავშირსა" და ოფიციალურ ხელისუფლებას (ამ უკანასკნელი ძალის მონაწილეობით ჩანს უფალმა ღმერთმა ადამიანებს რაღაც ანიშნა, მაგრამ ადამიანებმა ღმერთის ნიშანი ვერ გაიგეს. მიტინგი წესზე და რიგზე მიედინებოდა – სამივე მხარე საკუთარ თავს აქებდა და დანარჩენებს ლანძღავდა – და თითქოს საგანგაშო აღარაფერი იყო მოსალოდნელი, როცა ერთმა ცნობილმა ორატორმა, რომელიც ძირითადად ოფიციალური ხელისუფლების მისამართით იგინებოდა, სიტყვა ასე დაასრულა: „მაგენების ინტერნაციონალურ სიმართლეს ჩვენ ჩვენი ნაციონალური სიმართლე უნდა დავუპირისპიროთ". თითქოსდა ისეთი საბედისწეროც რა არის ამ ფრაზაში? ალბათ არაფერი, უბრალოდ, მეოთხე კვანძი მზადდებოდა.

მართლაც, აქ სიტყვა მოითხოვა პრ. დიდებულიძემ.

„კრაზის" ძარაზე რომ მიფორთხავდა, სადაც

ტრიბუნა იყო გამართული, ჯერ არავინ იცოდა, წამის შემდეგ თუ მათ წინაშე პრ. დიდებულიძე წარსდგებოდა. და თუნდა სცოდნოდათ... მართლაც, დაბალსა და ჩაკურატებულ წამყვანს რომ მიკროფონი გამოგლიჯა და დამსწრე საზოგადოებას ეს პატარა ინფორმაციული ვაკუუმი შეუვსო, თამამად შეიძლება ითქვას, მზეს ამით არც მომატებია ბრწყინვალება და არც მოკლებია. ყოველ შემთხვევაში უცნობმა სახელმა და უცნობმა გვარმა სრულიად შეუმჩნევლად გადაიარა მომიტინგეთა თავებს ზემოთ და ალბათ სულ მთლად შეუმჩნევლად გაქრებოდა, მოედანზე რომ სხვა ყურთა შორის ბიძაჩემის ზომიერი სიდიდის ყურებიც არ ყოფილიყო.

ბიძაჩემი მიტინგზე მოსეირის სტატუსით იმყოფებოდა, მაგრამ პრ. დიდებულიძე რომ მსმენელებს წარუდგა, ცალი მხარი შეუთრთოლდა და შეეცადა, მუჯლუგუნებითა და სხვა ძალისმიერი ხერხებით ტრიბუნისკენ გაეკაფა გზა, რასაც მხოლოდ ნაწილობრივ მიაღწია. ხოლო პრ. დიდებულიძემ, წინა ორატორის მიერ მომკილი ტაში რომ ჩაცხრა, სიტყვასიტყვით თქვა შემდეგი: „მე ვარ სიმართლე, - იტყვის სიმართლე; მე ვარ სიდიდე აბსოლუტური და განუყოფელი. მე ვარ მადანი წმინდა და შეურეველი. ჩემს დეფინიციას ნუ შეეცდებით, ჩემი დეფინიცია შეუძლებელია. მე ფარდობითობის კანონს არ ვექვემდებარები. მე დრო არა ვარ, რომ წამებით გავიზომო. მე განფენილობა არა ვარ, რომ მიკრონებით გავიზომო. მე ტემპერატურა არა ვარ, რომ გრადუსებით გავიზომო. მე მზის მოდგმისა არა ვარ, რომ ლაქა დამედოს და ლაქიანი სიმართლე ვიყო; ლაქა თუ დამედო, ლაქა ვიქნები და არა სიმართლე. არც ღვინის მოდგმისა ვარ, რომ წყალი შემერიოს და წყლიანი სიმართლე ვიყო; წყალი თუ შემერია, წყალი ვიქნები და არა სიმართლე. არც ჰაერის მოდგმისა ვარ, რომ დავბინძურდე და დაბინძურებული სიმართლე ვიყო; თუ დავბინძურდი, სიბინძურე ვიქნები და არა სიმართლე. არც მდინარის მოდგმისა ვარ, რომ დავგუბდე და დაგუბებული სიმართლე ვიყო; თუ დავგუბდი, გუბე ვიქნები და არა სიმართლე. არც ადამიანის მოდგმისა ვარ, რომ დამიმორჩილონ და მორჩილი სიმართლე ვიყო; თუ დამიმორჩილეს, მორჩილება ვიქნები და არა სიმართლე. მე ვარ სიმართლე - იდეა წმინდა და მადანი შეურეველი. მე არც ასეთი ვარ და არც ისეთი ვარ. საცა ვარ, საცა არა ვარ, არა ვარ. რამეთუ ერთი ვარ, აბსოლუტური და განუყოფელი. გარნა თუ მაინც შევედრები რამეს - მხოლოდ ღმერთს, არა კეთილ ღმერთს, არა მარადარს ღმერთს, არა ყველგანარს ღმერთს, არა ყოვლადმოწყალე ღმერთს, არა ყოვლადძლიერ ღმერთს, არამედ ღმერთს. ღმერთი მამაა ჩემი, მე კი მამიჩემის ღვთაებრივი ემანაცია ვარ. მე ვარ რელიგია. მე ვარ ნება ჭეშმარიტებისა. მე ვარ აბსოლუტის დესპანი გრძნობად სამყაროში. მე არ შემიძლია კლასობრივი ვიყო“.

აი, ეს გახლავთ მეოთხე და უკანასკნელი საკვირველი ნასკვი, რისი მეშვეობითაც ბორბალმა ღირსებაც ჩაითრია, და რომ არა ეს მეოთხე, შესაძლოა წინა სამს სანაკლიო გადარჩენოდა კიდეც.

მოედანზე შეკრებილი საზოგადოება - განურჩევლად იმისა, ვინ რომელ მიტინგზე მოვიდა და ვინ რომელ იდეას ემხრობოდა - პრ. დიდებულიძის სიტყვას ღრმა დუმილით შეხვდა. მართალია, ორმა თუ სამმა კაცმა კი დაუსტვინა ნაძალადევი სიმხნევით, მაგრამ ისინი ნასვამები იყვნენ და იმის გამო განაწყენდნენ, რომ, როგორც ნასვამ კაცებს მოსდით ხოლმე, იფიქრეს, ჩვენ ვერ გავიგეთ, თორემ სხვებმა კი გაიგესო, რაც, ცხადია, მცდარი ვარაუდი იყო.

ბიძაჩემი, როგორც იქნა, გამოერკვა და, როცა პრ. დიდებულიძე „კრაზიდან“ ჩამოფოფხდა, ხელახლა აამუშავა მუჯლუგუნები.

ხოლო სანაკლიოს შვილებმა, რომლებიც ისეთი სულელური მიზეზით ებუტებოდნენ ერთმანეთს, როგორიცაა პოლიტიკა, იმ დღეს ერთმანეთი კვლავ იპოვეს, და თუ ეს გამოთქმა - გამოთქმა „ერთმანეთი იპოვეს“ - ცოტა ნაადრევია, მერწმუნეთ, მხოლოდ ნაადრევია, სხვა ნაკლი არა აქვს. ქალაქი დიაღაც გაერთიანდა.

იმ ღამეს რესტორანში „კიდევაც დაიზრდებიან“ საიდუმლო სერობა გაიმართა, რომელსაც გარდა იმ საბედისწერო მიტინგში მონაწილე სამივე მხარისა, ესწრებოდა ხერხეულიძე, „შავგვრემანების“ სამი ტურფა ლიდერი და აგრეთვე საშუალო სიდიდის პარტიათა რამდენიმე წარმომადგენელი. პრ. დიდებულიძემ შეუძლებელი შეძლო და თუ ისტორიამ პატიოსნად და დაუზარელად მოჩხრიკა მოვლენათა ფარული ფესვები, ეჭვი არაა, იტყვის, რომ იმ კრიტიკულ ჟამს თავისი მთავარი როლის პარალელურად მან სანაკლიოს დიდი გამაერთიანებლის როლიც შეასრულა. მართალია ასეთი განზრახვა არ ჰქონია, მაგრამ ისტორია შედეგს ზომავს და არა განზრახვას. ერთი სიტყვით, გუშინდელმა მტრებმა საზღვრები გახსნეს და დროებითი ზავი ჩამოაგდეს, ერთმანეთს ლიმიტირებული ძმობა უთხრეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა


დათითოებულ იდეებს ერთი საერთო სუდარა გადააფარეს და ყველამ ამ ერთიანი სუდარის ქვეშ მოიყარა თავი. ქალაქი გამთლიანდა. ქალაქში ხოცვა-ჟლეტა შეწყდა. ქალაქი მუშტად შეიკრა. და ქალაქმა განრისხებული სხეულიდან, როგორც კონსოლიდაციის საერთო მნიშვნელი, თოფის ლულა გამოყო.

თქმა არ უნდა, ამგვარი კონსოლიდაცია წარმავალია და ერთჯერადი, მაგრამ ვინც მას ძაღლების კონსოლიდაციას შეადარებს,. რომელთაც გახურებული ჩხუბის დროს მგელი წაადგა თავს, მხოლოდ ბუნდოვნად დაინახავს სიმართლეს. სიმართლე რომ მკაფიოდ დავინახოთ, უფრო ღრმად უნდა ჩავიხედოთ მხატვრული შედარების სარკეში, ვინაიდან ქალაქის ეს საგანგებო კონსოლიდაცია, შეიძლება ითქვას, განზომილებათა მიჯნაზე მოხდა. მართლაც, თუ ხსენებულ სარკეში საკმარისად ღრმად ჩავიხედავთ, დავინახავთ არა მოჩხუბარ ძაღლებს, არამედ თეატრის სცენას, სადაც მეოთხე აქტში, როცა დრამატურგიულმა დაძაბულობამ ზენიტს მიაღწია და ყოველი პერსონაჟი თავისას მიერეკება, უეცრად დაბნეული ბელურა შემოფრინდა და წარმოდგენის მსვლელობაში ციური დისონანსი შემოიტანა, რის გამოც შემსრულებლები იძულებული შეიქნენ სპექტაკლი დროებით შეეწყვიტათ და შეერთებული ძალით ყველანი იმ აბეზარ ბელურას დასდევნებოდნენ.

მეორე დღეს, შებინდებისას, ოთხი კაცი, რომელთაგან ერთი ნომინალურად ქალი იყო, შინ ეწვივნენ პრ. დიდებულიძეს.

ბევრი ალბათ გამკიცხავს იმის გამო, რომ ამდენი დეფიციტური ქაღალდი შევალიე პოლიტიკურ და ცრუპოლიტიკურ ფენებს, რომელთაგან ზოგის ყვავილები უკვე ჩამოცვენაზე იყო და ზოგსაც საერთოდ არ ეწერა ყვავილის გამოტანა ( ერთი შეხედვით, მართლა რა ჩვენი საქმეა ასეთი ბანალური პრობლემები!), მაგრამ თავის დასაცავად და გასამართლებლად რამდენიმე ძლიერი არგუმენტი მაქვს, რომელთაგან მხოლოდ ორ უმთავრესს დავასახელებ. პირველი უმთავრესი ისაა, რომ „კვარცხლბეკი" მომსწრეთათვის, შემსწრეთათვის და დამსწრეთათვის არ დაწერილა; იმათთვის დაიწერა, ვინც შემდეგ მოვიდა და ამიტომ თავიანთი თვალით არ უნახავთ ის, რაც მე და მრავალმა თქვენგანმა ჩვენი თვალით ვნახეთ, ხოლო რაკი თავიანთი თვალით არ უნახავთ, ჩვენი თვალით ნანახს უნდა დასჯერდნენ და ჩვენი ნაამბობის მიხედვით შეიქმნან წარმოდგენა. წარმოდგენის შექმნა კი ეპოქის ასეთი საკვანძო მონაკვეთის შესახებ აუცილებელია, ვინაიდან ეს მონაკვეთი ეტაპის დასასრული იყო, როცა ამანათრბენის მონაწილეთა ერთმა ჯგუფმა შუალედურ ფინიშს მიაღწია და ჭრელი ჯოხი - ჯერ კიდევ გაუშიფრავი სიმბოლო - მომდევნო ჯგუფს გადასცა, რომელიც უკვე თავქუდმოგლეჯილი მირბის ახალი შუალედური ფინიშისაკენ. ასეთი მომენტები უეჭველად უნდა აღინუსხოს და მომავალ თაობებს გადაეცეს, რათა მომავალმა თაობებმა, როცა თავად შეიქნებიან საკვანძო მომენტის თვითმხილველნი, ახლის ძველთან შედარება შეძლონ. რაღა თქმა უნდა, ჩემს მიერ აღწერილი ეპიზოდი სუბიექტური ისტორიაა (მაგალითად, ბოროტების ფერი აქ ბევრად უფრო ბაცია, ვიდრე სინამდვილეში იყო), მაგრამ არსებობს კია სუბიექტური ისტორია? აქვს კია, საერთოდ, აზრი ამ გამოთქმას? რა არის, კაცმა რომ იკითხოს, ისტორია? ვინც ჩაუღრმავდა, ალბათ მიხვდა კიდეც, რომ ისტორია არის არა ფაქტი, არა ხდომილება, არა რეალობა, არამედ სუბიექტურ ინტერპრეტაციათა სპექტრი (თავის მხრივ, სწორედ სუბიექტური ინტერპრეტაცია გახლავთ ის უპირველესი დინამიური უნარი - ამას ისე ვამბობ, სასხვათაშორისოდ - რისი წყალობითაც ადამიანი ფაბერია და არა კომპიუტერი). დიახ, ისტორია სუბიექტურ ინტერპრეტაციათა სპექტრია და რაც უფრო ფართოა ეს სპექტრი, რაც უფრო მეტი განსხვავებული ინტერპრეტაცია ჩაიდება ისტორიის კარტოთეკაში, მით უფრო მტკიცე იქნება დროთა კავშირი, ისტორიაც მით უფრო მიუახლოვდება საკუთარ თავს და შთამომავლობასაც საშუალება მიეცემა - ამასაც ხომ, ბოლოს და ბოლოს, მნიშვნელობა აქვს - ისეთი ძეგლი დაგვიდგას, როგორსაც ვიმსახურებთ. მეორე უმთავრესი (შესაძლოა პირველ უმთავრესზე უმთავრესიც) არგუმენტი ისაა, რომ ქანდაკებას გარემო სჭირდება. ზოგ ქანდაკებას მთა უხდება ფონად, ზოგს ხეობა, ზოგს მოედანი, ზოგს ბაღი, ზოგს ტყე და ა. შ. პრ. დიდებულიძის ქანდაკებისთვის, რაკი ეს ქანდაკება ნამდვილია, დოკუმენტური და შეულამაზებელი, ვამჯობინე გარემოც ნამდვილი, დოკუმენტური და შეულამაზებელი დამეტოვებინა.

აი, რა მაღალი მიზანი ამოძრავებდა მიზეზს, როცა ბანალურ ამბებს ისეთი გულისგამაწვრილებელი პედანტიზმით უკირკიტა, მკითხველის მოთმინება ლამის ყუაზე დამაყვანინა.

ხოლო ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ

ეროვნული ბიბლიოთეკა



ალმოჩნდნენ ბიძაჩემი და პრ. დიდებულიძე მთელი ქალაქის პირისპირ, როგორ ჩაერთო ბრძოლაში ბიცოლაჩემი იაია და საერთოდ როგორ წარიმართა ეს უთანასწორო ბრძოლა, გარემოსა და "კვარცხლბეკს" აღარ განეკუთვნება და ამიტომ ერთ-ერთ მომდევნო თავში იქნება მოთხრობილი. აქ დამატებით მხოლოდ იმას დავძენ, რომ სახელი „იონა" - ამას ადვილად მიხვდება ყველა, ვისაც შეუძლია ზედაპირს მოწყდეს და მცირე ხნით საკუთარი სულიერი წონასწორობის ცენტრში განმარტოვდეს - აგებულებითაც, ჟღერადობითაც და იდუმალი შინაარსითაც ჭექა-ქუხილს ჩამოჰგავს.

## თავი მეოთხე

## პირველი წიგნის დასასრული

*გვირაბი, ანუ დასკვნა, რომლითაც ეს პირველი წიგნი ღვთის წყალობითა და ავტორის ბეჯითი შრომის მეოხებით როგორც იქნა გასრულდა.*

ვიდრე კვლავ სიუჟეტის გუთანში შევებმები და თხრობას განვაგრძობ, მინდა ვისარგებლო პაუზით და ყველას (განსაკუთრებით ზოგიერთს) ვურჩიო: ამ წიგნში სიმბოლოებს ტყუილად ნუ დაუწყებთ ძებნას, სიმბოლო მდინარის გაღმა მხარეა, მე კი მამულები გამოღმა მხარეს მაქვს და შიგ ისეთი კოშკი მიდგას, საძირკვლიდან სახურავამდე სადა და გამჭვირვალე აზრის აგურითაა ნაგები. გულახდილად რომ ვთქვა, ჩემი უმთავრესი მხატვრული მიზანი სწორედ ის არის, იდუმალების ხელოვნური ნისლი გონების მახვილით გავარღვიო და ყოფიერების ფიზიკურ, გეომეტრიულ, ბიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ ციხე-სიმაგრეებს სიმბოლოების ფოსფორული ნიღბები ავხადო. ასეთი ამოცანიდან გამომდინარე, იმის აღწერას, რასაც მე თვითონ არ შევსწრებივარ ან აბსოლუტურად სარწმუნო წყაროებიდან არა მაქვს გაგებული, შეძლებისდაგვარად ვერიდები. და თუ ჩემი ასეთი სიფრთხილის მიუხედავად ვინმემ მაინც დაინახა აქ რაიმე სიმბოლო, ეს მოჩვენებითი სიმბოლო იქნება, რომელიც მისსავ ფანტაზიაშია აღმოცენებული. სხვის ფანტაზიაზე კი მე პასუხს ვერ ვაგებ.

არადა, იმ ერთი ბრძენკაცისა არ იყოს, ვინ იცის, ჭეშმარიტებას იქნებ მართლა ინტუიცია უდგას კვალში და არა გონება, და მის მოსანადირებლად უკეთესი იარაღი შეგრძნებაა და არა განსჯა? მართლაცდა, თუ დავაკვირდებით, ყოველ ადამიანს აქვს ბუნებრივი და თანდაყოლილი (აგრეთვე გაუზიარავი და შეუვალი) გრძნობა, რომ შესაძლებლობა მრავალია, ხდომილება კი ერთი. და ამ ბუნებრივ გრძნობას განსჯა ვერაფერს დააკლებს, თუნდაც ათასი საპირისპირო საბუთი მოიპოვოს. განსჯის მონაცემები ადამიანმა შეიძლება მიიღოს, გაითვალისწინოს, აღიაროს კიდეც, მაგრამ დაჯერებით მხოლოდ შეგრძნების ნაკარნახევს დაიჯერებს, დაჯერებაზე მტკიცე არგუმენტი კი არსებობის იმ მონაკვეთში, რომელშიც გრძნობიერი, ეგრეთწოდებული „ამქვეყნიური" სიცოცხლე მიედინება, ჩვენ არ გაგვაჩნია, გვინდა თუ არა და „სწორია" თუ არა, ყველაზე მეტად ჩვენ ჩვენს შეგრძნებებს ვენდობით და - თუ დაკვირვებიხართ, - მით უფრო ვენდობით, რაც უფრო რთული და მძიმე გამოცდის წინაშე აღმოვჩნდებით. სხვათა შორის, სწორედ აქ იჩენს თავს მთელი სიღრმე-სიგანით ადამიანის ღვთაებრივი ინდივიდუალობა, დამოუკიდებლობა, ერთადერთობა და განუმეორებლობა და სწორედ აქ არის ის არქეჭალა, სადაც რაციონალიზმის ისეთი ვულკანებიც კი, როგორიცაა ვთქვათ, ლოგიკაზე ამხედრებული დიდი არისტოტელე, ირაციონალიზმის საძმო კრატერში სხედან.

ამას იმიტომ მოგახსენებთ რომ მინდა დაგარწმუნოთ: იმ გაორებას, რომელზედაც ქვემოთ მექნება ლაპარაკი, ტრადიციულად გაგებულ დუალიზმთან საერთო არა აქვს რა.

როდესაც გვირაბს გავცდით, და უცხო ფათერაკი უკან მოვიტოვეთ, გულში ჯერ კიდევ მიფეთქავდა შემაშფოთებელი გრძნობა, თითქოს ჩემი წარსული - ის, რაც დღეს ჩემს წარსულად მიმაჩნია - აქამდე არ არსებობდა. აქამდე არსებობდა სხვა წარსული, რომელიც გვირაბში მოულოდნელად შეიცვალა. უფრო სწორად იგი შეუმჩნევლად იცვლებოდა მთელი ამ უკანასკნელი დღის, გრძელი, გამოუძინებელი და ცოტა არ იყოს კალაპოტიდან მართლა საეჭვოდ ამოვარდნილი დღის განმავლობაში. გვირაბში ეს ცვლილება საბოლოოდ დასრულდა და სიბნელეს რომ გავცდით, უკან უკვე სხვა წარსული მქონდა გამობმული. ადამიანი კი, მოგეხსენებათ, ყოველ ცალკეულ მომენტში საკუთარი წარსულის ნაყოფია. ხოლო რაკი ეს დებულება საკმარისად ობიექტურია, ჩემი ამ მეტამორფოზიდან - თუკი ეს მეტამორფოზა მართლა სარწმუნოა - ბუნებრივად გამოდიოდა საშიში დასკვნა, რომელსაც შეეძლო ყველა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა დასკვნა, რაც კი ადამიანს ისტორიის გრძელ გზაზე უგროვებია, ერთი დაკვრით აეფეთქებინა, მეტიც - თავად არსებობაც კი, ანუ ის, რასაც ტრადიციულად არსებობას ვეძახით, ეჭვის ქვეშ დაეყენებინა.

ეს გამაოგნებელი შეგრძნება ბუნდოვანი იყო, მაგრამ მძაფრი, როგორც სიზმარი, რომლიდანაც შთაბეჭდილება აგყვა, აზრი კი არა. მეორე მხრივ, როგორც ტიპიური sapiens-ის დალაგებულ ჭკუასა და ზომიერ კონფორმიზმს შეეფერება, ურყევად მჯეროდა, რომ ჩემი წარსული ახლაც ის იყო, რაც გვირაბში შესვლამდე და ამაში მხოლოდ შეშლილი ფსიქიკა თუ შეიტანდა ეჭვს. მე არ უარვყოფდი (არც ახლა უარვყოფ) შესაძლებლობათა საწყის ნაირგვარობას, მაგრამ იმ სავარაუდო წარსულთა შორის, რომლებიც, როგორც თესლი, გნებავთ, არჩევანი, მრავლად იქნა ჩაპნეული ნიადაგში, რეალურად მხოლოდ ერთი უნდა აღმოცენებულიყო და ერთი აღმოცენდა, აღმოცენდა სწორედ ეს და არა სხვა. ხოლო მას შემდეგ, რაც აღმოცენდა, აქტიც დასრულდა და შეცვლა უკვე აღარაფრისა შეიძლებოდა. ასე რომ, ჩემი წარსული ყოველთვის ეს იყო და უკანასკნელი დღეც, რაოდენ მყიფე, ორჭოფული და უცხოც უნდა ყოფილიყო, მის ორგანულ ნაწილს შეადგენდა. იგი გათენდა (რასაც უწინარეს ყოვლისა ადასტურებს ის ფაქტი, რომ მე გამოუძინებელი დავრჩი). იგი გათენდა და მე, ვიდრე სალომეს „ზაპოროჟეცს“ წავაწყდებოდი, ორჯერ ვნახე პორთფელიანი დოცენტი (მოედანზე და ბენზინის რიგში), ხოლო მას შემდეგ, რაც სალომეს „ზაპოროჟეცს“ წავაწყდი, ჭაბუკი რომეო გავიცანი, რომელიც შავი იყო. სულ ბოლოს კი ყველამ, ვინც ასე თუ ისე ვარსებობთ, რიკოთზე მოვიყარეთ თავი. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა მრავალ შესაძლებლობათაგან განხორციელებულიყო არა მაინცდამაინც ეს, არამედ რომელიმე სხვა, მაგრამ მაშინ ის სხვა იქნებოდა. ერთადერთი, იმის დაშვება კი, ვითომც თავიდან ეს განხორციელდა და მერე გვირაბში შეიცვალა, ბუნების ურყევ კანონთა ფონზე მკრეხელობაა. როდესაც მრავალი შესაძლებლობიდან ერთი აღმოცენდება რეალურ განზომილებაში, დანარჩენები დანარჩენ განზომილებებში იმიერ სივრცულ, ზედროულ, მხატვრულ, მითოსურ, ზღაპრულ განზომილებებში იფანტებიან და იკარგებიან („სინამდვილე“ სხვა თემაა და სხვა საუბრის საგანი). ამგვარად, გვირაბის ზღურბლზე, ანუ იმ მოუხელთებელ წამს, როცა გვირაბს გაცდენილიც ვიყავი და არც ვიყავი გაცდენილი, ჯერ კიდევ მქონდა ბუნდოვანი შეგრძნება, რომ ჩემი წარსული რაღაც მანქანებით და რაღაც მიზნით შეიცვალა, და ამავე დროს მქონდა ურყევი რწმენა, რომ იმის შეცვლა, რაც უკვე განხორციელდა, შეუძლებელია. რომელი უფრო სანდოა - რწმენა, რომელიც დღესავით ნათელია, თუ შეგრძნება, რომელიც ღამესავით ბნელია? ერთი შეხედვით შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ, რაკი კითხვაში „ნათელი“, და „ბნელი“ მონაწილეობს, პასუხიც უკვე ნაგულისხმევია. მაგრამ ეს მცდარი დასკვნაა. საერთოდ, სტერეოტიპული აზროვნება ბრტყელი ქვის წყალზე ხერხიანად გასროლას ჰგავს, როდესაც ქვა სკუპ-სკუპით მიხტის წყლის ზედაპირზე და ისე მიაღწევს გაღმა ნაპირს, წესიერად არც კი დასველდება. სინამდვილეში ამ კითხვის პასუხი სიღრმეშია და გვარიან სიღრმეშიც, ხოლო ზოგჯერ იქაც არ არის და კაცმა არ იცის სად არის. მე მაგალითად დიდხანს ვეძიე და ვერ ვიპოვე. ერთი პირობა სალომეს ჩაბმაც დავაპირე ამ უნაყოფო ძიებაში, მაგრამ მალევე გადავიფიქრე. მართლაცდა, თუ ყველაფერი ეს ჩემი მირაჟი იყო და სალომეს წინაშე არავითარი მსგავსი პრობლემა არ იდგა, მაშინ ამ საგანზე სიტყვის ჩამოგდება იმას ემსგავსებოდა, ფხიზელსა და ჯანსაღ საზოგადოებაში შეშფოთებით მეკითხა, დღეს რომ მარტო ერთი მზე ამოვიდა, ნეტა მეორე რა იქნაო? ხომ სახიფათოა? მართალია მაშინ (ისევე, როგორც დღეს) ჩვენში სიგიჟით ვერავის გააკვირვებდი, მაგრამ სალომეს რომ ჩემს ისედაც თავმოუყრელ საქციელში იმ წუთას საეჭვო რამ გამონაყარი შეემჩნია, არამარტო გაკვირდებოდა, შეიძლება შეშინებულიყო კიდეც.

არადა, კაცმა რომ თქვას, ისეთიც რა მოხდა, ქვეყანა შევძრა?.. თითქოს არაფერი. ერთი თვალშეუდგამი წამის განმავლობაში, რომლის გაზომვა არ ხერხდება და ამიტომ „წამიც“ წმინდა პირობითი გამოთქმაა, უეცრად დავინახე - არაზუსტი სიტყვაა, მაგრამ უკეთესი არ არსებობს - რომ მანქანაც, გზაც, გვირაბიც, მე და სალომეც და საერთოდ ყველაფერი, რაც ჩანდა და არ ჩანდა, ორად გაიყო. ამის ზუსტად აღწერა შეუძლებელია. ამიტომ ასე ვიტყვი: რაც ერთი იყო, იქცა ორად და ორივე ისეთი იყო, რომ თითოეული ერთადერთი იყო. გასაგებია, რომ გაუგებარია, მაგრამ უფრო ნათლად არ გამოითქმის. შორეულ და ბუნდოვან შედარებად შეიძლება გამოდგეს გეომეტრიული ხაზი, რომელიც სიგრძივ გაიხლიჩა და ორ ისეთ აბსოლუტურ და მარადიულ ურთიერთპარალელურ ხაზად იქცა, როგორსაც ვერც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნება დაუშვებს და ვერც აზროვნება. აი ასეთ პარალელურ ყოფად გაიყო ერთი ყოფა. ხოლო საკვირველი აქ არის არა ფაქტი, არამედ ის, რომ ეს ფაქტი ჩემს შეგრძნებათა ბადეში მოყვა. ვიცი, ბევრი არ დამიჯერებს, მაგრამ მე ჩემსას მაინც ვიტყვი, ვინაიდან სრულ სიმართლეს ვამბობ. მოკლედ ერთი გაელვების განმავლობაში, რომლის ობიექტური ხანგრძლივობა უცნობია, მე ვიმყოფებოდი ორ სხვადასხვა ხაზში, რომელთა შორის არანაირი კონტრაქტი არ არსებობდა, გარდა იმისა, რომ მე ერთსა და იმავე დროს ორთავ ხაზსაც ვგრძნობდი და თითოეულის ერთადერთობასაც.

იმის შეგრძნება, რომ წარსული მოულოდნელად შემიცვალეს და რომელიღაც სხვა შესაძლებლობა შემომაპარეს, გაჩენისთანავე ჩაქრა, მაგრამ ცეცხლმოდებული კუდი ერთხანს კიდევ დარჩა და გონებაში თუ სხვა რაღაცაში, რაც მაშინ გონების სახელით მოქმედებდა, რამდენიმე ეჭვიანი შეკითხვა ერთდროულად აჩოჩქოლდა: იქნებ სხვა განზომილებაში მოვხვდი? იქნებ ორი ცნობიერება ერთმანეთს შეერია, როგორც ორი კადრი ერთსა და იმავე ფირზე? იქნებ ამ გვირაბს გარეთ არაფერი არსებობს და ყველაფერი, რაც არსებობს, ახლა შეიქმნა და აქ შეიქმნა? იქნებ არსაიდანაც არ წამოვსულვარ და არსად არ მივემგზავრები? იქნებ აქ გავჩნდი და ეს არის ერთადერთი სამყარო, ხოლო „გარეთ“, ან რელიგიაა ან ცრურწმენა?

იქნებ ოდესღაც, „ნამდვილ“ წარსულში ღუტუ ვიყავი, ხოლო ეს გარდასახვა გაცილებით ადრე დაიწყო, ვიდრე მგონია? იქნებ ვიღაცამ რომელიღაც ღილაკს ჯერ კიდევ გუშინ, გამთენიის ხანს დააჭირა თითი, რათა ჩემი სანაკლიური წარსული ეწერული წარსულით შეცვლილიყო, მაგრამ გაუთვალისწინებელი შეფერხების გამო სრული ჩანაცვლება ვერ მოხერხდა და ეწერი და სანაკლიო ერთმანეთში აირია? იქნებ მე რომ მგონია სანაკლიოში დავიბადე, ეს ამ გაუგებრობის ბრალია და სინამდვილეში ეწერში დავიბადე, ეწერში გავიზარდე, ეწერის მკვიდრი ვარ და სასაფლაოს ბოლოში ეკლესია გაქრა? იქნებ იმ, აწ უკვე დაკარგულ წარსულში სულაც არ ვყოფილვარ ბიძაჩემის დისწული, იქნებ დედაჩემი კამკამიძის ქალი არ არის და მამაჩემს არასოდეს ჰქონია ცრუ იდეოლოგიური გატაცებანი? იქნებ სანაკლიო საერთოდ არ არსებობს და თუ არსებობს, მხოლოდ მხატვრულ განზომილებაში არსებობს? იქნებ „ბიძაჩემი იონა“ მართლა იმის დაწერილია, ვისი ხელმოწერაც უზის, მე კი პერსონაჟი ვარ და ჩემი უგუნური მცდელობა, რეალურ სამყაროში განვხორციელდე, შემწყნარებლური თანაგრძნობის თბილსა და ამაზრზენ ღიმილს იწვევს? იქნებ ეს გვირაბი საიდუმლო ლაბორატორიაა, რომელსაც რომელიმე დაბალი რანგის ღვთაება განაგებს და რომელშიაც შესაძლებლობათა ექსპერიმენტული ჩანაცვლება ხდება? ან იქნებ ფაბრიკაა, სადაც ჩვენ „გვაწარმოებენ“ და მაქსიმალურად ბუნებრივი სახე რომ მოგვანიჭონ, თან შესაფერის წარსულსაც გვირთავენ?..

თავიდან თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, ყოველ შემთხვევაში, არავითარი ნიშანი არ ჩანდა იმისა, რომ ფსიქოლოგიური (ან რეალური) ზამბარა ასეთი სისწრაფით, ასეთი ძალითა და ასეთი ეფექტით გაიშლებოდა: გვირაბი - ადრეც ვთქვი - ისეთი დამხვდა, როგორიც მახსოვდა. ერთი განსხვავება ის იყო, რომ მიწისძვრის გამო გზა დაბზარულიყო, და, გარდა ამისა, ჩვენ რომ შევედით, შუქი ჩაქრა.

- შუქი ჩაქრა, - თქვა სალომემ.

- აჰა, - დავუდასტურე მე, - მაგრამ არაფერია. რაკი გზა გაიხსნა, გვირაბს ჩვენ თვითონ გავანათებთ, - აქ წამით დავეჭვდი, მერე დავუმატე, - დინამოს მეშვეობით.

- დიახ, - ნეიტრალურად დამეთანხმა სალომე და უცებ მკითხა: იმ წერილზე რა პასუხი მიიღეთ?

- რომელ წერილზე?

ჩემი მანქანის შუქი გვირაბის ძირს უხვად და კონტრასტულად ეფინა, კედლებს რბილად და დაბინდულად, ხოლო ჭერს საერთოდ ვერ წვდებოდა და იქ სიბნელე შავ მაჯლაჯუნასავით იწვა.

- ლექსად რომ დაწერეთ და გრძელი გამოგივიდათ.

მე წამით დავფიქრდი.

- ის წერილი, სხვათა შორის, სანიმუშო ჩახრუხაულით იყო გაწყობილი და მსოფლიო პოეზიის იმ იღბლიან ძეგლთა სიაში მოხვდა, რომელთაც გადაფასების ხიფათი არასოდეს დაემუქრება, ვინაიდან სამუდამოდ დაკარგული არიან... პასუხი მივიღე მიამიტური, ცინიკური და ბუნებრივი. რაც მთავარია, ბუნებრივი. სწორედ ბუნებრიობით დამიდასტურა იმ წერილმა ყოფის ტრაგიკული უაზრობა. ამაოება ამაოებათა და ყოველივე ამაო. რაში გაგახსენდათ ის წერილი?

- რა ვიცი... - აქ გაჩუმდა და ერთხანს ჩუმად იყო. მერე წელანდელივით მოულოდნელად მკითხა, - თქვენ უფრო ზარმაცი ხართ თუ ბიძათქვენი?

- რა შედარებაა! - მივუგე მე, - სად ის და

ეროვნული ბიბლიოთეკა



სად მე! ის სიზარმაცის ეტალონია, წმინდა იდეა, სრულყოფილი დაო. მე კი საცოდავი ეპიგონი ვარ, ჩრდილი, ემანაცია...

სწორედ ამ დროს დაიწყო საეჭვო ნიშნების გამოჩენა.

პირველი საეჭვო ნიშანი ის იყო, რომ დროის შეგრძნება დავკარგე. ცხადია, არა ისე კატასტროფულად, როგორც იმ თვითმკვლელმა ინტელექტუალმა - მან ზღვრის შეგრძნებაც დაკარგა და საკუთარ თავს გასცდა, რაც მე არ მიქნია - მაგრამ ხანი რომ გამოხდა, გულზე თანდათან რაღაც უცხო, არაამქვეყნიური კაეშანი შემომაწვა, ძარღვებში ციემა შეშფოთებამ დამიარა და გონებაში შავად გაიკლაკნა ფიქრი: ეს გვირაბი მგონი არასოდეს დასრულდეს.

ადამიანის ცნობიერება მყიფეა და სათუთი, და ფუნქციონირების უაღრესად მცირე ამპლიტუდა აქვს. არსებითად იგი საცალფეხო ბილიკია ორ უფსკრულს შორის. ცხადია, ეს მარტო ცნობიერებაზე არ ითქმის. არსებობის ამპლიტუდა საერთოდ ქრუანტელისმომგვრელად ვიწროა. მაგალითად, სიცოცხლის ტემპერატურული დიამეტრი ექვსი-შვიდი გრადუსია, ჯანმრთელობისა სულაც ერთი. არავინ იცის, ეს ღვთაებრივი სიძუნწეა თუ ბუნების ცინიკური კორექტივი, მაგრამ ცნობიერება ამ დუხჭირ ფონზეც კი გამოირჩევა თავისი უილაჯობით, რასაც კიდევ უფრო უსვამს ხაზს ის გარემოება, რომ საკუთარი თავის საზომი თვითონვეა და გადამოწმების არანაირი საშუალება არა აქვს.

მალე ისიც შევნიშნე, რომ მარტო ვიყავით. არც წინ და არც უკან, სადამდეც კი თვალი და ყური წვდებოდა, ჩვენი მანქანის მეტი მანქანა არ ჭაჭანებდა. ეს კიდევ უკვე მეორე საეჭვო ნიშანი იყო და მე აქ უეცრად გამახსენდა ვიღაცის ნათქვამი - ამ გვირაბს მარტო შესასვლელი აქვს, გასასვლელი კი არაო. შიში ვერ ვიტყვი, მაგრამ ჩამოხუთულ ჰაერში რაღაც ავი წინათგრძნობა კი დაიბადა. დაიბადა და თუმც რეალური ხიფათის რაიმე კონკრეტულ სახეობად ჯერ არ ჩამოყალიბებულიყო, მტკიცედ ჩამიდგა კვალში. მიწისქვეშეთზე, სიბნელეზე, სივიწროვეზე, სინესტეზე და აგრეთვე წინამავალ გაუგებარ თავგადასავალზე გადამჯდარი, იგი ჩუმი ქადილით მომდევდა და თანდათან კეცავდა მანძილს.

კიდევ კარგახანს რომ ვიარეთ, ველარ მოვითმინე და სალომეს ვკითხე:

- რომელი საათია?

საათი მეც მქონდა, მაგრამ მაინტერესებდა, ისიც გრძნობდა თუ არა განგაშის ხმას.

- ხუთია, - მიპასუხა სალომემ - ექვსი დაიწყო.

ხმაში განსაკუთრებული ვერაფერი შევამჩნიე, ხოლო გვირაბში რა დროს შემოვედით, არ ვიცოდი, ამიტომ სხვა არა დამრჩენოდა რა, გარდა იმისა, რომ მესამე ნიშანს დავდარაჯებოდი. მანაც არ დააყოვნა.

რაც უფრო ღრმად შევდიოდით გვირაბში, მიწისძვრის მიერ წარმოქმნილი ბზარები თანდათან იზრდებოდა. ბოლოს, როდესაც ჩემი ვარაუდით იმდენი ხანი გავიდა, სამი ამისთანა გვირაბი მაინც უნდა გვქონოდა გავლილი, ბზარები ვიწრო ნაპრალებად იქცნენ.

მე ერთხანს შეფიქრიანებული ვაკვირდებოდი, იმ ზომამდე ხომ არ გაფართოვდებიან, რომ მოძრაობა სახიფათო გახდეს-მეთქი. მერე სალომეს ცერად გადავხედე და ვკითხე:

- გოგირდის სუნი არ გცემთ?

- კი, - მიპასუხა სალომემ.

მეოთხე ნიშანი სალომემ შეამჩნია.

- გაიგონეთ? - მკითხა ცოტა ხნის შემდეგ. ხმის კილოში, როგორც იქნა, შეშფოთება შეეპარა.

- ჭახანი იყო, მივუგე მე, - თუ უცხოპლანეტელები არ არიან, მაშინ საიდანღაც ქვა ჩამოვარდა.

- აი კიდევ!

ხმები მეჩხერი იყო და ხან აქ გაისმოდა, ხან იქ, თითქოს გვირაბის კედლებში ჩაცემენტებული სნაიპერები კენჭებს გვიშენდნენ. თუმცა ამ უჩინარი ქვასროლიების „სნაიპერებად" მოხსენიება შესაძლოა გადაჭარბებული პატივია, ვინაიდან არც ერთი კენჭი მანქანას არ მოხვედრია.

შორეული სიღრმიდან სიბნელე მოგვჩერებოდა და, ჩემი მანქანის გრძელი შუქი რომ გვირაბის ძირს მკვეთრად და კონტრასტულად ანათებდა, კედლებს რბილად და დაბინდულად, ხოლო ჭერს საერთოდ ვერ წვდებოდა, ამით კიდევ უფრო მძაფრად იგრძნობოდა სიბნელის რეალურობა და საშიში სიმკვრივე.

თუმცა, შიშის ჭეშმარიტი წყარო იყო არა სიბნელე, არამედ დროის შეცვლილი ტემპი, რომელიც სიბნელეს, უბრალოდ, იარაღად იყენებდა. არ ვიცი კიდევ რამდენ ხანს ვიარეთ, ის კი მახსოვს, რომ რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო მეტი ძალდატანება მიხდებოდა თავზე, რათა მოცურებული გონება დამეოკებინა და სიმშვიდე შემენარჩუნებინა.

აი ამ კრიტიკულ მომენტში სალომემ თქვა:

- სხვები რომ წავიდნენ, მგონი იმ გზით არ მივდივართ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ფეხი მუხრუჭისკენ გამექცა. მართალია, ვიდრე მიწვდებოდა, დავეწიე და უკან დავაბრუნე, ასე რომ სიჩქარე არ შემინელებია, მაგრამ ტანში წამით ნესტიანმა სიცივემ დამიარა, სხეულიდან თითქოს რაღაც არსებითი გამომეცალა და კინაღამ წინ მიმავალ „ნივას" შევასკდი, რომელიც უეცრად და მოულოდნელად გამოტყვრა საიდანღაც; ისე რომ ფარები არ ენთო. ღვთის მადლით უკანასკნელ წამს, როდესაც წამოვეწიეა და ის იყო უნდა დაგვტაკებოდა კიდეც, ერთბაშად მკვეთრად გაიწია მარცხნივ და ორიოდე სანტიმეტრის მანძილზე ჩაგვიქროლა გვერდით.

მაშინ გვირაბში მღვრიე სინათლემ შემოიხედა და მე და სალომეს საზეიმო ნიშნისმოგებით ვუთხარი:

– აკი, სხვები რომ წავიდნენ, იმ გზით არ მივდივართო! აგერ!

თუ მიზეზებსა და შედეგებს სწორად ვანაწილებ, აქ წინასწარი ნიშნები მოთავდა და ის დაიწყო, რისი ნიშნებიც ეს ნიშნები იყო.

როდესაც გზის ორსავ მხარეს, მარცხნივაც, და მარჯვნივაც, ორი ფართო ზოლი, თითო ასე მეტრი-მეტრნახევარი სიგანისა, გამოიყო, მე კარგახანს ვერ მივხვდი, ან რას ნიშნავდა ეს, ან რას მოასწავებდა. სიტყვა „გამოყოფაც" მოგვიანებით გაჩნდა, ვინაიდან ის, რაც მოხდა, თავიდან გამოყოფას არ ჰგავდა, და თუ ჰგავდა, მხოლოდ ფერით გამოყოფას ჰგავდა: ძირითად გზასთან შედარებით ეს ზოლები უფრო ბაცი იყო. ერთი პირობა ვიფიქრე, იქნებ ნაპრალებია-მეთქი, მაგრამ ეს ვარაუდი იქვე უარვყავი. მართლაცდა, ნაპრალი უფრო მუქი უნდა ყოფილიყო და არა უფრო ბაცი. არადა, ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს რაღაც საბედისწერო ამოცანა იდო ჩემს წინ, რომლის ამოუხსნელობა დიდ საშიშროებას მიქადდა. ვიდრე მე ამ ამოცანაზე ვფიქრდებოდი, ზოლები უკვე აშკარად გამოეყვნენ გზას და ძნელი სათქმელი იყო, ისინი აიწივნენ თუ გზა დაიწია – ტროტუარებად იქცნენ. რა უნდოდა ტროტუარს გვირაბში, ვერ მივხვდი და ვფიქრობ, ვერც ჩემზე უფრო გამჭრიახი მგზავრი მიხვდებოდა. სამაგიეროდ, სრულიად ცხადი და თვალშისაცემი იყო, რომ გზა ძალზე დავიწროვდა და დიდი სიფრთხილე მმართებდა. ცოტა ხნის შემდეგ შევამჩნიე, რომ ტროტუარები იზრდებოდნენ და მალე ჯებირებად იქცნენ. ახლა ჩემი მანქანა ორ ჯებირს შორის იყო მოქცეული. მერე ჯებირების კუთხოვანი, სწორი, მოცემენტებული ზედაპირი სულ დაიკარგა მაღლა, სიბნელეში და ჯებირების ნაცვლად აქეთ-იქიდან ორი ვეება კლდე მომეჯინა, როგორც ზღაპრული დევის ორი ფეხი, და ვიდრე ჩვენი პაწაწკინტელა, წერტილოვანი და თავზარდაცემული მანქანა მათ შუა მიიძურწებოდა, დევი თავისი უსასრულო სიმაღლიდან ეჭვიანი ყურადღებით გვითვალთვალებდა.

რამდენ ხანს მივდიოდით ასე, არ გამიგია. ახლა არც ის მახსოვს, მეშინოდა თუ არა. ერთი ფიქრი, რომელიც გამუდმებით და მოუშორებლივ გონების ყველაზე ხილულ ადგილას წრიალებდა და, რომელიღაც მთავარ ნერვს ჩაფრენილი, მთელი ამ ხნის განმავლობაში წამით არ მომშორებია, ის იყო, რომ მე მოვალე ვიყავი სალომეზეც მეზრუნა და ამიტომ ნება არ მქონდა საკუთარი თავისთვის ემოციების გამოხატვის თავისუფლება მიმეცა. ეს მცნება მტკიცედ კი მქონდა შეთვისებული, მაგრამ მისი – ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა მცნების – შესრულება მხოლოდ გარკვეულ ზღვრამდე თუ იქნებოდა შესაძლებელი; ვინაიდან კაცი მხოლოდ გარკვეულ ზღვრამდეა საკუთარი თავის პატრონი; ასე რომ, ეს ზღვარი ადრე თუ გვიან დაუძლეველ დაბრკოლებად გადამეღობებოდა.

ამასობაში, თითქოს პიკი გადაიარესო, კლდეებმა დაწევა დაიწყეს და აწეწილ გონებაში კვლავ გაჩნდა იმედის სხივი. მართლაც კლდეები დაიწივნენ, დაიწივნენ და ბოლოს – არ ვიცი რამდენ ხანში – ჯერ ჯებირებად იქცნენ – სწორ, კუთხოვან, ზედაპირმოცემენტებულ ჯებირებად – ხოლო მერე, კიდევ უფრო რომ დაეშვნენ და დადაბლდნენ, ტროტუარებად.

იმედის სხივმა სიმშვიდე დამიბრუნა და შვება ვიგრძენი. შვება იმდენად მკაფიო იყო, გონების თვალს ფარანივით ვაყოლებდი. ხოლო რამდენიმე წუთის შემდეგ, როდესაც ტროტუარი კიდევ უფრო დაიწია და ბოლოს გზისპირს გაუთანაბრდა – ისე რომ ადრინდელივით მხოლოდ ფერითღა გამოირჩეოდა – შვება სიხარულად მექცა.

სამწუხაროდ სიხარული ხანმოკლე გამოდგა: ვერც კი მოასწრო მთელ სხეულში შეეღწია, რომ ახლა ზოლები ქვემოთ წავიდა, გზას ჩასცდა და ის, რაც ცოტა ხნის წინ ტროტუარი იყო ამ სიტყვის საკმაოდ სადი და გამართული მნიშვნელობით, ისეთ რამედ გადაიქცა, რის მიმართაც სიტყვა „ტროტუარი" მხოლოდ მინუსი ნიშნით შემეძლო მეხმარა და ისიც მცირე ხნით, ვინაიდან ეს „ტროტუარი" სწრაფად მიიწევდა ქვემოთ და უკვე ვერანაირი ტერმინი მის გამოსახატავად ველარ გამოდგებოდა. თუმცა ცნებათგანსაზღვრასა და სიმბოლოებს

ეროვნული ბიბლიოთეკა


ვინღა დაეძებდა! საგონებელში ჩავარდნილი მთელი ჩემი ყურადღება ახლა გზისკენ მქონდა მიპყრობილი, ვინაიდან ცხადი შეიქნა, რომ წეღანდელი ვეება კლდეები, ასე რომ შემაშფოთა და შემაფიქრიანა, იმასთან შედარებით, რაც ახლა ხდებოდა ჩვენს თავს, თურმე იმედის ბურჯები ყოფილა და არა შიშის მიზეზი. მართალია იმ კლდეების წყალობით მაშინ ძალზე ვიწრო გზა მქონდა დარჩენილი სავალად, მაგრამ მაქსიმალური ფათერაკი, რაც ამის გამო შეიძლებოდა შეგვმთხვეოდა, ის იყო, რომ რომელიმე კლდეს - ან აქეთ, ან იქით - ოდნავ წამოვედებოდით. ახლა კი იმ კლდეების ნაცვლად ორსავ მხარეს თვალუწვდენელი უფსკრული მოგვდევდა და საჭის უმცირესი, სულ უმნიშვნელო ცთომილება კმაროდა, რომ რომელიმე მათგანში დავნთქმულიყავით.

მანქანა ძალზე ნელა მიმყავდა. ძალზე ნელა, ძალზე ფრთხილად და ძალზე დაკვირვებით. საბედისწერო ზოლები კი სულ უფრო ქვემოთ და ქვემოთ მიიწევდა.

იმდენად მობილიზებული და დაძაბული ვიყავი, რომ სალომესკენ ერთხელაც არ გამიხედავს. თვითონ კი არსებობის რაიმე ნიშანს არ ამჟღავნებდა. გარინდებული იჯდა და სუნთქავდა თუ არა, ისიც არ ვიცოდი. ერთხანს რომ ვიარეთ ასე, უეცრად რაღაც ხმაური შემომესმა. ხმაური ქვემოდან მოდიოდა და ყურმა ერთბაშად ვერ გამოიცნო, რა ხმაური იყო... ბოლოს დაკვირვებულ ყურს თვალიც წამოეშველა და მაშინღა მივხვდი: ქვემოთ მდინარე მიედინებოდა!

ზოლები აღარ ჩანდა. ზოლები უკვე მდინარეს დაეფარა, რომელიც, რამდენადაც მანქანების ფარებიდან მოწყვეტილი და უფსკრულში გადაჩეხილი შუქი დანახვის საშუალებას იძლეოდა, განიერი და ღრმა იყო. მშვიდად, აუჩქარებლად მიაგორებდა ზვირთებს და დუდუნით მიედინებოდა. ხოლო გზა, რომელსაც ჩვენ მივუყვებოდით, ხიდი აღმოჩნდა, დიდ მდინარეზე გადებული ბონდის ხიდი, უმოაჯირო და ვიწრო, იმდენად ვიწრო, რომ ზედ მანქანა ძლივს ეტეოდა.

მდინარე ძალზე შორს იყო ქვემოთ, მაგრამ როდესაც თვალი შევაჩვიე, მაინც დავინახე, რომ შიგ ვარსკვლავები ირეკლებოდა. რასაკვირველია, ეს ცრუ ვარსკვლავები იყო - ჩვენ ხომ გვირაბში ვიმყოფებოდით! როგორ (ან რატომ) ირეკლებოდა არარსებული ვარსკვლავები წყალში, ვერ მივხვდი, მაგრამ გაკვირვებით არ გამკვირვებია და მალე პატარა, თეთრი ხომალდიც დავინახე. ხომალდი დაბრეცილი და ფორმადაკარგული ჩანდა, ვინაიდან მდინარეში ჩაწოლილი სქელი ნისლი სინათლეს ნაწილობრივ შთანთქავდა და ნაწილობრივ ირეკლავდა. მცირე ხნის შემდეგ გაღმა ნაპირზე (გამოღმა ნაპირი არ არსებობდა) ვრცელ, დამრეც ფერდობზე შეფენილი ქალაქიც დავინახე. ქალაქი იმოდენა იყო, ბოლო არ უჩანდა და ისევე, როგორც მდინარე, საკუთარი წარმოსახვის მღვრიე ნისლში იწვა, საიდანაც - შორს, ზემოთ, ჰორიზონტთან - ობლად ამოშვერილიყო მაღალი მთის შიშველი წვერი, რომელიც ძალიან ჰგავდა ფანტასტიკური აქლემის კუზს, უაქლემოდ დარჩენილსა და ჰაერში გამოკიდებულს. ქალაქი ხეხილის ბაღებში იყო ჩაფლული, მაგრამ ნისლში ხეებიცა და სახლებიც - ლურჯი ხეები და მოწითალო სახლები - ისე ირწეოდნენ და ბარბაცებდნენ, თითქოს წელში არიან გადამტვრეულნი და საცაა ჩაიკეცებიანო.

ბევრი ვიარეთ თუ ცოტა, როგორც იქნა, ხიდს გადავცდით. მდინარეც უკან მოვიტოვეთ და ქალაქიც.

ხიდის გადავლა რაღა თქმა უნდა ვერაფერი შეღავათი იყო: როცა ორ უფსკრულს შუა მიდიხარ, რა მნიშვნელობა აქვს უფსკრულების ძირში წყალია თუ მიწა!

საბედნიეროდ უსასრულობის გარდა ყველაფერსა აქვს დასასრული და, თუკი უსასრულობას დაუსხლტი, ბედი ისე არ გაგწირავს, დაპირისპირებათა რაიმე ერთიანობა არ წამოგაშველოს. მართლაც, როგორც კი ვიგრძენი, რომ დაძაბულობის, დაღლილობის, შიშის, მოლოდინის და კიდევ ათასი სხვა მაგისტრალური თუ შენაკადი მიზეზის წყალობით სხეულში სიცარიელის მეტი უკვე აღარაფერი მქონდა და ამის გამო (ალბათ ამის გამო) სიკვდილსა და მოვალეობაზე ვფიქრობდი, ზოლები ისევ გამოჩნდა. მართალია ჯერ კიდევ შორს იყო, მაგრამ აშკარად ჩანდა, რომ ზემოთ მოიწევდა. როცა იმედის ამომშრალ კალაპოტში კვლავ გაჩნდება ტენი, ადამიანს გამძლეობა და მოთმენის ძალა ემატება. დავინახე თუ არა ზოლები, ჩემს გამოცარიელებულ სხეულში მყისვე ვიპოვე რაღაც, რასაც ჯერ კიდევ შეეძლო სიცოცხლეს საყრდენად შედგომოდა.

ბოლოს და ბოლოს ზოლები იმ სიმაღლეზე ამოვიდნენ, რომ გზას გაუთანაბრდნენ. ჯერ გაუთანაბრდნენ, მერე პირპირ მიადგნენ, მერე შეუერთდნენ და იმ დროს, როცა შიშით გავიფიქრე, ახლა ისევ ასცდებიან და ზევით წავლენმეთქი, ფერთა შორის განსხვავებაც წაიშალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



იმავ წამს გვირაბში მღვრიე სინათლემ შემოიხედა და მაშინ იყო, რომ სალომეს საზეიმო ნიშნისმოგებით ვუთხარი:

– აკი, სხვები რომ წავიდნენ, იმ გზით არ მივდივართო! აგერ!

უსასრულობიდან უსასრულობაში მიმავალი ხაზი რომელიღაც სასრულოვან მონაკვეთზე ორად გაიხლიჩა და ერთმანეთს დაშორდა და მე გვირაბის ზღურბლზე, ერთი უეცარი გაელვების მანძილზე, უაღრესად მძაფრად ვიგრძენი, რომ ორ ერთადერთ ხაზში ერთდროულად ცალ-ცალკე ვიმყოფებოდი. მერე ყველაფერი კვლავ თავის ადგილას დადგა და ის უცნაური განცდაც მეხსიერებიდან გაქრა. ვიცი, ბევრს დაებადება ერთი შეხედვით უპასუხო კითხვა: მეხსიერებიდან თუ გაქრა, საიდანღა ვიცი? და რომ იგი მართლა უპასუხო არავის ეგონოს, ამთავითვე ვიტყვი იმას, რაც მერჩივნა მოგვიანებით მეთქვა: დიდი ხნის (?) შემდეგ, როცა გახლეჩილი ხაზი კვლავ შეერთდება, ეს ფანტასტიკური შეგრძნება ერთხელ კიდევ შეაზანზარებს ჩემს არსებას და დავიწყებულიც მაშინ გამახსენდება.

კიდევ რა?

ჩვენ ვამბობთ, რომ ყველაფერი განგების ნებაა. ჭეშმარიტად. მაგრამ განგება ჩვენს ყოველდღიურ წვრილმანებში - იმ წვრილმანებში, რომლებიც მის მიზანსა და ჩანაფიქრს არ ემსახურება - არ ერევა, რათა თავისუფლების ილუზია შეგვინარჩუნოს და ამის წყალობით ის იდუმალი საქმე, რისთვისაც შეგვქმნა, მეტი ენთუზიაზმით გვაკეთებინოს. ხოლო ადამიანის ერთი ღირსება ისიცაა, ზუსტად განსაზღვროს, სად თავდება ამ უსაგნო თავისუფლების ასპარეზი და როდის უდგება დრო, როცა ჩხირკედელაობას უნდა მოეშვას და მთლიანად განგებას მიენდოს. მე თვითონ ამ ჭეშმარიტებას გვიან ჩავწვდი, მაგრამ მას შემდეგ, რაც ჩავწვდი, დაბეჯითებით ვიცი: ერთისა და მრავლის ურთიერთობა იდუმალებითაა მოცული და თუ განგებამ თავისი რომელიმე ამოცანის გადასაწყვეტად საჭიროდ დაინახა ექსპერიმენტი ჩემზე ჩაატაროს, მე მზად ვარ.

არა ერთი და ორი მკითხველი (ვეჭვ, უპირატესად ისინი, ვისაც ყურადღებით არ წაუკითხავს ან საერთოდ არ წაუკითხავს) ალბათ ბრალად დამდებს, თითქოს ისეთ რამეებს ვეძებდე, რაც სინამდვილეში არ არის, და ამ ნიადაგზე შესაძლებელია მკვახე-მკვახე სიტყვებიც დამიშინოს. რას ვიზამ - ავტორის ლანძღვა მკითხველის კონსტიტუციური უფლებაა. მაგრამ ბატონებო, ბატონებო! განა საგანთა არსი იმით ამოიწურება, რასაც საგანთა ბუნება გვიმჟღავნებს?! განა მოვლენებში, რომლებიც ჩვენს ირგვლივ ხდება, მხოლოდ ის არის, რაც „სინამდვილეში“ არის?! განა სალამურის გულში, რომელიც „სინამდვილეში“ ცარიელია, ურიცხვი საკვირველი მელოდია არ არის ჩაბუდებული?!

ზოგი იმასაც იტყვის, ყოველივე ეს სიზმარს ჰგავსო, და მეც უყოყმანოდ დავეთანხმები - დიახ, ჰგავს; ოღონდ თუ ამ ზედაპირული დაკვირვებიდან ვინმე „ლოგიკურ“ დასკვნასაც გამოიტანს - სიზმარი იყოო - ის კი მწარედ მოტყუვდება. ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ დარწმუნებით შემიძლია გითხრათ: თუ ჩვენი ამქვეყნიური ცხოვრება სიზმარი არ არის, მაშინ არც ეს იყო სიზმარი.

კიდევ რა?

შეიძლება ზოგ-ზოგებმა, მიუხედავად ჩემი მრავალგზისი მობოდიშებისა, მაინც არ მაპატიონ ენამრავლობა და ძრახვით თქვან, რა იყო, ეს კაცი ასე რამ გადარია სიტყვებზეო! გარწმუნებთ, ესეც უსამართლო საყვედური იქნება. მე სიტყვებზე იმდენადვე ვარ გადარეული, რამდენადაც თქვენ, და თუ ჩემი გადარევა უფრო ჩანს, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემი მიზანია ჩვენი საერთო გადარევა გამოვხატო.

და ბოლოს:

საკუთრივ „განზომილება“ გვირაბს რომ გავცდებით, მაშინ დაიწყება. რაც აქამდე იყო, შესავალი იყო. და თუმც ერთი შეხედვით სწორი ჩანს შენიშვნა, თითქოს შესავლის კვალობაზე გრძელი და გაჭიანურებული შესავალი გამოგვივიდა, სინამდვილეში ამგვარი შენიშვნაც უნიადაგოა. მართლაცდა, თუ ყველა პრობლემას ურთიერთკავშირში განვიხილავთ, განა რაც ამის შემდეგ დაიწერება, ისიც შესავალი არ არის? განა რაზედაც ხელი, თვალი და საერთოდ შეგრძნების ორგანოები მიგვიწვდება, ყველაფერი შესავალი არ არის? განა მთელი ამქვეყნიური ჩვენი ცხოვრება შესავალი არ არის?

მაგრამ სჯობს აქ წერტილი დავსვათ და შევისვენოთ. წინ კიდევ დიდი გზა გვიდევს.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზაზა ქინქლაძე



## უღმერთობის საუკუნეში

პოემა

### შესავალი

აჰა, ოცნების კომპასზე მტვერი
კვლავ გადავწმინდე, მაშ, წინ! თავიდან!
დროის ღვთიური კომპიუტერი
რას გააცოცხლებს ჟამთა დავთრიდან? –
იქნებ, იხსნება კოსმოსის ჭერი?!
იქნებ, ქვესკნელის ანგრევს დაიკას?!
იქნებ, წარმართი იუპიტერი
მოინათლა და ხტება ეტლიდან?!
ბუდა ხმალს იქნევს?! ალაჰი მღერის?!
იესო ტირის ცოდვის ეტნიდან?!
ვინ იცის, რაა ახალი, ძველი?
საიდან? როგორ? როდის რა იქნას?
იქნებ, მომავლის ყველა კენწერო
წარსულის ფესვთა სურნელს დაიკრავს?
ვის ეწვის შუბლი უფლის ნამჟერი?
ვინ აღორძინდეს და ვინ დაინთქას?
დე, ეს პოემა – ხატის მოზვერი
ზვარაკად ისევ თქვენთვის დაიკლას.

### I

იყო ოთხმოციანი წლის გიზგიზა ივლისი,
ლამის ჩამომდნარიყო გუმბათები თბილისის.
სულის მოსაბრუნებლად მთაში ავყრიამულდით
და ვხარობდით არაგვით, მთებით, ფშანით, მამულით.
ტერფებს მონატრებოდა ბალახიც და ხიჭვებიც,
ფეხშიშველნი დავრბოდით ფშანზე გოგო-ბიჭები.
ჭაბუკები ვიყავით, სულ ოც-ოცი წლისანი, –
მოჭიხვინე კვიცები, მოკრიახე ციცარნი.
ტკარცალებდა კოცონი, ქვას კოცნიდა ხან ისიც,
ღვინოც გვქონდა, გიტარაც და ტრფიალის ხალისიც.
მზეწვია გოგონები ალობას იჩემებდნენ,
მაღალ, ლამაზ თეძოებს ეშხით დააჭენებდნენ.
შორს, მთის წვერზე მოჩანდა შავი ღრუბლის უკუნი,
ხეობაში ისმოდა ვაჟას სულის გუგუნი.
ის დრო გარდასულიყო, გულს სხვა ცეცხლი ლეწავდა,
უსაჭურველო რაინდებს დროსტარება გვეწადა.
ბონდის ხიდზე გაცვივდნენ გოგონები ქივილით,
ტკრციალით და კისკისით, ცეკვით, წივილ-კივილით.
დაარწიეს ბაგირი და ხეობა ააზნეს,
თითქოს, ცისარტყელები ირწეოდნენ არაგვზე.
ნახვად ღირდნენ ოხრები, ლამაზები, წაწლები,
ასეთისთვის ცხონდები, ასეთისთვის წაწყდები.

### II

ხიდზე ქალი შემოდგა, შაოსანი, სოფლიდან,
დინჯად ფიჩხი მოჰქონდა, თავის დარდი ჰყოფნიდა.
ჩვენს ალქაჯებს შეხედა და ბრაზი წაეკიდა,
ცალი ხელი ასწია, ფიჩხს გააძრო წკნელი და
– „ბალღო, ეგ რა ჩაგიცვამს!“ – ბოღმით ჩაიბუზღუნა,
ჯინსიან თეძოებზე უცხუნა და უცხუნა.
ვაი-ვიშით, წიოკით გამოცოცხეს ქალებმა, –
მედეას და თამარის ნედლმა შთამომავლებმა.
მოგვეახლა დიდედა, არაგველი ძიძია,
ყველას აგვხედ-დაგვხედა, ჩიქილა გადიწია.
– „გამარჯობათ, ვაჟებო!“ – ქალებს ცერად გახედა,
ბებრის ლურჯი თვალები ძველ მშვენებას ამხელდა,
ფიჩხზე ჩამოიმუხლა, შეიმშრალა სახე და
ჩვენს სალამზე ჩაფიქრდა უცებ, წამით გახევდა.

ძიძია

– აბა, რა ქართულია თქვენი „სალამ-ქალამა?“
გამარჯობა არ იცის, ნუთუ, უკვე ქალაქმა?
რა გვეთქმოდა, ღიმილით მივაწოდეთ სასმისი,

გიო

– მოდი, დედი, დაგვლოცე, მადლი იყოს ამისი!

ძიძია

– მადლი იყოს ლომისის, იახსარის, ლაშარის,
უფლის, წმინდა გიორგის, ანგელოზთა ლაშქარის!
გადიწერა პირჯვარი, მოწიწებით დალია,
ღვინო მიწას აპკურა, ადათი და ვალია.
– „ჩვენ რაღა დავაშავეთ? ბებო, რად გვეშარები?“–
გაახსენდათ გოგონებს გაწკეპილი გავები.

ძიძია

- ჰაი, ქალაშავებო, ადათს ეკაპასებით?
გაგონილა? დიაცნი ვაჟებს რად ემსგავსებით?

ლია

- დედი, ახლა მოდაა მსოფლიოში ასეთი,
თორემ ქართულ ადათ-წესს არ ვღალატობთ
არცერთი.

ძიძია

- მოდა მიმომფრენია, - დროის ლურჯი ფრინველი,
ეს ჩიქილაც ოდესღაც მოდა იყო პირველი.
შემდეგ ჩვევის დულაბში ჩაგვირისტდა ხალისად,
მერე იქცა ადათად, სახედ ჩვენი მხარისა,
თუმცა, ახლა დაძველდა, როგორც-ქედი ხარისა,
რადგან ყოფა იცვალა ქვეყნისა და ხალხისა.
თვალს რაც მოსწონს, გულსაც ის უფრო ესურვილება,
უცხო ნირს და იერსა სულიც ემორჩილება.
სულს თუ გაინახევრებთ, რა სიკეთეს მოელით?
განა საუცხოოა უცხო ხილი ყოველი?
დოლის პური გიგემავთ? - ვიცი, მეტყვით, არაო,
ვაშლთა მეფე ზამთრისა გინახიათ? - არაო,
ამ არაგვის კალმახის ფრენა იცით? - არაო,
ჩოხისა და ჩიქილას მადლსა ხედავთ? - არაო,
სიკვდილამდე ქართული ტრფობა ძალგიძთ? - არაო,
ცერული და ხანჯლური შეგიძლიათ? - არაო,
„ჩაკრულოს“ და „კრიმანჭულს“ ჩაახვევთა? - არაო,
რაღას ქართველები ხართ? რაღაის გაქვთ ჩარაო?

ზაზა

- დედი, ასეც არ არის, მგონი, მეტისმეტია,
თავს არ ვიქებთ, თბილისში უნივერსიტეტია,
ერის დიდი შვილების მოძღვრებას ვეწაფებით,
მამულს ჩვენც წავადგებით, ქვეყნად არც ჩვენ
წავხდებით.

ძიძია

- ცოდნა დიდი განძია და დიდი აქვს მწეობა,
მაგრამ თუკი არ ახლავს სიკეთე და ზნეობა,
მაშინ მისგან ქვეყანა წუხს, იობის დღეშია,
ცოდნა დიდი ცოდვაა, თუ ავსულის ხელშია.
მოფრინავდა რაშივით ხეობაში არაგვი,
დაენგრია დამბები ქვებით გადანარაგვი,
ფრთონვით მიიჩქაროდა ბარში განაგელვები,
როგორც კრწანისისაკენ ერთდროს არაგველები.
ყველა ქვაზე და ფესვზე, უთვალავი წელია,
ქვეყნისა და ხეობის ისტორია წერია.

III

- „ბებო, წელან ქართული სიყვარული ახსენეთ,
ეს რას ნიშნავს? მოგვითხრეთ.“ - ლია ქალს არ
ასვენებს.
გიომ ლიას გახედა და დუმილი ირჩია,
ქალმა იგრძნო ეს მზერა, მაგრამ არ შეიმჩნია.
დედაბერმა როგორღაც, იდუმალი ძალებით,
წაიკითხა ქალ-ვაჟის საუბარი თვალებით.
გიო იყო სოფლელი, ტლუ, ღარიბი ჭაბუკი,
ჭკვიანი და კეთილი, ლამაზი და ჩაუქი.
თვალხატულა ლია კი - თბილისელი ციცარი,
დედისერთა, მდიდარი მშობლების საფიცარი.
ერთმანეთის ტრფიალი ო, როგორ უხდებოდათ,
მაგრამ ლიას მშობლების ნება წინ უხვდებოდათ.
ქალწულს აკლდა გაბედვა, ფხა მედეასეული,
გიო ელოდებოდა ერთგულებად ქცეული.
- „ერთმანეთის რანი ხართ?“ - ყრმებს მიმართა
ძიძიამ,
- „მეგობრები“. - თქვა ზაზამ. ქალმა აღარ იძია.

ძიძია

- ქართული სიყვარულის გსურთ გაიგოთ ამბავი?..
ტრფიალებას სჭირდება გული გაუწაფავი,
ალალი და უცვეთი, ცოდვით დაულამბავი.
სიყვარული ერთია და მისი მწე ღმერთია,
თუკი ერთზე მეტია, ტკბილი ჯოჯოხეთია.
ერთი სატრფო ბევრია, ორი უკვე ცოტაა,
ორი გული და სული ორლესული ცოდვაა.
ერთხელ ჰყვავის ყვავილი, მერე ჭკნობის კერძია,
მერე სხვისი ჯერია, მერე გული ბერწია.
ყმაწვილს სიყვარულამდე შვენის მხოლოდ ანცობა,
შემდეგ ღვთისთვის, ქვეყნისთვის იხარჯება კაცობა.
ვინც წაგვგვარა ედემი, მანვე მოგვცა რჯული და
უკვდავების წილს ვიღებთ ტრფობის საწყაულიდან.
მაშ, წრფელი სიყვარულის გსურთ გაიგოთ ამბავი?
მოგიყვებით, დროცა მაქვს, ჩემი ლელა საფქვავით
ვინემ ჩამოივლიდეს შავხევის წისქვილიდან,
აქვე დაველოდები, ღვთით მშვიდობით ივლიდა.
ბრიალებდა ივლისი, მზე ლაქვარდში ღუოდა,
დაბლა ნამყინვარევი არაგვი მიშხუოდა.
ჩამდგარიყვნენ მუხლამდე ლურჯ ზვირთებში
თელები,
სვამდნენ წყალს და ტოპავდნენ ჭალას ფეხშიშველები.

IV

ძიძია

- ხედავთ მთებზე მყინვარებს? - სვავებს
თეთრთავიანებს?
და ნისლიან მდელოებს ცვრიან-თვირთვილიანებს?
იელების სწორფერი იქ ცხოვრობდა მზექალა,
ფიქრივით შორს მოჩანდა, - წინ ეფინა ქვეყანა.
ქმარი ჰყავდა ლომგული და ასული ცისია -
ნაზი, ნუკრისთვალება უფლისწულის ღირსია.
მთებზე შეფენილიყვნენ ირმებივით სოფლები,
საგუშაგო კოშკებში ცერზე იდგნენ თოფები.
უფლის ნებით აქამდე მშვიდად იყო სოფელი,
ღვთის ზვარაკის გამლები, ეშმას უარმყოფელი.
მეწყერივით დაეცა ერთ დღეს სოფელს ლაშქარი,
დაგვიანდა მაშველი, ქროდა ქარი აშარი.
საგუშაგო კოშკების კვამლი ქარმა გაფანტა,
თითოს ოცი ეკვეთა, დაღგა ქამი ჯაბანთა.

თითო ვაჟკაცს მომხდურთა რაზმი თავზე ეხვია,
ყველა მოკვდა, თავის ხმლის ჯვარს სუყველა ემთხვია,
წაიმძლვარეს წინ ბევრი, სულეთის დაჰკრეს ფეხია,
იქ გასწორდეს მეტობა, ღმერთმა დასცეს მეხია!
გაირეკეს ცხვარ-ძროხა, გაიტაცეს ტყვეები,
გაისისხლეს ხანჯლები, ააყეფეს ტყვიები.
ხედავს ქალი, სუყველგან ცეცხლის გასაგისია,
დახორხოცებს სიკვდილი, აღარსად ჩანს ცისია.
მოეწონათ მშვენებით, გაიტაცეს მტირალი,
ყაჩაღების ბელადი, ვნებიანად მზირალი
უკვე თვისად იგულებს, კბილი დაუღრჭენია,
მოემატა ასკეცად ქალს ცეცხლი და გენია.
გუგუნებდნენ ქედები და ღმუოდა არაგვი,
არსად ჩანდა მაშველი, მოლაშქრე და სარანგი.
„მაშ, წინ მიდევს უბედურს უარესი წამიცა?
გაბახება მომელის და ლეჩაქის წაბილწვა?
მაშ, არ მქონდეს იმედი ღმერთისა და მდევრისა?!..“
გადმოხედა მზექალამ გზებს მშობლიურ მთებისა.
აჩქარებდათ დუშმანი, ქვითინებდნენ ტყვეები,
რად არ იყვნენ მდევრები გარს მომდგარი ტყეები?

## V

ხევის ყელში, უფსკრულზე, კლდეზე ვიწრო ხიდია,
ამ გზას ვერ ასცდებიან, ვინც საზღვრისკენ მიდიან.
ძირს ბორგავენ ზვირთები, ტინებს ელეწებიან,
აქ ცხრებიან კალმახნი, საქვირითოდ წვებიან.
საითითაოდ შერეკეს საქონელი ზმუილით,
ზოგი ხევში ჩავარდა შესაბრალი ღმუილით.
ჯერი დადგა ტყვეებზე, აიტაცეს ქალები,
თავდებოდა მამული, აცრემლოდათ თვალები.
- „მოდი, შენ ამიყვანე, სხვა ნუ მომხვევს მკლავებსო!“-
-ბელადს უთხრა მზექალამ, თვალი ცეცხლით აევსო.
გაიფიქრეს ტოლებმა: „რაღა დარჩა ბეჩავსო,
აღარც ქმარი, არც შვილი, აჰა, იხდის ლეჩაქსო“.
შემოჰხვია მკლავები ბელადს ყელზე მზექალამ,
მკერდზე მჭიდროდ მიეკრო, შეკრა, შემოერკალა.
დაიბანგა ურჯულო ქალის ეშხით, მშვენებით,
შედგა ხიდზე ღიმილით, სავსე ბედნიერებით.
წამით შედგა მღინარე, მეტი ვერ დაეხანა, -
რა ამბავს წაიღებდა? რას ამცნობდა ქვეყანას?
შუა გზაზე უეცრად კლდეს ფეხი ჰკრა დიაცმა, -
გადაიქცნენ უფსკრულში გველიცა და იაცა.
ძირს ვარდნისას ღმუოდა კაცი ქალს ჩაფრენილი,
მკლავგაშლილი მიქროდა ქალი ღიმილჩენილი...
გააქვავა სუყველა სახილველმა საზარმა,
ეს რა ჩაიდინაო დედაკაცმა მწყაზარმა.
ძებნეს ხევში ბელადის გვამი ურჯულოებმა,
კარგა ხანი დაკარგეს, მზე შუბის ტარს მოება.
უცებ ჭექეს თოფები, დაჰკიჟინეს ერთი და
შემოვარდნენ მდევრები ხიდზე გორის ფერდიდან.
დაერივნენ ხმალდახმალ, ოცი მოკლეს ერთიავად,
დანარჩენმა გაქუსლა უკან მოუხედავად.
წაასვენეს მზექალას დალეწილი სხეული
და ქმრის გვერდით დაკრძალეს დიაცი ღისეული.

## VI

მადლი უფალს, დუშმანებს დამალვოდა ცისია,
ის იშვილა სოფელმა, ყველას გული მისია.
ობოლს ქარში უნთია მუდამ ბედის სანთელი,
მაგრამ მიუძღვებოდა წინ დედ-მამის ნათელი.
ჭირს ერთობა სჭირდება, ლალი მარტოც ლალია,
ყველა მისთვის თუ ლალობს, უბედური ხალხია.
სიხარული გულზეა, მწუხარება გულშია,
ძალა სამართალშია, ზნეშია და რჯულშია,
ვისთვის იარაღშია, ტახტშია და ფულშია,
სიკეთეში ცვედანი სიავეში მრუშია.
საჯილდაო ქვად იქცა, დღემდე განსაბჭობია:
„ღმერთზე, ერზე თუ კაცზე ზრუნვა უფრო სჯობია?“...
რწმენის უსუსურობით რა ადვილად იცნობი,
მღილო არარაობის, მტვერო მარადისობის.
წინ რომ კენჭი გიგდია, მილიარდი წლისაა,
ეს ჭია კი, ადამს რომ თავზარს სცემდა, ისაა.
ეს ზღვა უსასრულობის, შენს მერე და შენამდე,
ურწმუნობით გაშინებს უფლის გამოჩენამდე.
შენ გაქვს შენი ადგილი! - ფარ-ხმალი არ დაყარო,
შენამდე და შენს მერეც შენზე გადის სამყარო!“

## VII

აქ შეწყვიტა სიტყვების არაგვული თარეში,
გაკვირვება შენიშნა ქალმა ყრმათა თვალებში.

ᲒᲘᲝ

- დედი, ალბათ, ოდესღაც თქვენ ქალაქში
სწავლობდით.

ᲫᲘᲫᲘᲐ

- მეც და ჩემი ქმარ-შვილიც, ღვთის ნებით და
წყალობით.

ᲒᲘᲝ

- ხომ მშვიდობით არიან?

ᲫᲘᲫᲘᲐ

- მათ სულს შემოვევლები...
ვაი, აღარ არიან, - იყვნენ სამანელები,
იმათგან გჭირს დარდი და ტანჯვა მოუნელები.
ბურუსივით ჩამოწვა უხერხული დუმილი,
რა დიადი ჰქონია მოხუცს დარდი, წუხილი.
ყმაწვილები წამოდგნენ, ქალი დარჩა მჯდომარი,
მოწიწებით დალია ყველამ შესანდობარი.
სამანელი, - ამ სიტყვით ცხადი გახდა ყოველი,
კავკასიის ტკივილი ღვთის სამართლის მთხოველი.
კასპიიდან შავ ზღვამდე და ჩვენს საქართველომდე
მუდამ თავისუფლების მზის ამოსვლას ელოდნენ.
ერთად ხნავდნენ, თესავდნენ, ერთად გრეხდნენ
ულოსაც,
ყვითელ მთვარეს, თეთრ დათვს და წითელ ნამგალ-
უროსაც
ერთად ებრძოლებოდნენ მუდამ ხმალშიშველები,
ბევრჯერ სისხლით ყვაოდა მათი მინდორ-ველები.
როცა ორი ურჩხული გაწვა კავკასიონთან,
წითელ-მიხაკისფერი ორი გველი წიოდა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ორ ცეცხლს შუა ქართველებს ექცეოდათ თავანი
და ეცადნენ მამულის დაედგინათ სამანი.
შემდეგ, როცა წითელმა გველეშაპმა იძალა,
უმალ მამულიშვილთა ტანჯვისთვის მოიცალა.
ერთიანად აჰყარეს სოფლები და ხალხები,
ვინ დახვრიტეს, აწამეს, გაამრავლეს თალხები.
მის ქმარსაც და შვილებსაც – იმ კურთხეულ
ჭაბუკებს –
ჯალათებმა სიკვდილის განაჩენი არგუნეს.
ო, ეს იყო საზარი ომი ერთმორწმუნეთა,
მილიონთა განწირვა, ნგრევა საუკუნეთა,
და თუ ხვალაც მომავლის ომში ქრისტიანები
კვლავ ერთმანეთს გავწირავთ, ღმერთის არ
დავენანებით.
და დაღუპავს ჩვენს სულებს და წაგვართმევს
ცხონებას
ღვთის სახელით თამაში და უღმერთოდ ცხოვრება.

## VIII

გიო

– ბებო, შემდეგ რა მოხდა? ცისიაზე გვიამბე,
თითქოს, ხნულში ხორბალსო, სიტყვებს ლაღად
მიაპნევ.

ძიძია

– საუკუნეც ყრმა იყო, ცისია რომ დაობლდა,
ბარში რევოლუციის სუსტი სიო დაქროდა.
იყო აჯანყებები, სისხლი, გაციმბირება,
მერე მოჰკლეს ილია ჯოჯოხეთის გმირებმა.
იმ წელს გადაირია, გადმოვარდა დურუჯი
და წალეკა ცოდვილი ხალხი, მხდალი, ყრუ-მუნჯი.
თითქოს, ამით მისცაო ქართველობას ნიშანი, –
არ ერწმუნათ ულვთოთა მოძღვრება და მისანი.
მერე იყო ზამთარი დელგმა-მეწყრებიანი,
სანატრელად გადიქცა ზეცა მერცხლებიანი.
თოვდა, თოვდა, ქვეყანა თოვლით გადაიფარა,
ძლივს მოვიდა აპრილი, ნამქერებში იარა.
გაზაფხულმა იძალა, მთებზე თოვლი ცხრებოდა,
ნაზამთრალი სოფელი მზის გულს ეფიცხებოდა.
როცა ყველგან აყვავდა იელი და მოცხარი,
მაშინ სოფელს ეწვია მთით ელია მოძღვარი:
თეთრ ჩოხაში, თეთრ ცხენზე, ნათელჭაღაროსანი,
ბრძენი, დიდმოგზაური, მეცნიერი, მგოსანი,
ყელზე შანა ეკიდა მისი რწმენის ნიშნისა, –
ჯვარსაც ჰგავდა, მთვარესაც, ხელებს ბუდა-კრიშნისა,
ბრიალებდა ჯვრის თავზე მზის ბორბალი მბრუნავი,
დაჰფენოდა სახეზე ფიქრი და საზრუნავი.
კავკასს გაღმა-გამოღმა, მთაში, ბარში, ქალაქად
მისი საქმე-ზრახვანი დადიოდა არაკად.
დიად სიტყვებს ამბობდა საოცარი რწმუნებით:
„ღმერთი ყველგან ერთია რჯულითა და ბუნებით.
რწმენა მრავალგვარია მხოლოდ კაცთა გულებით,
მხოლოდ თვისთა სურვილთა მონებით და გუნებით.
ღვრიტა წმინდა წიგნების მსოფლიოში ერთია,
ერთი სამოთხეა და ერთი ჯოჯოხეთია,
ერთი ზნეობაა და არსთა ერთი ბედია,
მრავალ სახელ-სამოსში ერთი აზრი-ღმერთია.
ვით უფალმა არია ბაბილონში ენები,
ისე არეულია ახლა ხალხში რწმენები.
დასტურია ამისი – დიადი და საზარიც –
სიყვარულს და სიძულვილს რომ არა აქვს საზღვარი.
ერთხელ მტრობა გაქრება, ომი შრომად იქცევა,
სიყვარულის სუფევა მაშინ არ დაილევა.
ერთი ღმერთის ხატება, ერთი რწმენა იქნება,
რჯული საყოველთაო ერთად აიწიგნება“.

## IX

პურ-ღვინით და თავაზით შეხვდა სტუმარს სოფელი,
მთისაც თქვეს და ბარისაც, ჰქონდათ საამბობელი.
ბოლოს უთხრა მასპინძლებს ეს სიტყვები ელიამ:
„დიდხანს ვერ დავყოვნდები, მოწაფენი მელიან.
ყველა ობოლია და ყველა შვილობილია,
ზოგი მუსლიმანია, ზოგსაც უყვარს ბიბლია.
ვინ ბუდას სცემს თაყვანს და ვინ კრიშნას და
მაცხოვარს,
მათ და-ძმობას ვასწავლი და ვუტოვებ სახსოვარს:
სიკეთეს და სიყვარულს, ერთმანეთის გატანას,
რომ ღვთიურ გზას დაადგნენ და უგანონ სატანას.
გამატანეთ ცისია, თუ თავადაც ინება,
ისიც ჩემი მოწაფე, შვილობილი იქნება.
აღვზრდი, მივცემ ცოდნას და როდესაც მოუნდება,
მაშინ განათლებული უკან დაგიბრუნდებაო“.
ყველამ მისცა დასტური, გააყოლეს ცისია,
კეთილ გზას რომ დაადგა, სოფლელებმა იციან.

## X

მთაში ჰქონდა ელიას სახლი დიდი, ტაძრული
და იქ დახვდა გოგონას: სიყვარული და-ძმური,
წიგნები და ხატები, ნიშები სათაყვანე,
ჰგავდა მცირე სამყაროს ის – რწმენათა სავანე.
რაც ობლობამ წაართვა, სიყვარულმა უბოძა,
მამობილმა ცხოვრების ნიშანსვეტად უმოძღვრა.
ქვეყნად მარადისობის გრძელდებოდა მარულა,
მიფრინავდნენ დღეები თეთრონების დარულად,
დღეებს სდევდნენ ღამეთა შავრაშები ჭენებით,
მათ კი – წლების, თვეების ეტლიანი ცხენები.
მოიწიფა ცისია, წლებმა არ დაახანეს,
მადლი უძღვნა მოძღვარს და დაეთხოვა სავანეს.
ღიღილოსფერთვალება, თმაში ყვავილჩაწნული
ამობრუნდა სოფელში თვრამეტი წლის ქალწული.
სილამაზე და ეშხი დაჰყოლოდა ჯიშიდან,
გაიზარდა ხეობის მშვენებად და ცისმშვილდად.
ყმაწვილკაცებს აფიქრებს – გოგოს გული ვისია?
ყველას უნდა სათნო და სათაყვანო ცისია.

## XI

სიყვარული ყოველთვის თვალთა სხივით იწყება,
შემდეგ გულში ჩადის და სანთელივით იწვება.
მერე იპყრობს გონებას და სულისკენ მქროლია,
როცა სულს მოედება, უკვდავების ტოლია.
თუ ეს ოთხი ბილიკი ბოლომდე არ გალია,
მაშინ არასრულია, ცუდად უტრფიალია –

ეროვნული ბიბლიოთეკა


ეჭვის ქანგი გაჩნდება ან გაქცევის წყურვილი,
მრისხანების გენია ან ღალატის წყურვილი.
ყველაფერს ვეგუებით ძალით სულიწმინდისა -
ჩვენს წარმავალ სიცოცხლეს და მომავალ
სიკვდილსაც.
რაც სიკვდილთან გვამაგრებს, რწმენაა და რჯულია
და რაც სიკვდილს გვავიწყებს, - მხოლოდ
სიყვარულია.
სიყვარული გვანიჭებს ღვთიურ თავისუფლებას -
თვით სიცოცხლის ნებას და თვით სიკვდილის
უფლებას.
სიყვარული ნიჭია, ბედია და ვალია,
ყველა უსიყვარულო ქვეყნად შესაბრალია.

## XII

დილი იყო ხატობას, მზემ არაგვი გატოპა,
ყალყზე შედგა გორზე და გადმოხედა ხატობას.
ხევისბერის ნიშანზე თოფმა დაიგრიალა
და გაფრინდნენ მხედრები, დაჰკიჟინეს: „იალა!“
გზაზე ბული ავარდა, ფლოქვთა ნაფერთალები,
ქვებზე მითქარუნობდნენ, მიკვესავდნენ ნალები.
აათავეს აღმართი და მთიელთა ცხენები
ჩანჩქერივით ჩაეშვნენ ხეობაში ჭენებით.
აჭიხვინდა მზის რაში, - გაახელა მარულამ,
მიფრინავდნენ მერნები ველზე ნიავქარულად.
წინ გაიჭრა ქურანი, მზე ფაფარში ჩაუდნა,
ლეგოსანი ჭაბუკი ბოლოს დაწინაურდა.
უმალ იცნო ცისიამ ნანდაური, - ვაჟია,
ჰოი, რა კისკასია, გულკლდეა და კაჟია,
მოქრის გამარჯვებული, მოდის, მოეშურება,
გოგოს გული მისია, ბედს ვერ დაემდურება.
რა საოცრად მიიყვანს შემოქმედი ბედთან ბედს, -
როგორც მზე და მყინვარი, უხდებიან ერთმანეთს.
გადაკვეთა სამანი, მიაგებეს: ყიჟინა,
ჯილდო, ქება და კათხით ცივი ლუდი შიშინა.
გამოერკვა გართული ბედაურთა მზერაში
და გაუყვა ალურით ზეცის ბილიკს მზე - რაში.

## XIII

მოედნისკენ წავიდა, მცირე განვლო მანძილი,
წინ შემოხვდა ცისიას მეზობელი ყმაწვილი.

იმედა

- გოგოვ, შენი ყელ-მკერდი რა ხელებმა გათალეს,
რომ შემეძლოს, ლამაზო, მოგპარავდი მაგ თვალებს,
მოგპარავდი მაგ გულსაც, თუკი მე არ მაჩუქებ,
გენაცვალე, ცისიავ, ქვეყანას რომ აშუქებ.

ცისია

- კარგი, ბიჭო, იმედავ, ხარ ვაჟიას ძმობილი,
თუკი ხუმრობ, ხუმრობაც კაცს შეჰფერის წყობილი,
შეხე სოფელს, რამდენი ჰყავდის ირგვლივ ყვავილი,
ქალის მეტი რა არის ტურფა და შემკობილი.

იმედა

- ქალი, მართლაც, ბევრია, ქალღმერთი კი ერთი
ხარ,
თითქოს ზეცას შერთვიხარ, ჩემთვის ნათლის სვეტი
ხარ...
ვაჟიაო?.. მაშ, კარგი... არ ვიქნები მურმანი,
კაცი სხვა მძულს უპირო, უნდობი და უგვანი.
არ გეწყინოს, გაგიტყდი, დაგელოცოს ჯავარი,
შენი ბედნიერება არის ჩემთვის მთავარი.
აღიმილდნენ ქალწულის მშვენიერი თვალები, -
თითქოს ატმის ყვავილთა თოვდა ნაფერთალები.
მოახლოვდა ვაჟია - მზეჭაბუკი მხედარი,
იღიმოდა, ხარობდა ცისიას შემხედვარი.

იმედა

- მოგილოცავ, ვაჟიავ, შეგეწიონ ხატები!
დაგიმარცხდეს დუშმანი სისხლით ნააზატები!

ვაჟია

- გმადლობ, ძმაო, იმედავ, ღვთის ნებაა ყოველი,
ქალაქიდან რა ისმის? ახალ ამბებს მოველი.

იმედა

- დღეს გავიგე, კოჯორთან მოსულანო წითლები.

ვაჟია

- რაო? ისევ გაჭირდა?.. თუ კაცებად ვითვლებით,

ხვალვე ძმებს ჩავეშველოთ, სანამ გვიან არ არის,
სანამ ძვლები გაგვრეკენ წინაპართა სამარის!
დრო დათქვეს და დაშორდნენ, სამზადი აქვთ
ხვალისა,
დადგა ჟამი გადახდის საქართველოს ვალისა.
ნაღვლიანად შეჰყურებს სატრფოს ქალი მდუმარი,
იმათ ქორწინებამდე ერთი თვეღა თუ არი.
ხეობაში არაგვმა ჩაუარა ჩინარებს,
მზე გაუწვა გზაზე და აელვარდა მდინარე.
რა ტურფაა ქვეყანა - ხელთუქმნელი გუნდა ღვთის
და ათმაგად ტურფაა შეყვარებულ გულთათვის.
დიდხანს დუმდნენ. შეღამდა. აღარ ჩანდა მზე გარეთ.
ბოლოს უთხრა ჭაბუკმა შეყვარებულს მგზნებარედ:
„სიყვარული ჩვენი, მწამს, უკვდავების ღირსია,
ღმერთი არ დაგვაშორებს, ვიქორწინებთ, ცისია...“
შორით ორჯერ იელვა ვარსკვლავების ბრკიალში
და დაშორდნენ სატრფონი მთვარის იალკიალში.

## XIV

ხუთი დღეა, სოფელი მზეს ამოსვლას არ აცლის, -
გზას გაჰყურებს, აფიქრებს ბედი ათი ვაჟკაცის.
სიძულვილი ულვთოთა გულში აღარ ეტევა,
თუ დგას ისევ თბილისი? თუ გაუძლო შეტევას?
ლოცულობენ ქალები სასოებით, ვედრებით,
მეექვსე დღეს მწუხრისას შორს გამოჩნდნენ
მხედრები.
ყველა გამოეფინა აივნებზე, ბანებზე,
მთაზე წამით შეჩერდა წითლად მობაბანე მზე.
- ერთი! ორი! სამია! - მზერა შორეთს მირთვია,
- ოთხი! ხუთი! ჰა, ექვსიც! - გულის თრთოლვით
ითვლიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- შვიდი! რვა და... ეს რაა? - პირჯვრით ღმერთს ახსენებენ, -
- ვინ ჰკიდია ცხენებზე?.. ეს ვის მოასვენებენ?..
მოცახცახე ხელებით ჩაიბღუჯა ჩიქილა, -
- ავაიმე, ვაჟიავ! - დედამისმა იკივლა.
- ვაი, შვილო, ბაქარო! - აქვითინდა სხვა ქალიც,
მოდგა სოფელს სიკვდილი ცელით, ჰქონდა სამკალი.
დობილებმა ტირილით მივაშურეთ ცისიას:
- „ვაი, რა დღე დაგვიდგა, ვაი, რა დაისია“.
ბანზე ჩაჩოქილიყო სახეგაქვავებული,
მზეს სისხლისფერს უმზერდა ტანჯული და ვნებული.
უცებ ეჭვით თვალები შეარისხა იმედას, -
უმალ მიხვდა, ვაჟია მოძმემ არ გაიმეტა,
/კაცმა თვალი უსწორა, გადიწერა პირჯვარი,
თავად შუბლგაჩეხილი იყო და სახიჩარი/.
დიდხანს სდუმდა, ილაჯი არა ჰქონდა რისიმე,
ბოლოს გვითხრა: „გახსოვდეთ, საცოლე ვარ მისი მე“...

## XV

ორი წელი გლოვობდა შაოსანი იელი,
როგორც უნდა გლოვობდეს ქვრივი ქალი, მთიელი.
როცა მესამე წელსაც დაინახეს შავებით,
მოდგნენ ტოლ-ამხანაგნი, მისი ნათესავები:
„თავს იმარხავ ქალწული, ცოდვაა და ბრალია,
ერთი დარჩი დედ-მამას, ახლა შენი ვალია
გათხოვდე და ქვეყანას გაუზარდო შვილები,
ვარდი თუ გადაშენდა, ვილას უნდა ჭილები?
თავის დრო აქვს განგებას ჭირისა და ლხინისა,
არვინაა უკვდავი, არც ქვისა და რკინისა“.
ეძლეოდნენ ცისიას სულ რჩეული ბიჭები,
მას კი ტყე იზიდავდა, - ღვიები და ფიჭვები,
გაჰყურებდა მდინარეს, იგონებდა ვაჟიას,
ცრემლებსა და ოცნებებს თუ უმხელდა ხვაშიადს.
თავად სატრფოს დედამაც, დატერფილმა ბედისგან,
უთხრა: „გლოვა ვალია ბედდავსილი დედისა,
ქალწული ხარ, ყმაწვილი, შენაც დედის შვილი ხარ,
წა, გათხოვდი, ცისიავ, ჩემგან დალოცვილი ხარ...“
აღარ ეღგომებოდა უკვე სოფლად ამისგან,
ქალწულს სულ ჩაესმოდა ის სიტყვები ღამისა:
„სიყვარული ჩვენი, მწამს, უკვდავების ღირსია,
ღმერთი არ დაგვაშორებს... ვიქორწინებთ, ცისია...“
ერთ დღეს, როცა ცისკარი მთაში დადგა მზიანი,
გადიკიდა ხურჯინი, ჭრელი, ანდაზიანი,
უკან დარჩა სახლ-კარი დახშულ-გადარაზული
და ელია მოძღვრისკენ გზას გაუდგა ასული.
თრთვილზე გაისეირნა, გაჰყვა სხივთა ხეივანს,
მზემ არშიყის თვალები გააყოლა ჯეირანს.
სოფლის ბოლოს, არყებთან წინ შემოხვდა იმედა,
მხარზე ჯიხვი ეკიდა, ერთურთს გაუღიმეს და:

იმედა
- დაო, საით მთის გზებზე ასე დილაადრიან?

ცისია
- ელიასთან ვბრუნდები.

იმედა (*დაფიქრებით*)
- მაშ, იქ მეტი მადლია?...
თუ ძმა სადმე დაგჭირდეს, მიხმე, მოვალ მალიად,
ღმერთი შენთან! მშვიდობით! - აღარ დაუხვალია,
ბილიკს ჩაჰყვა სოფლისკენ, მალე ქორწილს იხდიდა,
მზიან დღეებს ელოდა წუთისოფლის ბინდიდან.
აღიმილდნენ ქალწულის ნაღვლიანი თვალები,
- შენც ღვთით გევლოს! - თქვა მისთვის ჩუმად და მოკრძალებით.

## XVI

ბანზე იჯდა ელია, გარს შეგირდნი ეხვია,
მკვიდრად იყო მოხუცი, წლებს ვერ გაუტეხია.
კარგად დაეგვირისტა ყრმათა გულის ძაფები, -
იმ დღეს მოძღვარს სწვეოდნენ ძველი ნამოწაფრები.

ადელი (*ქრისტიანი, ქართველი*)
- აგერ, კავკასიასაც დაეუფლნენ წითლები,
მამაჩემი მათია, გუმბამ ჯვარს ჰკრა წიხლები,
თან მიყვირა: „იცოდე, როცა გარდავიცვლები,
ახლოს არ გამაკარო სანთლები და ლოცვები...“
აქეთ ღმერთი, იქით - ის, ორ ცეცხლს შუა ვიწვები,
თითქოს, სულში მიყრია ეკლები და ხიწვები.

ელია
- დიდი განსაცდელია ქვეყანაზე მოსული,
უღმერთობის ღმერთი ჰყავთ დიდი ძალით მოცული.
რაც დროშაზე ხატია, ერს ის გაუცხადდება,
ვისი მეუფებაც სურს, მას იხილავს თავდებად.
რწმენის უსუსურება ანგარებით იწყება, -
ის, რაც ფულზე წერია, ფულზე გადაიცვლება,
სულში ამოკვეთილი სულებს გადაეცემა,
ღმერთს მონახავს ურწმუნო, ეშმა რომ დაეცემა.
გაქცეული ღმერთისგან უკან ვერ დაბრუნდება, -
ცრუ ნათლისკენ პეპლები მიფრინავენ გუნდებად.
რწმენით უსუსურობენ, უგნურებით მზვაობენ,
თავად უკვდავებსაც უღმერთობით ლამობენ.
რაა ჭეშმარიტება? - მხოლოდ ეშმას რიდება,
ვერვინ ნახავს უღმერთოდ ქვეყნად ჭეშმარიტებას.

ვანი (*ბუდისტი, ჩინელი*)
- იქნებ, ბუდას გზა გვიჯობს და უფრო სანდობი?-
ყველამ თვითონ დაიხსნას თვისი სული განდგომით.

ელია
- ეს მითხარით, რომელი უფრო მშვენიერია:
მოცინარი გრძნეული თუ მტირალი ფერია?
ლომი ჯეირნებში თუ ჯეირანი ლომებთან?
ხალხის უღმერთობა თუ სათნოება ყოველთა?
ღვთის წიგნების მფლობელნი უნდა გაერთიანდნენ
და იქნება ყოველგან სიკეთის სიდიადე.

ახმედი (*მუსლიმანი, ჩეჩენი*)
- რჯული საყოველთაო ქვეყნად როდის იქნება?
იქნებ, დროა, აზრები რომ აქციოთ წიგნებად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელია
- ამრთა ქცევა წიგნებად მოწაფეთა ვალია,
ჯერ ადრეა, დროის კვერს ჯერ არ უტრიალია.
ხალხთა გენით სხვაობა სულზე ღრმა და შორია,
სული გვამთა ტყეებზე გაფრენილი ქორია,
ყველა ხეზე დაჯდება, თუკი მოიგუნება,
როგორც უხმობს ქვესკნელი, ზესკნელი და ბუნება.
ყველა ომი, თითქოს და, სულისათვის იწყება,
სხეულით კი მთავრდება, მიწისთვის კი მიწდება.
სხეულს ძნელად შერწყავენ ერთმანეთში ხალხები,
ერთ რწმენას კი ნახავენ ერთი სულის თანხლებით.
ჯერ იქამდე შორია, ჯერ ეს საჭოჭმანოა,
ჯერ სამშობლო თვით ღმერთზე უფრო სათაყვანოა.
არც არასდროს ერთფერი არ იქნება სოფელი, -
ერი მრავალგვარია ერთი რჯულით მყოფელი.

ღვთისო (*მუსლიმანი, ქართველი*)
- ხომ არ ელის წყაროებს ზღვებისაგან დალევა? -
ხომ არ ელის მცირე ერს დიდ ერებში არევა?

ელია
- კაცთა ურთიერთობა არის მხოლოდ ერთობა,
ღვთიურია ის გრძნობა, კაცი კაცს რომ ენდობა.
თანასწორთა ერთობა არის თავისუფლება,
ტყვე-მორჩილთა ერთობა სისხლით დაიგუბება.
ყვავილს თავისუფლების მუდამ მოვლა სჭირდება,
სარეველა მონობის თავად აბიბინდება.
ერთ რწმენამდე მიაღწევს ერთი ნებით ქვეყანა,
ერთი ფიქრით, სამართლით, საზრუნავით ყველგანა.

რაჯი (*ინდოელი, კრიშნაისტი*)
- ვაჰ, თუ ბედის სიავით არ აღსრულდეს მისია?!

ელია
- თქმულა, გვირგვინოსანს სჯობს, ვინც გვირგვინის
ღირსია.
საქმის ოქრო აწონე, სიტყვის თიხა მჩატეა,
ბედთან გაუბედავი თავის მოღალატეა.
მოსახდენი ზენისგან ქვეყნად მაინც მოხდება,
თუმცა, ბევრი ავსული უფალს აუმბოხდება.
ოთხი გზა აქვთ დემონებს კაცის სულის მტრობისა:
განდიდების, ფულისა, მრუშობის და თრობისა.
ვინც ამ გზაზე გაივლის ცოდვაშეუხებელი,
მას არ გაუჭირდება ჰპოვოს სასუფეველი.
გონებაა წვდომისთვის და გულია გრძნობისთვის,
სული არის რწმენისთვის და მკლავია შრომისთვის,
ომი - მშვიდობისათვის და მშვიდობა - ომისთვის,
ღმერთი - სიყვარულისთვის და ავსულთა
წყრომისთვის.

## XVII

ნათიბ ბალახს ეზოში უხდებოდა ღივილი,
შაოსანი პირიმზე შემოვიდა ღიმილით.
- „გამარჯობა, მოძღვარო!“ - მოახლოვდა ცისია,
- „მოხველ, შვილო, მშვიდობით!“ - კაცმა წამოიწია.
გულს ჩაიკრა მოსული, შემდეგ შუბლზე ემთხვია,
ოთხი თანაშეზრდილიც ქალწულს გადაეხვია.
მოიკითხეს ერთურთი, გაიხარეს ძალიან,
ზოგჯერ წუთისოფელი სიხარულშიც მალია.
შემდეგ, როცა ცისიამ მათ უამბო ყოველი,
უთხრა ლექმა ფატიმამ, გულით ვარო მთხოველი:
„ - სანამ გაგეხარდება, ჩემთან წამო, დაია,
ნახე ჩვენი ქედებიც, მთელ დაღესტანს დავიართ“.
„ - თუ გსურს, ჩემთან!“ - სთავაზობს ბელაქნელი
ალხაზი,
„ - ჩვენთან წამო!“ - იწვევენ ჩერქეზი და აფხაზი.
მერე მოძღვარს შეხედეს რიდით და მოკრძალებით,
სიხარულის ცრემლებით ავსებოდა თვალები:

ელია
- ვხედავ, გახარებულა ჩემი დანათესარი,
ასე იყოს სამყაროც! - ჩემი ნატვრა ეს არი.
„ - რას იტყვით?“ - ცისიას ჰკითხეს ამხანაგებმა.

ცისია
- მადლის მეტი რა მეთქმის, შეგეწიოთ განგება,
მიჯობს დავრჩე მოძღვართან, თუკი თავად ინება,
მისი ღარი სჭირდება ჩემი სულის დინებას.

ელია
- დაარჩი, შვილო, ბალღებთან ვინძლო წამეშველები,
ვიცი, კურთხეული გაქვს გული, ჭკუა, ხელები.

## XVIII

წელზე მეტი მოძღვართან იყო ჩემი დობილი,
ღმერთის, იდუმალ ოცნებებს და ფიქრებს მინდობილი.
ქვეყნად ასეთ სიყვარულს ჯერ არ უკაშკაშია,
ყველა ცოცხალს ერჩია გარდაცვლილი ვაჟია.
ოცდაოთხის ზაფხულში საქართველო აჯანყდა,
ქალაქებში, სოფლებში დენთის ცეცხლი გაჩაღდა,
მაგრამ ისევ დავმარცხდით პირსისხლიან აჯამთან,
ცოდვის სასჯელს ვიმკიდით და საშველი არ ჩანდა.
მთლად გაავდა ურჩხული, მონობა არ გვაკმარეს,
სული ხუთი ათასი მოსპეს, დაასამარეს.
დრო იხელთეს, მთიელებს ძველი მტრობა
ავალეს, -
განიზრახეს, მოესპოთ თვით ელიას სავანეც.
ელჭექივით გავარდა მთაში ცნობა საზარი,
და განრისხდნენ ქედები, იწყეს ბორგვა, ზანზარი.
მთელი კავკასიიდან დაღრუბლული წარბებით
ჯიქებივით მოვარდნენ მოძღვრის ნამოწაფრები.
ფეხზე დადგა მთის ხალხი, მიატოვეს კერები,
მოდგა ტაძარს მტრის ჯარი ულევთო კადნიერებით.
დაახალეს თოფები ქონგურებს და თავანებს,
როგორც აფთრის ხროვები, შეჰყმუოდნენ სავანეს.
მაშინ დაიგუგუნეს მთიელების თოფებმაც,
ხმალზე ხელი გაივლეს ყმებმა მჯობთა მჯობებმა.
მედგრად დახვდნენ მომხდურებს, ხმლები გააკაპასეს
და ცხელ-ცხელი ტყვიებით გასისხლეს და გაბასრეს.

შედრკა ჯარი ზათქისგან, იწყო ლტოლვა, აღრევა
და დროებით არჩია იმ დღეს უკან დახევა.

XIX

მთაში იყო ცისია ხატთან მოსალოცველად,
როცა ექომ ომისამ მწვერვალები მოცელა.
უმალ სავანისაკენ ჩამოუყვა ხეობას,
სამხრდებოდა, ჩქარობდა, არ ჰკარგავდა მხნეობას.
განსაცდელი ელოდა, თურმე, მონამკალებში,
ჯარისკაცმა უეცრად მოიქცია მკლავებში.
არვინ ჩანდა მშველელი, თუ არ ლაშარ-ლომისი,
თითქოს, ფური ირემი მარტო დარჩა ლომის წინ.

ცისია

- თუ ღმერთი გწამს, გამიშვი, მადლმა სალოცავების!
(ვედრებით ეხვეოდა ქალწულს კაცის მკლავები.)
„ - ახლოს არც უფსკრულია, არც ცეცხლი და
წყალია,
სად ჩავინთქე ბედკრული? ვაი, ჩემი ბრალია...“

ჯარისკაცი

- რა კარგი ხარ, ლამაზო, ტკბილად დამებედები.

ცისია

- არ ვისუნთქებ... წყეულო, მე შენ არ დაგნებდები!
ქალს თვალებში აენთო ცეცხლის კელაპტარები...
ბედო, ზოგჯერ ღვთის შვილებს როგორ ეაფთარები,
გაუგონარ განსაცდელს რად მოუვლენ ამ
ქალწულს?
ირგვლივ ზღვაა ჰაერის, მას კი სუნთქვა არ ძალუძს.
რად არგუნე ტანჯვასთან გამუდმებით ჭიდილი?
აჰა, მზიან სხეულში ჩაწვა სუსხი სიკვდილის...
კაცი შეკრთა, ართქმული საწაული ხდებოდა, -
ნებით უსუნთქებელი მის ხელებში კვდებოდა.
უცებ თოფმა იჭექა, ციდან რისხვით მგრგვინავმა,
უკეთურის გულ-მკერდი სისხლით გადაინამა.
ხევს ჩამოჰყვა სირბილით თოფიანი იმედა,
ელდიანი მივარდა ძირს დაცემულ იელთან,
შეარხია, ეძახა, წყაროს წყალი ასხურა,
სული კი ვერ ჩაუდგა, სული, თითქოს, წასულა...
მაშინ გაჩნდა მათ თავზე ნისლისფერი ფრინველი,
მიაშურა ცისიას და გაქრა საკვირველი.
მყის შეტოკდა ქალწული და თვალები სმარაგდის
გაახილა, - შიგ ენთო მზე და ღღეცისმარადი.
ცას ახედა იმედამ: - „ჰოი, წმინდა მარიამ;
მე ღრუბლები მეგონა, სულები კი არიან“.
მალე მწუხრი ჩამოწვა, ჩამოეშვა ბინდი და
მზე ცის გაღმა გავიდა მთებზე ბეწვის ხიდითა.
ფრთხილად გაჰყვა ქალ-ვაჟი ბილიკებს და
წავარნებს,
მტრის დარაჯთა უჩუმრად მიაშურეს სავანეს.

XX

დილით ისევ გაჩაღდა ომი დაუნდობელი,
მედგრად იდგა სავანე, ხეობა და სოფელი.
მხარში ედგა მებრძოლებს მშვენიერი ცისია,
ჯეირანი ხარ-ლომებს წყლულს უხვევდა სისხლიანს.
თვალი ჰკიდა ქალწულმა გაფითრებულ ელიას,
სინანული შეატყო, კაცს თვალები სველი აქვს.

ელია

„ - უნდა შეწყდეს სისხლის ღვრა, სულს სწვავს
ყველა იარა,
ომით მიწას იგებენ, სასუფეველს კი - არა.
რწმენისათვის პირველი უნდა ევნოს მოძღვარი,
ხოლო მრევლი გადარჩეს, - ვატყობ, ამის დროც
არი“.
მიხვდა ქალი, მოძღვარი მიდიოდა ზვარაკად
და არავის მუდარას არ ჩათვლიდა არაფრად.
ქონგურებთან გაიჭრა მაშინ მზეთუნახავი,
შეაჩერდა მტრის ჯარი ანგელოზად მსახავი.
„ - ღვთის შვილებო, მიყვარხართ!“ - ცის ზარივით
გაისმა,
ბანი მისცეს ქედებმა, ტყემ, მდინარემ, დაისმა.
„ - ერთმანეთი გვიყვარდეს!“ - ისევ დაიწკრიალა
და ქალწული თითქოს და სხივად იქცა მთლიანად.
მტრის რაზმებში დუმილი იყო საღვთო ნიშანი,
სიყვარული, მშვენება ასეთი უშიშარი
ქვასაც სანთლად მოაქცევს, რომ სალოცავს
უღვენთოს,
მაგრამ ვაჰ, რომ წითლებში ბევრი იყო უღმერთო.
ჩახმახის ფეხს დააწვა მაშინ ერთი ავსული, -
ბედისწერამ მონახა ნაზი მკერდი ასულის.
მამობილის მკლავებში გადაიქცა დაჭრილი,
უმალ შორეთს შეირხა მისი სატრფოს აჩრდილი.

XXI

ხართაშვების დრო იყო, ჩამომწუხრდა დაისი,
მზე მთის წვერზე დასვენდა, გლოვის ზარი გაისმის.
შვიდი კუბო შვიდფერი შვიდჯერ გამოიცვალა
და მომავალ დილამდე მზე კვლავ გარდაიცვალა.
დღესთან ერთად მინავლდა ომის ზათქი, ქუხილი,
ღამემ მადლი მოისხა, - ჟამი იყო წუხილის.
საწაული ინება მაშინ უზენაესმა
და სულთმობრძავ ცისიას ვაჟიას ხმა ჩაესმა:
„ჩვენი ტრფობის სულ მწამდა, უკვდავების ღირსია...
ქორწილია დღეს ჩვენი... მოემზადე, ცისია...“
ხალხს და მოძღვარს ყოველი ამცნო მაშინ
ქალწულმა,
დაიჩოქა სუყველამ: დიდმა, მცირემ, ქალ-წულმა.
სოფლისაკენ გაგზავნეს უცნაური მაყარი,
უხმეს სადედამთილოს დათალხული ჭაღარით.
და როდესაც ცისიას მგლოვიარე შავქალი
თეთრი კაბით ეახლა, მთებმაც იწყეს კანკალი.
წამით ყველა გაშეშდა, ყველა გაშრა, გაქვავდა,
საქორწილო კაბაზე სისხლის ვარდი აყვავდა.
ეამბორა რძალს შუბლზე დედაბერი ცახცახით,
წამოდგა და ...ჩაბუქნა სისხლიანი ბალახი...
ჩირაღდანთა ალები და ჩრდილები ატოკდნენ,
თითქოს, მოხუცს აჰყვნენო, ჩვენდა დავრჩით
მარტოდენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენც ნელ-ნელა ავყევით როკვას სიცილ-ტირილით,
უცებ დასცხეს დაირას, ბუკმაც იწყო ყვირილი,
შემოსძახა გარმონმაც და გაჩაღდა ფერხული,
მე არ ვიცი, რა იყო ეს: თავზარი მეხური?!
შეშლილების გნიასი?! თუ სიკვდილის მარულა?! -
სიყვარულმა იმარჯვა და იდღესასწაულა.
მთვარე ჩუმად ტიროდა ნისლში განაელვები,
ვარსკვლავები ცვიოდა, როგორც ჯვარცმულს
ცრემლები.

## XXII

განთიადზე დავკრძალეთ თეთრი კაბით, მანდილით,
მიწის დაყრა მზე-ქალზე ო, არ იყო ადვილი,
უკვდავების კარიბჭეს ჰგავდა კუბო ახდილი,
დავხურეთ და დაადგა საიქიოს აჩრდილი.
კვლავ დაეწყვნენ პირისპირ მტრები ბრძოლის
წადილით,
მახვილები, თოფები კვლავ შემართეს ქადილით.
გაემზადა სიკვდილი, კარგი დავლა ეწერა, -
ყვავილები სიცოცხლის ისევ უნდა ეცელა.
მაშინ ამცნო თავისი ზრახვა ყველას ელიამ:
„ჩემი ჟამიც მოვიდა, დღეს სულეთში მელიან,
ადრეც მითქვამს თქვენთვის და ბევრი დამემოწმება,-
უნდა მოკვდეს მოძღვარი, რომ იცოცხლოს
მოძღვრებამ.
ნაკადი ჰქმნის მდინარეს, ღმერთის ახლავს თუ ნება,
წადით და დანაწილდით რწმენის ნაკადულებად!"..
მტერს ეახლა მოხუცი, ამით შეკრა ზავი და
ჯარმაც პირი იბრუნა, ქალაქისკენ წავიდა.
საღამოს ჟამს მცხეთასთან მიაღწიეს წითლებმა,
გამოსახა სამება მაშინ მოძღვრის თითებმა.
სვეტიცხოველ-ჯვარს შუა გზაზე დადგა ელია,
უყვირიან: „იარე!" იგი ფეხუცვლელია.
გადუჭირეს მათრახი და ის უცებ განათდა,
მერე ნელა აფრინდა ცის და მიწის სამანთან.
უმალ ჭექეს თოფები ჭადაროსანს საკვირველს,
კრაზანებმა ტყვიისამ, თუმცა, ბევრგან დაკბინეს,
ზეცად უფრო ამაღლდა კაცი მანათობელი...
დარჩა გველის ტყავივით დაბლა წუთისოფელი".

## XXIII

აქ გაჩუმდა ძიძია და შეხედა ყმაწვილებს.
მსმენელებმა კარგა ხანს თვალი ვერ მოაცილეს.
ყრმათა გულის ფიცარზე ალიბეჭდა ყოველი,
შეძრა, სულში ჩაუწვდა შაოსანი მთხრობელი.
დუმდა თავად არაგვიც, მანაც აყურიადა,
შემდეგ ისევ აჩქამდა, ვით სჩვევია ნიადაგ.

ძიძია

- ერთხელ, დიდი ხნის წინათ, ცას გაეხსნა კარები -
დაფრინავდნენ სულები ანთბული კვარებით.
ჩემს რძალს მაშინ დღე-დღეზე უნდა ემშობიარა,
ღამით მთვარემ გაგვიხმო, ეცვა ლურჯი ტიარა.
თეთრი ცხენი გაგვიძღვა ნანგრევებთან სავანის,
იქ, მდელოზე, ზეცის ქვეშ, დაგვხვდა თეთრი აკვანი.

ლელა იქ დაიბადა, სასწაულმა მიწია -
სწორედ იმ დღეს ოდესღაც გარდიცვალა ცისია.
მისი სული ჩასახლდა ჩემს ლელაში, ცხადია,
მთვარის თეთრი გიორგი მოევლინა ნათლიად.
მშვენებით და სინაზით ლელა მისი მსგავსია,
ოღონდ, ვინძლო, ასცილდეს ბედი ცისიასია,
ჩემი ბედიც ასცილდეს და მზექალას ბედიცა,
ამდენ ტანჯვა-დაგვაში მე განგების ერთი ვცან:
ავ დროსა და ქვეყანას არა სწყალობს უფალი,
ვერ იქნება ის ხალხი ლაღი, თავისუფალი.
არც ჩვენი დრო ყოფილა ღირსი ბედნიერების,
ღვთის მადლი და კურთხევა ანკი ახლა გვეგების?!
ერთი გმირი, წმინდანი, ანდა ერთი გენია
ათასების ცოდვას წმენდს, ზეცის მადლი ჰფენია.
მინდა, ღმერთმა ინებოს შეცვლა ბედის დინების,
მინდა, ლელას შეესწროს ჟამი აღორძინების..."
უცებ, თითქოს, განათდა ჭალა ბალახიანი,
თითქოს, გედი მოფრინდა თეთრი, ყალამქრიანი,
ყმაწვილქალი გამოჩნდა, თლილი, კალმით ნახატი,
ანგელოზთა კრებულში ხატზე გამოსახავდი.
მოგვესალმა ლურჯთვალა, ბებოს მიეგუგულა,
დედაბერი წამოდგა, ფიჩხი აიზურგულა
და გაისმა მის მკერდზე უცნაური რაკუნი...
თურმე, ქვები ჰკიდია, თურმე, ითმენს რა გულით:
წვრილი ძაფი კისერში ძვლამდე არის ჩასული, -
ასე ქმარ-შვილს გლოვობს და თავს იტანჯავს
წარსულით.

## XXIV

ვბრუნდებოდით ქალაქში, გვაცილებდა არაგვი,
მთაზე იწვა დაკლული მზე - დაისის ზვარაკი.
უკვე სხვანი ვიყავით, ჩვენი სულის სამანი
ცამდე აწეულიყო, სხვა გზა გვქონდა სავალი.
ყმაწვილები ვიყავით, თუმც, ოც-ოცი წლისანი
და მამულიც ჯერ იყო იმპერიის ხიზანი,
გაჩნდა დიდი მიზანი, მივხვდით, რაა მთავარი,
ჩვენ ვიგრძენით წარსული, აწმყო და მომავალი.
ვბრუნდებოდით ქალაქში, გვაცილებდა არაგვი,
ციხე მთაზე მთვლემარე, ვით დაღლილი აბრაგი,
გვაცილებდნენ თელები, დევებივით აღნაგი,
წინაპართა აკლდამა, წმინდა ძვალთშესალაგი.
/სიო დაქრის სნეულთა ძველ სამარხთან კანკალით,-
დედა-შვილის ჩონჩხია დაფოთრილი აკვანით/.
როცა საარაგვოდან მცხეთისაკენ დავეშვით,
ათამაშდნენ ჭინკები უცებ ლიას თვალებში:

ლია

- გამოგვყევით მაყრებად! ჩვენ ვართ ამის
მთხოველი,
მე და გიოს ჯვარს დაგვწერს ხვალე სვეტიცხოველი!
მეორე დღეს ზეცაში გუგუნებდნენ ზარები,
იყო სიხარულის და სიყვარულის დარები.
იყო ოთხმოციანი წლის გიზგიზა ივლისი,
ლამის აფრენილიყვნენ გუმბათები თბილისის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



## XXV

ჩვენი დამქამკრებელი - ბედი შემდგომ რა იქნა?:
განვლო ათმა წელმა და იმპერია დაინგრა.
სწორედ ისე დაინგრა, როგორც სხვა დანგრეულა,
როგორც მალე მოელით დარჩენილებს ეულად.
მიაშურეს ხალხებმა მშფოთვარ ნავსაყუდელებს
და საზღვრები ერთმანეთს ისევ გადაუთელეს.
კვლავ მშვიდობის ჯებირებს გადმოასკდა სიავე,
წაილეკა სიკეთე, მტრებმა გაანიავეს.
მოსწვდა კავკასიონსაც ცეცხლის ალი ახალი,
შინაურს თუ გარეულს ჩვენც ვუშიშვლეთ ფარ-
ხმალი.
სრულდებოდა ხანძრებით, გოდების ხმა მოჰქონდა,
საუკუნე მეოცე - საქართველოს გოლგოთა:
მეოცეში დავკარგეთ ტანჯული და ჯვარცმული
მეხუთედი ერის და მეხუთედი მამულის!
გადარჩენილს უშველის მხოლოდ სულის ჯავარი,
სული იცავს მიწა-წყალს, სული არის მთავარი.
ხშირად მომგონებია არაგველი მთხრობელი,
გულში ჩამრჩა ისე, ვით ჯვარი, სვეტიცხოველი.
ვერც მოხუცის გავიგე, ვეღარც იმ ქალწულისა,
მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ იყო ნება უფლისა
ქვეყნად გავარდნილიყო უცებ ლელას სახელი,
აფხაზი მეომრები იყვნენ ამის მნახველი.

## XXVI

ჯერაც კვამლი სდიოდა ჩვენს ნაომარ ედემს და
ორივ მხარე ეძებდა ტყვეებსაც და ცხედრებსაც.
შეჰღმუოდა ზღვა მიწას რისხვით და გაავებით,
ცოდვის გამონარიყი - ტივტივებდნენ გვამები.
ქვანახშირის შახტებში შეერეკათ ტყვეები
და დიოდნენ უმზეოდ თვეები და დღეები.
სულში ჩაფურთხებულებს მოელოდათ ყულფები,
შორით იჭმუხნებოდნენ თბილისს სქელი შუბლები,
საზარბაზნე ხორცით და მოლაქლაქე წურბლებით
უხვად გავსებულიყო დახლი ხელისუფლების.
ერთ დღეს, დილაბინდისას, შახტის რკინის კარებთან
გაჩნდა მზეთუნახავი, განცდა აკანკალებდა.
გაჩნდა, როგორც ტყის ქალი ზღაპრებიდან მოსული,
როგორც დალი გამწყრალი, მკაცრი და მარტოსული.
დარაჯს ჯიქურ მიადგა შმაგი, არა ქურდული,
აიძულა ყუმბარით რომ გაეღოთ ურდული.
შიშმა მშვენიერების გააოგნა მოყმენი,
ომშიაც არ ყოფილან ამდაგვარის მოწმენი.
მაღაროში შევიდა, შეანათა მზესავით,
შეხვდა ტყვეთა თვალები, გამყინავად მკვესავი.
- ლელავ, შენა? - ვიღაცამ იგუმანა და იცნა,
გულწასული ქალწული ყრმის მკლავებში ჩაიქცა.
რა ხევები ეარა, რა ველები, რა მთები,
ან რა ძალით შეიძლო? ან ვინ იყო თავმდები,
იპოვიდა სიყვარულს ტყვედქმნილს
საქართველოდან?
ან კი ახლა ორივეს რა სვე-ბედი ელოდა?
განა გუშინ არ იყო ცოდვის კალოს ტრიალი?:
ქალწულების წაბილწვა, თმებზე ცეცხლის ბრიალი,
დაგორება თავების და ტყვიების თავთუხი,
გამოჭრილი ყელები და ენების ჰალსტუხი?!
სასწაული ეგონათ და საიდან? და ვისით?
ჯეირანი აფთრებში რად მოვიდა თავისით?
სიყვარულთან მოვიდა სპეტაკი და ალალი, -
ხელყუმბარის სახლეტში გამოესკვნა დალალი.
ჩაიხუტეს ყუმბარა განსაცდელში ჩვილივით
და ელოდნენ განაჩენს ჩუმად, არა ჩივილით.
გიზგიზებდნენ დარაჯთა და ტუსაღთა თვალები,
დაიყეფა ურდულმა და ჩაკეტეს კარები.

## XXVII

მთელ ქვეყანას მოედო საკვირველი ამბავი -
ქალწულის სიყვარულის, ყუმბარის და ნაწნავის.
მასმედიამ მსოფლიოს უმალ ამცნო ყოველი,
ბევრი გაჩნდა თავმდები, პატიების მთხოველი.
სასიკეთოდ დაქროდნენ შერიგების ქარები,
მტერმაც იგულხმიერა, გახსნეს ციხის კარები.
და როგორაც ნაზამთრი იბადება იელი,
მიწის ამომნგრეველი, მაღლა მზეს რომ მიელის,
სამზეოზე ამოჩნდნენ უცებ ნებიერები,
გუშინ უბედურები, დღეს კი ბედნიერები.
მოჰყვებოდნენ საზღვრისკენ დაბა-სოფლებს
დანგრეულს,
ატირებულ გუმისთას, ფსოუს, კოდორს და ენგურს.
ღმერთს მადლობას სწირავდნენ, ლოცვა გულით
ეწადათ,
მაგრამ ვერ გაებედათ, მაგრამ ვეღარ ეცადათ.
შემოვიდნენ მამულში და არც იქ ულოციათ,
მიწას არ დამხობილან და არ ჩაუკოცნიათ.
სულ სხვა არე ეწადათ, სხვა ბჭე და ამბიონი,
და როდესაც თბილისში მტკვართან ნახეს სიონი,
ნახეს მინარეთის და სინაგოგის კედლები,
იქ დავარდნენ მუხლებზე ლოცვითა და ვედრებით.
ლოცულობდნენ ერთ ღმერთზე, ყველა ხალხის
უფალზე,
დიად სიყვარულზე და მარად თავისუფალზე.
ან რა გასაკვირია? რაა გასაოცარი? -
იყვნენ შთამომავლები ხომ ელია მოძღვარის.
სიდიადის ნგრევა და სიდიადის შენება
არის კაცობრიობის სირცხვილი და მშვენება.
ყველა სენზე, სახადზე უფრო საშინელია
სიძულვილი, რომელიც სულში მწოლი გველია.
უსრულობას განიცდის ყველა ადამიანი,
ვისაც კი აქვს გრძნობა და ვინაც კია ჭკვიანი.
სივრცე ზღვაა უსაზღვრო, დროა თეთრი თოლია,
მიფრენს, მარადისობის ნაკვალევზე მქროლია.
არვინ უწყის არც თავი და არც ბოლო ყოველის,
მე მაინც მწამს და იმ დღეს სასოებით მოველი:
ღმერთი მზედ ჩაგვიდგება ფიქრებში და აზრებში,
როცა ლოცვას ვისწავლით ერთმანეთის ტაძრებში.

*1997, 7 მაისი - 7 სექტემბერი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნუნუ ქადაგიძე



## გაცოცხლებული მუმია

ფრინველივით ჟღურტულებდა პატარა შადრევანი, ჰაერში ნარნარად ირწეოდა, ათასგვარ მშვიდ ბგერად და ბროლის წინწკლებად იფრქვეოდა. შადრევნის გვერდით გაშლილ ჭილობზე ვიღაც ხმელ-ხმელი აღნაგობის ჟღალწვერიან კაცს ჩაემუხლა; იფიქრებდი, ლოცულობსო, თვალები ისე მიელულა, მაგრამ მე უკვე ვიცოდი, რაშიც იყო საქმე; ოქროპირი შადრევანს უსმენდა... და არა მარტო უსმენდა, არამედ ემუსაიფებოდა კიდეც. ამ დროს სულაც არ ენაღვლებოდა, თუ შემთხვევით ვინმე გახდებოდა ამ უჩვეულო საუბრის მოწმე. ეს ყველაფერი უკვე გაგებული მქონდა ნიაზის წყალობით. ამიტომ არ გამკვირვებია, როცა ჟღალწვერიანმა უეცრად, თითქოს დაწყებულ საუბარს აგრძელებსო, ასეთი რამ თქვა:

– ... ჰო, მაგრამ მე მინდოდა გამეგო, ახსოვს თუ არა საკუთარი თავი. ჩვენ ხომ არაფერი გვახსოვს ჩვენი წინანდელი ცხოვრებიდან, არ გვახსოვს არაფერი... არ გვახსოვს არაფერი...

სიტყვა გაწყვიტა, ისევ წინანდებურად გაირინდა თვალებმილულული. მე და ნიაზი შესასვლელში შევჩერდით. თუ დამსწრეებს არად აგდებდა ჟღალწვერიანი ოქროპირი, იმას კი ველარ იტანდა, ვინმე რომ ჩაერეოდა საიდუმლო საუბარში. ესეც ნიაზისგან მქონდა გაგებული. ძალზე ენაწყლიანი ყმაწვილი გამოდგა. ერთი საათიც არ იყო გასული, რაც ერთმანეთი ვნახეთ, და იმდენი რამე ჩამიკენჭა აქაურობის შესახებ, თითქმის ყველაფერზე მქონდა ზოგადი წარმოდგენა. უპირველეს ყოვლისა, გამაფრთხილა ნიაზმა, არამც და არამც თვალში არ შეეჩხირო ოქროპირს, დაიცადე, სანამ თვითონვე შეგამჩნევდესო.

– ... მუმია დიდებულად იყო შენახული, რას ვიფიქრებდი, ასე კარგად თუ შეინარჩუნებდა სიცოცხლის უნარს. ხუმრობა ხომ არაა... სამი ათასი წლის წინათ გარდაცვლილი სხეული... ძველმა ქურუმებმა და გვამის შემმურველებმა იცოდნენ თავიანთი საქმე. მკვდარ სხეულში უამრავი ცოცხალი უჯრედი იყო...

როყიოდ დაიჟღერა ამ სიტყვებმა ირგვლივ გამეფებულ მდუმარებაში... სიტყვებმა, რომლებიც არავისკენ არ იყო მიმართული. შადრევანი ვერ ჩაითვლებოდა ანგარიშგასაწევ მოსაუბრედ. ყოველ შემთხვევაში, მაშინ ასე ვფიქრობდი... ჯერ კიდევ ბევრ წყალს უნდა ჩაევლო /თუნდაც ამ პატარა შადრევნის მიერ ამოფრქვეულ წყალს თუ ვიგულისხმებთ/, სანამ ყოვლად უცნაურ მოვლენათა მთელი ჯაჭვი თავისთავად არ ცხადყოფდა ჭეშმარიტებას, რომ ხანდახან, მოცალობის ჟამს, შადრევანთანაც შეიძლება გასაუბრება. თურმე ბგერათა რა ამოუცნობი რებუსები იმალება ამ მშვიდ ჟღურტულსა და ჩურჩულში, რამდენი უცნაური ქარაგმაა მათში ჩაქსოვილი. და ვინ იცის, რამდენ საოცრებას უამბობს, ვისაც მისი მოსმენა ხელეწიფება. ბევრ რამეს მოეფინება ნათელი, თუ ყურს გულდადებით მიუპყრობ მის იდუმალ მუსაიფს და სიცილს... დიახ, სიცილს... თურმე სიცილიც შეეძლო ამ პატარა შადრევანს, ასე მშვიდად მოჟღურტულეს. მერე როგორი სიცილი! ნამდვილი მეფისტოფელური, ეშმაკთან წილნაყარი სიცილი, ძარღვებში სისხლს რომ გაგიყინავს და სიკვდილ-სიცოცხლის მიღმა გადაგახედებს... თურმე სწორედ მისი მოსმენა უნდა მხვდომოდა წილად.

ისევ დადუმდა ოქროპირი. ახლა შადრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანის ჯერი იყო, მას მიაპყრო მზერა... ჩამოვარდნილი სიჩუმე ისევ შეავსო შადრევნის ქღურტულმა. იქაურობას თვალი მოვავლე; წრესავით მრგვალ ფართო დარბაზში ვიმყოფებოდით, თავს ნაცრისფრად შეფეთქილი მაღალი თაღი დაგვყურებდა. საერთოდ, ირგვლივ ყველაფერს ნაცრისფერი ედო, ქვის გლუვ იატაკსაც და იმ მომცრო აუზსაც, სადაც შადრევანი ჩქეფდა. კედლების გასწვრივ რამდენიმე ღრმა წალო იყო გამოყვანილი, რომლებსაც შავი ხავერდის ფარდები ეფარა. ეს მრუმე ღამისფერი ლაქები როგორღაც ავბედით იერს აძლევდა ამ ნაცრისფერ გარემოს, თუმცა, უნდა ითქვას, ერთგვარ პეწსაც არ იყო მოკლებული აქაურობა. ყველაფერს მზრუნველი ხელი ეტყობოდა. ხავერდის ფარდებზე მტვრის ნასახსაც ვერ შენიშნავდი. ჭილობს ოქროსფრად გაუდიოდა ბზინვა. ქღალწვერიან ოქროპირსაც ახალთახალი ხალათი ემოსა, ოქროსფერი ნაყშებით მოხატული და ოქროსფერივე შესაბნევებით შემკული. ჭილობი და ხალათი ერთგვარად ამსუბუქებდა იმ მძიმე შთაბეჭდილებას, რასაც ეს პირქუში ნაცრისფერი სენაკი ტოვებდა მნახველზე. ამასთან ერთად, ძალზე შეხამებულიც იყო აქაურობასთან ეს წვერიანი პატრიარქი. რაღაცნაირი მოშვებულობა თუ მოღვენთილობა იგრძნობოდა მთელ მის გარეგნობაში. როცა ჭილობზე გართხმულს დავყურებდი, უნებურად ხვიარა მცენარე გამახსენდა, დამოუკიდებლად წელს რომ ვერ იმაგრებს და აუცილებლად სხვა ცოცხალ არსებაში უნდა ჰპოვოს საყრდენი.

– ... თუ ამასაც არაფერი ახსოვს, მაშინ არ ყოფილა საშველი და ესაა... არ ჰქონია ადამიანის სულს მეხსიერება ისე, როგორც ცეცხლის ალს არ აქვს მეხსიერება...

ამას რომ ამბობდა, თავი სევდიანად გადაიქნია ოქროპირმა. ქღალმა ფთილებმა გაიფრიალეს, თავსაც ხომ ხშირი ქღალი თმა უფარავდა. თითქოს მისი სიტყვების პასუხად, საოცრად მუსიკალური, ჰარმონიული ხმით დაიქღურტულა შადრევანმა, გეგონებოდა, ხმადაბლა კისკისებსო. იმავე წამს, გაავებულმა, გამყინავი ხმით წარმოთქმულმა სიტყვებმა დაფარა ჰარმონიული ნარნარი ბგერები; შეწყვიტა შადრევნის იდუმალი კისკისი.

– ... ნუ მეკამათები, თუ ღმერთი გწამს, ნუ მეკამათები. თავი მოიკლა მისი გულისთვის, ისე ძალიან უყვარდა. რაო, ესეც დაავიწყდებოდა? არა მგონია... რაღას უყურებთ, შემოიტანეთ!

ბოლო ორმა სიტყვამ სულ სხვა კილოთი დაიქღერა. ნიაზი მაშინვე ადგილს მოსწყდა და გარეთ გავარდა. მეც მივყევი. თურმე ჩვენ გვეკუთვნოდა ის ორი სიტყვა. ნიაზმა ფაცაფუცით გააღო მანქანის კარი, ორივემ შეერთებული ძალით გადმოვათრიეთ ჭრელ ნოხში საგულდაგულოდ შეხვეული მუმია, მომცრო კატაფალკზე დავდეთ და ნაცრისფერ სენაკში შევაგორეთ. ჩემდა გასაოცრად, ამჯერად სენაკში კიდევ ერთი ადამიანი დაგვხდა; ეს გახლდათ ათლეტური აგებულების, თითქოს ბრინჯაოსგან ჩამოსხმული ჭაბუკი, გრძელი შავი თმა მხრებზე ეფინა, ყურებში ოქროს რგოლები გაეყარა, წელამდე შიშველს მუქი წითელი ფერის შარვალი ემოსა. ყველაფერ ამას, ალბათ, მორკალული სპარსული ხმალი დაამშვენებდა, მაგრამ ხმალზე რატომღაც უარი ეთქვათ. ჭაბუკს ხელები ისე ჩამოეშვა, თითქოს მზადაა, ვიღაცას ყელში სწვდესო. ცისფერგარსიანი თვალები ქღალი პატრიარქისთვის მიეშტერებინა.

როცა გამოვდიოდით, ნიაზს ბევრად გავუსწარი. ამას მოგვიანებით მივხვდი; მაშინ, როცა სამიოდე წამი ველოდე, სანამ ისევ დავინახავდი. ხაზგასმული სიდინჯით გამოვიდა კარიდან, სახეზე დამცინავი ღიმილი უკრთოდა.

– შენ თუ ასე დაფეთდი ყველაფერზე, სად წახვალ თუ იცი? – მითხრა და მანქანის კაბინაში მოიკალათა.

მე ღრმად ამოვისუნთქე და მის ამ სიტყვებზე უნებურად თვალი ჰორიზონტისკენ გამექცა. მართლაცდა, სად წახვალ... უდაბნოს შუაგულში ვიყავით, უდაბნოს ყვითელი რკალი გვერტყა ირგვლივ, ერთიანად ქვიშისა და ბარხანებისგან შეკრული ყვითელი რკალი, თავზე მზის გავარვარებული დისკო დაგვნათოდა...

ოაზისი იყო ერთადერთი ადგილი, სადაც ამ ქვიშის უსაზღვროებაში ჩაკარგულ თვალს შეეძლო დაესვენა და სულს შვება ეგრძნო. აქ მოჩქეფდა პატარა მდინარე და მის ნაპირას ღვიოდა სიცოცხლე. ხავერდივით ღაღანებდა სიმწვანე, ჰარმონიულ მუსიკასავით ტკბილი ხმით ჩქაფუნობდა პატარა შადრევანი ნაცრისფერ სენაკში. ამ წუთას, როცა უდაბნოს უსაზღვრობას გავცქეროდი, განსაკუთრებით მომესალბუნა მისი ხმა...

არა, წასასვლელი არსად მქონდა. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ამაზე ლაპარა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



კიც ზედმეტი იყო, სულ მცირე, სამი თვის განმავლობაში მაინც... ექსპედიცია, რომელსაც მე გამოვყევი ვითომდა უდაბნოს ქანების შესასწავლად /სინამდვილეში კი უფრო უდაბნოს ეგზოტიკა მიზიდავდა/, ახლა უკვე შორს იყო აქედან. ჩემდა სავალალოდ უნდა ვაღიარო, რომ ვერ გამოვდექი მოგზაურად. ვერ ვივარგე უდაბნოსთვის. ერთია, როცა ეკრანზე ანდა ფერადნახატებიან წიგნში შეჰყურებ უდაბნოს, მაგრამ, თუ მართლა მოინდომებ ქვიშის ბარხანებზე გასეირნებას, ეს სულ სხვა რამეა. ეს ყველამ კარგად უნდა იცოდეს და გულში ჩაიბეჭდოს, რათა ჩემნაირ დღეში არ აღმოჩნდეს. ჩემს დღეში არ დამელია იმდენი წყალი, რაც მაშინ დავლიე. მუცელში წყალს ჭყაპაჭყუპი გაუდიოდა, მე კი ისევ მწყუროდა და წყალს მოვითხოვდი. ბოლოს უარი მითხრეს, გეყოფაო. ლამის ტკიპასავით ვიყავი იმ ბალონზე მიკრული, რითაც წყალი მოგვქონდა, მოჯადოებულივით ვეღარ ვშორდებოდი, სხვა რამეზე ფიქრი აღარ შემეძლო... ის იყო, ჩემს უკანვე გაგზავნას აპირებდნენ, პალმების მწვანე კენწეროები გემის აფრებივით რომ ამოცურდა ყვითელი ქვიშის ზღვაში... ასე უდავიდარაბოდ მომიშორეს თავიდან, დამტოვეს მზის ოაზისში, თანაც დამპირდნენ, აქეთობას ისევ თან გაგიყოლებთო.

სიტყვაც არ მითქვამს საწინააღმდეგოდ, კმაყოფილი ვიყავი, საქმე რომ ასე შეტრიალდა. სამოთხეს ჰგავდა აქაურობა. ნიაზიც იმავე დღეს გავიცანი; მდინარის პირას შევხვდი, მანქანით მოგრიალდა და ბალონს წყლით ავსებდა. გამომელაპარაკა... ამ პატარა ოაზისში თურმე ყველა იცნობდა ერთმანეთს და ჩემი გაცნობაც მოინდომა. მერე კი შემომთავაზა, დამხმარედ აგიყვანო, მეც მეტი რა მინდოდა... მართალია, ჩემი სამყოფი საკვები თან მქონდა; ჩემი წილი კონსერვების /და უფრო მეტიც/ მარაგი დამიტოვეს, მშვენიერი პატარა კრავიც, ცოტაოდენი ფულიც მიჩხრიალებდა ჯიბეში, მაგრამ სამუშაოზე უარის თქმა წუთითაც არ მიფიქრია; დრო უფრო სწრაფად გავიდოდა, ცოტა შემოსავალიც მექნებოდა... რა იცი, რამდენ ხანს დაიგვიანებდა ექსპედიცია? მით უმეტეს, სამუშაო დიდად საძნელო არ იყო. მე და ნიაზი ყოველდღე მივემგზავრებოდით მზის ოაზისიდან /ასეთი პოეტური სახელი ერქვა აქაურობას/ აღმოსავლეთით, ამომავალი მზის მიმართულებით. დაახლოებით ორი საათის სავალ მანძილზე დიდი გათხრები მიმდინარეობდა; მთელი ქალაქი აღმოეჩინათ... მეტისმეტად მდიდარი სამარხები, დიდი ხნის წინათ ქვიშის ზღვაში შთანთქმული. სამარხების უმეტესობა ადრევე გაეძარცვათ, მაგრამ გაუძარცვავიც ბევრი გადარჩენილიყო და იქ აღმოჩენილი სიმდიდრე ძალზე შთამაგონებელი ციფრებით განისაზღვრებოდა. გაუძარცვავ სამარხებში საგულდაგულოდ შემურვილი მუმიები ესვენა. სპეციალისტები ამბობდნენ, რომ ახლად აღმოჩენილი მუმიების შემურვის წესი რაღაცით ენათესავებოდა საყოველთაოდ ცნობილ ძველეგვიპტურ წესებს, მაგრამ, ამავე დროს, ბევრი რამით განსხვავდებოდა კიდეც მისგან. თუ რაში მდგომარეობს ეს განსხვავება, მომავალი კვლევა-ძიების შედეგები გვიჩვენებსო, ამბობდნენ. ზუსტად ასეთივე აზრს გამოთქვამდნენ აკლდამებში აღმოჩენილი ნივთების და ძვირფასეულობის შესახებ. ხალხი ფუტკარივით ეხვეოდა იქაურობას, გასაშლელი კარვების მთელი რიგები იდგა, რამდენიმე ასაწყობი სახლიც დავლანდე... მე და ნიაზს მანქანიდან გადმოგვქონდა ახალი ხილი, წვენები, პროდუქტები და თავშეყრილ მკვლევარებს ვურიგებდით. უკან დაბრუნებისას თან მოგვქონდა ზოგიერთი აღმოჩენილი ნივთი ანდა რომელიმე მუმია, სქელ ნოხში საგულდაგულოდ შეფუთული.

გულზე მძიმე ტვირთი მეხსნებოდა, როცა ისევ დავინახავდი მწვანე თაღებივით აღმართულ პალმებს. როგორ ესალბუნებოდა სულს და გულს მათი ხილვა იმ ქვიშის ზღვაში მოგზაურობის შემდეგ! ნიაზი რაღაცას უსტვენდა და მშვიდად ატრიალებდა საჭეს, მანქანის ფართო საბურავები წყნარად შრიალებდა. ცოტაც და სამოთხისებურ სიმწვანეში შევგრიალდებოდით... მართლაც სამოთხესავით მშვენიერი იყო აქაურობა, რაც დრო გადიოდა, მით უფრო მომწონდა. პალმების ხეივანი როგორღაც განსაკუთრებული სიმშვიდის და სიმყუდროვის განწყობილებას ქმნიდა, რასაც კიდევ უფრო აძლიერებდა პალმების თაღებში სურათივით ჩადგმული ძველისძველი ტაძრის ნანგრევები. პალმების ხეივნიდან ამ ნანგრევების გარდა არაფერი მოჩანდა, აქედან ვერც ერთ სხვა ნაგებობას ვერ დალანდავდი, ნაგებობანი კი მზის ოაზისში მრავლად იყო, აქაურობა უამრავ მკვლევარ-მეცნიერს აევსო, მომცრო თეთრ კოტეჯებში ცხოვრობდნენ, პალმების

ხეივნიდან კარგა მოშორებით. აქედან მათ თვალსაც ვერ მოჰკრავდი. ალბათ, ამიტომაც სუნთქავდა აქაურობა რაღაც განსაკუთრებული სიმყუდროვით. მე და ნიაზი აქ ხშირად ვსეირნობდით.

ერთხელ ნიაზმა გაიხსენა, თუ როგორ დავფრთხი იმ დღეს ნაცრისფერ სენაკში და ასეთი რჩევა-დარიგებით ამავსო: არასოდეს არ შეიმჩნიო, თუ რაიმე გაგიკვირდება ან გეუცხოება, ანდა, ვთქვათ, სასაცილოდ გეჩვენება, თორემ იმ დღიდანვე, იცოდე, ფეხსაც ველარ შედგამ მზის ტაძარში, ოქროპირს ეგეთები არ უყვარსო.

მზის ტაძარში! რა ამაყად, რა მშვენივრად ჟღერს. მერედა, რას წარმოადგენს ამჟამად, რა არის მისგან დარჩენილი?.. ვინ იცის, ერთ დროს რა დიდებული ნაგებობა იყო, ხუროთმოძღვრების ნამდვილი სასწაული. მის წარსულ დიდებაზე იმ სვეტის ნაშთიც აშკარად მეტყველებს, რომელსაც ხუთი კაციც ძლივს შემოაწვდენს ხელს... მთელი ამ დიდებულებიდან ერთადერთი ნაშთი გადარჩენილა უვნებლად, სწორედ ის, სადაც ახლა ოქროპირის ნაცრისფერი სენაკი გახლავთ, შიშველი ნაცრისფერი კედლებით, ქვის იატაკით... ერთ დროს თურმე აუწონელი სიმდიდრე ყოფილა თავმოყრილი ამ ტაძარში. აქ მზის ხატება სუფევდა, მზის ხატებას კი, ოქროს გარდა, სხვა რაიმე მასალას ვერ შეჰკადრებდნენ. ოქრო იგივე მზის სხივია, ოღონდ მყარ მდგომარეობაში, ასე ღაღადებდნენ მზის ტაძრის ქურუმნი; მათ ერთიანად მოოქროვილი სამოსი ეცვათ, თმაზე და გრძელ წვერ-ულვაშზე ოქროს მტვერი ეყარათ ღვთისმსახურების აღსრულების დროს /აქ უნებურად ოქროპირი გამახსენდა თავისი ქლალი თმით და წვერ-ულვაშით. აი, ვის მოუხდებოდა ოქროს ფხვნილის დაფრქვევა!/... განსაკუთრებით ნაცრისფერი სენაკი ამიწერა ნიაზმა დაწვრილებით. ისე აღწერდა ყველაფერს, თითქოს საკუთარი თვალით ენახა. იგი თურმე საიდუმლო ღვთისმსახურებისთვის ყოფილა განკუთვნილი და მისი მორთულობაც იშვიათი სინატიფით და სიმდიდრით გამოირჩეოდა. იატაკზე ეგო წმინდა ვერცხლის ფილები, თითქოს ყინულზე დადიოდი... კედლებზე ბაჯაღლო ოქროს ფიგურები და ბარილიეფები იყო გამოყვანილი. მაღლა კი, თაღქვეშ, პატიოსან თვალთა თაიგული ყოფილა ჩამოკიდებული. და ეს წნული ნამდვილ მზესავით ბრწყინავდა, რამეთუ მუდამ განათებული იყო გუმბათში საგანგებოდ დატოვებული ღრიჭოებიდან შემოჭრილი მზის სხივების კონებით. ღრიჭოები ისე ყოფილა განლაგებული, რომ, თუ ერთი მათგანიდან შემოჭრილი მზის სხივი გადაინაცვლებდა, მაშინვე მეორედან შემოჭრილი სხივის კონა იკავებდა მის ადგილს. სარკეების მთელი სისტემაც უწყობდა ხელს, მუდამ განათებული რომ ყოფილიყო ძვირფასი თვლების თაიგული. ამიტომაც მზის ტაძარში მუდამ ენთო მეორე მზე, ნამდვილ მზესავით ბრწყინვალე და დიდებული. ის პატარა შადრევანი მაშინაც ჩქეფდა, ოღონდ აუზის ნაპირები ზურმუხტით იყო მოპირკეთებული, ხოლო მის ფსკერზე ნამდვილი მარგალიტები ეყარა. აქ გაისმოდა მზის ღვთაების სადიდებელი საგალობლები, აქ იმართებოდა საზეიმო ღვთისმსახურებანი, მრავალი საოცრებანი იხსამდა ხორცს ადამიანის თვალის სახილველად, რომელთა საიდუმლოც თან წარიტანეს ოქროს მტვერდაფრქვეულმა ქურუმებმა.

* * *

ფიქრებში წასული ვცდილობდი, რაც შეიძლება ცხოვლად და მკაფიოდ წარმომედგინა მზის ტაძრის წარსული დიდებულები, ოქროსთმიან ქურუმთა იდუმალი წესთაღსრულება. განა ცოტა რამ დაკარგულა, უკვალოდ ჩანთქმულა წარსულის ბურუსში; იქნებ აქ ბევრი ისეთი რამ იცოდნენ, რაზედაც დღევანდელ სწავლულებს წარმოდგენაც არ აქვთ. ვინ იცის, რამდენ საინტერესო, უიშვიათეს საიდუმლოს იანხავს ნაცრისფერი სენაკის კედლები.

– იმ ძველ ქურუმებს მუმიის გაცოცხლება და ალაპარაკება შეეძლოთ, – თითქოს ჩემს ფიქრებს გამოეხმაურა ნიაზი. – თუმცა ჩვენს ორ მეგობარსაც ნუ ეხუმრები, მაგდენი მაგათაც შეუძლიათ და უფრო მეტიც...

მე სიტყვა შევაწყვეტინე, ვკითხე: რომელი მეგობრები ჰქონდა მხედველობაში.

– ოქროპირი და სოლომონი, – მითხრა სიცილით. – აბა, ერთი კარგად შეხედე, მეგობრებს არ ჰგვანან? ოღონდ ოქროპირი ანთებული მეგობარია, სოლომონი – ჩამქრალი...

– სოლომონი ვინღაა, ბრინჯაოს ქანდაკება?

– სწორედ ეგაა, – თავი დამიქნია ნიაზმა. – თუმცა მეორეხარისხოვანი ფიგურაა მთელ ამ ამბავში, იგი ეხმარება ანთებულ მეგო-

ზალს თავისი კუნთების ძალით და კიდევ... სასიცოცხლო ძალით, ეს მხოლოდ მათთვისაა ცნობილი... მთავარი გმირი თვითონ ოქროპირია; საკმარისია, ორიოდე ცოცხალი უჯრედი მაინც აღმოაჩინოს დიდი ხნის წინათ გარდაცვლილ სხეულში, მეტიც არ უნდა. ისე წამოახტუნებს ფეხზე, თითქოს ღრმა ძილიდან გამოაფხიზლაო.

აქ მე ვუთხარი, რომ მსგავსი ცდები დიდი ხანია მიმდინარეობს სუფთა მეცნიერულ საფუძველზე, ამის შესახებ პერიოდულ პრესაშიც იბეჭდება.

– ეგ არაა მთავარი, – ცხარედ შემესიტყვა ნიაზი, – ოქროპირი ამას რაღაც სულ სხვანაირად ახერხებს, რაღაც განსაკუთრებული მეთოდები აქვს. ამბობენ, თითქოს, – აქ ირგვლივ მიმოიხედა ნიაზმა. – სწორედ იმ ძველი, მზის ტაძრის ქურუმების საიდუმლო მიეკვლიოს... ეგ და სოლომონი რაღაც ქაჯურ ფხვნილებს ამზადებენ; ერთი წითელი ფერისაა, მას სიცოცხლეს ეძახიან, მეორეს, თეთრი ფერისას, სიკვდილი ჰქვია. მერე ამ ფხვნილებს ცეცხლში ყრიან... ერთი სიტყვით, როცა იქნება, შენი თვალით ნახავ, ჩემი ნაამბობი შეიძლება არ დაიჯერო...

– მერედა, როდის ვნახავ?

– მალე, სულ მალე. ამას წინათ აკლდამაში ერთი ისეთი მუმია აღმოაჩინეს, რომელიც ძალიან აინტერესებდა ჩვენს მუგუზალს, ხვალ თუ ზეგ სწორედ ჩვენ მოგვიხდება მისი გადმოტანა...

– საინტერესოა, რაზე ლაპარაკობს მკვდრეთით აღმდგარი მუმია, – ვთქვი მე, თან გამაჟრჟოლა ამის წარმოდგენაზე. – ნეტავი თუ ახსოვთ რაიმე...

– შეიძლება მთელი განვლილი ცხოვრება გაიხსენონ ანდა ნაწილობრივ ახსოვდეთ რამე. არც ისაა გამორიცხული, რომ სულაც ვერაფერი გაიხსენონ. ტვინი ყველაზე უფრო მოწყვლადი ორგანოა ადამიანის ხეულში, – ნიაზმა უნებურად შუბლი მოისრისა. – ტვინი და მეხსიერება... მუგუზალს ყველაზე მეტად სწორედ ეს აინტერესებს, რა ახსოვთ და რა არა... თუ მუმიამ ვერაფერი გაიხსენა, შეუძლია მის ტვინში სხვა რამე ჩაწეროს, სულ სხვა ცხოვრება... ვთქვათ, დღევანდელი, თანამედროვე ადამიანის ცხოვრება. ჰოდა, სამი ათასი წლის წინათ გარდაცვლილი მუმია თანამედროვე ადამიანად იქცევა...

– ეგეთებიც ეხერხება ანთებულ მუგუზალს?

– ეხერხება, ნამდვილად ეხერხება; ადამიანის ტვინი თავისებური მაგნიტური ლენტია. მასზე, რასაც გინდა, იმას ჩაწერ. ისიც შეიძლება, ძველი შთაბეჭდილებები წაშალო და ახალი ჩაწერო, როგორც ძველი სიმღერის წაშლა და ახლის ჩაწერა ხდება მაგნიტურ ლენტზე. შეიძლება ერთგვარი სინთეზი გააკეთო ძველსა და ახალს შორის, კომბინაციათა რიცხვი აქ თითქმის უსასრულოა. ძველი და ახალი ცხოვრება ერთმანეთისგან სულაც არაა მოწყვეტილი, როგორც გვეჩვენება. ჩვენ უსასრულოდ ვმეორდებით, მეორდება ჩვენი სხეული, სახელი, ცხოვრება... მხოლოდ შთაბეჭდილებებია სხვადასხვა. ყველას გვაქვს ჩვენი წინანდელი ცხოვრება, რომლიდანაც არაფერი გვახსოვს, გვყავს ორეულები ჩვენს წინა ცხოვრებაში...

– ეს ყველაფერი, ალბათ, იმ შადრევანმა ჩააგონა ოქროსთმიან ოქროპირს, – შევაწყვეტინე ნიაზს ფილოსოფიური მსჯელობა. შევატყვე, მეტისმეტად სერიოზულად ეკიდებოდა ამ ძველთაძველ „განმეორებათა“ იდეებს. – ნეტავი მაცოდინა, კიდევ რა ეხერხება თქვენს მოლაპარაკე შადრევანს, მაგალითად, სიცილი თუ შეუძლია...

ნიაზმა ალმაცერად შემომხედა.

– აქ არაფერია სასაცილო, – მითხრა მკაცრად.

– არც მიფიქრია... მაგრამ...

– გეუბნები, არაა-მეთქი სახუმარო ამბავი. მართლა ელაპარაკება შადრევანს. შადრევანიც რაღაცებს ამბობს, აბა ერთი, ყური კარგად დაუგდე...

რამდენიმე წამს ორივენი ვდუმდით. ვცდილობდი, მოსმენილი გამეაზრებინა. შეიძლება ეს ყოველივე წმინდა წყლის ჯამბაზობა იყოს, მაგრამ ვინ იცის... ვნახოთ; ერთი რამ ეჭვგარეშეა: მართლაც საინტერესო გარემოში ამოვყავი თავი...

აქ ერთმა აზრმა გამიელვა.

– ვთქვათ, ჩვენმა ჯადოქარმა ისეთი მუმია აღადგინა, რომელსაც ზუსტად შენნაირი გარეგნობა ექნება, – ვუთხარი ნიაზს. – აკი ამბობ, რომ ჩვენი სხეულები უსასრულოდ მეორდებიან, ყველას გვაქვს ჩვენი წინა ცხოვრება.

– შეიძლება, – დამიდასტურა მან.

– ვთქვათ, იმ მუმიას სახელიც შენი ერქვა...

– ეგეც შეიძლება.

– ... მაგრამ ვერაფერიც ვერ გაიხსენა

თავისი წინა ცხოვრებიდან.

ნიაზმა კითხვის თვალით შემომხედა.

- ... და ჩვენმა ჯადოქარმა მის ტვინში შენი დღევანდელი ცხოვრების წესი და შთაბეჭდილებები ჩაწერა, - განვაგრძე მე. - მაშინ ხომ ორეული გეყოლება არა წარსულში, არამედ დღევანდელობაში.

ნიაზმა ორიოდე წამს კიდევ მიყურა და მოულოდნელად გადაიხარხარა:

- გგონია, რამე ახალი თქვი? - მითხრა უზრუნველი კილოთი, - მუგუზალს მაგისთანები არ ეშლება. ზუსტად რაღაც მაგდაგვარი მოხდა ამას წინათ, მაგრამ დროზე იზრუნა, რათა ორეულები ერთმანეთს არ შეხვედროდნენ. დღევანდელი ორეული სხვაგან გააგზავნა სამი თვით, აღდგენილი კი თავისთან დაიტოვა დაკვირვებებისთვის.

- რაღა მაინცდამაინც სამი თვით?

- აღდგენილი მუმია მხოლოდ სამ თვეს ცოცხლობს. მუგუზალს ჯერჯერობით არ შეუძლია უფრო ხანგრძლივი სიცოცხლე მიანიჭოს მას.

რამდენიმე წამით ისევ დუმილი ჩამოვარდა და მერე ჩემთვის ჩავილაპარაკე, ნეტავი ვის რაში სჭირდება-მეთქი ასეთი ფოკუსები, მაინცდამაინც გულზე არ მეხატებოდა საკუთარ ორეულთან შეხვედრის პერსპექტივა. ეშმაკმა უწყისო, ჩაიბუტბუტა ნიაზმა და მე გავიფიქრე, რომ სიტყვა „ეშმაკი" ჯერ არასოდეს შემხვედროდა ასე ზუსტად შესაფერის ადგილას.

* * *

ნიაზმა თავისი შეყვარებულიც გამაცნო, ნაზი ერქვა სახელად. ძალიან მომეწონა; ნაზი და ნიაზი! მართლაც რომ შესანიშნავად ჟღერს, თვით სახელებიც კი იმაზე მეტყველებს, რომ ერთმანეთისთვის ხართ გაჩენილები, ვთქვი აღფრთოვანებული ხმით. ნაზიმ გულიანად გაიცინა, ყველანი ასე გვეუბნებიანო, ნიაზიც ნეტარი სახით იღიმებოდა. ნაზი გარეგნულადაც საამურ შთაბეჭდილებას ტოვებდა; საშუალო სიმაღლის იყო, ზომიერად ჩამკვრივებული. შავი თმა ტალღისებურად ჩამოშლოდა მხრებზე; ელვარე შავი თვალები ჰქონდა. თეთრი ქათქათა ხალათი ეცვა,... სამუშაოზე წარმადგინა მასთან ნიაზმა. საერთოდ, საქმიანი ქალის იერი ჰქონდა ნაზის და ასეღაც იყო. მეცნიერული დაწესებულების ლაბორატორიაში მოღვაწეობდა და არცთუ უშედეგოდ, როგორც ჩემთვის თანდათან გახდა ნათელი. თეთრად შეფეთქილი კედლების გასწვრივ ჩარიგებულ მინის კარადებში ნაირ-ნაირი ფორმის გამჭვირვალე ქილები ეწყო, რომლებშიც რაღაც ცოცხალი მინიატურული ორგანიზმები თუ კიდურები პულსირებდნენ. აქ, ამ თეთრი კედლების შიგნით, ნაზის ჩათვლით, მეცნიერმკვლევართა კარგა მოზრდილი ჯგუფი მოღვაწეობდა და ნამდვილი მეცნიერული კვლევა-ძიება იყო გაჩაღებული, აქ ატარებდნენ ცდებს და ერთი ცოცხალი უჯრედიდან მთელი ორგანიზმის აღდგენას ახერხებდნენ. ნაზიმ თვითონ მაჩვენა გასაოცარი, აკვარიუმივით გამჭვირვალე ბალონები, რომლებშიც თითქოს თვალდათვალ იზრდებოდა რაღაც გამოუცნობი ფორმის ორგანიზმი. ამის ჩამოყალიბებას ჯერ კიდევ ბევრი დრო უნდაო, მითხრა ნაზიმ. კაცმა რომ თქვას, ოქროპირიც ხომ იმავეს აკეთებდა, როცა მუმიას მკვდრეთით აღადგენდა, ოღონდ სულ სხვა, მხოლოდ მისთვის /და სოლომონისთვის/ ცნობილი არქაული მეთოდებით და საშუალებებით. როგორც მერე გამოირკვა, ესოდენ განსხვავებულ მოღვაწეობას და მეთოდებს ბევრი საერთო რამ, ანუ, როგორც იტყვიან, შემხები წერტილები ჰქონდა. ისინი ერთმანეთს ხელს სულაც არ უშლიდნენ. პირიქით, როცა საჭირო იყო, ყველა ხალისით ეხმარებოდა ერთმანეთს, გამოცდილებასაც უზიარებდნენ, მეცნიერული ენთუზიაზმი ყოველგვარ ცრურწმენას ძლევდა. მკვლევარები მზის ტაძრიდან მოშორებით მომცრო თეთრ კოტეჯებში ცხოვრობდნენ. პალმების ხეივნიდან მათი საცხოვრებლები არ მოჩანდა, რაზეც ზემოთ უკვე ვთქვით. მზის ოაზისის უცნაური მკვიდრნი, შეიძლება ითქვას, ერთ ეშმაკს ემსახურებოდნენ, ოღონდ სხვადასხვანაირად. ჩემს მიმართ ყველა განურჩეველი იყო, ოქროპირის მსგავსად. საერთოდ, უნდა აღვნიშნო, რომ მეცნიერებაზე თავგადაკლული ხალხი ძალზე ეგოცენტრულები არიან. ძნელია მათთან ურთიერთობა, მათთვის მეცნიერება ყველაფერზე უმთავრესია. როცა მიყურებდნენ, ასე მეგონა, ნაწილ-ნაწილ მჭრიდნენ და სათითაოდ იკვლევდნენ ჩემი სხეულის შემადგენელ უჯრედებს. გეფიცებით, ამის მეტი არაფერი უტრიალებდათ თავში. ერთი ის მიკვირდა, ამ უდაბნოში რად გადმოხვეწილან-მეთქი, მაგრამ, როგორც ვივარაუდე და ნიაზმაც დამიდასტურა, მათი სამუშაოს ხასიათი ასე მოითხოვდა. მათთვის საჭირო

ეროვნული ბიბლიოთეკა



იყო მყუდროება და სისუფთავე, ჰოდა, უდაბნო მყუდროც არის და წმინდაც... თუ წყალი არ შემოგაკლდება, საერთოდ არა უშავს რა და კიდევ ვინ იცის, რა იყო მიზეზი მათი უდაბნოში გადახვეწისა. იქნებ აკრძალული ცდები... თუმცა რა ჩემი საქმეა.

მათ შორის გამონაკლისი, ვისაც შეიძლებოდა ადამიანურად დალაპარაკებოდი, ერთადერთი ნიაზი იყო. მეც მეტად მადლიერი ვიყავი მისი. ნიაზთან ერთად, ჩვენ, სამივენი, საკმაოდ სასიამოვნო წრეს ვქმნიდით და ეს დიდად გვეხმარებოდა, რათა უდაბნოს უდაბურება გადაგვეტანა. მართალია, მზის ოაზისი ნამდვილი ბაღნარი იყო, მაგრამ მის მიღმა გართხმული უდაბნო ყოველთვის რჩებოდა მრისხანე სტიქიად, რაც არასოდეს გვავიწყდებოდა.

მომწონდა ნაზის და ნიაზის ურთიერთდამოკიდებულება, მათი მშვიდი სიყვარული. ისინი დინჯად, დალაგებით, მოფიქრებულად ემზადებოდნენ საიმისოდ, რათა სანიმუშო, ბედნიერი ოჯახი შეექმნათ. ნაზი რაღაცას იკვლევდა იმ თეთრკედლებიან ლაბორატორიაში და კვლევის შედეგებზე მეტად დიდ იმედებს ამყარებდა. სამომავლოდ რამდენიმე შესაძლებლობა დაასახელა ჩვენთან საუბარში: ან უმცროს მეცნიერ-თანამშრომლის ხარისხს მიიღებდა, შემდგომში თემას უფრო განავითარებდა და ფართო გამოკვლევას დაწერდა, რაც ჭეშმარიტ მეცნიერულ სახელს მოუტანდა, ანდა სულაც ვინმეს გადაულოცავდა დაწყებულ სამუშაოს რაიმე ფულადი კომპენსაციის ხარჯზე და რომელიმე, უფრო თანამედროვე ქალაქში გაემგზავრებოდა საცხოვრებლად, სადაც მეტი შესაფერისი პირობებია განათლებული ადამიანისთვის. პირდაპირ გაგეხარდებოდათ, რა დალაგებით მსჯელობდა ყოფით თუ მეცნიერულ წვრილმანებზე, ყველაფერი გათვალისწინებული ჰქონდა და ეჭვი ერთი წამითაც არ ეპარებოდა, რომ სარგებელსაც კარგს ნახავდა მისგან. ნიაზიც დიდად ნათელი და, ამავე დროს, მკაფიოდ გამოკვეთილი გეგმებით იყო სავსე. ფულს დავაგროვებთ /უდაბნოში მძღოლებს კარგად უხდიდნენ/, მერე ახალ მანქანას ვიყიდი და ბინას ვიქირავებ სადმე დიდ ქალაქში ანდა შეიძლება კოტეჯიც ვიყიდო. რა სჯობია ვარდებში ჩაფლულ, კოპწია, კოხტა სახლს, რომელიც თავიდან ბოლომდე შენია, დაწყებული შესასვლელი ჭიშკრიდან მერცხლის ბუდით დამთავრებული /ჩვენი სახლის აივანზე მერცხლები აუცილებლად გაიკეთებენ ბუდეს, ხომ მართალია, ნაზი? ნაზიმ გაბრწყინებული სახით დაუქნია თავი/. ეზოში ბავშვები ითამაშებენ, სამი ან ოთხი... ნაზიმ თავი გაიქნია, ორიო, ნიაზმა სამიო, მერე გაიცინეს და თქვეს, ამაზე, როცა იქნება, მოვრიგდებითო. მათ ყურებას მართლაც არაფერი სჯობდა. ეს ორი ჯანსაღი, მშვენიერი ახალგაზრდა რომ არა, ალბათ, ერთ დღეს თავს დავადებდი და სადღაც შორს, იმ ყვითელი ჩაკეტილი რკალისკენ გავწევდი, სადაც ყოველდღიურად მზის ცეცხლოვანი ბურთი ეშვებოდა, საკმაოდ დამთრგუნველად მოქმედებდა ჩემზე ეს უცხვირპირო, მეცნიერებაში გადავარდნილი ხალხი და ნაცრისფერი სენაკის კოშმარული იდუმალი იერი. არა, უამათოდ, ალბათ, ვეღარ გავუძლებდი... ხშირად ბადმინტონს ვთამაშობდით და რიგრიგობით ვენაცვლებოდით ერთმანეთს. მე ხანდახან შეგნებულად ვტოვებდი მათ მარტო. ხატვას მოვიმიზეზებდი ხოლმე... თუმცა ჩემს დღეში ფანქარიც არ გამევლო ქაღალდზე... თვითონვე მომძებნიდნენ ხოლმე და მთვარიან ღამეში სასეირნოდ წამიყვანდნენ. რაც გინდათ თქვით და, სავსე მთვარეს უდაბნოში არაფერი შეედრება... ეული გიგანტური თვალი... საყვედურნარევი გაოცებით მოშტერებული...

ერთ დღეს ნიაზი სადღაც გაქრა. მთელი ოაზისი მოვიარე მის ძებნაში. მისი კვალიც კი აღარსად ჩანდა. არც ნაზიმ იცოდა რაიმე; აქეთ მეკითხებოდა ნიაზის ამბავს. მეც დაწვრილებით ვყვებოდი ერთად ყოფნის უკანასკნელ წუთებზე, თავს ვიმტვრევდი, როგორმე რაიმე მნიშვნელოვანი გამეხსენებინა. არა, ნიაზი ისეთივე იყო იმ დღეს, როგორიც სხვა დროს მენახა. რაიმე განსხვავება არ შემიმჩნევია. არც არაფერი უთქვამს ისეთი, რომ უჩვეულოდ მომჩვენებოდა. ბოლოს ისევ ნაზიმ გაარკვია ყველაფერი. ოქროპირისთვის ეკითხა /მეც ვაპირებდი, მაგრამ დამასწრო/, იმას ეთქვა, ცოტა ხნით საქმეზე გავაგზავნე და მალე დაბრუნდებაო.

ასე მეგონა, გუნდს ჩამორჩენილი ფრინველი ვიყავი. არ ვიცოდი, დრო რაში მომეკლა, დავეხეტებოდი მთელ ოაზისში. ჩემთვის არავის არაფერი დაუვალებია, მეც ვერ ვბედავდი ამ უცხვირპირო ხალხთან საქმიანი ურთიერთობა გამება, არ მეხალისებოდა. ხანაც ნაცრისფერ სენაკში შევძვრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდი ხოლმე. იქ, გრილ მყუდროებაში, საამო იყო ყოფნა. ტკბილხმოვნად ჩქაფუნობდა შადრევანი და ისე დანაწევრებული მეჩვენებოდა ხანდახან ეს ჩქაფუნი, რომ სრულიად შესაძლებლად მიმაჩნდა მასთან ლაპარაკი ზუსტად ისე, როგორც ოქროპირი მუსაიფობდა. ეს მარტოობის ჟამს აღმოვაჩინე, ოქროპირი და სოლომონი არც ისე იშვიათად სადღაც იკარგებოდნენ ხოლმე ამ ბოლო დროს, მეც მათი არყოფნისას აქაურობის სრულ ბატონ-პატრონად ვგრძნობდი თავს. როცა ისინი შემოვიდოდნენ, მე კუთხეში მივიკუნჭებოდი. რა უცნაური სანახავები იყვნენ ორივენი: ოქროპირი პატარა ტანისა იყო, ოდნავ კუზიანიც; ისე დადიოდა, თითქოს ძლივს ერეოდა საკუთარი კაფანდარა სხეულის წონას. სოლომონს კიდევ, პირიქით, სხეული ისე დაჰქონდა, როგორც საასპარეზოდ გამოყვანილ ჯიშიან ულაყს. არ მიშლიდნენ ცნობისმოყვარე ხეტიალს და მეც თანდათან გავთამამდი, ყველაგან ცხვირს ვყოფდი.

ის შავი ხავერდის ფარდები გადავწიე ერთ დღეს, ყოველთვის მაინტერესებდა, რა უნდა ყოფილიყო მათ მიღმა; ღრმა წალო აღმოჩნდა მოქნილი ტყავის ღვედებიც დავინახე, რკინის კაუჭებზე ჩამოკიდებული. როცა შავი ხავერდის ფარდა დავუშვი, შევამჩნიე, სოლომონი მოდიოდა, ჩემთვის ზედაც არ შემოუხედავს, ისე ამიარა გვერდი. შადრევანთან მივიდა და ფეხმორთხმით ჩაჯდა. თავი ერთგვარად შეურაცხყოფილად ვიგრძენი. მერჩივნა, შენიშვნა მოეცათ ჩემთვის, რაიმე აეკრძალათ, ეთქვათ, არ შეიძლებაო. ეს ხალხი ისე მექცეოდა, თითქოს აჩრდილი ვყოფილიყავი და არა ხორცშესხმული ადამიანი.

რახან არავინ მამჩნევდა, მეც ძველებურად ვცხოვრობდი ნახევრად აჩრდილის, ნახევრად ადამიანის ცხოვრებით. არ ვიშლიდი აქეთ-იქეთ ცნობისმოყვარე ხეტიალს, ყველგან ცხვირს ვყოფდი. დღე არ გავიდოდა, რამდენჯერმე არ მომენახულებინა ნაცრისფერი სენაკი და მთელი მისი კუთხე-კუნჭული არ დამეზვერა, ხავერდისფარდებიანი წალოების ჩათვლით.

და ერთ დღეს, როცა ხავერდის ფარდა გადავწიე, თავი ვეღარ შევიკავე, შიშისა და გაოცებისაგან ხმამაღლა შევყვირე; წალოში ნიაზი დავინახე, მაგრამ... ო, მზის და მთვარის ღმერთებო, რა ყოფაში... თვალები შემზარავად ჰქონდა დაჭყეტილი, ცარიელი, არაფრისმთქმელი თვალები... თავით-ფეხამდე შებურვილი იყო ღია ფერის ქსოვილში, ალბათ, სუდარაში, და მოქნილი ღვედებით ეკიდა რკინის კაუჭებზე. ერთი შეხედვით ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს ფეხზე დგასო.

დამდუღრულივით ვუშვი ხელი იმ ხავერდის ფარდას, დაფეთებულმა მივიხედ-მოვიხედე, შიშს დიდი თვალები აქვსო და, ერთი წამით მომეჩვენა, თითქოს იქაურობა ხალხით იყო სავსე და ეს-ესაა ყელში მწვდებოდნენ. მაგრამ, როგორც კი დაკვირვებით მივიხედ-მოვიხედე, დავრწმუნდი, რომ მარტო ვიყავი. ნაცრისფერ სენაკში კაციშვილი არ ჭაჭანებდა. უკანმოუხედავად გავვარდი გარეთ, კარგა ხანს ვირბინე, სანამ, ჩემი აზრით, მყუდრო სამალავს მივაგნებდი და ჩემს მიერ ნანახ საოცრებაზე დავფიქრდებოდი.

ცხადია, ნიაზი მკვდარია, რიალებდა ფიქრები თავში, მკვდარია და მის სიკვდილში ხელი, ალბათ, ოქროპირს ურევია, რადგან გვამი სწორედ მის სენაკში იმყოფება. იგი ცდებს ცოცხალ ადამიანებზე ატარებს, ალბათ, სწორედ ესაა ის საიდუმლო ცდები, რაზედაც ამდენს ყვებოდა ნიაზი, ამ დროს კი თვითონვე აღმოჩნდა საცდელი გოჭის მდგომარეობაში. საბრალო ნიაზი... მაგრამ მე, მე რაღა მეშველება... მეც ხომ ზუსტად იმავე დღეში ვარ...

შიშისგან ციემა ჟრუანტელმა დამიარა, ალბათ, ერთ მშვენიერ დღეს ჩემი ჯერიც დადგება და მეც იმდაგვარ წალოში ამოვყოფ თავს, ზუსტად იმდაგვარ მდგომარეობაში, საბრალო ნიაზი რომ ვიხილე... ვინ რა იცის, რამდენი წამება გადაიტანა, სანამ სულს უფალს მიაბარებდა. რა უკუღმართ, ქაჯურ ცდებს ატარებს ეს თეთრწვერა ეშმაკი თავისნაირ ეშმაკებთან ერთად, ირგვლივ ჯგროსავით რომ ახვევია... სანამ ჯერ კიდევ გვიან არაა, სანამ შიშისგან ლამის დამბლადაცემულივით არ დამკარგვია მოძრაობის უნარი, სასწრაფოდ უნდა გავეცილდე აქაურობას.

დიახ, ნამდვილად ასე სჯობდა, მაგრამ სათქმელად ადვილია, საქმნელად კი, როცა მივიხედ-მოვიხედე, თითქმის შეუძლებელი აღმოჩნდა. ირგვლივ ქვიშის გაუვალი ზღვა მერტყა, იმ ზღვაში მარტოკა რომ გავდგომოდი გზას ფეხით, ეს ნამდვილად თვითმკვლელობას უდრიდა, მანქანა იყო საჭირო, ზუსტად ისეთივე ფართოსაბურავებიანი, მაცივრით აღჭურვილი მანქანა, რითაც მე

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ნიაზი ერთად რომ ვმოგზაურობდით. მაგრამ ეს მანქანები (სულ შვიდიოდე იქნებოდა) საიმედოდ იყო ჩაკეტილი მკვიდრად ნაგებ გარაჟში. ასე ადვილი არ იყო რომელიმე მათგანის გატაცება... თანაც, თითქოს განგებ, იმ დღეებში კაციშვილი ახლოსაც არ ეკარებოდა გარაჟს. არც არავინ წასულა სადმე, არც ვინმე მოსულა... მთელი ოაზისი ისე გაყურებულიყო, ლამის უდაბნოსებურ მდუმარებას დაესადგურებინა თვით მწვანედ მოღაღანე პალმების ჭალაშიც. ვწყევლიდი იმ საათს, როცა ამ ექსპედიციას ავეკიდე - ან რას ავეკიდე, არ რაღას მივატოვე, მათთან ერთად რომ მევლო უდაბნოში, ამაზე უარესი რაღა შემხვდებოდა. ერთადერთი ნაზი გახლდათ ჩემი მოსაუბრე ამ უკაცურ მხარეში. მითხრა, ოქროპირი რაღაც მეტად მნიშვნელოვან ცდას ატარებს და ყველანი მისი შედეგის მოლოდინში არიანო. ხმაგაკმენდილი ვუსმენდი და ენაზე კბილს ვაჭერდი, რათა არაფერი წამომცდენოდა. რა აზრი ჰქონდა მისთვის თუ იმ თავზარდამცემ ამბავს ვიტყოდი, ნიაზის თავზე რომ დატრიალდა. ამით ნიაზს უკვე აღარაფერი ეშველებოდა. ნაზის ისედაც, როცა იქნება, გაიგებს ყველაფერს, ხოლო მე რომ მეთქვა ამ წუთას რაიმე, ალბათ, თავს ვერ შეიკავებდა /ალბათ, კი არა, ნამდვილად ასეა/... მთელ ოაზისს მოსდებდა და მერე... მერე ჩემი წირვაც გამოსული იყო... როგორღა უნდა მეშველა საკუთარი თავისთვის? ერთადერთი ჩემი კოზირი ამ წუთას მხოლოდ ისაა, რომ ირგვლივ ყველას ასე ჰგონია, თითქოს მე არაფერი ვიცი, ბაიბურშიც არა ვარ, რა მომელის.

ასეთ მღვრიე, შავ ფიქრებში მყოფი ვატარებდი მტანჯველ დღეებს, ლამის საკუთარი ჩრდილიც მაფრთხობდა, ველოდი, იქნებ რაიმე საშველი გამომჩენოდა, თანაც ამ დროს უზრუნველი იერი მეფინა სახეზე. თუმცა სახის ფერი, რაც იმ დღეებში მქონდა, აშკარად არ შეეფერებოდა იმ იერს, მაგრამ ამის შესამჩნევად, ჩემდა საბედნიეროდ, თავს არავინ იწუხებდა. ღამეები კიდევ უფრო უარესი იყო, ყოველ ჩქამზე ვკრთოდი, ძილი არ მეკარებოდა; თუ ბოლოს დიდი წვალებით მოვხუჭავდი თვალს, მაშინაც კურდღელივით მეძინა... თაგვს რომ გაეფხაჭუნებინა, მაშინვე ვიღვიძებდი და თვალდაჭყეტილი გავყურებდი მთვარის შუქით შემღვრეულ სიბნელეს. ხანდახან, უძილობით და კოშმარებით გაწამებული, უდაბნოსკენ გავწევდი ხოლმე და იქ ქვიშის ტალღისებური ზედაპირის შემყურე ვფიქრობდი, რომ უმჯობესი იქნებოდა ერთხელ და სამუდამოდ მოღებოდა ბოლო ამ მტანჯველ ყოფას. იქნებ სჯობდა, ყველაფერზე ამეღო ხელი, აღარც მანქანის ხელში ჩაგდებაზე მეფიქრა და პირდაპირ ფეხით გავდგომოდი გზას. იქნებ შემთხვევით ვინმეს გზაში... ამის ალბათობა ძალზე მცირე იყო, მაგრამ ოაზისში ხომ უეჭველი სიკვდილი მელოდა...

ერთხელ, როცა ასეთი შავი ფიქრებით შეპყრობილი დავეხეტებოდი ღამით უდაბნოში, ჩემკენ მომავალი ვიღაც კაცი შევნიშნე.

ადგილზე გავშრი... ჯერ ირგვლივ მიმოვიხედე... ოაზისს კარგა შორს გავცდენოდი, მწვანე პალმების ხეივანი მუქ ზოლად მოჩანდა ჩემს უკან, შეიძლებოდა იქითკენ გაქცევა, მაგრამ, ვინ რა იცოდა, იქ რა მელოდა... სჯობდა, ისევ იმ უცნობს დავლოდებოდი, ჩემკენ რომ მოიწევდა... თანაც მარტო იყო...

ხელი ჩავავლე საგულდაგულოდ ალესილ პატარა დანას, ჩემი სერვიზის ნაწილს, რომელსაც ამ ბოლო დღეებში არ ვიშორებდი და უცნობის მოახლოებას დაველოდე. ნელა, აუჩქარებლად მოიწევდა ჩემკენ. თეთრი მოსასხამის გრძელ კალთებს მოაფრიალებდა. თავი მაღლა აეწია, მთვარის შუქი პირდაპირ სახეზე სცემდა... ჯერ კიდევ ორმოცდაათიოდე ნაბიჯზე იყო ჩემგან, როცა რაღაცამ უსიამოვნოდ გამკრა გულში, რა ნაცნობი მეჩვენა... ვინ უნდა იყოს... ვაიმე, ეს ხომ... ნიაზს ჰგავს... ჰგავს კი არა, ნამდვილად ისაა... ნიაზი...

დიახ, ნამდვილად ნიაზი იყო, ყოველ შემთხვევაში, რაღაც მეტისმეტად ჰგავდა. თვალები ზუსტად ისე ჰქონდა ფართოდ დაჭყეტილი, როგორც იმ წალოში ყოფნისას... ფერიც, ალბათ, ისეთივე მკვდარივით გაფითრებული ექნებოდა, თუმცა რას გაიგებ მთვარის შუქზე...

მოჩვენებასავით მდუმარედ ჩამიარა გვერდით, წამითაც არ შეყოვნებულა, არც მოუხედავს ჩემკენ, ფართოდ გახელილი თვალები უძრავად მიეშტერებინა პალმების ხეივნის მუქი ზოლისკენ... რამდენიმე წუთის შემდეგ შთაინთქა კიდეც იმ ზოლში...

რაც შემეხება მე, ადგილიდან დაძვრა ვერ მოვახერხე, ქანდაკებასავით გაშეშებული ვიდექი... სანამ მზის წითელი ბურანი არ ამოსხლტა ქვიშის ზღვის მიღმა... მისი შუქით გამხნევებულმა ასე ვიფიქრე, ალბათ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომეჩვენა-მეთქი ნიაზი ღამით... მაგრამ ნაკვალევმა, ისე მკაფიოდ რომ აჩნდა ქვიშას, მიმახვედრა, რომ არაფერიც არ მომჩვენებია, რომ მე ნამდვილად ნიაზი ვიხილე წუხელ...

ამან ერთგვარად გამამხნევა... რაც უნდა იყოს, ნიაზი მკვდარი არ არის, სიკვდილზე საშინელი კი არაფერია... ყოველ შემთხვევაში, ასე გვეჩვენება ჩვენ, ცოცხლებს. ოქროპირი რაღაც ცდებს ნამდვილად ატარებს, ამაში ეჭვიც არ მეპარება, მაგრამ, ალბათ, ეს ცდები მომაკვდინებელი არაა. თუმცა, ცხადია, მაინც დიდი უბედურებაა ნიაზის თავს... შველა სჭირდება... ოქროპირი და მისი დამქაშები კანონსაწინააღმდეგო საქმიანობას ეწევიან, მათი გამომჟღავნება და მხილებაა საჭირო... მაშინ ნიაზსაც ეშველება. ამას გარდა, ნერვულ დაძაბულობასაც აქვს თავისი საზღვარი. რა საშიშარ მდგომარეობაშიც უნდა ვიყოთ ხანგრძლივად, რაღაც გარკვეული ხნის შემდეგ შიში თავისთავად უკვალოდ ქრება. ეს ერთგვარი თვითდაცვის მექანიზმია, ავტომატურად ამოქმედებული.

სულ სხვა განწყობილებით დავბრუნდი უდაბნოდან ოაზისში. უკვე აღარ ვფიქრობდი გაქცევაზე. ნელ-ნელა ვცადე ნიადაგის მოსინჯვა. ისიც კი გავბედე, რომ ნაცრისფერ სენაკში შევპარულიყავი, რომელსაც სათოფეზე აღარ ვეკარებოდი ბოლო ხანს და იქ, ღრმა წალოზე ჩამოფარებულ ხავერდის ფარდის მიღმა შევიჭვრიტე. როგორც მეგონა, ისე აღმოჩნდა: ნიაზი აქ არ იყო, მოქნილი ღვედები მათრახებივით ეკიდა რკინის კაუჭებზე. ნაზიც იმავე დღეს მოვინახულე. იმ შეხვედრაზე არაფერი მითქვამს, უდაბნოში რომ ჰქონდა ადგილი. ნიაზისა არაფერი იცოდა, მხოლოდ ის მაუწყა, რომ ცდა, რომელზეც ოქროპირმა ამდენი დრო და ენერგია დახარჯა, სრული წარმატებით დაგვირგვინდა თურმე... ოღონდ ჯერ ისევ საიდუმლოდ რჩებოდა, თავის დროზე გავიგებთ ყველანიო. „ოქროპირი ძალიან ბედნიერია", ამბობდა ნაზი, რაც მე მეტად მიკვირდა. ოქროპირს ვერაფერს შეატყობდი: ისევ ისე მათრახივით მოქნილი მოძრაობდა მცენარისგან დაწნულ ჭილობზე და უსმენდა შადრევნის მუსაიფს. სოლომონი ცოცხალ ქანდაკებასავით აღმართულიყო შორიახლოს... რაღაც უნდა დამჯდომოდა, უნდა მემხილებინა ისინი იმ კანონსაწინააღმდეგო ქმედებაში, რითაც თავს ირთობდნენ ამ ოაზისში შეფარებულნი. ნიაზს ხომ ვუშველიდი და ამით მეც თავისთავად მეშველებოდა, თუ ამასობაში, ცხადია, თვითონ არ აღმოვჩნდებოდი ნიაზის მდგომარეობაში.

გავიდა იმედებით და ეჭვებით სავსე რამდენიმე შფოთიანი დღე და ბოლოს, ერთ მშვენიერ დილას, როცა მზის ცეცხლოვანი ბურთი ამოსხლტა პალმის კენწეროებს მიღმა, თვითონ ნიაზი გამომეცხადა... ცოცხალი და საღსალამათი, ხალისით და ენერგიით სავსე. აბა, ერთი მომეხმარეო, მითხრა და ისე ცქვიტად, შეძვრა თავის მანქანის კაბინაში, თითქოს ეს-ესაა მიეტოვებინოს იგი. თვალს ვერ ვუჯერებდი, ხელითაც კი შევეხე, ხომ არ მეჩვენება-მეთქი. ნიაზი ისევ ნიაზი იყო, მარჯვე ყმაწვილი, მანქანას მიაქროლებდა, უკან მტვრის ბუღს იტოვებდა და თან რაღაცას უსტვენდა თავისთვის. როდისროდის მოვახერხე მეკითხა, სად იყავი-მეთქი ამ დღეებში. ოქროპირმა გათხრებზე გამგზავნაო, მითხრა.

ძლივს შევიკავე ენაზე მომდგარი კითხვა, ის ვინ იყო, მე რომ ვნახე ფარდებჩამოფარებულ წალოში... ანდა უდაბნოში ვინღა შემხვდა-მეთქი, ნიაზს საიდან ეცოდინებოდა ეს ამბები, ანდა რა ჩემი საქმეა... სჯობია, მეც დავივიწყო ყველაფერი. სულაც არაა გამორიცხული, რომ ყველაფერი მომეჩვენა ანდა სიზმარში ვნახე; მე ხომ ისე მარტოსულად ვგრძნობდი თავს ნიაზის გარეშე... ჰოდა, ასეთი სულიერი განწყობა ნოყიერი ნიადაგია ყოველგვარი მოლანდებისთვის.

აღარაფერი მითქვამს, ისიც კი არ ვკითხე ნიაზს, ვინმე ხომ არ გვავს აქაურ ხალხშიმეთქი. ერთ-ერთი ვარაუდი ასეთიც იყო... მაშინ ნიაზი, ალბათ, ჩამაცივდებოდა, რატომ მეკითხებიო, მეც იქნებ თავი ვეღარ შემეკავებინა და იმ მოჩვენებებზე ავლაპარაკებულიყავი. თავს გავიმასხარავებდი და მეტი არაფერი... აბა, რა საჭირო იყო...

მე და ნიაზმა ნოხში გახვეული ზუსტად ისეთივე მუმია წამოვიღეთ გათხრებიდან, როგორიც ჩემი ოაზისში მოსვლის პირველ დღეს. გათხრებს თვალი რომ გადავავლე, მივხვდი, რამდენი რამ გაეკეთებინათ ამ ხნის განმავლობაში. უამრავი მასალა იყო პირდაპირ ღია ცის ქვეშ დახვავებული. ხალხიც მომრავლებულიყო, ჭიანჭველებივით ესეოდნენ მარმარილოს ფილებს, რომლებიც ის-ის იყო ამოეთხარათ ქვიშიდან... კარვების რაოდენობაც ბევრად მეტი მომეჩვენა, ერთი-

ორი მოზრდილი შენობაც დავლანდე – ასა-წყობი ფილებისგან აგებული... ნიაზმა უქმად მდგარ ბულდოზერზე მიმითითა, ამაზე ვმუშა-ობდით. მე ისე გავიქნიე თავი, თითქოს ბუზს გაეფრინა, ეს იმ მოჩვენებათა უკანასკნელი გაელვება მოვიშორე თავიდან. ნაზისაც იმავე საღამოს მივაკითხეთ. გაბუტული იყო, მაგრამ მალე შერიგდნენ იმის შემდეგ, რაც ნიაზმა უამბო, თუ რამდენი სენსაციური აღმოჩენა გააკეთა, ქვიშის სულ ბოლო ფენიდან რამ-დენი ძვირფასი რამ ამოთხარა და რომ ახ-ლა მათი მომავალი სრულიად უზრუნველ-ყოფილი იყო; ისეთი სამუშაო შემხვდა, წუთითაც ვერ მოვცილდებოდი, – ამტკიცებდა ნიაზი. – ძვირფასეულობასთან მქონდა საქმე. ვინმესთვის რომ წერილი გამეგზავნა, არ შეიძლებოდა. ხომ იცი, რასაც იფიქრებდნენ... ნაზი ბედნიერად იღიმებოდა... მე, ცოტათი განზე გამდგარი, ნეტარი ღიმილით ვუსმენდი მათ მუსაიფს და ველოდი, როდის დაპატიჟ-ებდა ნიაზი ნაზის მთვარიან ღამეში სასეი-რნოდ, მინდოდა, სამივეს ერთად გაგვესეირნა უდაბნოს მდუმარებაში და ჩემი თავისთვის დამეცინა იმ მოჩვენებათა გამო და საბოლ-ოოდ გავთავისუფლებულიყავი მათგან. მაგრამ ასეთი რამ არ მომხდარა. იმ ღამეს სულ სხვა ამბები გველოდა თურმე.

ამის შესახებ ნიაზი წინასწარვე ყოფი-ლიყო გაფრთხილებული, თუმცა, მე არაფერი მითხრა. ორივემ ერთად შევაგორეთ ნაცრის-ფერ სენაკში ბორბლებიანი მომცრო კატაფ-ალკი, რომელზეც გათხრებიდან წამოღებული დახვეული ნოხი იდო, მერე კი გარეთ დავე-ლოდეთ, ასეთი იყო ოქროპირის ბრძანება.

– თუ იცი, რა ხდება იქ? – ვკითხე ნიაზს და თავის გაქნევით ვანიშნე მზის ტაძარზე, რომელიც მთვარის შუქზე მონგრეული სიპი კლდის მასივს წააგავდა.

– ნაზი უნდა გააცოცხლონ, – მთქნარებით მიპასუხა ნიაზმა.

– ნაზის რა სჭირს გასაცოცხლებელი, სიცოცხლით სავსე, მშვენიერი გოგოა, – ვთქვი და თვითონვე გამეცინა ჩემს სიტყვებ-ზე... ნიაზმა ხომ „კარგად“ იხუმრა, მაგრამ არც მე დავრჩენილვარ ვალში...

– ეს სხვა ნაზია, – წაიბუტბუტა ნიაზმა.

– რომელი სხვა ნაზი?

– დედოფალი...

– დედოფალი?.. რომელი დედოფალი?..

დიდი ჯიკავ-ჯიკავით, ხელის წაკვრით და ჯანჯღარით, როგორც იქნა, ვათქმევინე ნიაზს, რომ იმ დახვეულ ნოხში, რომელიც გათხრებიდან წამოვიღეთ და მზის სენაკში შევაგორეთ, დედოფალ ნაზის მუმია ყოფილა გახვეული. იქ, სადაც ახლა ეს პატარა ოაზი-სია, თურმე დიდი ქალაქი ყოფილა, სადაც ერთ დროს მეფობდა დედოფალი ნაზი, რომე-ლსაც ჰყავდა შეყვარებული, იმ შეყვარებულს ნიაზი ერქვა სახელად. ფრიად ტრაგიკულად დასრულებულა მათი სიყვარულის ამბავი: დედოფალ ნაზის ომი წაუგია მომთაბარე ტომებთან, ნიაზი ბრძოლაში დაჭრილა და მომკვდარა. ნაზისაც თავი მოუკლავს, შხამიან გველგესლას აკბენინა თურმე...

და ახლა ოქროპირმა სწორედ დედოფალ ნაზის მუმია უნდა გააცოცხლოს. ასეთი რამეები ეხერხება ამ ეშმაკების უსტაბაშს.

ერთხანს დამუნჯებულივით ვდუმდი, ისე გამაკვირვა ნიაზის ნაამბობმა. იმანაც დრო იხელთა და ლაზათიანი ხვრინვა ამოუშვა. ნაზი და ნიაზი, ზუსტად იგივე სახელები... რა უცნაური დამთხვევაა...

ამას გარდა, არასოდეს გამეგონა თუ ოდესმე ასეთი დედოფალი იყო ცნობილი წარსულის ისტორიიდან. თუმცა ეს არაა იმდენად გასაკვირი. განა ცოტა რამ დაიფარა დავიწყების ფერფლით, მით უმეტეს, ამ ქვიშის ზღვაში. ბოლოს მაინც გამოვიდა დღის სინათლეზე, ალბათ, სულ ახალი აღმოჩენაა, ეს-ესაა იკვლევენ, ამუშავებენ მოპოვებულ მასალას, რათა ერთ მშვენიერ დღეს მთელ მსოფლიოს მოეფინოს არაჩვეულებრივი აღმოჩენის ზღაპარივით ამბავი...

ეგ იმდენი არაფერი... მთავარია, აი, ეს, სახელების საოცრება – ნაზი და ნიაზი.

თუმცა, რომ დაკვირვებოდი ფხიზელი გონებით, არც ეს იყო დიდი ამბავი. სახე-ლების დამთხვევა: მერე რა, ყველაფერი შე-ძლება. ჩვენ ვმეორდებით, სახელებიც მეორ-დება. და ხანდახან ასე წყვილ-წყვილადაც შეიძლება განვმეორდეთ.

აქაც ყველაფერი თანამიმდევრულად გამოიყურებოდა, მაგრამ მაინც ვერ ვისვე-ნებდი. საიდანღაც ჩემს ფიქრებში დაუპატი-ჟებელი სტუმარივით ამოტივტივდა უდაბნ-ოში ნანახი ნიაზის მკვდარივით გაფით-რებული სახე...

მაშინვე ნიაზს გადავხედე... იგი ისე არხეინად ფშვინავდა, ისეთი უზრუნველი სახე ჰქონდა, ჩემი თავის შემრცხვა. საგანგაშო არაფერი იყო, ნეტავი რამ ამაფორიაქა? თუ ოქროპირს ასე ძალიან სურს, გააცოცხლოს

ეროვნული ბიბლიოთეკა



სამი ათასი წლის წინათ გარდაცვლილი მუმია, დედოფალი ნაზი, მისი ნებაა. რაც შეეხება ნიაზს, ის აგერაა, ჩემს გვერდით, ხორცშესხმული და ბედნიერი...

მთვარეს შევყურებდი, როცა ამ ბოლო სიტყვებმა გამიელვა თავში, და მომეჩვენა, თითქოს მთვარე უკმაყოფილოდ შეიჭმუხნა. უფრო დაკვირვებით შევხედე, თვალებიც მოვისრისე... დიახ, მთვარე ნამდვილად იჭმუხნებოდა, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ კვამლის ღრუბელი უბურავდა ნათელ სახეს. ის კვამლი კი მზის ტაძრიდან ამოდიოდა... აქამდე არც კი შემიმჩნევია: კვამლის ნაირფერი სვეტები იგრაგნებოდა გუმბათის ღრიჭოებიდან, წითელი, ლურჯი, ყვითელი, თეთრი... შეუწყვეტლად ენაცვლებოდა ერთმანეთს... და მთვარეს სხვადასხვა ფერი გადასდიოდა მათგან... რა ხდებოდა იქ, ტაძრის სიღრმეში? ეს, ალბათ, არავინ იცოდა, სოლომონის გარდა... ოქროპირი ახლოს არავის იკარებდა, ეს ნიაზმა ადრეც მითხრა... საკმარისია უცხო თვალმა შეხედოს ამ დროს, რომ ყველაფერი ერთ წამში სულ ერთიანად ჩაიშალოს, ოქროპირი კი სიბრაზისგან შეიძლება გაცოფდესო.

თანდათან გადაიხარა მთვარე... და მე შევამჩნიე, რომ კვამლის ნაირფერი ღრუბლები, სახეს რომ უბურავდნენ მნათობს, გაფერმკრთალდნენ. ახლა, ალბათ, გათენდება კიდეც. კიდევ სადამდე უნდა ველოდოთ. თუმცა არა უშავს, ძილი მაინც არ ეკარება ჩემს თვალებს. ოღონდ ერთხელ მაინც ენახო გაცოცხლებული მუმია... ამისთვის ერთი უძილო ღამე არაფერია.

ამ ფიქრებში ვიყავი, რომ სოლომონის ხმა შემომესმა, ნიაზს უხმობდა. „ახლავე", შევაგებე მე სანაცვლოდ და ნიაზს ვეცი, რათა გამეღვიძებინა. კარგა ხნის ჯაჯგური დამჭირდა, სანამ ბოლოს და ბოლოს თვალს გამოაჭყეტდა.

– ტაძარში გეძახიან, – ვუთხარი და აღგომაში მიეეშველე. ნახევრად ძილ-ბურანში მყოფი ნიაზი ბარბაცით გაემართა ტაძრისკენ. როცა კარებში შედიოდა, ტკიპასავით ავეკარი გვერდით და მეც შევყევი.

და იმან, რაც ტაძარში შესულებმა ვიხილეთ, ნიაზი თვალის დახამხამებაში გამოაფხიზლა, მე კიდევ სულ ერთიანად ამაკანკალა, შიშისა თუ სხვა რაიმე უჩვეულო გრძნობისგან. კატაფალკზე დიდებული, ნამდვილი დედოფლის გარეგნობის ქალი იწვა. გრძელი, კუპრივით შავი თმა უკან უკან გადაეყარა. სახეზე მეტად მკრთალი ფერი ედო, თვალდახუჭული იწვა, გრძელი წამწამები ოდნავ ერხეოდა, მკერდიც ადი-ჩადიოდა... მუმია, რომელიც ჩვენ იმ საღამოს შევაგორეთ მზის ტაძარში, სუნთქავდა...

ცალკე თვითონ ოქროპირის დანახვა ღირდა ერთ რამედ, მთელი ტანით ლარივით წელში გამართული იდგა კატაფალკის გვერდით. ერთი შეხედვით ვერც კი ამოიცნობდი მასში იმ ჩია ტანის მოხუცს, ლეღივით მოღვენთილი რომ გორაობდა ჭილობზე. მთელი არსებით სიმივით იყო დაჭიმული და თითქოს რაღაც უცნობ ენერგიას ასხივებდა. ტანთ ოქროსფრად მოხატული ხალათი ეცვა და მომეჩვენა, თითქოს ის უცნაური ოქროსფერი ფიგურებიც გაცოცხლებულიყვნენ; თმაც რაღაც საეჭვოდ უბრწყინავდა, მგონი, ოქროს მტვერი ეყარა წვერ-ულვაშზე. სამაგიეროდ, სოლომონი სულ მთლად დაჩიავებული მოჩანდა მის გვერდით. მოშორებით მიმდგარიყო და თავი მკერდზე ჩამოედო. მრუდე კედლების გაყოლებით ყვავილის ფორმის სასანთლეები იყო გამწკრივებული. სანთლები უკვე ჩამწვარიყო, მათი ნამუსრევიღა იკლაკნებოდა და ჟამიდან ჟამს სუსტად უშვებდა იმ ნაირფერ კვამლს, რაც ასე უხვად იფრქვეოდა ტაძრის გუმბათიდან. შადრევნის გვერდით უფრო მოზრდილი სასანთლე იდგა, რომელშიც დიდი თეთრი ცეცხლის ალი პარპალებდა. მისი თეთრი შუქი შარავანდედივით შემოსდგომოდა ირგვლივ კატაფალკზე მწოლიარე ქალს. იქვე იდო ყვავილებიანი წნული კალათა.

მე და ნიაზი შესასვლელთან ავიტუზეთ, ფეხის წინ წადგმას ვერ ვბედავდით. ოქროპირი დროდადრო ორივე ხელს იწვდიდა კატაფალკზე მწოლიარე ქალისკენ, თან დაჟინებით დააშტერდებოდა ხოლმე. მერე ისევ დაუშვებდა ხელებს, თვალებსაც მილულავდა. დედოფალი სულ უფრო ძალუმად, უფრო გახშირებულად სუნთქავდა, გრძელი წამწამებიც პეპელას ფრთებივით აუთრთოლდა, ოქროპირმა მარჯვენა აღმართა და თითები ფრთხილად შეახო შუბლზე. დედოფალმა თვალები გაახილა.

ოქროპირი მისკენ დაიხარა, ათიოდე წამს დაკვირვებით შეჰყურებდა თვალებში, მერე მუჭით წითელი ფერის ფხვნილი აიღო და თეთრ ცეცხლში ჩაყარა. მაშინვე ავარდა მოწითალო ფერის ალი... წითელ ბუღში

ეროვნული ბიბლიოთეკა



გახევულმა დედოფალმა ბაგეც გახსნა და სუსტი ხმით რაღაც გაურკვეველი ბგერები აღმოხდა, თან თითქოს თვალებით ვიღაცას ეძებდა.

ოქროპირმა ისევ ჩაყარა ფხვნილი თეთრ ცეცხლში, მუქი წითელი ალი შემოეგზნო კატაფალკს და, როცა ბუღი გაიფანტა, დედოფალმა მძიმედ, დამარცვლით და მკაფიოდ წარმოთქვა.

- ნიაზ!..

ნიაზი ციებაშეყრილივით აკანკალდა და მე ჩამაფრინდა, მე, ჩემი მხრით, კარის წირთხლს ვეჭიდებოდი.

- ნიაზ! - გაიმეორა დედოფალმა სულ სხვა ხმით, უკვე ნამდვილი ქალის ხმით. თან შეშფოთებაც ისმოდა ამ ხმაში, დიდი შეშფოთება - სადა ხარ, ნიაზ!..

- აქ არის, დამშვიდდი, დედოფალო, - თქვა ოქროპირმა და ხელით მიიხმო ნიაზი. მე ვუბიძგე და ნიაზი, როგორც იქნა, დაიძრა ადგილიდან, - ოქროპირმა ხელი ჩაავლო და კატაფალკზე მწოლიარე დედოფალს წარუდგინა.

- ნიაზ, შენ ცოცხალი ხარ, ნიაზ... რა ბედნიერებაა! - და დედოფალმა ნაზიმ ხელები გაუწოდა ნიაზს, რომელსაც შიშისგან კბილს კბილზე აცემინებდა. ოქროპირის ნიშანზე ნიაზმაც გაუწოდა ხელები, აშკარად სახილველი გახლდათ თუ როგორ გააჟრჟოლა იმ დროს, როცა მისი ხელები შეეხო მოლაპარაკე მუმიის ხელებს, თუმცა, როგორც შემდეგ გამომჟღავნდა, თბილი, ადამიანური ხელები ჰქონდა დედოფალს.

- ნიაზ, საყვარელო ნიაზ! თვალს ვერ ვუჯერებ, რომ ცოცხალს გხედავ. მე ხომ საკუთარი თვალით ვიხილე შენი მომაკვდინებელი ჭრილობები. საკუთარი ხელით შევსუდრე შენი მკვდარი სხეული...

- არა, დედოფალო, მას მხოლოდ ეძინა საღათას ძილით და მე, შენმა მონა-მორჩილმა, შევძელი მისთვის ძილის ბურუსი გამეფანტა, - ჩაერია ოქროპირი.

- ამისთვის გულუხვად დაგაჯილდოებ, მისანო, - ბრძანა დედოფალმა ნაზიმ, - უთვალავ ოქროს მიიღებ ჩემგან და ჩემს კარზე შენ იქნები რჩეული რჩეულთა შორის. მაგრამ მე... მე თვითონაც ხომ მოვკვდი... თავი მოვიკალი. რადგან ნიაზი მკვდარი მეგონა, გველმა დამგესლა...

- ეს შეცდომა იყო, დედოფალო, ბედნიერი შეცდომა, ის გველი არ ყოფილა შხამიანი.

ოქროპირი დაიხარა, ყვავილებიანი კალათა აიღო და დედოფალს გაუწოდა. იმანაც გამოართვა, ყვავილები ფრთხილად გადასწია, ჭრელ გველგესლას თავი რგოლებზე ჩამოედო და მშვიდად თვლემდა.

- ეს გველი მხოლოდ გარეგნულად ჰგავს შხამიანს, დედოფალო, - დაუმატა ოქროპირმა. მე ამ დროს გამახსენდა, რომ ამ ორიოდე დღის წინ სოლომონმა შხამიანი გველი დაიჭირა უდაბნოში და მერე კბილები დააძრო...

- დიდებულ მსხვერპლს შევწირავ მზის ღმერთს, ასე რომ ვყვარებივარ და არ გამწირა, - თქვა მღელვარებისგან ათრთოლებული ხმით დედოფალმა ნაზიმ და სიხარულის ცრემლები გადმოუგორდა თვალებიდან, - რა ბედნიერი ვარ... რა ბედნიერი... ნიაზ...

ბოლო სიტყვები ლამის ჩურჩულით წარმოთქვა დედოფალმა და თვალებიც მილულა. ოქროპირმა ხელით ანიშნა ნიაზს, გამეცალეო.

- ნიაზ... - კიდევ ერთხელ წაიჩურჩულა დედოფალმა და ძილს მიეცა.

- იძინე მშვიდად, - წაიბუტბუტა ოქროპირმა, - შენთვის ჯერ მავნებელია დიდი მღელვარება, ჯერ კიდევ ძალიან სუსტად ხარ, დილით კი, როცა მზე ამოვა, შენ სიცოცხლით სავსე წამოდგები ამ კატაფალკიდან.

ამ სიტყვებთან ერთად, მთლიანად მოხვეტა დარჩენილი ფხვნილი და თეთრად მოპარპალე ცეცხლში ჩაყარა. მუქი წითელი ფერის კვამლით დაიბურა მთელი სენაკი, კვამლის სვეტები ისე იგრაგნებოდა, თითქოს საცეკვაოდ იწვევდა ჟღალთმიანი ჯადოქრის ხალათის კალთებზე მიხატულ საოცარ ფიგურებს.

* * *

იმ წითელი კვამლის ბოლქვებს ხველებ-ხველებით გამოვექეცით მე და ნიაზი, მთვარე ცსიკიდურს მიახლოებოდა... მაშინვე დავიძინეთ, რათა ერთი პირი ძილი მაინც მოგვესწრო... გათენებას ბევრი არაფერი აკლდა...

მეორე დღეს, როცა გავიღვიძე, ასე მეგონა, სადღაც სხვაგან, ზღაპრულ ქალაქში ამოვყავი თავი; მზის ტაძრის ნანგრევების ადგილას დიდებული ტაძარი აღმართულიყო, მის ირგვლივაც მრავლად მიმოფანტულიყო მშვენიერი, უჩვეულოდ ნაგები შენობები... ზოგი მათგანი უკვე მთლიანად დასრულებული იყო, ზოგსაც ჯერ ისევ ჯგუფ-ჯგუფად დას-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტრიალებდნენ თავზე აქაური უცხვირპირო ადამიანები.

ალბათ, მკითხველი უკვე მიხვდებოდა, რა ქალაქზეა ლაპარაკი; ეს იყო სწორედ მზის ქალაქი, ოღონდ ერთიანად მუყაოსგან ნაგები, დეკორაცია და არა ნამდვილი ქალაქი. დედოფალ ნაზის არ უნდა ეხილა თავისი ქალაქი იავარქმნილი. მორჭმით უნდა დაბრძანებულიყო ტახტზე და თავი ჭეშმარიტ დედოფლად, მბრძანებლად ეგრძნო. ოაზისის მესვეურებმა იზრუნეს ამაზე და, მათ სანაქებოდ უნდა ითქვას, მშვენივრად გაართვეს თავი ამ საქმეს; თავი სიზმარში მეგონა, როცა პირველად ამ მკვდრეთით აღმდგარი ქალაქის ქუჩებში გავისეირნე: ერთმანეთს ენაცვლებოდა დიდებული სასახლეები და მონუმენტური ქანდაკებები... ლამის ვირწმუნე, რომ, რაღაც სასწაულით, მართლა იმ შორეულ დროში დავბრუნდი სამი ათასი საუკუნე რომ გვაშორებდა, ისე ნაღდი და ჭეშმარიტი ჩანდა ყველაფერი. თვით იმ სწავლულ ხალხსაც შეეცვალა იერი, ახალი სამოსელის წყალობით, - ოქრომკერდით ნაკერი განიერი მოსასხამები ეცვათ, მოოქროვილ ქამარში ჩატანებული. ეს ყველაფერი მათთვის ნამდვილი მასკარადი იყო და კარგადაც ერთობოდნენ, ყველას მხიარული ღიმილი დასთამაშებდა სახეზე, მათი შემხედვარე იფიქრებდი, რა მხიარულ ხალხს უცხოვრია მზის ქალაქშიო...

მე მაშინვე მივხვდი, ვერც ჩვენ გადავრჩებოდით ტანსაცმლის გამოცვლას, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, საქმე აქ ბევრად უფრო რთულად იყო, ვიდრე მეგონა. ნიაზს არ აკმარეს იმ ღირსსახსოვარ ღამეს გათამაშებული სცენა, მას ბოლომდე უნდა შეესრულებინა მხედართმთავარ ნიაზის როლი, იმ ნიაზისა, რომელიც მხედართმთავარი იყო დედოფალ ნაზის კარზე და შემოსეულ მომთაბარე ტომებს ებრძოდა. ნიაზი მაშინვე გამოაწყვეს მხედართმთავრის საგანგებოდ მომზადებულ სამოსელში. გაოცებისგან თვალები ლამის გადმომცვივდა, როცა პირველად დავინახე. ძვირფასი თვლებით ნაკერი ტუნიკა მუხლებამდე სწვდებოდა, წელზე ოქროს ქამარი ერტყა, და ოქროსქარქაშიანი ხმალი ეკიდა. გულმკერდს და მხრებს მოოქროვილი ფირფიტები უფარავდა ისრებისგან თავდასაცავად. რბილი ტყავის სანდლები ეცვა, თავს ჯიღა უმშვენებდა. გეფიცებით, გამიჭირდა მისი ცნობა, ისეთნაირად გარდაქმნილიყო ამ სამოსელში; რაღაც საოცრად უხდებოდა. თვითონაც გრძნობდა ამას და თვალდათვალ შეიცვალა, მხედრული იერი შეიძინა, უკვე სულ სხვა ნაბიჯით დადიოდა, ხმაც კი შეეცვალა, ლითონისებურ ბგერებს შეამჩნევდი მასში.

მეც გამომიძებნეს როლი. პირველად ახლა შემამჩნია ოქროპირმა. ჩამაცვეს ტომარასავით განიერი სამოსელი, რომელსაც სახელოებზე და კალთაზე ოქროს ფუნჯები ეკიდა. სირა-ქლემის ფრთებისგან კოხტად შეკრული, სურნელოვან ჩუქურთმებიან ხის ტარზე დამაგრებული განიერი მარაო მომცეს. ამ მარაოთი უნდა დამენიავებინა ნიაზისთვის, როცა ის მოსვენებით იჯდა, სიარულისას კი ქოლგასავით უნდა მომეჩრდილა, რათა მზის სხივებს არ შეეწუხებინა უპირველესი კაცი დედოფალ ნაზის კარზე.

ასე გამოგვაწყვეს ორივენი და ჩვენთვის ახალი ცხოვრება დაიწყო. როცა ნიაზი დომინოს თამაშით არ იყო გართული /უნდა მეთქვა, როცა მომთაბარე ტომებთან ბრძოლით არ იყო დაკავებული/, აუცილებლად უნდა ხლებოდა დედოფალ ნაზის, მეც, ცხადია, აჩრდილივით თან ვახლდი. დედოფალი ნაზი ჯერ ისევ მძინარე გაიყვანეს მისთვის საგანგებოდ აგებულ სასახლეში. ამ სასახლის აგებისას აქაურებმა ლამის საკუთარ თავს გადააჭარბეს; მთელი სრულყოფილებით აღადგინეს დედოფლის დიდებული პალატები, მისაღები, მოსასვენებელი... კედლებს ამშვენებდა ჩუქურთმები, რომლებშიც ძვირფასი თვლები ჩაეტანებინათ. ყველგან დახვავებული იყო ვერცხლის და ოქროს ნატიფი ნივთები, მარმარილოს ქანდაკებები, ოქროქსოვილის და ხავერდის ფარდები, რბილბეწვიანი ნოხები და, რა ვიცი, კიდევ რა... მათი თვალიერებისას ლამის მერწმუნა, თითქოს მართლაც ნაღდი იყო ეს ყველაფერი და არა იმიტაცია, ისეთი ხელოვნებით გახლდათ დამზადებული. რაც შეეხება თვითონ დედოფალს, აბა, შემოწმებას ხომ არ დაუწყებდა დიადემაში დამაგრებულ ძვირფას თვლებსა და იმას, რომ არც ოქრო იყო ნამდვილი ოქრო... თუმცა ყოველთვის ვცდილობდი, არ მეფიქრა ამაზე, ძალზე სევდიან განცდებს იწვევდა ჩემში.

* * *

თეთრი ოთახი მზის სხივებს აევსო, კარადებში მინას და ნიკელს კრიალი გაჰქონდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგიდასთან თეთრ ხალათში გამოწყობილი ნაზი იჯდა და რაღაცას წერდა ჟურნალში... ჩვენი შესვლისას თავი ასწია და თავშეკავებით გაგვიღიმა. ნიაზი სავარძელში ჩაეშვა, მეც, მისი აზრდილი, მეორე სავარძელში მოვკალათდი. ნეტარებით ვისვენებდი, თან იქაურობას ვათვალიერებდი. ძალიან მართობდა ის კონტრასტი, უდიდესი წინააღმდეგობა და განსხვავება, რაც დედოფლის სასახლესა და აქაურობას შორის, მეცნიერულ დაწესებულებას შორის არსებობდა. ალბათ, ასეთი გრძნობა გექნება მაშინ, სიზმრიდან ცხადში რომ გადმოაბიჯებ...

– დაიღალეთ? – იკითხა ნაზიმ, თუმცა ეს შეკითხვა უფრო ნიაზის ეკუთვნოდა.

– ნუღარ მკითხავ, – ამოიკვნესა ნიაზმა. – გაუთავებლად ომზე ლაპარაკი და ფიქრი ვის არ დაღლის. დაწვრილებით უნდა ვუამბო, რა მდგომარეობაშია სპა, რამდენია დაჭრილი, რამდენი გამოგვაკლდა ბრძოლის დროს, საომარი იარაღი რა მდგომარეობაშია... ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იმ ღამის შემდეგ გონს ვეღარ მოვსულვარ, რაც ჩვენმა მეუღლემ ეგ გააცოცხლა.

– შესახედავად როგორია? – იკითხა ნაზიმ და კალამი დადო.

– შესახედავად?.. ჰმ, შესახედავად მგონი არა უშავს რა, ყოველ შემთხვევაში, თავი ნამდვილი დედოფალივით უჭირავს. ავაზის ტყავებით მოფენილ ტახტზე ზის და ირგვლივ ოქროქსოვილში გამოწყობილი მხევლები ახვევია. კედლებზე ფრთოსან მნათობთა ოქროს ბარელიეფებია. ფანჯრებიდან გიგანტური ქანდაკებების წყება მოჩანს... თავი სიზმარში გეგონება... – ნიაზი მოულოდნელად გაჩუმდა, ნაზის დააშტერდა და წამოიძახა: – შენ გგავს...

– მართლა? – გაეცინა ნაზის.

– მართლა... ძალიან გგავს, ამდენ ხანს როგორ ვერ შევამჩნიე. თუმცა ისე სხვადასხვანაირად ხართ ჩაცმულები. სად იმის სადედოფლო სამოსელი და სად შენი თეთრი ხალათი... ერთნაირი ტანსაცმელი რომ გეცვათ, თქვენს შორის არავითარი განსხვავება აღარ იქნებოდა.

– აბა, აბა, – თითი ხუმრობით დაუქნია ნაზიმ.

– ის ხომ მუმიაა, – გულწრფელი დაყვავებით გაეცინა ნიაზს.

ნაზის აღარაფერი უთქვამს, ყავა მოგვიდუღა, რასაც სიამოვნებით გეახელით. მერე მეც წარმადგინეთ თქვენს დედოფალთანო, მოგვაძახა, როცა კარებში გამოვდიოდით.

– აუცილებლად, – გაეპასუხა ნიაზი. – ოღონდ ჯერ მე თვითონ უნდა შევეჩვიო ჩემს როლს. არც ისე ადვილია მისი შესრულება...

ტყუილად როდი დაიჩივლა ნიაზმა, მართლა ძალიან იტანჯებოდა დედოფალ ნაზის გვერდით, განსაკუთრებით პირველ ხანებში; შიშისგან ფერფური მისდიოდა, ერთი წამითაც ვერ ბედავდა მასთან მარტო დარჩენას. გვერდიდან არ მომშორდეო, საგანგებოდ მაფრთხილებდა წინასწარ. ჩემი მოვალეობაც ხომ ეგ იყო; აზრდილივით თან დავყვებოდი და ვუნიავებდი სირაქლემის ფრთებით. ეკლებზე იჯდა ნიაზი, გამუდმებით კარისკენ ეჭირა თვალი. კიდევ კარგი, გახურებული ომი იყო მომთაბარე ყაჩაღებთან, თორემ რა ეშველებოდა?..

– მეტი აღარ შემიძლია, – შესჩივლა ნიაზმა ოქროპირს, – ერთი განახა, როგორ შემომყურებს, თვალებში რა ცეცხლი უელავს, თვალებით მეძახის, თავისკენ მიხმობს. მე კი მუდამ სადღაც მეჩქარება. ხან სისხლი მაქვს შემხმარი მკლავზე, ხან მუხლი მაქვს შეხვეული და კოჭლობით გავრბივარ საომრად. როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე?

– ცოტაც მოითმინე, დედოფალი ნაზი მალე წააგებს ომს, – წაიბუტბუტა ოქროპირმა.

– მანამდე მე ვერ გავძლებ.

– გაძლებ, შეეჩვევი...

– შევეჩვევი?!. ო, ღმერთებო...

ნიაზი ცდებოდა. თავისთვისვე შეუმჩნევლად, თანდათან მიეჩვია დედოფალ ნაზის გვერდით ყოფნას. ისე მიიჩქაროდა ხოლმე მასთან შესახვედრად, ძლივსღა ვეწეოდი, რათა მზის მცხუნვარე სხივები მომეჩრდილა მისთვის. დედოფალი ნაზი მორჭმით იჯდა ოქროსგან /ვაგლახ, თითბრისგან/ ნაძერწ ტახტზე, რომელზეც ავაზის ტყავი /პლასტიკატი/ ეფეინა, შუბლს ალმასების /შუშის/ დიადემა უმშვენებდა. სხეულს უბურავდა ღრუბელივით მსუბუქი და ჰაეროვანი სამოსელი, ასევე ალმასის /შუშის/ თვლებით აკიძნული, გეგონებოდათ, ნისლით შემობურულ გაბადრულ მთვარეს შევცქერიო /ნეილონისგან მართლაც არ გვაკლია ეგ სიკეთე; სიმსუბუქე და ჰაეროვნება/... ასევე ჰაეროვან სამოსელში გამოწყობილი მხევლები კრძალვით განერიდებოდნენ იქაურობას. ნიაზი მოწიწებით ესალმებოდა დედო-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფალს, ისიც ხელს უწვდიდა და ღიმილით ეკითხებოდა, ხომ არ დაიღალეო, დაჭრილი ხომ არა ხარო, ნიაზი მადლობას უხდიდა და მერე იწყებდა საომარი ამბების მოყოლას. დიდი მგზნებარებით ყვებოდა მომთაბარე ტომების მუხანათობისა და ვერაგობის შესახებ... უამრავ საომარ ფათერაკს იხსენებდა, ძალზე სახიფათო შემთხვევებს, საიდანაც, ცხადია, გამარჯვებული გამოდიოდა მუდამ. დედოფალი ნაზი, ეს პოეტური სულის, ფრიად განათლებული ქალი, მეტად საინტერესოდ საუბრობდა, თან ძალიან ლამაზიც იყო და მისი გონებამახვილობით აღფრთოვანებულმა ნიაზმა თვითონაც ვერ გაიგო, ისე ეამბორა ერთხელ ხელზე, თუმცა ძალიანაც გადაუქანდა გული, როცა გონს მოვიდა.

– რამ დაგაფრთხო? – დატუქსა იგი ოქროპირმა, როცა ნიაზმა ხელზე კოცნის ამბავი და საკუთარი განცდები გაუმჟღავნა. – დედოფალი ნაზი მიმზიდველი ქალია, თან ძალზე განათლებული და ჭკვიანიც. მისი გულისთვის მამაკაცები თავებს იხოცავდნენ. ასეთი მშიშარა რომ არ იყო, უკეთეს დროს გაატარებდი...

ნიაზი ადგილზე შეხტა ამის წარმოდგენისას.

– რა საშინელებაა! – წამოიძახა შეძრწუნებულმა.

– იქნებ იმისი გერიდება, ნაზის რომ უნდა უღალატო, – ჰკითხა ოქროპირმა, თან ამ დროს, როგორც მომეჩვენა, იქედნურად ჩაიღიმა.

– არა, არა,.. არც კი მიფიქრია, მამაკაცს აქვს მაგისთანების უფლება... მაგრამ დედოფალი ნაზი ხომ მუმიაა...

– გაიგე, ყმაწვილო, დედოფალი ნაზი მუმია კი არა, სიცოცხლით სავსე ქალია, – გაბრაზებით შეაწყვეტინა ოქროპირმა, – ამაში თვითონვე დარწმუნდები, თუ უფრო ახლოს გაეცნობი...

ნიაზი ძრწოდა, მაგრამ დედოფალი ნაზი ისეთი მიმზიდველი, ისეთი ეშხიანი გახლდათ, უნებურად თვალი რჩებოდა მასზე. და ერთ მშვენიერ დღეს ნიაზმა გაბედა, ავაზის ტყავებით მოგებულ ტახტზე წამოგორებულიყო და ეთქვა, დავიღალე, ცოტა ხნით შენს გვერდით უნდა დავისვენოო. დედოფალმა ნაზიმ მისი თავი მუხლებზე დაიდო და თქვა, ვარსკვლავებმა მიწინასწარმეტყველეს /ვარსკვლავთმრიცხველობაში დახელოვნებული გახლდათ დედოფალი/, ომი ერთ თვეში დამთავრდება და მერე აღარაფერს შეუძლია თქვენი გაყრაო. თან შუბლზე ეამბორა ნიაზს, რომელსაც სულ ოდნავ გააჟრჟოლა ამ დროს. რაც უნდა ყოფილიყო, ეს მშვენიერი ქალი ნამდვილი დედოფალი გახლდათ, ხოლო მაღალი მდგომარეობა ერთნაირი მომნუსხველობით მოქმედებდა ყველა დროსა და ეპოქაში.

შემდგომ დღეებშიც დედოფალმა ნაზიმ რამდენჯერმე აკოცა ნიაზს, რომელსაც ისევ აჟრჟოლებდა, მაგრამ არა შიშისგან /ყოველ შემთხვევაში, შიშს აქ სულ მცირე წილი ედო/... ნიაზს სულ უფრო და უფრო მოსწონდა დედოფალი, ისე მოიხიბლა, თავის შეყვარებულთანაც კი აღარ დადიოდა პაემანზე. ერთხელ შევახსენე კიდეც ამის შესახებ, ნიაზმა შემომიღრინა, არა მცალიაო, მეც ავიღე და მარტოკა ვეახელი ნაზის, რათა მისთვის ნიაზის მოუცლელობა მეუწყებინა. როგორც არაერთხელ აღვნიშნე, მოხიბლული ვიყავი მათი მშვიდი, საამური სიყვარულით და მინდოდა, მფარველ ანგელოზად ვქცეულიყავი მათთვის. ნაზიმ ბევრი იცინა, როცა ნიაზის ფათერაკები ჩავუკენჭე /რა თქმა უნდა, ცოტა შერბილებულად/. ნიაზზე არ ბრაზობდა, ვიცი, მართლაც მოუცლელი იქნებაო. მერე თვითონაც მიამბო ახალი ამბები. თურმე მთელი ოაზისი რაღაც მნიშვნელოვანი მოვლენების მოლოდინში ყოფილა, ოქროპირმა მართლაც სასწაულებრივად აღადგინა სამი ათასი წლის წინათ გარდაცვლილი მუმია, მაგრამ ამაზე უფრო საოცარ ამბებს აწი უნდა ველოდოთო, მეუბნებოდა ნაზი. მთელი ოაზისი შეთქმულებივით ირგვლივ ეხვევა დედოფალ ნაზის, ელის ახალ სასწაულებს. ოქროპირი კიდევ აპირებს რაღაცას, ამისთვის კი მას ყველა პირობას შეუქმნიან, ყველანაირად დაეხმარებიან, რადგან ეს ადამიანი კი არა, ნამდვილი სასწაულმოქმედია. თან დიდი უცნაური ვინმეა, ვერ გაიგებ, რა აინტერესებს, რისთვის სჭირდება ის ჯადოქრული ცდები... თითქოს მეცნიერის სახელიც არ უნდა იზიდავდეს. აბა, ერთი მითხარი, რომელი მეცნიერი გააბამს მუსაიფს შადრევანთან?

ნაზის სიტყვები თითქოს ჩემი ფიქრების გამოძახილი იყო; მეც არაერთხელ მეფიქრა ოქროპირის შესახებ. ვერ გამეგო, ასეთი სასწაულების მომხდენს, რა აინტერესებდა, რატომ იმალებოდა სადღაც უდაბნოში მიკარგულ ოაზისში... რა ჰქონდა მიზნად, როცა სამი ათასი წლის მუმია აღადგინა... როგორც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩანს, ასეთივე იდუმალი არსება იყო იგი სხვებისთვისაც... სოლომონის გამოკლებით. იგი მისი უახლოესი თანაშემწე იყო, მაგრამ მისგან სულ ორი სიტყვა თუ გამეგონა. იმ დღეებში არც ნიაზს ცხელოდა ამაზე სალაპარაკოდ, კიდეც რომ მეკითხა რაიმე და ლაპარაკში გამომეწვია. მას თავდავიწყებით შეუყვარდა დედოფალი ნაზი, ძალიან უჭირდა უმისოდ გაძლება. ნამდვილი წამება იყო ნიაზისთვის, როცა ომის მომიზეზებით უნდა მიეტოვებინა დედოფალი... კარგა ხანს ითმინა ნიაზმა, ბოლოს კი გადაწყვიტა, მოვკვდები, თუ დედოფალი ნაზი ჩემი არ იქნებაო. თავისი გულისწადილი ჯერ ოქროპირს გაანდო. ოქროპირს სულაც არ გაჰკვირვებია.

– დროს ნუ კარგავ, ცხოვრება ისეთი ხანმოკლეა... – თქვა ქალწვეროსანმა პატრიარქმა და იდუმალად ჩაიღიმა, თუმცა ამ ღიმილში საეჭვოს და უსიამოვნოს ვერაფერს შეამჩნევდი, მაინც მე, მის მხილველს, ჟრუანტელმა დამიარა მთელ ტანში.

ყურად იღო ნიაზმა ქალწვერას რჩევა. შიშის და ყოყმანის სულ მცირე ნარჩენიც დაძლია და დედოფალ ნაზის განუცხადა, ამაღამ ლაშქარს ჩემს მოადგილეს ვანდობ, შემიძლია საკუთარ თავს ცოტა მოსვენების უფლება მივცეო. დედოფლის სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა... და ისინი იყვნენ ბედნიერები იმ ზომამდე, რომ საკუთარი ბედნიერების გარდა, ამქვეყნად სხვა აღარაფერი ახსოვდათ. ისვენებდნენ ნოხებით მოგებულ, დიდებულ პალატებში, ხანდახან გაისეირნებდნენ პალმების ხეივანში, მე აზრდილივით თან დავყვებოდი და ორივეს ვუჩრდილავდი სირაქლემის ფრთებისგან შეკრული მარაოთი. ვიღაცის მზრუნველ ხელებს ცოცხალი ყვავილებით დაეფარა ის ბილიკები, სადაც ბედნიერ წყვილს უნდა გაევლო. მათ, დედოფალ ნაზის და ავტომანქანის მძღოლ ნიაზს, ისე უყვარდათ ერთმანეთი, როგორც ერთ დროს დედოფალს და მხედართმთავარს... დედოფალ ნაზის, ამ საოცარ, გამჭრიახი გონების ქალს, თავისი დროისთვის ბრწყინვალე განათლება ჰქონდა მიღებული. შესანიშნავად იცოდა ვარსკვლავთმრიცხველობა. ღამღამობით ხშირად უთვალთვალებდა ვარსკვლავებს მაღალი კოშკის ღია ვერანდიდან, რომელიც საგანგებოდ ყურადღებით და რუდუნებით გახლდათ აგებული. თურმე დედოფალი აქ ხშირად ატარებდა დროს და აქაურებმა თავები არ დაზოგეს, რათა ეს მუყაოს და ფანერის კოლოსი ნამდვილს მგავანებოდა. მიზანსაც მიაღწიეს. ვერანდა მართლაც ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებდა. ვერანდაზე ამავალი კიბე იშვიათი ორნამენტებით და ჩუქურთმებით იყო შემკული, ყოველი მისი საფეხური რაღაც ახალი საუცხოო ნახატი გახლდათ, მოზაიკისგან დიდი ხელოვნებით შესრულებული. ირგვლივ უცნაურ ქიმერებს ჩაებათ ფერხული, კუდებით და გრძელჭანგებიანი ხელებით გადასკვნოდნენ ერთმანეთს და უცხოდ ნაძერწ მოაჯირს ქმნიდნენ. ვერცხლის ქერცლით უელვარებდათ სხეული, თვალებად ძვირფასი თვლები ესვათ. შუა ადგილას მარმარილოს საყრდენზე ჩამუხლულ მდუმარე სფინქსს ზეცისკენ მიეპყრო თვალები. დედოფალი ნაზი სათვალთვალო მილით შეჰყურებდა ვარსკვლავებით მოჭედილ ზეცას, ნახი ხმით წარმოთქვამდა მათ სახელებს, ჩემთვის უცნობ სიმბოლოებს; ნიაზი ბაიბურშიც არ იყო, ძალზე ცოტა რამ იცოდა ციურ მნათობთა შესახებ; ხმაგაკმენდილი უსმენდა და აქა-იქ თუ ჩააკერებდა სიტყვას.

ერთი ასეთი ღამე განსაკუთრებით ჩამრჩა მეხსიერებაში: ცაზე სავსე მთვარეს გაჰქონდა ქათქათი. მისი რძისფერი შუქისგან ბრწყინვალებაგამკრთალი ვარსკვლავები მორცხვად ციმციმებდნენ. დედოფალ ნაზის მთვარისკენ მიემართა სათვალთვალო მილი. უხვად ელვრებოდა სხეულზე თეთრი სხივების ჩანჩქერი და ამ სხივებზე ჭეშმარიტი პატიოსანი თვლების ბრწყინვალებით და პეწით ელავდნენ მის ჰაეროვან სამოსელზე, მხრებზე თუ შუბლზე მიმოფანტული შუშის მძივები /ვაგლახ!/ უცხოდ ნაძერწ ქანდაკებას ჰგავდა, სფინქსივით მდუმარეს და გამოუცნობს.

მოულოდნელად გაცოცხლდა ეს მშვენიერი ქანდაკება; ხელი დაბლა დაუშვა დედოფალმა, ნიაზისკენ მიიხედა და ასეთი რამ თქვა:

– ასე მეჩვენება, თითქოს ეს ყველაფერი, რაც ახლაა ჩემს ირგვლივ, უკვე იყო დიდი ხნის წინათ. თითქოს მე და შენ ოდესღაც ერთხელ უკვე ვიდექით ზუსტად ასე, როგორც ახლა ვდგავართ და მთვარეს შევყურებდით. შენ არ გეჩვენება ხოლმე ასე?

. ნიაზი სფინქსის გვერდით იდგა ჭეშმარიტი მეომრის მოხდენილ პოზაში, მხედართმთავრის სრული სამოსელით შემოსილი. ცალი ხელით სფინქსს ეყრდნობოდა, მეორეთი დაშნა ჩაებღუჯა. მის ფერხთა ქვეშ ვერც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხლის გველი იკლაკნებოდა, რომელსაც საკუთარი კუდისთვის ჩაევლო პირი.

თვით მთვარის შუქზეც საცნაური იყო, თუ როგორ გაუფითრდა სახე ნიაზს, მთელი სხეულით შეტოკდა, ფეხი მოინაცვლა, ხელები ისე ააფათურა, თითქოს აღარ იცის, რას ჩაებღაუჭოსო და ძლივსღა ამოღერღა:

- მეც ასე მეჩვენება ხანდახან, თითქოს ეს ყველაფერი უკვე იყო, მე და შენ ერთად შევცქეროდით მთვარეს, თვალებში შემოგყურებდი, ვარსკვლავებს რომ სჯობნიდნენ ელვარებით, ხელებზე გეამბორებოდი და...

ნაზიმ ხელები გაუწოდა, ნიაზმა ორივე ხელი ჩაავლო და ფერდაკარგულები, დუმილით ჩააცქერდნენ ერთმანეთს თვალებში. მე, როგორც აჩრდილი, ვერანდის უშორეს კუთხეში ვიყავი მიკუნჭული, შევყურებდი მათ და უეცრად მეც გამიჩნდა ისეთი გრძნობა, თითქოს ეს ყველაფერი ერთხელ უკვე მენახა, უკვე მომხდარიყო... ზუსტად ასეთნაირად, მოქათქათე გაბადრული მთვარის ქვეშ... აი, ახლა ჩრდილი დაეცემა მთვარეს და გამყივანი უსიამოვნო ძახილი შესძრავს აქაურობას.

და მართლაც, იმავე წამს, ფართოდ ფრთებგაშლილი აჩრდილი გადაევლო თავზე, ერთი წამით დაიბინდა მთვარის ნათელი სახე და გამყივანმა კივილმა შესძრა იქაურობა... მე თავი ვეღარ შევიკავე, ყვირილი აღმომხდა უნებურად. ნაზიმ და ნიაზმა ჩემკენ მოაბრუნეს გაფითრებული სახეები.

- ახლა მეტყვიან, რა მოგივიდა, ჭოტმა ასე როგორ შეგაშინაო,- გავივლე გულში.

- რა მოგივიდა, ჭოტმა ასე როგორ დაგაფრთხო? - ლამის ერთხმად მითხრა ორივემ და თვითონვე შვებით ამოისუნთქეს. მეც მაშინვე დამამშვიდა მათი დინჯი, ადამიანური ხმის გაგონებამ. მართლაც, ჭოტის ხმამ როგორ უნდა შეგაშინოს, თუმცა, მეტისმეტად მოულოდნელად წამოგვადგა თავზე, აჩრდილივით უხმაუროდ იცის ფრენა...

სამიოდე კვირა იქნებოდა გასული ამ ღირსსახსოვარი ღამიდან, სოლომონი რომ დაგვადგა თავზე ნაზისთან წასასვლელად გამზადებულებს და გვაუწყა, ოქროპირი გიხმობთო. ჩვენც ვეახელით მზის ტაძრის სენაკს... რა ხანია, აქაურობა თვალით აღარ გვენახა... წარვუდექით მზის სენაკში შადრევნის გვერდით ჩამუხლულ ოქროპირს. დაგვინახა თუ არა, მარჯვენა ხელი აღმართა და დიდის ამბით გამოაცხადა, დედოფალი ნაზი უნდა მოკვდესო.

ამის გაგონებამ ნიაზზე აშკარად ძლიერად იმოქმედა:

- რად უნდა მოკვდეს? ვის რას უშლის, ისეთი ლამაზია, ისეთი პოეტური, - თქვა შეწუხებულმა.

ოქროპირი რაღაც ჩაციებით ჩააცქერდა ნიაზს. რამდენიმე წამს მზის სენაკში დუმილი არაფერს დაურღვევია შადრევნის მშვიდი ჩქაფუნის გარდა.

- მარადიული არაფერია ამქვეყნად, - წყნარი ხმით თქვა ბოლოს ოქროპირმა. - დედოფალი ნაზი დროებით გაცოცხლებული მუმიაა, ისედაც ხანმოკლე სიცოცხლე აქვს. სულ ერთია, თვითონ მაინც მოკვდება ათი დღის შემდეგ. ახლა ისღაა მთავარი, რომ ისტორიული სინამდვილე არ დავამახინჯოთ. დაე, ახლაც ისე მოკვდეს, როგორც ერთ დროს მოკვდა, სამი ათასი წლის წინათ, ჭეშმარიტად დედოფლური, ღირსეული სიკვდილით.

ოქროპირი დადუმდა, შადრევანს მიუპყრო ყური, რომელსაც ამ დროს, თუ სმენა არ მღალატობს, მართლაც ისე შეეცვალა ხმა, ისე აქლურტულდა, თითქოს რაღაც გაუხარდაო. მე და ნიაზი საგონებელში ჩავარდნილები გამოვედით გარეთ. გული გვითქვამდა, რომ მოულოდნელობებით აღსავსე დავიდარაბიანი დღე გველოდა.

მართლაც ასე იყო...

დასაწყისში ყველაფერი წესით და რიგით მიდიოდა. თვით მეტად დახელოვნებული რეჟისორი ვერ წარმართავდა უფრო უკეთესად იმ მიზანსცენას, რაც იმ დღეს დედოფალ ნაზის სასახლეში გათამაშდა. არც ერთხელ არ შებღალულა ისტორიული სინამდვილე, არავის არაფერი შეშლია. არავითარი ზედმეტი სიტყვა, ზედმეტი მღელვარება... დედოფალი ნაზი შეძრწუნდა, როცა საკაცით მიუყვანეს სასიკვდილოდ დაჭრილი ნიაზი. ამ უკანასკნელს შესანიშნავად ეჭირა თავი, გაუნძრევლად იწვა თავით-ფეხამდე ქათმის სისხლში ამოსვრილი და თვალიც არ დაუხამხამებია იმ დროს, როცა დედოფალი ნაზი ისე მოთქვამდა, რომ ქვასაც კი აატირებდა. უნუგეშო იყო საბრალო ქალის მწუხარება, ნაღდი და ჭეშმარიტი იყო მისი ცრემლები. მართლაც სანთელივით იწვოდა და იმდუღრებოდა. ო, როგორ მინდოდა, რაიმე სანუგეშო სიტყვა მეთქვა მისთვის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიმეთი შემემსუბუქებინა მისი განუზომელი ურვა და ვაება. „რად ეწამები ასე, საბრალო ქალო, - ვამბობდი გულში. - ვისთვის იკლავ თავს, ვის დასტირი. ეს ხომ სულ სხვა ვინმეა და არა ის, ვინც შენ გგონია. ერთი უბადრუკი კომედიანტი და მასხარა, აი, ვინ არის შენს წინაშე. აქ არაფერი არაა ნაღდი და ჭეშმარიტი. ყალბია ყველა და ყველაფერი, ყველა რაღაც როლს ასრულებს. მხოლოდ შენ ერთადერთი არ თამაშობ. მხოლოდ შენი ცრემლებია ნაღდი ამ ჭრელ მასკარადში... ცრემლები, რომლებსაც ასე უხვად აფრქვევ ამ უბადრუკი თვითმარქვიას თავზე..."

ენაზე მადგა ეს სიტყვები, მაგრამ, ვაი რომ, არ მეწერა მათი ხმამაღლა თქმა, რამეთუ აჩრდილის როლი მერგო ამ მასკარადში, ხოლო აჩრდილნი ძალზე იშვიათად თუ დაარღვევენ დუმილის აღთქმას, მათ არა აქვთ ამის უფლება, უხმოდ და შეუმჩნევლად ვიდექი ჩემთვის კუთხეში და შევყურებდი მოვლენათა მსვლელობას. ბოლოს მოართვეს დედოფალ ნაზის ყვავილების კალათი, რომელშიც შხამიანი გველი იწვა. დედოფალმა ხელი გაუწოდა გველს. გველსაც არ დაუყოვნებია, რომ თავისი შხამიანი კბილები ჩაესო მისთვის.

- ნიაზ... - უკანასკნელად ჩაიჩურჩულა ნაზიმ და თვალები სამუდამოდ დახუჭა.

ნიაზი ისევ განუძრევლად იწვა, მანამდე ვერ გაბედა თვალების გახელა, სანამ ოქროპირის ხმა არ ჩაესმა:

- შეგიძლია წამოდგე, ყმაწვილო...

- უჰ, მადლობა ღმერთს, - ამოისუნთქა ნიაზმა და სწრაფად წამოხტა საკაციდან.

- ხომ არ დაიღალე? - შეეკითხა ოქროპირი. ძალზე უბრალო შეკითხვა იყო, მაგრამ რაღაც ისე გაიჟღერა, რომ კვლავ გავფაციცდი.

- მერე როგორ! განა ადვილია ამდენ ხანს გაუნძრევლად წოლა და მკვდრის როლის თამაში?

- მართალია, მაგრამ მე ვფიქრობ, ნამდვილი სიკვდილიც არ უნდა იყოს ადვილი საქმე, - იმავე შემპარავი, რბილი ხმით შენიშნა ოქროპირმა, - თანაც, მან ხომ შენი გულისთვის მოიკლა თავი...

- ეგ ხომ ისედაც მკვდარი იყო, - არხეინად თქვა ნიაზმა - დროებით გაცოცხლებული მუმია... დიდი არაფერი მომხდარა, თუ ხელახლა მოკვდა. მე კი ძალიან გავწვალდი. რა იქნებოდა, მაგისი შეყვარებულიც, ის მკვდარი ნიაზიც გაგეცოცხლებინა, მაშინ გადავრჩებოდი ამდენ დავიდარაბას...

მოულოდნელად ოქროპირის ხმა ისე გაისმა, თითქოს მოწმენდილ ცაზე მეხი გავარდაო.

- მაშ, კარგი იქნებოდა. მკვდარი ნიაზი გამეცოცხლებინა? - დასჭექა მან. - ვინ გგონია შენი თავი? სწორედ შენა ხარ მაგისი შეყვარებული, - სამი ათასი წლის წინათ გარდაცვლილი ნიაზი, დედოფალ ნაზის სიყვარული. პირველად შენ გაგაცოცხლე, მაგრამ სრულებითაც არ გახსოვდა დედოფალი ნაზი, შენი თავი ისევე ცარიელი იყო, როგორც მზის სხივებზე გამომშრალი გოგრა. როცა მოგვიანებით დედოფალი ნაზი შეგიყვარდა /ჩვენ ყველანი ხელს ვუწყობდით ამ სიყვარულს/, ცოტა იმედი მომეცა, იქნებ რაიმე გაახსენდეს ანდა მასთან ერთად სიკვდილი მაინც მოახერხოს-მეთქი. თურმე შევმცდარვარ, შენ ვერც ეს შესძელი. მისმა სიკვდილმაც ვერ გააცოცხლა შენი ჩამკვდარი სული. თუმცა, შენ მაინც უნდა მოკვდე, არცა ხარ სიცოცხლის ღირსი.

ნიაზს საზარელი ყვირილი აღმოხდა და ოქროპირის წინაშე მუხლებზე დაეცა:

- შემიბრალე, მე არაფერი ვიცოდი...

- განა შენ შეიბრალე დედოფალი ნაზი, როცა შენს თვალწინ კვდებოდა სწორედ შენი გულისთვის? - ჰქუხდა ოქროპირი, - ამას გარდა, სულ ერთია, მალე მოკვდები. სამად სამი დღის სიცოცხლე დაგრჩენია. ერთი სარკეში ჩაიხედე, როგორ მოგერღვა სახე. რღვევა უკვე კარგა ხნის დაწყებულია, ხორცი და ძვალი ერთმანეთს სცილდება, მთელი სხეული იშლება. სამი დღის შემდეგ ისედაც მუმიად იქცევი, მეც სწორედ სამი დღით მრგისწრაფებ სიცოცხლეს.

ამ სიტყვებთან ერთად, ოქროპირმა თეთრი ფხვნილი დაყარა სასანთლეში მოპარპალე ალზე, საიდანაც მაშინვე თეთრი კვამლის ბოლქვები აიგრაგნა და ღრუბელივით შემოეხვია იქვე მდგარ ნიაზს. ნიაზი მაშინვე დაბარბაცდა, მაგრამ არ დაცემულა, სოლომონს ჩაუვარდა მკლავებში. სოლომონმა აუღელვებლად მოათავსა იგი იმავე საკაცეზე. სოლომონთან ერთად ისევ მე მერგო წილად ნაცრისფერ სენაკში მისი გადასვენება და იქ ღრმა წალოში მოთავსება, შავი ხავერდის ფარდის მიღმა.

თითქოს სიზმარში ვიყავი, ისე ვაკეთებდი ყველაფერს. ისიც კი ველარ მოვიფიქრე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამასკარადო განსაცმელი გამეხადა, სირაქლემას ფრთების საჩრდილობელი გადამეგდო. „აჩრდილიეით“ გამოწყობილი დავხედი უდაბნოს ქანების შემსწავლელ ექსპედიციის წევრებს. მეორე დღეს, საღამო ხანს მოაღწიეს მზის ოაზისამდე. კარნავალი მოვაწყვეთ-მეთქი, ასე ვუთხარი მათ. აკი ასედაც იყო, თუმცა დიდად სახარბიელო როლი არ მერგო იმ კარნავალში; თურმე მუმიის აჩრდილი ვყოფილვარ. ჯერ ცოცხალი ადამიანის აჩრდილად ყოფნა რა არის და ახლა კიდევ მუმიის.

ასე იყო თუ ისე, დიდად სასურველი იყო თუ არა ჩემთვის, ბოლომდე შევასრულე ჩემი როლი. დანარჩენებიც, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, დიდი გულმხურვალებით მოეკიდნენ თავიანთ მოვალეობებს და როლებს და ყოველივე დაუბრკოლებლად წარიმართა თავისი გზით. მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო... ანუ, როგორც უზენაესმა მსაჯულმა-ოქროპირმა განსაჯა და გაარიგა. ახლა უკვე ყოველი წვრილმანი გასაგები იყო, რაც უწინ აგრერიგად მაშფოთებდა: ჯერ ნიაზის უცნაური გაქრობა, მერე მისი ხილვა ხავერდის ფარდაჩამოფარებული წალოს სიღრმეში. უდაბნოში მის ეული სეირნობა, შიშისგან რომ კინაღამ გონება დამაკარგვინა. ეს ყველაფერი თურმე გარდამავალი რგოლები იყო მუმიასა და ცოცხალ ადამიანს შორის. ყველა ეს საფეხური უნდა გაევლო მკვდრეთით აღმდგარ მხედართმთავარ ნიაზს, რათა იმად ქცეულიყო, რადაც ბოლოს მოგვევლინა. ამ სასწაულებრივი გარდასახვის სულისჩამდგმელი ოქროპირი გახლდათ, ნამდვილი ჯადოქარი... მან მკვდრეთით აღადგინა მხედართმთავარი ნიაზი და, რა ნახა, რომ მისი თავი გამომშრალ გოგრასავით ცარიელი იყო (მისივე სიტყვები რომ ვიხმაროთ), ჩვენი თანამედროვე ადამიანის, მძღოლ ნიაზის ცხოვრების წესი და შთაბეჭდილებანი ჩაწერა მისი ტვინის მაგნიტურ ლენტზე, ასე რომ ნიაზს მთლიანად აუხდა ჩემი ვარაუდი ორეულის შესახებ. რატომ არჩია მაინცდამაინც მძღოლ ნიაზის ცხოვრებაო, იკითხავს ვინმე. უნდა ვაღიარო, ამის შესახებ არაფერი ვიცი. მე არ მიკითხავს რაიმე ოქროპირისთვის. შეიძლება ასე იმიტომ მოიქცა, რომ მკვდრეთით აღმდგარი მხედართმთავარი ორი წვეთი წყალივით ჰგავდა თანამედროვე მძღოლს, ისე, როგორც დედოფალი ნაზი ჰგავდა ლაბორატორიაში მომუშავე თეთრხალათიან ნაზის. ორეულები ერთმანეთს რომ არ შეხვედროდნენ, ამ მიზნით ოქროპირმა მძღოლი გათხრებზე გააგზავნა სამი თვით, აღდგენილი ორეული თავისთან დაიტოვა. ეს გახლდათ შეყვარებულთა ორი წყვილი, სხვადასხვა ეპოქებში მცხოვრებნი, მაგრამ საოცრად მსგავსნი ერთმანეთის, სახელებიც ერთიდაიგივე ერქვათ /ძალზე უცნაური დამთხვევაა, მაგრამ, ალბათ ასედაც ხდება საუკუნეთა სიმრავლის სიღრმეებში/... და ოქროპირი მათ ჭადრაკის ფიგურებივით უცვლიდა ადგილებს თავისი იდუმალი მიზნების შესაბამისად. მერედა, რა იყო ეს მიზნები, რა აინტერესებდა ამ უცნაურ, მართლაცდა ფანტასტიკურ ადამიანს, ქალწვერიან ოქროპირს, მზის ტაძრის ქურუმთა ნამდვილ გამოცხადებას... სამი ათასი წლის წინათ გარდაცვლილი მუმიისთვის ახალი სიცოცხლის მინიჭება მისთვის ჩვეულებრივი ამბავი გახლდათ. ეს როდი აღელვებდა. განმეორებათა ამ უსასრულო ჯაჭვში იგი „ადამიანურ მეხსიერებას“ ეძებდა. მისთვის მთავარი იყო იმის მიკვლევა თუ რა ჩანაწერი გააკეთა ცხოვრებამ ტვინის მაგნიტურ ლენტზე და რა იყო ამ ჩანაწერთაგან წარმავალი, თუ არსებობდა რაიმე ისეთი, რაც არასოდეს წაიშლებოდა, რაც უცვლელად გადადიოდა სხეულიდან სხეულში... ოქროპირი ეძებდა იმას, რასაც თვით სიკვდილი ვერ წაშლიდა; გულით გაიხარა, როცა დედოფალმა ნაზიმ თვალის გახელისთანავე ნიაზს მოუხმო, ძალიან გულდაწყვეტილი დარჩა და ბოლოს განრისხდა კიდეც, როცა მკვდრეთით აღმდგარმა ნიაზმა ვერაფერიც ვერ გაიხსენა და, ამდენად, არც აღმოჩნდა სიყვარულის ღირსი... სიყვარულის ხსოვნა... ალბათ, სწორედ ესაა, რაც ადამიანს ქმნის, სხვა ყოველივე წარმავალია ამქვეყნად, ქვიშის ბორცვებივით წარმავალი და ცვალებადი. ქვიშის ბორცვებივით ვჩნდებით, ვქრებით, ერთმანეთში ვითქვიფებით, გადავდივართ ერთი არსებობიდან მეორეში, მერე ისევ ვჩნდებით... და, ალბათ, არსებობს რაღაც მარადიული და უცვლელი, რაც ძვირფასი თვლების მძივივით გაჭიმულა ქვიშის ბორცვთა შორის, რაც მარად ახალ და ახალ ფორმას აძლევს მათ უსახო სიმრავლეს. ეს არის სწორედ ჭეშმარიტი სიყვარულის ცრემლები, მისი მარადიული, დაუვიწყარი ხსოვნა. უდაბნოს ქვიშას ეცემა ეს ცრემლები, მაგრამ არ იკარგება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაფრის წაშლა შეიძლება, მის გარდა... ალბათ, სწორედ ამის შესახებ ქღურტულებდა პატარა შადრევანი ნაცრისფერ სენაკში, ამაზე ეჩურჩულებოდა მისკენ ყურმიპყრობილ ოქროპირს.

აქ, როგორც იტყვიან, შეიძლებოდა წერტილი დაგვესვა, მაგრამ ორიოდე სიტყვა კიდევ გვაქვს სათქმელი და ეს ორიოდე სიტყვა დედოფალ ნაზის თანამედროვე ორეულს, თეთრხალათიან ნაზის შეეხება. აკი უკვე ვთქვი, თეთრხალათიანი ნაზი ოდნავადაც არ ეჭვიანობდა, როცა ნიაზმა სასიყვარულო რომანი გააბა დედოფალ ნაზისთან. ჯერ ერთი, თეთრხალათიან ნაზის მუმია არ მიაჩნდა ნამდვილ მეტოქედ. ამას გარდა, არც ნიაზს გაუმხელია მისთვის ყველაფერი ბოლომდე, მაგრამ როგორღაც ისე მოხდა, რომ მაინც ერგო ეჭვიანობის სამსალის დაცლა: თურმე სრულიად შემთხვევით სამეფო სამარხის გათხრებზე გამგზავრებულიყო და იქ ნიაზი ეხილა, ვიღაც ქალბატონთან მტრედივით მოკურკურე. ცხადი იყო, რომ ნიაზს მოეწყინა იმის მოლოდინში, თუ როდის მიიღებდა ოქროპირისგან ოაზისში დაბრუნების ნებართვას და სასიყვარულო ნაცნობობა გააბა ვიღაც ტურისტ ქალთან.

ელდისგან კინაღამ გული წაუვიდა თეთრხალათიან ნაზის, მაგრამ თავი შეიმაგრა, ისიც არ აკადრა, საყვედური ეთქვა თავისი მოღალატე სატრფოსთვის. უფრო მეტიც, არც კი დანახვებია ნიაზს, ისე გამოქანდა უკანვე ოაზისში. გზაში ბევრი იფიქრა და გადაწყვიტა, რომ ეს ყველაფერი, რაც ახლა იხილა, უკვე დიდი ხნის ამბავი იყო და ამაში როგორღაც თვითონ ოქროპირს მიუძღოდა ბრალი. გაალმასებული ქალი შურდულივით შევარდა მზის ტაძარში და ნამდვილი ქორივით დააცხრა ქღალწვერიან ჯადოქარს.

- თქვენ ყველაფერი იცოდით და მიმალავდით, - ხმამაღლა გაჰკიოდა იგი.

ოქროპირი ოქროსფერი ლერწმისგან ნაქსოვ ჭილობზე წამოგორებულიყო და თვალმილულული უსმენდა შადრევნის მშვიდ ქღურტულს. როცა ამ მშვიდ ბგერებს მკვეთრი ხმებიც შეერია, ოქროპირმა თავი ასწია, კითხვის თვალით შეხედა ნაზის:

- რა უნდა მცოდნოდა...

- ნიაზი ვიღაც ქალთან ერთად ვნახე, - მიახალა ნაზიმ.

ოქროპირმა სევდიანად გადაიქნია თავი. მან, ცხადია, არაფერი უწყოდა თავისი მძღოლის სასიყვარულო თავგადასავლებზე, არც მათი მშვიდი ბედნიერი სიყვარულის მტრობა ჰქონია გულში, ნიაზი ცოტა ხნით მოიშორა თავიდან, როგორც მისი მიზანსცენის განხორციელება მოითხოვდა. ორიოდე დღის შემდეგ ისევ დააბრუნებდა მზის ოაზისში და ყველაფერი ძველებურად აეწყობოდა. ეჰ, ნეტავი ნაზი არ გამგზავრებულიყო სამეფო აკლდამების გათხრებზე.

- რას წარმოვიდგენდი, თუ ასეთი უსინდისო იყო, - გულამოსკვნით აქვითინდა ნაზი, საბოლოოდ უღალატა თავშეკავებამ.

ოქროპირმა თავი დახარა.

რამდენიმე წამს სიჩუმე არაფერს დაურღვევია, შადრევნის მშვიდი ქღურტულისა და ნაზის სლუკუნის გარდა.

მერე ოქროპირმა თავი ასწია და ნაზის დამაჯერებელი, მამობრივი ხმით მიმართა:

- უნდა აპატიო ღალატი ნიაზს...

- არასოდეს... - ცხარედ შეესიტყვა ნაზი.

- თავი ისე უნდა დაიჭირო, ვითომ არაფერი დაგინახავს, - თავისას აგრძელებდა ოქროპირი.

- არავითარ შემთხვევაში... - არა, არა და კიდევ არა!

რამდენიმე წამს ოქროპირი დაჟინებით, უხმოდ ჩააცქერდა ნაზის, მერე ნელ-ნელა წამოკრიფა თავისი სხეული და ხალათის კალთები ჭილობიდან.

- ესე იგი, ღალატს არავის აპატიებ, არა?

- არა, არ ვაპატიებ! - მტკიცედ თქვა ნაზიმ.

- ჰოდა, აი, ეს არ გიღალატებს არასოდეს!

ამ სიტყვებთან ერთად, ხელი აღმართა ოქროპირმა, შავი ხავერდის ფარდა გადასწია, ღრმა წალოს რომ ბურავდა...

გადასწია და... იქიდან ნიაზის გაყინულმა თვალებმა შემოგვხედა.

რა საზარელი სანახაობა იყო! ნაზის ყვირილი აღმოხდა და ქანდაკებასავით გაშეშდა. თვალები ლამის მასაც მუმიასავით ჰქონდა დაჭყეტილი, მე კუთხეში გახლდით მიკუნჭული და იქიდან შევყურებდი ამ სცენას.

და მაშინ გავიგონე სწორედ შადრევნის სიცილი... სიცილი კი არა, ხარხარი. შადრევანი ხარხარებდა, ნამდვილი ეშმაკეული, მეფისტოფელური სიცილით ხარხარებდა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ნაილი ნეკერიშვილი

* * *

გაევერთიანდეთ, ჩავეჭიდოთ
ერთმანეთს ისე,
რომ ჩვენ სახეთა სიმხურვალისგან
აღმოვაცენოთ მშვენიერი ბაღების
ტევრი,
მზის ბურთები ვტყორცნოთ
ერთმანეთს.
ბალახის წყნარი იდუმალებით
გავიცისკროვნოთ თვალთა გუგები,
დაუოკებელ ჩანჩქერების წვეთებად
ვიქცეთ
და ერთმანეთის სიხარულად
გადმოვიღვაროთ.

* * *

ძვირფასო ბავშვო!
შენი სიცილი არის ჩემი
სინათლის წყარო,
ცრემლი შენი - ჭრილობა
გულის.
მომავალი შენი არის
მამული -
მე ნაცარი, შენ სარგებელი.

* * *

გაჭაღარავდა ეს საწყალი,
გაჭაღარავდა,
გული გაუცვდა, სევდას
ასე სცოდნია თურმე,
რამდენი მძიმე გასაჭირი
გადაიტანა,
ურჩების ბანზე გაწოლილა
უწყალო ღამე.

შორი გზა დარჩა, გადაცურდა
ნათელი სვეტი,
ჩაქინდრეს თავი ენძელებმა
და გვირილებმა,
გადაიარა წვიმების და
სინედლის ქარმა,
გახუნდა ველი, გადასწორდა
და ჩაინაცრა.

* * *

გამეცალა სტუმარი ხშირი,
აივნები, შადრევნები,
დიდი ბაღები,
სიცილი გულის, გაზაფხული,
მშვიდი სახლები,
დაიფარა ვულკანის ფერფლით,
ქვესკნელში ჩაწვა წარწერები
სიყვარულისა,
ლოპოტი თლილი, წასაკითხი
ძვირფასი მგზავრის.

* * *

გადაფრენილი უცხო ფრინველი
საკვირველებით რომ
გვხიბლავს წამით
და, უნაზესი, გვიტოვებს წადილს
ხელის შეხების და მოფერების,
ზეაწეული არის ოცნებით
მიწა ჰაერში დაკიდებული,
ბურუსში - თეთრში და შეუვალში
გაისმის პეპლის კვნესა-ჩივილი.
შენ სიყვარულო! ხარ უნებლიე
მიყენებული ჭრილობა გულის
და უეცარი თვალის შევლება
ვარსკვლავის, ციდან
ჩამოწყვეტილის.

ეროვნული ბიბლიოთეკა



* * *

ჩაბეჭდილი მაქვს ყველა სიკეთე,
რაც მე მომაგეს უანგარობით,
უმწეობაში, სიკვდილის შიში,
ჩამოხსნა ჯვრიდან, მოწმენდა
სისხლის.

* * *

*„ციხეს ვში ვმომ მაღალსა
თვალნი ვერ ამოსწვდებიან“ -
რუსთაველი*

აი! სურათი, - აი! ლექსი - სცან
სიყვარული -
ფრიალო კლდეზე კოშკი
მაღალი,
ქალი სინათლე, უსტარი ტკბილი:
- თავს დაცავიკლავ, სიცოცხლეო,
შემოგევლები.
სარკმლიდან მოჩანს ზეცა
ლურჯი,
მინდორი ვრცელი, გრძელი გზა -
სისხლით ამოსავალი.

* * *

ვერ ავაშენე, ვერ მოგაშენე,
სისხლის ტბაში ხარ,
ცრემლის ტბაში ხარ,
ისევ ჩალბახეთს მკლავებ-
შეკრულნი,
ჩაწიხლულნი და ნაგვემნი
ვყრივართ,
გადისრიალა შავმა ვეშაპმა,
ქვესკნელს მივყავარ, ვინდა
ამიშვებს?
გული მტკივა, რომ იარას
შენსას
სიცოცხლე ჩემი ვერ
დავაფარე.

* * *

გადაივლის სიბეჩავე,
გადაივლის ეს სისაწყლე,
რაღა ჩვენზე გადიწურავს
წყალს მაღალი მამა ღმერთი.

აივსება ისევ დახლი,
აივსება ისევ თვალი,
მაგრამ რაღაც არ იქნება
ძველებურად კვლავაც სრულად,
ვეღარასდროს წამოდგება
სულმკვდარი და დაჩაგრული.

* * *

მე დავიბადე, რომ სიყვარულში
არ გამიმართლოს, დაჭრილი
ვიყო,
შორს გადაცურდეს ნათელი
სვეტი
და სამშობლოზე მოთქმით
ვიტირო.
კისერზე მედოს უღელი მძიმე,
სიზმარშიც კვნესით ვწიო
ჭაპანი,
ძმა დანას მცემდეს და შუბლს
მიპობდეს
და ფეხს მიკრავდეს მონის
ბორკილი,
ერთი დღე მქონდეს, ვით
სასწაული,
მოფრინდეს ორი მტრედი
უბიწო
და ამ ქვეყნიდან წავიდე ისე,
რომ ნატვრა დიდი ვერ
ავისრულო.

* * *

მზე ჩადის, გული მიკვდება
ჩვენთვის არ გათენებულა,
ყელები დასერილი გვაქვს,
გუგებში ცრემლი გუბდება.

* * *

ძვირფასნო! მაინც რა გაგვიხდა
ეს მცირე ველი,
რომ ყვავილებით ვერ მოვრთოთ
და მოვაფარდაგოთ,
ვერ ავწიოთ გულიდან მძიმე
ტკივილის ლოდი,
ვერ ვუჩვენოთ გაზაფხულს თავი,
ვერ მივცეთ სული მხიარულ
ჩიტებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



* * *

უძვირფასესი, ალბათ, ახლა უკვე
გზაშია
და თეთრონს მისას დასცვარია
სულ ოდნავ ტანი,
წაღვლისთავიდან დიდგორისკენ
უჭირავს გეზი,
აზომილი აქვს ნაბიჯ-ნაბიჯ
მთლად საქართველო,
სიმხნე და ძალი ქართველების
გარს უვლის მამულს,
რიჟრაჟია მცირედ გამკრთალი.

* * *

გული გაიპო!
შეუვალი ციხე აიღეს,
დახარეს თავი მზის ყვავილებმა,
სისხლი და ცრემლი ჩაიყონა,
ქვესკნელის წყლებმა
იპოვეს წყარო უშრეტობისა.

* * *

მამულო, ალბათ გადაივლის
ეს ნიაღვარი,
მწარე ცრემლები, სინანული,
სისხლი და დარდი
ჩაიფერფლება ვულკანები,
ნაგვემი გული
და მზეს გაუწვდი ხელებს
სათუთად,
დაიფერები სიყვარულის
მშვენიერებით.

* * *

გული მაქვს მკვდარი,
ავსილი ვარ ცრემლით
და დარდით,
როგორც ბატკანი უსასოო -
მგლების წინ ვდგავარ,
ჩამოქცეულა საქართველოს
ზეცის დირენი
და მხრის შემდგმელი
არავინ მოჩანს.

* * *

სწუხს საქართველო,
ავსებულა სისხლით
და ცრემლით.
თოვლიც წითელი, ხვატიც
წითელი;
ჩამოდის ფერფლი,
დამხობილან მიწაზე
ძმები,
მიჰკივის სევაი ლეშით
გამძღარი,
ქალგულის უბე დატბორილა,
გაციევებულა.

* * *

უფალო! აი ხელისგულები,
ჩემი თვალები და ჩემი
გული,
იქა წერია დიდი ტკივილი
ვერმიწვდომის და ვერ-
მოხმარების,
დარდი ძმაზე და დარდი
მამულზე,
ცრემლი ცხელი და ცრემლი
მალული,
ჩამოღვენთილი სიცოცხლე -
სევდა
და სინანული - ჭრილობა
ძველი.

* * *

სიყვარულო! მე გაგაძევე
ამ ქალაქიდან
ცივ და პირქუშ მღვიმეებში
და სისხლის წვეთებს მივაყარე
მსუბუქი მტვერი.
უკან მოქცეულს წამსკდა ტირილი.
და მდინარის მღვრიე ტალღებში
ჩაცქერებულს
გამახსენდა ის ყელსაბამი,
რომელსაც ჰქვია თავისუფლება.

* * *

ნუ დაგვთრგუნავ, მეუფეო,
ნუ ჩაგვიქრობ სანთელს
სიმართლის,
ნუ დაგვღლი ისე,
რომ პურისკენ გაწვდილი
ხელით
ბორკილს შევეხოთ,
მოგვეცი ძალა, გავუმკლავდეთ
ორპირს და მაცდურს,
სიყვარულის შუქი მოგვეცი.

* * *

აი! საოცარი წრე,
რომელსაც აწერია
ჯადოსნური სიტყვები:
- მე თქვენ მიყვარხართ, -
პატარა ცისფერი სამყარო,
მცხუნვარე მზე
და სიცილის ფანტასტიკური
ოკეანე,
ნათელი - უნათლესი ნათელი -
ნათელი ჩემი.

* * *

მიყვარხართ!
აი, ჩემი მომართვა ყველას!
მიყვარხართ ისე,
რომ თვალების გახელა
მიჭირს.
გულზე მაბია, ვით სასჯელი,
კოლოფი სევდის
და სინანული ქალგულისა,
ცრემლი და ტვირთი.
შორს გაფრენილა ვარდისფერი
ცით ალტაცება
თავდახრილი ვარ და გულმკვდარი
პოეტი მფრთხალი
დაბინდული მაქვს მზერა,
გული და სიხარული,
მიწაზე ვწევარ,
მიწას მიაქვს სინათლე ჩემი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზაზა სიგუა



## ემიგრანტი
(მცირე აღსარება)

მხოლოდ სისხლიანს დაიდგამს ჯიღას
ოცნებაშეშლილ დღეების ქურდი
და ვის შევჩივლო, ვუამბო ვიღას,
თუ ვით ვეწამე და გავნადგურდი!

კვლავ გვიხმო ღმერთის განწირვად გმობა!
ქუხს შმაგ მსოფლიოს მჩქეფარი საშო...
მე, ვისაც მსურდა დიდებით თრობა,
დღეს დამსხვრეული ვარ სათამაშო!

ყოფნა გასრულდა ზრახვების მკაში,
გაქრა ღრუბელი განცდათ მძოვარი,
და ამ დაწყევლილ ამერიკაში
დავძრწი ეული და მათხოვარი.

რისთვის დავტოვეთ სამშობლო მხარე,
ჩვენი სურვილი მაშინ რა იყო?!
როგორ გუგუნებს ცხოვრება მდარე,
სული ათასად როგორ გაიყო!

ახლა რაღა ვქნა... მრჩეველი ვინ მყავს...
შორსაა დედა! შორსაა მამა!
ან ეს გეენა საითკენ მიმყავს,
ან ლტოლვა დაღლით რად დაინამა?!

ისევ ზმანება: ყვავილობს ეზო,
სიმწვანე, ბებო, თბილი სულები...
რაღას მიპირებ, კოშმარულ გეზო?!
გავითელები! გავითელები!

და ებურვება საღამო კბოდეს
ცახცახებს გული, ქაფდება დარდი
აჰ, ვერ გაიგებ ველარასოდეს,
რარიგ მიყვარდი! რარიგ მიყვარდი!

## როცა მიყვარდი

როცა მიყვარდი, როდესაც თოვდა,
როდესაც თვლემდა ქარი მბერავი,
ღამე სულ სხვაგვარ სიმშვიდეს ძოვდა,
აწვენდა ფიფქზე ფიფქს თებერვალი.

იყო ცხოვრება, როგორც ზღაპარი,
როგორც უმწიკვლო ბავშვობის ზეცა!..
და, როგორც წიგნი გრძნებით ნაფარი,
ის დაიხურა და დაიკეცა.

ის დაემგვანა წაკითხულ ამბავს,
რომელიც ერთხელ სადღაცა მოხდა...
ნახატს - რაც მზერას მოწყენით ნამავს
და რაც ჟამთა სვლას ასე აღმოხდა.

უმალ აქაფდა დღეც ახალ ზღვარის,
განწირვად მოსკდა შეშლილი ბედი!-
არის ცვლილება, მაგრამ არ არის
- ასეთი მკაცრი და უცაბედი!

და კვლავ ავიტან ათასგვარ წყენას,
ათასგვარ შხამს და შეურაცხყოფას.
ვერ მოვიბრუნებ დაღლილი ენას,
რომ შევუკურთხო ამ დამპალ ყოფას.

აჰ, თუმც ზრახვათა გადახმა ყანა,
თუმც დავიწყების თრთის ეკალ-ბარდი,
მე მაინც ვმონებ იმ ძვირფას ხანას,
როცა მიყვარდი, როცა მიყვარდი.

## ქრუანტელი

ციურ სისოვლით იგი ნაბანი
ღამე სითეთრის ლუშ ჯიქანს წოვდა,
ებურა არეს რბილი საბანი
და ნაღვლიანად თოვდა და თოვდა.

როგორც ყოველთვის, მახსოვს, მაშინაც
ვიყავი მარტო და რაღაც მწვავდა...
(მე თვით სიკვდილმაც ვერ შემაშინა,
რადგან ის სხვაგვარ სიცოცხლეს ჰგავდა!)

და მოდიოდა, რაც მოგველოდა,
როგორც სისხლის და ცრემლების ლხინი...
ვარ გაქცეული საქართველოდან,
მნთქავს პლანეტიდან, გაქცევის ქინი!

ხმას ამოიღგამს ეპიტაფია,
იელვებს ფიქრთა გამლღვალი რვალი:
რომ სიყვარული მკრთალი ქაფია,
რომ არ არსებობს ერთგული ქალი!

და კვლავ ფანტომი – ზიზღის ქაოსი
მჭვირვალებს, თითქოს ხასხასა დილა...
ბნელ ზვირთებს ისვრის ზღვა მუყაოსი,
ხავერდოვნება წითელი სილა.

არადა, იქ კი გრძნობით ნაბანი
ღამე სითეთრის ლუშ ჯიქანს წოვდა,
ებურა არეს რბილი საბანი
და ნაღვლიანად თოვდა და თოვდა.

## დროებითი სიკვდილი

შევეშვი ყველა თავგადასავალს,
მომწყინდნენ ძველი ხეტიალები...
ამ ბნელ ზრახვათა ზღვისფერ დასავალს
ვეღარსად ვეღარ დავემალები.

რა საოცარიც იყო წარსული...
გზა სხვა ქარებთან მერმისს გაითევს!
არ ვიცი, არა, პოეტის სული
სულს ბურჟუისას რარიგ დაიტევს!

არ ვიცი, მოვა წყევლა რომელი,
როცა ექსოდი ასე იქცევა...
ან ეს დემონი დაუდგრომელი
ჩარჩის ჭინკად ვით გადაიქცევა?!

ან რაა ძალი, რომ დაიჩემო...
(თუმც ჩვენ ხომ ვნახეთ, როგორაც ხდება)
რომ გადარჩენა, ბატონო ჩემო,
სხვაგვარად ახლა არ მოხერხდება!

და ეს ცვლილება, სპლინით ვნებული,
ის წაშლის ლტოლვას, რაც უნდა ეთქვა...
მაგრამ აღსდგება მზე დიდებული
და ყოფნა იგრძნობს ფენიქსის ფეთქვას!

მანამ კი დავთმოთ განცდათ ბადება,
დავთმოთ ექსტაზი უჩუმ დაგდებით...
და დაველოდოთ იმ წამთ ნათებას,
როს კვლავ ბოჰემად ავციაგდებით.

## ქუჩაში

რომ უმიზნობად იქცა ცხოვრება,
რომ დასცა ყოფნამ შავი ფარდები,
რომ სხვა ზრახვით თრთის ფიქრთა
მთოვრება,
რომ ეგზომ ულვთოდ ვუჩინარდები...

– შორეთს შთაერწყა იგი ტკივილი:
მრავლისმეტყველი მზერის მანტია...
კვლავ ძველ ქაოსით ღღვება ჩივილი,
სულშიც კვლავ ძველი ცეცხლი ანთია.

მაგრამ ლეგენდა ერთგულ ქანაზე*...
(აჰ, ლუშ იმედებს რარიგ ვეყრები!)
ღირსს სიყვარულის ამ ქვეყანაზე
ვეღარასოდეს ვერ შევეყრები!

ან გზას ნუგეში ვით დავუსახო
როცა ცხოვრება მხოლოდ ქინია?!
ბედს ასე მწარედ, ასე უსახოდ
ჯერ არავისთვის დაუცინია!

მივალ, მიმყვება ფერთა რიალი,
შემოღამებად მუევი ლულება,

– – – –

*ქანა ებიუტერნი – ამადეო მოდილიანის მეუღლე.

გაფხულის სივრცის თბილი შრიალი
და ნაადრევი განწირულება.

## შელამებისას

განცდა, რომელიც აზრს დაიუფლებს,
დასცემს ფრაგმენტებს ბურუსთ დინებად,
როცა მზე ჩავა და წითელ ღრუბლებს
სისხლის დორბლები დაედინება;

ამ მოგონებას რა ვუყო მაშინ,
- უსაზღვრობამდე ხიდის გადებას?!
მახსოვს, ვსუნთქავდით გაზაფხულს მთაში,
ყვავილთ ფანტომურ აფერადებას.

ეს მერამდენე დაიმსხვრა წელი!
ეს მერამდენე მოდის თაობა!
მტანჯავს სურათი მკრთალი და ძველი,
- შენი ამგვარი უნახაობა.

მახსოვს ზამთარი: ციერი ნდომა,
სისველე, შემცბარ ფიფქთა რიალი.
დაღლა, დათოვლილ ველებზე დგომა,
ცივი ჰაერი და ხეტიალი...

და ეფიცება მოწყენა შორეთს,
რომ სულს ტკივილით იგი აივსებს,
რადგან არასდროს გაიმეორებს
დრო იმ ნოემბრებს და იმ მაისებს!

გზა ხელმოცარვად როგორაც იქცა...
ვგრძნობ, უფსკრულისკენ რარიგ ვეშვები!
და მელანდება მშობელი მიწა,
და გაჩეხილი იგი ფესვები!



ეროვნული
ბიბლიოთეკა



# ზვიად ბერიძე

## მხატვრები

*„მოიხატა დასაბამითგანთა წელსა სდიე ქრონიკონსა ტლა, ხელითა თევდორე მეფისა მხატვრისაითა“.*

*ლაგურკა, წმ. კვირიკესა და წმ. ივლიტას სახელობის ეკლესია*

### თევდორე

### მე

სვანეთი...

პირველმა შეხვედრამ აღმაფრთოვანა. საშინელი სიმაღლის მთები, გაცოფებული მდინარეები, დუქმორეულნი რომ ეხეთქებიან ლოდებს, კლდეზე გაკვეთილი გზის ჩამოშლას და შთანთქმას ლამობენო თითქოს. ცაში მოლივლივე ქორები, ლაღნი, თავისუფალნი; ჩანჩქერები - მაღალი, მცირე წყაროები, თითქოს აქ ფეხიც არ დაუდგამსო ადამიანს; ნელა-ნელა მოახლოებული სოფლები თავისი კოშკებით, ციხეებით და ცნობისმოყვარე ხალხით.

წვიმდა, წვიმდა სვანეთში სამი დღე ისე, როგორც დღეს. არ მეგონა თუ ასეთი სიცივე იქნებოდა. ახლა უკვე ჩემს ლოგინზე ვწევარ და ვემზადები ხვალინდელი და ზეგინდელი და, საერთოდ, ექსპედიციის მძიმე დღეებისთვის.

ვემზადებით ხარაჩოს ასაგებად, ფიცრები საკუთარი მხრებით ავიტანეთ, დანაპირები არავინ შეგვისრულა. სოფლელების ხარები და მარხილები საძოვრებს ჩაუყლაპავთ, სამწუხაროა, მაგრამ ასეა. ნისლებში ბორგავენ დილის ბილიკები, მზის მარადიული ცეცხლი მოედო მწვანე ხავერდოვან კორდებს, ლაგურკას ეზო ჭინჭრით არის სავსე და ისე ვერ მივალთ, თუ არ გავთიბეთ. დღეს, როგორც იქნა, კარს გახსნიან და თვალწინ გადაგვეშლება თევდორეს ქმნილება, ისეთივე გრანდიოზული და შემაკრთობელი, როგორც უღრუბლო დღის უშბა.

თმებივით ჩამოშლილი თხელი ჩანჩქერები ქვებზე ეხეთქებიან და ფქვილივით იბნევიან ჰაერში. მაოცებენ. გზა მალე დაილევა, ღირს კი დასვენება? ღმრთის შეწევნით ლაგურკამდეც ავალთ.

ბილიკი ტყიან ფერდობზე მიიკლაკნება. გარშემო ათასნაირი ყვავილი მღელვარებს, სუნთქავს, ცოცხლობს, სადღაც დამფრთხალი ციყვი მიაწყდა კენწეროებს. ხეების ფესვები ფეხით გაცვეთილ ბილიკზე მიწიდან ამოყრილა და გველებივით გადახლართულა ერთმანეთში. ქვევით ენგურის ტალღები იღრინებიან. მწვანე, ქორფა ბალახი... ანაფორა მისველდება ნამით, ბალახზე მარგალიტივით რომ ბრწყინავს, მხიარულობენ მარგალიტები. უკან გახედვისას მთელ განვლილ გზას დაინახავ, ყველგან ემჩნევა ფეხის ნაკვალევი და დამსხვრეული ბროლის მბრწყინავი სასახლეები.

სამწუხაროა, კაცს ამის ხილვა შეეძლოს და გამოსახვის უფლება არ ჰქონდეს, ამაზე ფიქრიც კი მკრეხლობაა. უფალო, მომეც ძალა.

დადგა ჟამი, ჟამი ქრისტიანთა ძლიერებისა, დღეს ეს ქურუმიც უკანასკნელად წირავს, უკანასკნელად ქრება ცეცხლი მის სამსხვერპლოზე. იგი აღარ იზეიმებს სულთა დამარცხებას.

მახსოვს იფრალი, იქიდან ლაგურკა ხელის გულივით მოჩანს, ხარი დაკლეს მაშინ, რაც შეიძლება, პატარა დანა შეარჩიეს, ბევრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



სისხლი რომ დაედინათ. ბოლოს ყელიც გამოჭრეს, კრიჭაშეკრულ ხარს თვალები მშვიდად დაეხუჭა, მზეც გაბადრულიყო, თითქოს შეიწირაო მსხვერპლი... მკრეხლობაა. გარშემო ბალახი სისხლით მოსვრილიყო, საღამოს მზეც სისხლისფრად ჩაესვენა მყინვარებს იქით უსასრულობაში.

შორს, ლაგურკის იქით მშვიდი, ცისკენ აწვდილი კლდე ჩანდა, რომლის თავზეც ღრუბლიანი ციდან მკრთალი სხივი ეშვებოდა. კლდე კიბე-კიბე სიმწვანეს მოერთო, ნაცრისფერისა და ქორფა მწვანის სინთეზი არაამქვეყნიურ შთაბეჭდილებას ტოვებდა. წარმოვიდგინე ჩემი თავი იმ კლდის მაგიერ, სიმშვიდე ვიგრძენ და ბუმბერაზი ძალა და შემეძლო მაშინ შემექმნა და დამენგრია საოცრება, მხოლოდ სიმშვიდით; მკრეხელობაა...

ხალდეში მოიჭრა ქვა, გაითალა და აშენდა, შეიმკო და აღსრულდა ნებითა უფლისა. უფალო, შემიწყალე, უფალო, შემიწყალე, უფალო, შემიწყალე. საღამოვდება. მთა-მთა გადაიქცა ახლა ნარინჯი. ჩრდილები აღმოსავლეთისკენ შებრუნდნენ, გალურჯდნენ და ჩაბნელდნენ. ზარმა მწუხრისა ჩამორეკა. იგივე მეორდება, სადღაც კვლავ ხარი დაიკლა, ისევ ისმის სვანური მრავალხმა – მწკრივში ნაწრთობი, შორი, ამოუცნობი და მისტიკური, საუკუნეებიდან რომ ხმიანობდა და ახლაც ჟრუანტელს იწვევს სხეულში. რა მიმზიდველია, იქ, ალბათ, ილხენენ, მიწიერ განცხრომას მიეცემიან ბევრნი, განცხრომას – ისიც ხორციელს, სასაცილოა. ნამდვილი ზეიმი თუ არსებობს, არსებობს მხოლოდ სულისა. სული უდრეკია, სულმა უკვე საკმაო გზა განვლო, სულს სხეული ვეღარასოდეს დათრგუნავს და, დე, ისმოდეს დამათრობელი ხმები მიწიერთა, ჟრუანტელის მომგვრელი, ნაღვლითა და იდუმალებით სავსე, ღმერთზე დიდი ხომ არაფერი იქნება. არასოდეს და არსად. ჟამი ქურუმთა გაქრა, დადგა დრო მართლის დიდებისა.

## შეხვედრა

სანთლით გამჭვარტლულ კედელს ვეამბორე, მოწიწებით გადავიწერე პირჯვარი და თამამად შევაბიჯე ეკლესიაში; თავბრუ დამეხვა, კინაღამ წავიქეცი, მიზეზი კი ის სული იყო, რომელიც იქ ტრიალებდა, რომელიც შეგვაგრძნობინებს ჩვენს სიმცირესა და არარაობას. ემოციები და გრძნობები დავიმშვიდე, ყურადღებით დავაკვირდი წმინდანთა გამოსახულებებს, ყოველი სახე ჩემთვის ნაცნობი იყო, თითქოს მასპინძელთა პორტრეტები გამოესახა მხატვარს კედელზე. თითოეული ისე ცოცხლობდა და მეტყველებდა, როგორც მათი ავტორი, უხილავი, მაგრამ ბევრ ხილულზე მეტად საცნაური, დავინახე, რამხელა განათლება და ოსტატობა იდგა ყოველივე ამის უკან... და ყველაზე დიდი – სიყვარული, რომელმაც ცხრა საუკუნის განმავლობაში არ დატოვა ტაძარი. ვუყურებდი მათ და ნელ-ნელა ვუახლოვდებოდი, ფეხქვეშ სიმყარეს ვეღარ ვგრძნობდი, მეგონა, ხარაჩოს გარეშეც შევძლებდი სიმაღლეზე აწევას, შევამჩნიე ჩამოღვენთილი საღებავის წვეთი, უხეშად ნახმარი ფუნჯისაგან, გამიკვირდა, და მერელა მივხვდი თუ როგორ იწვოდა ოსტატი მუშაობისას, ვხედავდი თუ რა თავხედური თვითდაჯერებულობით ქმნიდა, მას სწამდა... აი, საწყისი ყოველივე გრანდიოზულისა. დავფიქრდი – სად ეჩქარებოდა? ალბათ, არსად, ის, უბრალოდ, ასეთი იყო, ბრწყინვალედ იცოდა, რომ ყველაფერზე ძლიერი ქვეყნად ღმერთია. ის მსახურობდა, ლოცულობდა, ფუნჯით ლოცვას წერდა. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მხატვარი არც შეჩერებულა, არ დაუსვენია, ეს ყველაფერი ერთი ამოსუნთქვით შექმნა, დაიწყო და დაამთავრა.

კარს ჭედენ, ახლა ყველაფერს სიმშვიდე სჭირდება, სჭირდება გონება დალვინებული და დაჯერებული. წირვის დასრულებისა ჩამოჰკრა ზარმა, უკვე დროა, უფალო, მოგვეც მეტი სინათლე, სინათლე, სინათლე. ცოტაც და, უხეშ ბათქაშზე პირველი მონასმი დაემჩნევა, ღვთის შეწევნით და ლოცვა-კურთხევით, მონასმი ძლიერი, დაჯერებული, ბევრად უფრო სწრაფი და დახვეწილი, ვიდრე უწინ. გარშემო საკმევლის სურნელი ეფერება ჯერ კიდევ ცივ კედლებს. თვალები უკვე ხედავენ (თვალი სარკეა სულისა). სული კი კედლებსაც აცოცხლებს, ამეტყველებს, ხედავს ნათლად, ხედავს, სად რა იწერება, ნათელი ედგმება მის მარჯვენას, როგორც კვირიკეს და ივლიტას, ნათლისღებას, ჯვარცმასა და ჯოჯოხეთის წარმოტყვევნას, მხედრებიც ისწრაფვიან ჭეშმარიტებისკენ, როგორც ფუნჯი თევდორესი.

მაცხოვარი, ჩვენი გულისთვის ამქვეყნად

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვლენილი, ჯვარს ვაცვით, ჩვენ კი, ხორცის გარდა, არაფერი გვახსოვს, ფიქრი სხვაა, არა ვარ სწორი, ჟამია წერის, მკრეხელობაა. ევედრეთ, ევედრეთ. წმინდაო ღვთისმშობელო, წმინდაო იოანე, სულთა ჩვენთათვის, დადგა ჟამი დაწყებისა და დასასრულისა.

ისევ სიმღერები გაისმა. ალბათ, ღმერთს უნდა, რომ ეს სიმღერები არსებობდნენ და იმიტომ არსებობენ, ისე საოცრად მღერიან... იქნებ ერთად იცოცხლოთ თქვენ, ჩემო შვილებო და თქვენ, შვილებო ქურუმთა.

ღამით უმეტესად არ მძინავს, ვბორგავ და ვტრიალებ, ფარდას ხშირ-ხშირად გავწევ და ცას ვაკვირდები, იქ ჯერ მთვარის ჩრდილოვანი ფანტაზმები იფანტებიან დამრეცი კლდეების გულმკერდზე, შემდეგ უცებ უკვალოდ დაკარგული ღრუბელი გაიფრენს ჩუმად, უხმაუროდ და სულ ახლოს, ახლოს, აგრაის კოშკს გვერდს აუვლის და ისე, ენგური შრიალებს ქარიან ტყესავით, იქ, ალბათ, კალმახები ქვირითობენ. იქვე, ფერდობზე მარწყვიც არის, კოპწიად რომ გამოყოფს თავს ფოთოლთა საფარველიდან. უშველებელი მთვარე ნაძვების სილუეტებს მაკრატლით გამოჭრილს ამსგავსებს. ბუხარი ბოლავს სადღაც. ნისლი მოდის საშინელი სისწრაფით, წამიერად მთელი სურათი იცვლება, აღარსად ჩანს მთვარე, ცოტა ხანში ენგურის შრიალს წვიმის კვიცების ფლოქვების წკარუნი დაემატება. უცებ მიჩუმდება ისევ ყველაფერი, მარტოდ აცილებს ენგური წვიმას თავისი ხმაურით, მოდიდება ეტყობა. ზანზალაკების ხმა ისმის, ეს ძროხის ექვანია, რომელიც სიმარტოვის ხმას უფრო წააგავს, ტყის სიღრმიდან ქარს გამოყოლილს...

დილაა, ხარებს მარხილი მიაქვთ ჩვეული სიმშვიდით. ვიღაც იკითხავს, დედალია თუ მამალიაო, გაიცინებს და გამაღვიძებს. სვანეთში ვარ ისევ.

## ლალი

შემოდგომის მთებში ნისლები დაბორიალებდნენ დაკარგული მგზავრივით, ნისლი და სვანეთი, ალბათ, ერთად დაიბადნენ. წითელი ფოთლები ნარინჯისფერ და მწვანე ბალახზე დაფენილიყო. აჭრელებული ტყეები საზამთროდ ემზადებოდნენ და მწუხარედ შრიალებდნენ. მყინვართა უკვდავ სულებში თოვდა. ნამქერს ხანდახან ფრინველთა ურიცხვი ქარავნები და ულამაზესი ფანტელები მოჰქონდა. ასეთი ამინდი მას წააგავდა, გარეგნულად მშვიდი, აუღელვებელი, სულში მრავალფეროვანი და სრული.

საღამოს სოფლიდან გავიდა. ტალახიან გზაზე მისეირნობდა, წვიმდა და ვერაფერს ვხედავდი ამაში საინტერესოს. გამოვეკიდე, ერთხანს ქურდულად მივდევდი, ვაკვირდებოდი მის მიხრა-მოხრას, იგი არ მიდიოდა, მიფრენდა თითქოს, ირგვლივ ყველაფერი ზეიმით ხვდებოდა და უზარმაზარი ფიჭვებიც თავის სურნელებას საკმეველივით უკმევდნენ გზად. წვეთები ტყაპატყუპით ცვიოდა დამდგარ გუბეებში, რომლებშიც ასე მხიარულად დააბიჯებდა ლეგი. საწვიმარი მოიფარა და ხორბლისფერი თმა დამალა, თან მღეროდა ან ლექსებს ამბობდა, ან ორივეს ერთად. მასში იყო რაღაც არაჩვეულებრივი, განსხვავებული. მიუხედავად ჩვენი დიდი ხნის ნაცნობობისა, ცნობისმოყვარეობას მიღვივებდა.

– ლეგი! – დავუძახე ბოლოს, ის შემობრუნდა და თავისი ლურჯი თვალებით შემომხედა, ამინდთან ერთად ისინიც გამუქებულიყვნენ და სიღრმე მომატებოდათ. – საით მიდიხარ? – შეკითხვა საუბრისთვის დავსვი, თორემ კარგად ვიცოდი, არსაითაც არ მიდიოდა, მას ნუსხავდა ასეთი ამინდი, ალბათ, იმიტომ, რომ ისინი ჰგავდნენ ერთმანეთს. ბოლოს ოდნავ შემომღიმა, – არსაითაც არ მივდივარ, უბრალოდ, დავხეტიალობ, მიყვარს, საწვიმარს რომ ეცემა წვეთები, გარეთ ყველაფერი კანკალებს და ღელავს, შენ კი საწვიმრის ქვეშ მშვიდი სამყარო გაქვს შექმნილი და ბუნების საამურ მელოდიებს უსმენ, კარგია, არა? ისინი თავად ბადებენ ლექსის თქმის და სიმღერის სურვილს, ზოგს კი სოფელში გიჟი ვგონივარ, შენც ხომ არ? – კითხვა არ დაამთავრა და წარბაწეულმა ირონიული გამომეტყველებით დაასრულა სათქმელი.

– კი, ოღონდ ნორმალური გიჟი. ხომ იცი, ბედნიერები მხოლოდ გიჟები არიან; განა არ შეიძლება ხანდახან ჩვენაც ვიყოთ ბედნიერები და, სხვა თუ არავინ გვჩუქნის, ჩვენ მაინც მივუძღვნათ საკუთარ თავს რამდენიმე წუთი ბედნიერებისა.

ამას რომ ვამბობდი, გამხიარულება დაეტყო, ბაგეზე ღიმილი უთამაშებდა, ხოლო მისი ფანტაზიის გაღვივებას იშვიათად თუ სჭირდებოდა მეტი. ამ ხნის განმავლობაში ოდნავ გავუსწარი, დამეწია და ყურში ჩამჩურჩულა:

ეროვნული ბიბლიოთეკა



– მე სულ ბედნიერი ვარ, ოღონდ არ გამთქვა, – შემდეგ დიდი ლურჯი თვალები მათივე ფერ ნაგლეჯს მიაპყრო, რომელიც ღრუბელთა ორომტრიალში შემთხვევით გაღეღილიყო მყინვარის თავზე. – ასეა, რაც უნდა ცუდი ამინდი იყოს, ბუნებას შეკრული ჰქონდეს პირი, წუხდეს, მუდამ პოულობს ადამიანი თავის წილ სიამოვნებას და ნაწილობრივ ბედნიერებასაც. არ არის საჭირო, ეძიო ცუდი, ეძიე კარგი! ალბათ, კარგს ყველაზე მეტად გიჟები ხედავენ. მაგრამ აუცილებელი არ არის, გიჟი ვიყო, რომ გკითხო, შენ რამ გამოგიყვანა ამ ამინდში გარეთ?

– მეც მინდოდა, მეგრძნო თავი ბედნიერად და, სიმართლე თუ გაინტერესებს, შენთან ერთად უფრო მინდოდა ყოფნა, აქ იშვიათად თუ შეხვდები საინტერესო ადამიანს.

ეს, ალბათ, კომპლიმენტად ჩათვალა და ორივე წარბი ასწია, მორცხვი ღიმილისმაგვარი გადაიკრა სახეზე და მადლობა მომიხადა.

– დამცინი?

– სრულიადაც არა, უბრალოდ, ასეთი ხასიათი მაქვს, ყველა ქათინაურს ვამოწმებ და, თუ გულწრფელია, მხოლოდ მაშინ ვიხდი მადლობას.

ასეთი საუბრებით ხშირად ვიყავით გართულნი. აქამდეც ბევრი შეხვედრა გვქონია და ერთმანეთსაც კარგად ვიცნობდით, მაგრამ ამ დღეს განსაკუთრებულად მომწონდა იგი. წვიმა ძლიერდებოდა, ხან ფიფქსაც გამოურევდა და უფრო მსუსხავი ხდებოდა ზეცის ტირილი. კოშკის ნარჩენებს ჩავუარეთ, სამი კედელი რომ ჩამონგრეოდა, ერთადერთი გადარჩენილ კედელზე სახურავის ბოძი ეკიდა, რომელსაც რამდენიმე განაცრისფრებული და დამპალი ყავარი შემორჩენოდა და ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდა, ეს-ეს არის ჩამოვარდებაო. იმ ადგილს მალე გავშორდით და კვლავ ტალახიან გზებს გავუყევით. ამინდი სულ უფრო მუქი და მწუხარი ხდებოდა და მისი მხიარული მხარეები გვიან ყვავილებში უნდა გვეძებნა. ჩვენ თვალწინ ნისლი აიყარა და წამით ფრიალო კლდე გამოჩნდა.

– ამ კლდეზე ქალღმერთ დალის მონადირე შეუტყუებია და ღალატისთვის დაუსჯია თურმე, მოუკლავს, – ისეთი სახით თქვა, თითქოს ნამდვილად მომხდარიყო ეს ამბავი და თვალადაც მხილველი ყოფილიყო.

– ეგერ შავ ლაქებს ხომ ხედავ?

– კი, – ვუპასუხე დაუფიქრებლად, ისე, რომ კლდისკენ არც გამიხედავს; მაშინ მხოლოდ მის სახეს ვაკვირდებოდი, რომელიც სიცივისგან ოდნავ შეფაკლულიყო, დახვეწილი ნაკვთები მას მიმზიდველს და არანორმალურად ლამაზს ხდიდა, სახეზე საწვიმარის კაპიუშონიდან რამდენიმე კულული ჩამოშლოდა, ნამიან სახეზე ელამუნებოდა და მოფერების სურვილს აღძრავდა. იგი მთელ ჩემს არსებაში იბუდებდა, მყარად ჯდებოდა და მავსებდა ისეთი გრძნობით, რომელიც აქამდე არ გამომეცადა. მისთვის რეალური სამყარო არ არსებობდა თითქოს, იგი დაფრინავდა იმ ლეგენდების მხარეში, სადაც მხოლოდ ოცნებებით და ნატვრით ცხოვრობენ, მისი არაამქვეყნიურობა მაფორიაქებდა და მაღელვებდა.

უცებ გამოერკვა, თითქოს ახლადა შემამჩნია და მითხრა:

– აბა, წარმოიდგინე, საღამოა. ოქროსფრად იძირება მზე ჰორიზონტზე, მერცხლების გუნდი გახლართულა მზის სხივებში, ტოვებს მშობლიურ მხარეს, ტოვებს ჩუმად, არც ჭიკჭიკით, არც ხმაურით, ყოველ ნამცეც ძალას ინარჩუნებენ და იგროვებენ იმისთვის, რომ თბილ ქვეყნებამდე მიაღწიონ. მათ თან მიჰყვებათ იმედი უკან დაბრუნებისა. გაზაფხულზე დადნება თოვლი. ღრუბელთა ზრდილები მთების ფერდობებზე განერთხება, მყინვარის კალთები წამდაუწუმ იცვლის ფერებს და თავის ტყეებში ქალღმერთ დალის საცხოვრებელს მალავს. ალბათ, დალიც ემზადება დღეს და ელის თავის საბედო მონადირეს, ან გზააბნეულს, ან გამიზნულად მის სანახავად წამოსულს, შეიძლება ჩუმად დანიშნულსაც კი, რომელსაც თავისი მანდილი გაატანა. ისიც, ალბათ, ისევე უღალატებს, როგორც სხვა დანარჩენმა, ასეა ადამიანის მოდგმა, უკვდავება მუდამ სიკვდილს ამჯობინებს. უკვდავება უსასრულობაა, უსასრულობა კი საოცრად მოსაწყენია. ეს ადამიანის გონებას არ შეშვენის, არ სჭირდება, მისთვის ხანმოკლე ცხოვრებაც საკმარისია, ზოგისთვის ზედმეტიც კი, შემდეგ თავსაც აკვლევინებს ხოლმე.

იქ, პატარა სოფელში, სადაც ღრუბელი ნელ-ნელა ფარავს სახურავებს, სადაც საღამოს რახით მთვრალთა სიმღერები ერევა მდინარის ხმაურს, დაიბადა დალიც. შეიძლება ისიც ჩვეულებრივი ადამიანი იყო, მხოლოდ თავიდან, სანამ შეიცნობდა ნამდვილი სიყვარულის ფასს და ღალატის ტკივილს. მისი ოჯახის კოშკის თავსაც ამაყად ფარავდა ოქროსფერი ყავარი, საიდანაც მოჩანდა დაშვებული ნაკადული ვერცხლისფერი ჩქერებით. ყოველ საღამოს ოცნებობდა პატარა გოგო, ოცნებობდა, რომ მოვიდოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა





ვიღაც და წაიყვანდა საოცნებო მხარეში, სადაც არ იქნებოდა თივა, ჭრელი ძროხები, თავლა, ბოსელი, დაქანცული უძილობა; ღამღამობით აინთებოდა და ჩაქრებოდა მილიონობით ციცინათელა და წყვდიადით მოცული მთელი ქვეყანა ერთ უზარმაზარ დღესასწაულს დაემსგავსებოდა, სადაც ყოველი ოცნება სრულდება და არ არსებობს მწუხარება, არც შემოჩვეულ შველს გამოსჭრიან ყელს, რათა მსხვერპლად შეიწირონ და კერპის ხარჯზე მუცლის გვრემა დაიკმაყოფილონ, სადაც ბორჯღალი არ იქნება უზენაესი და, როგორც ნამდვილ მზეს, მასაც ექნება დღე და ღამე.

პატარა გოგო რამდენიმე დღის საგზალს მანდილში გამოახვევს და გაუდგება გზას. იქით, თეთრი სამყაროსკენ, საიდანაც ერთი გამოხედვა მთელ ცხოვრებას უდრის. ბილიკს სალი კლდის ფერდობები მიმალავენ, დაღამება შიშს მოჰგვრის, აკანკალებს და მაშინ ციცინათელების უზარმაზარი გუნდი გამოჩნდება და უკუნი მიწა ვარსკვლავებით მოჭედილ ცას დაემსგავსება. ინთებიან და ქრებიან, ჩურჩულებენ და მღერიან. მღერიან ქვევითაც. ჩირაღდანთა ნაპერწკლები შორიდან ირეკლება თვალებში, იქ ღრეობენ და სამსხვერპლოზე უმწეო შველი უდევთ, უკვე გაცივებული, სისხლგამოშვებული. რატომ შველი? მზეს ხომ ყოველთვის ხარს უკლავდნენ აქამდე, დაირღვა კანონი ბუნებისა და ღმერთისა. ეს უკანასკნელი შემობრუნებაც დარღვეული კანონის ბრალია... არავის ახსენდება, ჯერ დილა არ დამდგარა, ჯერ თივა არ არის ასაფოცხი, ჯერ ძროხებიც თვლემენ ბოსელში, – ჯერ არავის ვჭირდები. მაშ, წინ! იქ ყველაზე დიდი თავისუფლებაა, იქ ყოველი სურვილის ასრულებაა; უბრალოდ, შენი თავი შენ გეკუთვნის. ქვევიდან მხოლოდ ჩანჩქერის ხმა ისმის, რომელიც უზარმაზარი სიმაღლიდან ეშვება და ყინულოვანი შხეფებით ნაპირებთან ბროლის სასახლეებს აგებს, მას შემდეგ სიცარიელეა. ცალ მხარეს კლდეა, ცალზე – თავისუფლება და უკვდავება, ფრენის აღფრთოვანება, დიადი სივრცე და... უმანკო სული, მსუბუქი სხეული; კლდიდან გადაეშვება, ოცნებაც სრულდება. სინანულის დრო ჯერ კიდევ რჩება, იფრენს იქამდე, სანამ სალი კლდის ლოდები, როგორც ქვის კერპები პატარა შველს, არ შეიწირავენ. სისხლი ხომ მაინც ერთი და იგივე დაედინება, ვერ იპოვიან მკვდარს, ვერც ცოცხალს, მის მანდილს კი ნიავი წაიღებს და ციცინათელებს გაატანს საჩუქრად, სახსოვარი ღამეებს გაანათებს. უცოდველს კვლავ ეძლევა უფლება სიცოცხლისა, რჩება ქვეყანაზე ძალიან ლამაზი და მომხიბვლელი, რათა ჰპოვოს ნამდვილი სიყვარული, იცოცხლოს მუდამ – მან, მხოლოდ ერთმა, ასულმა ადამიანთა.

სოფელში აქა-იქ ცეცხლი ანთია. ხარი წამოუქცევიათ. ისმის ლილეო და მზე სისხლისფრად ესვენება მყინვარებს იქით. რა ნაცნობია და მშობლიური. გულ-ღვიძლი უზარმაზარ შამფურზეა წამოცმული და ცალკე იწვება, ხედავს აგზნებულ თვალებს, შეპარვით რომ ათვალიერებს უცხო ხალხს, ისე შევა და გამოვა ქალღმერთი, ვერავინ შეამჩნევს, ხედავს საკუთარ სახლს და მათ, ვისაც მისი დაკარგვა მთელი თავიანთი ცხოვრების გზაზე ტკივილად დააჩნდათ – ჭაღარა მამა... თუმც მრისხანება მისი სახიდან მაინც არ წაშლილა, იდუმალ სევდას დაუსადგურებია მის თვალებში, იმ წყეულ ღამეს თუ იხსენებს. და მაინც, ღირდა დარჩენა? თუმცა ის სამყარო, რომელზეც ოცნებობდა, სულ ახლოს ყოფილა, მხოლოდ დანახვა სდომებია, თვალთა უკეთ გახელა, განა სჯობს რამე მზის და მთვარის ერთად ხილვას? განა არსებობს ღრუბელზე ძვირფასი სამკაული? განა შესაძლოა ღამე ციცინათელებზე მეტად შეამკოს რამემ? და სიყვარული, ამ თავისუფლებით გაჟღენთილ სამყაროში, ისევე, როგორც სოფელში, კვლავ ოცნებად რჩება.

უამრავი ხალხი ირევა, ნაცნობს მოჰკრა თვალი, ცეცხლმა დაწვა, რა სასაცილოა, როგორც უნდა, ისე გაივლის დალი ცეცხლში, უნდა – ჩააქრობს, უნდა – ააგიზგიზებს, უფრო და უზარმაზარ ხანძარს დაამსგავსებს. ცეცხლთან ქვების აწევაში ეჯიბრებიან ერთმანეთს. სანახაობა მოსაწყენია და ქალღმერთი შუნად გადაიქცევა, ცეცხლს გადაევლება და ყველას აღელვებს, უხუცესებს ცუდად ენიშნებათ, მონადირეს დაადევნებენ – კვლავ სასაცილოა, საუკეთესოს საუკეთესოთა შორის, რომ მან, როგორც სხვებმა, უღალატოს მის სიყვარულს, არ ძალუძს ერთგულება, არ არის ღირსი დაბრუნების, მსხვერპლად უნდა შეეწიროს სიმამაცეს.

ცეცხლი ილეველფება, მხოლოდ ნაღვერდალი თვლემს, მონადირე დაივიწყნიათ, სმას მისძალებიან. უმწეოა ადამიანი, ესენი არიან უხუცესნიც, რა უნდათ? განა შუნის ერთი გადაგელვება უფრო საშიშია, ვიდრე მონადირის მის კვალდაკვალ გაშვება? მას კლდის კიდემდე მიიყვანს შუნი, თავად გაქრება, ის ხომ მოჩვენებაა, ფრენაც ძალუძს და ფრთების ტყლაშუნით გაუჩინარდება, უკან წასას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველელი ბილიკიც დაკარგულია, მონადირე ცოდვილია, ღირსია სიკვდილის, აქვს უფლება, ამოირჩიოს: თუ ფრენას არჩევს, გადარჩება და მუდამ ფრინველის თვალით შეხედავს ქვეყანას, თუ გადარჩენას შეეცდება, მოკვდება.

ტბილია სიცოცხლე, კლდეზე დაშვებას ცდილობს, კლდე კი მაღლა და მაღლა მიდის, ძალიან დაიღლება, დაყრის იარაღს, მკლავში ძალა გამოელევა და, როგორც ხარი, უხუცესთაგან სამსხვერპლოდ გაღებული, კლდის ბასრ პირებს დაენარცხება.

სოფელში ქალი ატირდება, ძლიერ ყვარებია ვიღაცას. ქორწილის დღეც ჰქონიათ დანიშნული, დედა წყევლას დაუწყებს სისხლიან დღესასწაულებს და ის ერთადერთია, ვინც ხედავს მზის სხივთა ჩასვენების მიზეზს, მამა და ძმები მის მარჯვენას მოიგონებენ და ვაჟკაცობას შეუქებენ. ეს არის ადამიანი - მხოლოდ პატარა მოგონება.

ერთ დღეს, ცივ მდინარეში მობანავე დალის მონადირე დაინახავს, მისი სილამაზე და სხეული მიიზიდავს და ალერსს მოანდომებს. მოანდომებს მის შეხებას, მოფერებას, საამურს, - მიიღებს სანაცვლოდ იმავეს, თუ დატოვებს სოფელს, კერპებს და უხუცესებს, დიდია ცდუნება, მაგრამ დროებითი, ბოლოს მაინც ღალატობს და სოფელში ბრუნდება, განა რა აქვს სოფელს ისეთი, რაც არ გააჩნია ქალღმერთს, მას ვაჟის მიმართ სიყვარული სიძულვილში გადაეზრდება და უნდობლობის გრძნობა უფრო უღრმავდება. მონადირის სისხლი შავ ლაქებად აჩნია კლდეებს, და ყოველი მონადირის გამაფრთხილებელია, რომ იმ სამყარომ, შესაძლოა, სიცოცხლეც მიანიჭოს და გულცივად მოკლას კიდეც.

იგონებენ წასულს, უხუცესები კერპებს სცემენ თაყვანს და შეაჩვენებენ ურჩ ქალღმერთს, კვლავ გაიზრდება მრავალი გოგო სოფლად, მოუყვება დედა ზღაპრებს და ასწავლის ოცნებას, ნატვრას მშვენიერ სამყაროზე. ყველას ძალუძს, იქვე პოვოს სიყვარული, სადაც სულდგმულობს, პოვოს მშვენიერი სამყარო, რომელსაც სიკვდილი მსხვერპლად არ სჭირდება. ოღონდ თვალის გახელაა საჭირო.

ფეხშიშველა გაუდგება დალი დილის ბალახოვან კორდებს, ბილიკზე ფეხის ნაკვალევი დაემჩნევა, დაავიწყდება ფიქრებში გართულს თავისი თავი და კვლავ ვიღაც შეიყვარებს. ერთი ღამე ძალიან ძვირად უჯდება მასაც და სოფელსაც. მწუხარება და ლხინი ერთმანეთში ირევა. - ჩვენამდე რამდენი დრო გასულა. გახედავს ქალღმერთი დაცლილ სოფლებს, მიზეზი, რისი გულისთვისაც არსებობდა, ნელ-ნელა ქრება. დანგრეულ კოშკებსა და ლატბაშებთან ერთად ებადება ტკივილი. ყველაფერს ხავსი ეკიდება და ქანცისფრად ღებავს, ბუნება მძლავრობს, შეიძლება, ზვავიც წამოვიდეს, მიწაც იძრას, მეწყერი ჩამოწვეს, ნიაღვარმა წალეკოს არემარე, სოფლისთვის სულ ერთია, იქ სიცარიელეა, სიცარიელეა დალის სამფლობელოშიც და ასეთ სიცარიელეს არ ძალუძს მოავლინოს მონადირე. მონადირე, კი არა, თუნდაც, უბრალოდ, ადამიანი, ვისაც სიყვარულის ფასი ეცოდინება, ვინც არ უღალატებს, ვინც ერთგული იქნება.

მარტოობა ქალღმერთისთვისაც აუტანელია და უსასრულობა ისეთივე მოსაწყენი ხდება მისთვის, როგორც ჩვეულებრივი მოკვდავისთვის.

ლაპარაკობდა, თვალები ჩქერებისთვის მიეპყრო, იქ სამი მდინარე ერთდებოდა, კლდეების ფერთან შერწყმული აგრძელებდა დოლს, რომელიც მდინარის სიღრმეში იბადებოდა. მორბოდნენ ხარები, მისრიალებდნენ უზარმაზარი გველები, მუქით აბნევდნენ ღევები ხორბალს, უამრავი მწერი ირეოდა, ვეშაპის შადრევნები იფრქვეოდა წყალში ზურგწამოწეული ქვებიდან, მოცეკვავე ქალები ართობდნენ მხილველის თვალს. რთი შეხედვით თეთრი, ფერმკრთალი ჩქერები გავეშებით ეხეთქებოდა ლოდებს, მდორდებოდა და ცოფდებოდა. რა საშიშია მათით თრობა, მიმზიდველია და ძლიერ ცნობისმოყვარე ადამიანი სიცხეში, შესაძლოა, საბანაოდაც მიგიწვიოს.

ვგრძნობდი, ისიც იმავეს განიცდიდა, რასაც მე, ჩვენ ვგავდით ერთმანეთს, მაგრამ მე სტუმარი ვიყავი. იგი მთლიანად ატანილი ჰყავდა უხილავ ძალას. რასაც ყვებოდა - ხედავდა, ხელით ხატავდა, ეფერებოდა, კანკალებდა და ბავშვივით უხაროდა, იმდენად განიცდიდა, რომ ერთხანს, გაგიჟდა-მეთქი, ვიფიქრე, ბოლოს სევდანარევი ღიმილით მკითხა.

- ლამაზია, არა? - და ცისფერი ყვავილისკენ გაიშვირა ხელი, რომელსაც ნარინჯისფერი წამწამები და საოცრად ნაზი ღერო ჰქონდა, - მაგრამ მხოლოდ ცქერით ტკბობა ულამაზეს ქალს წააგავს, რომელიც წევს, ფეხზე ვერასოდეს დგება და წელს ქვევით არის მოწყვეტილი, ქვეცნობიერად მწუხარება ისადგურებს ჩემში და უხილავი, შეუმჩნეველი, მღრღნის და მებადება კითხვა, რაღა მაინცდამაინც აქ?

მართალია, ბოლომდე ვერ მივუხვდი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისი თქმა უნდოდა, თავი მაინც მორჩილად დავუქნიე, მას არც შემოუხედავს, ისე განაგრძო, საუბარში ახსნა-განმარტებას ვეძებდი.

- რა სამწუხაროა, რომ ადამიანს რომელიც ჩემს წარმოსახვაში დაიბადა, ქვეყანაზე ვერ შევხვდი, იყვნენ მხოლოდ მსგავსები და მსგავსებს ყოველთვის შეცდომაში შევყავდი.

შეიძლება უფრო მტკივნეული აღიარება იყო შეცდომისა, ვიდრე აღიარება იმედის გაცრუების და საკუთარი თავის დამარცხებისა.

- გუშინ ლექსი დავწერე - გამხიარულდა, მწუხრი შეღამება, სევდის კვალი აღარ აჩნდა, - წუხელ არ მეძინებოდა და ...მისმენ?

მე ყურადღებიანი კაცის გამომეტყველება მივიღე და, მდინარის ხმაურთან ერთად, სმენად ვიქეც. ლეგიმ დაიწყო:

- ფიფქი ცვივა...

ლეგი კითხულობდა მთელი გატაცებით, ხმის ბგერები სასიამოვნო მელოდიად მღერებოდა სხეულში, ბაგის ყოველი გაპობისას ქრუანტელი მივლიდა, მინდოდა, მისით მესულდგმულა. თეთრი სახე, მოვარდისფრო ლოყები, სწორი დახვეწილი ცხვირი, წითელი ამობურცული ტუჩები, გაბუტულისას რომ უფრო ჰგავდნენ, უსასრულოდ ლურჯი თვალები მაჩვენებდა იმ ქალღმერთის სახეს, რომელიც სადღაც მყინვარზე ცოცხლობდა, იგი სულ ახლოს იყო ჩემთან და, ამავე დროს, სადღაც შორეულ სამყაროშიც, ვცდილობდი, ამომეცნო, რომელი იყო მისი ნამდვილი სახე, მხიარული თუ მწუხარი, ყოველ მის მწუხარებაში მხიარულება იმალებოდა და ყოველ მხიარულებაში - იდუმალი სევდა. შეხების სურვილი შეუკავებელია. ამ დროს მან არ იცის ჯებირი, გადალახავს ყველაფერს, გადმოიღვრება. რაც უნდა მალო, მაინც ხილული ხდება და, სანამ არ ასრულდება, არ დაცხრება.

- სად წავიდე, ვისთან? - დაასრულა ლეგიმ და გულში დაგუბებული ოხვრა ამოუშვა, ჩემდაუნებურად წამომცდა: უძილო ღამეებს ათენებ ხშირად, არ გძინავს, ბორგავ, ლოცულობ, იცინი, იგონებ, ნატრობ... ლეგიმ რაღაც მკითხა, მე კი აღარაფერი მესმოდა, მის თვალებში ვიხედებოდი და აღელვებული ვამბობდი - დილის ნისლს წააგავხარ, შენს უკან მშვენიერი სამყაროა და არ მანახებ, მე კი მინდა, გახსნილი იყო, ღია და ნამდვილი და არა ხელოვნური, ის, ვინც ნამდვილია, ყველაზე მი ად თავისუფალია.

იგი გაიქძდა, ტალახიან გზაზე ტყეში ნისლის ქულები დასეირნობდნენ, ემძნენ ლეგისავით, მის ალეწილ სახეს ვუყურებდი და მისი გულის ცემა მესმოდა. ველოდი პასუხს, მაგრამ სანაცვლოდ სამი ჩუმი, გამშრალი ყელიდან ამოშვებული ბგერა მივიღე.

- და რა მერე?

ამ დროს დალის ჰგავდა, რომელსაც ყველაფერში ეჭვი ეპარება, თითქოს მომაკვდავთა ნდობა არ შეეძლო, არაფერი უთქვამს, მაგრამ მე პასუხი გავეცი.

- რა საჭიროა საიდუმლო, რომელიც დღესავით ნათელია, განა არ შეიძლება, გაიხსნა ბოლომდე და გახსნა სხვაც. ზედმეტი სიტყვა და მოძრაობა ხომ მანძილს შობს, მანძილს კი დაფარვა უნდა, გავლა, შემოკლება, გაქრობა... გესმის?

თითქოს ორივე გავშეშდით, თვალებში შევცქეროდით ერთმანეთს. პირველი სიტყვის თქმა ვერც ერთს ვერ გაგვებედა, იქნებ სიტყვა აღარ იყო საჭირო, იქნებ ბევრად მეტს მოითხოვდა სიჩუმე ჩემგან, მე კი კოცნის გარდა აღარაფერი დამრჩენოდა. მთელ ჩემს ცხოვრებაში ალერსით ტკბობა მხოლოდ ერთხელ, მხოლოდ მაშინ იყო ნამდვილი, ფრენას წააგავდა, გული მკერდიდან მივარდებოდა და მათრობდა, ეს იყო და ეს. ხმა არც ერთს აღარ ამოგვიღია, დაბრუნებისას ლეგიმ მითხრა:

- შენ სტუმარი ხარ, სტუმარი კი ღვთისაა.

ორაზროვანი გამონათქვამის ახსნა ვთხოვე, პასუხად მშვიდად გამიღიმა, შინ შევიდა. მე ტყეში დავხეტიალობდი, სანამ კარგად არ ჩამობნელდა, დავბრუნდი ბოლოს, სახლში ღუმელი გიზგიზებდა, სითბო ტრიალებდა და ოჯახს ფუსფუსი ეტყობოდა. მე დაქირავებულ ოთახში ავედი და საწოლზე წამოვწექი, ჩამეძინა, გაღვიძებულს, კუბდარი დამხვდა ამოტანილი, გემრიელად შევექეცი და ეზოში გადავიხედე. საკვამურიდან კვამლი ამოდიოდა, ფანჯრიდან ლეგი იყურებოდა, გამოდი-მეთქი, ხელით ვანიშნე და მეც ხის კიბეს ჩავუყევი. იგი მომიახლოვდა, შიშნარევად, ქურდულად. მზერა მომაპყრო, უმწიკვლო თვალებში ჩავხედე და შემეშინდა. პირველ რიგში იმ სიყვარულის, რომელიც მის მეტყველ, უძირო თვალებში ჩანდა. ყოველგვარ გრძნობაზე მძაფრი და ძლიერი, მიწიერი არაფერი აკლდათ, ღმერთს უსაზღვრო სილურჯე მიენიჭებინა, ერთი ჩახედვაც კი საკმარისი იყო, რომ დავმხრჩვალიყავი და უხილავ მორევში გავეტანე მშვენიერ ქმნილებას. ანაზღად ვკითხე ჩემს თავს, - შეძლებ კი ბოლომდე მათ ერთგულებას?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დარეჯან კვანჭიანი

* * *

არ ხარ რჩეული,
ხარ მრავალთაგანი...
დედოფალს ბეჭებზე დაშხუის
არგანი
ბევრი შიშნეული
ჩრდილებს ეფარება,
შენ კი - შუშანიკის
წყლულებს ეფერები.
სვრელს მოსდევ, ამ ქვეყნის
სამკალსა მოიმკი,
საწუთროს კაცი ხარ, კეთილი
ჯოჯიკი.

არა მუნ იყავ და
ცურტავში ბრუნდები,
ბტკივა და გაწუხებს
დედოფლის ხუნდები.
მხედრდები, მოგყვება
რძლის სახე მწყაზარი,
არც ისე ახლოა ჰერეთის
საზღვარი.

ქარი ხორშაკია,
წყალია სნეული,
მარტვილობს საკანში
ღვთის სძალი ეული.
- შემინდე, შეგცოდე,
კაცმან საწუთრომან
- კაცი მონანიე
ღმერთმა აკურთხოსა.

შენ შეელა გეწადა,
გული გაქვს წმიდაო,
„არ იყო სმენაჲ და არცა სიტყვაჲ".
საწუთროს სამკალსა
მოჰყვები, მოიმკი.
გაცხონოს უფალმა, კეთილი ჯოჯიკი.

## ჯავახეთს მიდის ხანძთელი

ღვთიური ცეცხლით გზნებული,
შარავანდედით ნათელით,
მიჰყვება წმინდა კრებული,
ჯავახეთს მიდის ხანძთელი.

გუნალეთს, უბისს, კვირიკეთს,
შატბერდს ანთია სანთელი,
მიჰყვება ვიწრო ბილიკებს,
ჯავახეთს მიდის ხანძთელი.

ცოცხლდება ნერგი ვაზისა,
არაბის ტერფით ნათელი,
ჩამწვდომი ღვთიურ აზრისა,
ჯავახეთს მიდის ხანძთელი.

ღვთის ნებას მამულს უფარდებს,
ბრძანებს: - ნუ უშლით, არსენის,
გზას სულიწმინდა უნათებს,
ჯავახეთს მიდის ხანძთელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ღვთიური ცეცხლით გზნებული,
გაბრწყინებული ნათელით,
მიჰყვება წმინდა კრებული,
ჯავახეთს მიდის ხანძთელი.

## ხმით ნატირალები

მზია ბათარეკას ასულო,
ცისფერო ქალწულო, ოცნების შვილო,
მზია ბათარეკას ასულო
უნაყოფო ხეო ალვავ,
მზეო და გვალვავ,
მზით სავსე სარწყულო,
ცისფერო სარწყულო.
მზია ბათარეკას ასულო,
ჩემი ტკივილებით შექმნილო,
ჩემი სულიდან ამონაზარდო,
ჩემი ცხოვრების სიზმარო.
მზია ბათარეკას ასულო,
ჭერხოში ირხევა თოკი,
შენი სხეულის ირგვლივ
ზარს ამბობენ შენი ოცნებები,
თმაგაწეწილი ცისფერი ოცნებები.
მზია ბათარეკას ასულო,
შვილო ჩემო, ჩემო ტკივილო,
ჩემს ფესვებზე აყლორტილო მწუხარებავ,
სილაჟვარდე შენს სულს
მზიავ.

* * *

სიმარტოვემ მომიქარგა პერანგი,
ტანზე მაცმევს ვაებით და ვიშით.
ვერ გავაგდე ვერაფრით და ვერასგზით.
ამიყვავა დარდიცა და შიშიც.
მზარავს და თან მსიამოვნებს პერანგი
სიმარტოვის მოთქმაცა და ვიშიც.

ისევ ბორგავს ბობოქარი არაგვი,
ალაზანი ისევ მდორედ მიდის,
დამელია ოცნებების მარაგი.
გამითავდა იმედების რიგიც.
დრომ მიამბო ქარაგმული არაკი.
დრომ ოცნება შემიცვალა ფიქრით.

ფიქრმა გული გადმოხნა და გადახნა,
შიგ ჩაფარცხა იფქლიცა და ღვარძლიც,
სიხარულის მშფოთვარე ტყე გადახმა,
ცხოვრებაში სხვათაშორის დავრჩი.
და დავდივარ იმედების გადაღმა
ნაღვერდალი ჩაფერფლილი ხანძრის.

ისე ვქრები, სულსაც არვინ მიბურავს
და ვარამი გულს ცვილივით მიდნობს...
თეთრი ქალი თმას თავისუფრად მიფერავს
და მქრქალ სხივსაც შეუმჩნევლად მიქრობს.
სიმარტოვე წამოსასხამს მიკერავს,
მე კი ვფიქრობ, ვწერ, ვშლი, ვწერ და
ვფიქრობ.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ოსიკო გვარიშვილი

## საფეხურები

(დოკუმენტური მოთხრობა)

მეგობარმა მიგვიწვია სტუმრად. სადარბაზოში ფეხი შევდგი და, საფეხურებზე ასვლა დავიწყე თუ არა შევჩერდი. სწორედ იმ საბედისწერო საფეხურზე შევჩერდი, რომელზეც მაშინ დედაჩემი და მე ვიდექით თითქმის დაპატიმრებულნი.

ჩეკა - ასე ეწოდებოდა იმ ჯოჯოხეთურ ადგილს, სადაც უდანაშაულო ადამიანებს ტანჯავდნენ. ტანჯავდნენ ისე, რომ შუასაუკუნეების ინკვიზიციასაც შეშურდებოდა. ეს საფეხურები ჩეკას შენობას ეკუთვნოდა. სისხლმა დაიჭირაო - ამბობენ ადამიანზე, რომელსაც სრულიად უმიზეზოდ ნაბიჯის გადადგმაც კი არ შეუძლია. შევჩერდი და ჩემს გონებაში წამოგორდა წარსულის აჩრდილი, გაცოცხლდა ტანჯული სული...

1937 წელს ამ შენობაში ჩეკას რეზიდენცია იყო, ზემო პირველ და მეორე სართულზე, აგრეთვე, სხვენზე, უფროსობა, ანუ მტანჯველნი ისხდნენ, ხოლო ქვევით, „პადვალში" - სახელდახელოდ, ვინაობის გარკვევის გარეშე, ქუჩაში შემთხვევით გამვლელი უდანაშაულონიც იტანჯებოდნენ. პატიმართა რაოდენობა იმდენად დიდი იყო, რომ საკნის კარს ძლივსღა კეტავდნენ. შუაღამისას ჭოროხის პირას მარხავდნენ ამ ჯოჯოხეთში დახოცილთ...

უთენია დილით კი, სარდაფის ჩასასვლელში, რომელიც ახლა ამოქოლილია, პატიმართა ჭირისუფლების რიგი იმართებოდა „პერედაჩის" გადასაცემად.

ჰოდა, ვიდექით იმ რიგში დედაჩემი და მე - ჩემს დედმამიშვილებში ყველაზე პატარა, დედაჩემის კალთას ჩაბღაუჭებული, შეშინებულ თვალებს ირგვლივ ვაცეცებდი და დედას წამითაც არ ვშორდებოდი.

დროდადრო ზემო სართულის მესვეურთაგან ვინმე გამოჩნდებოდა, პატიმრის გვარს ამოიძახებდა და მასთან მისულს „საკითხის გასარკვევად", წაიყვანდა. შემდეგ გავიგეთ, ასეთი მზაკვრული ოინით „კაცის წაყვანა" რას ნიშნავდა. გავიგეთ მაშინ, როდესაც ჩემი ორი ბიცოლა დააპატიმრეს. ჩეკას შენობასთან უმთავრესად ქალები იდგნენ რიგში „პერედაჩის" გადასაცემად.

რიგში დგომით ქანცგაწყვეტილმა დედაჩემმა ამანათის მისაღებ სარკმელთან მიაღწია და პატიმრის გვარი დაუსახელა. „მოიცადე, რაღაც გასარკვევია", - სარკმელიდან უთხრეს. ცოტა ხანიც და ჩეკისტის ფორმაში ჩაცმული კაცი გამოჩნდა და დედაჩემს გვარი ჰკითხა.

- თქვენი ქმრის საკითხის გასარკვევად გეძახიან. - წყნარად უთხრა, - წამოდით ჩემთან.

დედაჩემი ყველაფერს მიხვდა, მაგრამ წყალწაღებულმა ხავსს ჩასჭიდა ხელი.

- მე ბავშვი მახლავს...

- არა უშავს, არ მოგიწევთ ცდა, წამოიყვანეთ ბავშვი.

დედაჩემს იმედი მოეცა, ბავშვთან ერთად ხომ არ დამაპატიმრებენო, - გაიფიქრა. ის კი არ იცოდა, რომ „ტროცკისტების" ცოლები ძუძუმწოვარ ბავშვებთან ერთად იტანჯებოდნენ საკნებში.

დედაჩემს ერთი ხელი ჩემთვის ჩაეჭიდა, მეორე ხელით „პერედაჩი" მოჰქონდა. ჩეკისტთან ერთად ამოვედით სარდაფიდან და ზემოდ მოვუხვიეთ, რუსთაველის ქუჩაზე, სწორედ იქ, ახლა მე რომ გახევებული ვიდექი, იმ სადარბაზოში შევედით. შესასვლელში გაჩერებული ხიშტიანი ჯარისკაცის დანახვაზე ღრიალი მოვრთე. ჩემს აღრიალებას რა დიდი ამბავი უნდოდა. დედაჩემმა ხელში ამიყვანა და დაწყნარება დამიწყო.

რამდენიმე საფეხური კიდევ ავიარეთ და წინ მიმავალმა ჩეკისტმა დედა შეაჩერა.

- მოიცადეთ, კომისარი მოდის, გზა დაუთმე...

კიბეზე სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული, როგორც მახსოვს, საშუალო ტანის კაცი ჩამოდიოდა. დედაჩემი არ განძრეულა. მე ვღრიალებდი.

კაცი შეჩერდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



- რაშია საქმე? - იკითხა მან.

- ამხანაგო კომისარო, ბესანოვმა მიბრძანა, ამოიყვანეო, გვარიშვილის ცოლია... - კომისარმა ჯერ წასვლა დააპირა, მაგრამ შეჩერდა და დედაჩემს ჰკითხა:

- რომელი გვარიშვილის ცოლი ხართ?

- მემედ გვარიშვილის, გვარიშვილი მემედის - რამდენჯერმე გაიმეორა შეშინებულმა და დაბნეულმა დედაჩემმა. კომისარი ჩაფიქრდა, შეყოყმანდა.

- გაუშვით, - რუსულად უთხრა ჩეკისტს.

ჩეკისტი არ მოელოდა.

- ტავარიშ კომისარ, ბესანოვ...

- კომისარი დედაჩემს მოუბრუნდა:

- ახლა წადით, ერთ კვირაში თხოვნა მომიტანეთ და თქვენს საქმეს გადავხედავთ.

და კიბეზე დაეშვა.

დედაჩემი გაოგნებული იდგა. იდგა ჩეკისტიც, მე აღარ ვტიროდი.

- ახლა აქედან წადი და აღარ გამოჩნდე. იცოდე, გადარჩი - თითქმის ჩასჩურჩულა ჩეკისტმა.

გავიდა ორი თუ სამი კვირა, ხალხის დაპატიმრებები მინელდა, თითქმის შეწყდა. დედაჩემმა ცნობილ ადვოკატს, მამაჩემის უახლოეს მეგობარს იუსუფ ცივაძეს განცხადება დააწერინა და შინსახკომის უფროსს მიუტანა.

განცხადებაში არ იყო ხსენებული მამაჩემის უდანაშაულობა, მხოლოდ თხოვნა იყო ობლად დარჩენილი ოთხი შვილის სარჩენ წყაროდ კონფისკაციაში მოხვედრილი ავეჯისა და ბინის დაბრუნებაზე. ჩამორთმეული ბინიდან ერთი ოთახისა და ავეჯის ნაწილის დაბრუნების გადაწყვეტილებაც მიიღეს. ავეჯი მართლაც მოგვცეს, მაგრამ საკმაოდ ფართო ბინიდან მხოლოდ ერთი ოთახიდა დაგვიბრუნეს. ბინის მთლიანად დაბრუნება ვერ შევძელით იმიტომ, რომ მამაჩემის ქონება თითქმის უსასყიდლოდ გადაეცა ახალწამოჩიტულ „იდეურ“ ცოლ-ქმარს.

უკვე თითქმის დაპატიმრებული დედაჩემის გათავისუფლება და ავეჯის ნაწილის დაბრუნება გაუგონარი ჟესტი იყო შინსახკომის მხრიდან.

ყველას უკვირდა, დედაჩემი კი დუმდა. დრო ყველაფრის მკურნალია... მამაჩემი რეაბილიტირებულ იქნა. თითქოს აღსდგა სიმართლე. მაგრამ სიკვდილს არაფერი ეშველება. შიშის გრძნობას ატანილი დედაჩემი შემდეგაც არ ახსენებდა იმ ჯოჯოხეთურ დღეებს, მხოლოდ გარდაცვალებამდე რამდენიმე ხნით ადრე გვიამბო: 1937 წელს ციხე რომ მამაკაცებით გაივსო, მათი ცოლები აქტიურად მოითხოვდნენ სიმართლის დადგენას. საჭირო გახდა ცოლების დაპატიმრებაც. მაშინაც და შემდეგაც ბელადმა არ დაინდო თავისი მიზნების ერთგული შემსრულებლებიც, თანამოაზრეების - კალინინის, მოლოტოვისა, ტუხაჩევსკის მეუღლეები, თავისი ვაჟის იაკობის მეუღლე, იაკობის გამზრდელი - სტალინის პირველი მეუღლის ძმის, - ალიოშა სვანიძის მეუღლე და ბევრი სხვანი. აჭარაში კი ჩემი ბიძების - ალი და საიდ გვარიშვილების მეუღლეებთან ერთად პოლიტპატიმართა ხვედრი გაინაწილეს ზექერია და სელმან ლორთქიფანიძეების, რიზა ხოზრევანიძის, ჯემალ ქიქავას, შალიკო მანჯგალაძის, ოსმან ჩახვაძის, ილია ქათამაძის და ბევრ სხვათა მეუღლეებმა. ჩემი ორი ბიცოლაც სწორედ მაშინ დააპატიმრეს, როდესაც ისინი ჩეკაში „პერედაჩის“ გადასაცემად მივიდნენ. ასე აპირებდნენ დედაჩემის დაპატიმრებასაც, თუ არა კომისრის გამოქომაგება.

გასაბჭოებამდე ჩაქვის ჩაის პლანტაციები საუფლისწულო მამულს ეკუთვნოდა და მას მმართველები განაგებდნენ. ჩემი მშობლები, ახალდაქორწინებული ცოლ-ქმარი, ამ მამულში ცხოვრობდნენ. გარკვეული დროის განმავლობაში მამულს მართავდა პიროვნება, გვარად ჩიქოვანი, რომლის პირად დაცვაში იმყოფებოდა ჩაქვრაში გამოწყობილი, მოხდენილი ახალგაზრდა მემედ გვარიშვილი. მმართველის ოჯახში ხშირი სტუმრები იყვნენ მისი ახლობელ-ნათესავები, რომლებიც კარგად იცნობდნენ მმართველის მცველებს, ერთ-ერთი ასეთი სტუმარი იყო მმართველის ცოლის დისშვილი, ახალგაზრდა, ყმაწვილი კაცი, რომელიც დაუმეგობრდა მამაჩემს და ჩაქვისთავში თევზის ჭერისა და კოხნარში დათვზე ნადირობისას მუდამ თან ახლდა.

როდესაც დაბარებული დედაჩემი კომისართან მის კაბინეტში პირისპირ აღმოჩნდა, აჭარის შინსახკომის უფროსი, კომისარი ზაქარია დედაჩემს გაენდო, რომ მმართველის ცოლის დისშვილი, ის ყმაწვილი კაცი თვითონ იყო... და სთხოვა, საიდუმლოება შეენახა.

იმ დროისათვის ჩეკას კომისრის ასეთი მოქმედება მისი ფიზიკურად მოსპობის ტოლი იყო და დიდ რისკს უკავშირდებოდა. ფაქტის წინაშე დამდგარ სახელმწიფო მოხელეში, როგორც ჩანს ადამიანურმა გრძნობამ გაიღვიძა. მამაჩემი გაახსენდა. იცოდა, მას ველარ უშველიდა და მისი მეუღლე გადაარჩინა. მარტო ის არა, ჩვენც, ოთხნი, უკვე ნახევრად ობოლი მცირეწლოვანნი, მთლიანად ობლობასა და წამებას გადაგვარჩინა. საიდუმლოების გახსნის შემდეგ მოვიკითხე - გენერალი ზაქარია უკვე გარდაცვლილი იყო...

ახლა ვიდექი ამ საფეხურზე და ფიქრში წასული ადგილიდან არ ვიძროდი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თამარ გომართელი

## ქალი

ქალი ჩანჩქერიდან მოსხლეტილი მკვირცხლი წვეთია, ჰაერშივე ქანდაკად ქცეული...
ქალი მშვენებაა, შემოგზნებული ვნება, სპილოსძვლისფერ სხეულში ჩაბუდებული და გაფეტიშებული...
ქალი დედაა, ტკბილი და მძიმე, მოვალეობის უქრობ ლამპარზე ფრთებშეტრუსული თალხი პეპელა. თუკი ცხოვრება სანთლად ჩამოქნა მამაზეციერმა და ნაპერწკალს მისცა წუთისოფელი, ქალი ლამაზი ნაღვენთია, ბედისწერის დამჭკნარი ქუთუთოდან ჩამოწურული ცრემლი, წლების პირღია იარებიდან მოდენილი მლაშე სითხე.
ქალი ოცნებაა, მიუწვდომელ სილურჯეში მოფარფატე ოცნება...
ქალი ნატვრაა, ამაოების ცხრაკლიტულიდან გამომსხლტარი და ზვიადად ალანძული...
ქალი ტკივილია, სიყვარულის გადახსნილ ძარღვებში მქუხარე...
სიამე, მკერდიდან ამოგდებული ბურთის მწველი ნაწური...
ქალი შვებაა, დღეთა დინების ლივლივა ზედაპირზე მიწოლილი ნიმფა, დინჯი და გულგრილი - სალბუნი სულისა...
ქალი სიხარულია, გრძნობათა შეკრულ კამარაში, როგორც აკვანში, წამიერი ვნებათაღელვის არტახებით ჩაკრული...
ქალი ღიმილია, ტუჩის კიდეებიდან მალულად ამოძურწული, ჭინკის თვალებში მინავლული და გაღვივებული ციმციმა ნაპერწკლების ხმამაღალი ოცნება, ლამაზი და აუხდენელი...
ქალი მელოდიაა, უჩინარი მაესტროს ფრაკის კალთას აყოლილი, არფების პრიალა სიმებში გახლართული უხილავი ნეტარება...
ქალი ცრემლია, ცხოვრების ქარნაკრავ ღაწვებზე მოძალებული და ქარის ბროლისფერ კიბეზე ასაფრენად გამზადებული...
ქალი ძალაა, ზევსის კუნთებში ჩაბუდებული...
ქალი ავაზაა, მოსხლეტილი, თალხი ტანის ულმობელი ბანოვანი...
ქალი ჰაერია, ჰაერივით მსუბუქი, უხილავი, ჩუმი და უკარება, ჰაერივით ცხელი და გაყინული, გულგრილი და ყოვლისშემძლ ჰაერივით საჭირო და მაცოცხლებელი...
ქალი ლამაზი სულია, პირველი კოცნაა, ხანმოკლე ბედნიერებაა,..
მიუწვდომელი სიმაღლეა, თვალშეუდგამი მწვერვალია, ქალი ქალია...
ჩანჩქერიდან მოსხლეტილი მკვირცხლი წვეთი, ჰაერშივე ქანდაკად ქცეული...

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ქართული ნათელი ბნელდებოდა

არ იცოდა, რომელი სოფლიდან მოდიოდა და არც ის აღელვებდა,
რომელი სოფლის ტყე-ჭალებს მიანუგეშებდა ნამეხარ სულს.
არც ძველ ალაგას მიტოვებულ ნაამაგარს ჩიოდა და არც
ახალი ცხოვრების მოუწყობლობის შიში ტანჯავდა. უბრალოდ
მიდიოდა, სხეულმოარდაგებული, მიაღრიჭინებდა ურმის თვლებივით
დაბრეცილ წლებს.
ქონება არ აღელვებდა - არ ჰქონდა იგი,
სინდისი ღრღნიდა - ჰქონდა და იმიტომ.
კაცთაგან სამს დაიმადლებს უფალი - მორწმუნეს უზაკველს,
ბრძენს სამართლიანს, მეგობარს ერთგულს იცოდა და ძრწოდა.
გაშორეთებულიყო მისი ნაგრამი - ვენეციის ნესტსა და ეგვიპტის
ხვატში ეძებდა მისადგომს, ღრმა კალაპოტიან სირენებიან პორტს,
არადა, შორს, ძალიან შორს თეთრკენჭებიანი ბავშვობის ნაპირი
ქათქათებდა; მიტოვებული, შორეული, ნაოცნებარი, მივიწყებული,
ნაპოვნი, გახსენებული და მოძულებული...
არ ახსოვდა, რომელი სოფლიდან მოდიოდა და არც ის აფიქრებდა,
სადამდე მიათრევდა დავრდომილ სულს.
ფესვებით ნამუმლარ მუხას ჰგავდა,
ოცნებით - ფრთამოსხეპილ ნიბლიას,
მომავლის გზას კი ბნელსავსე ნათლის სვეტივით ჩამქრალ-მოელვარე
ალექსანდრიის შუქურა უკვალავდა. თვალს სჭრიდა უცხო
სარკმლიდან შემოჭრილი და მოზღვავებული ციაგ-ნათელი, ბედივით
უცხო. მშობლიური ნიკორწმინდის თეთრ თაღებში კი ქართული
ნათელი ბნელდებოდა.

## პეშვებით დაგაქვს ჩემი ცრემლები

ბავშვობის ნაპირს გავაცილეთ ძველი ფიცრულივით შეკრული ნავი,..
მიგაჭენებდა, არადა, ნებში ჩამუჭული მაშიებით თვალდახრილ,
მოგდევდი უკან...
მეფე არ იყავი, შენს ჩრდილს ვაბიჯებდი, მაგრამ ტაიტზე რომ
გვეცხოვრა, სიკვდილით დამსჯიდნენ, ალბათ.
ამაზონივით წყალუხვი მდინარე, ჩვენი ბავშვობის ნაპირებში
გამოყულფული, ეკლიანი კალაპოტით ისუსხებოდა და სისველეს
გვირიგებდა.
ჩემი თეთრი მარმარილოს სამრეკლო დაველანდე შენში, მაგრამ
მზერას გადაბრეცილი პიზას კოშკილა შერჩა.
განწირულმა შემოგხედე... ჩემი ცრემლები მშრალი პეშვებით
ჩამოაგროვე.

წლებმა წაგვართვა ბავშვობის ნაპირი.
როკებიან ხუხულასაც შემოერთვა სალტე.
სადავე გაგიცვდა და ვეღარც მიგაჭენებ, აღარც უბელო ხარ,
სხვასთან ოჩანი და ჩემთან ნებიერი.

ტალღამ მომტაცა ზღვისფერი მაშიები.
ტაიტის მელოვიარე დედოფალი ვარ და დიონისეს ცისფერ ლენტებში
გამოკრული მემუარებიც სველ სასთუმალთან ჩემს ჩრდილზე...
ფეხმოხვედრილთა გულის სისხლითაა ფურცელზე გადამელნებული.
ჩვენი ბავშვობის ნაპირებში ბებერი ბაობაბი გაიფესვა.
და ჩვენს კალაპოტში, სისველეს რომ გვირიგებდა მჩქეფარე
ხელისგულებით, კოტოფაქსივით მაღალმა ვულკანმა ამოხეთქა.
ჩემი თეთრი მარმარილოს სამრეკლო ღრუბელ-ღრუბელ ააორთქლა
დროისა  და ბედისწერის თაკარამ.

პეშვები კი დღესაც სველი გაქვს ჩემი ცრემლებით...

## და არც არავინ იყო მოსასვლელი...

მხრებმოწყვეტილი იჯდა.
ამფითეატრონის ილუმინატორთა მქრქალი, მილურჯებული ნაკადი სუსტად უფერადებდა ლაწვებს. ოცნებობდა და მისი ოცნების ბინა მოკვდავის ფიქრებზე მაღლა აზიდულიყო.
ლოცულობდა და მისი ტაძარი ზევით, ცის ჭერთან ახლოს გამონასკვულიყო. ტაძარი მხსნელი, სანთელუქრობი, ხატკურთხეული და მიწას უკარება.
ქალი ნატრობდა არაფერს, ოდენ მას და ფლობდა ყველაფერს, ოდენ მის გარდა.
„ტრავიატა" ილვრებოდა, უკვე კულისებიდან. პარტერის ყურთასმენას ეხლებოდა ბგერა, ბენუარის ლოჟიდან კი მიტოვებული ქალი იმზირებოდა. მხრების სილუეტს კვეთდა სინათლით გადალერწმული სივრცის აკვარელისფერი ფერადოვნება. ქვიშასავით იკლაკნებოდა ლაწვებზე ჩამოღვრილი სისველე და უმიზეზობა... ქანდაკად ჩამოესხა მიმიკა. ცარიელი უსახო მზერით კითხულობდა საკუთარ თავს საზოგადოებაში თუ საზოგადოებას საკუთარ თავში. მხრებმოწყვეტილი იჯდა. თავლია სივრცე - გოლეულივით ეტმასნებოდა შემკრთალ სილუეტს, გვერდით კი სიცარიელე დაშვებულიყო მწვირიან სკამზე და არც არავინ იყო მოსასვლელი...



ეროვნული ბიბლიოთეკა

გია მიქაძე

# ნირვანა

მეჩხერი წვიმის უხალისო ბადეში გახვეულიყო ნაცრისფერი ქუჩები, გალუმპულ ქალაქში ნოტიო, გაცრეცილი შემოდგომა იდგა. ყვითელი, უსიხარულო წვიმა იყო ყველგან – ატალახებულ გაზონზე, ავტომანქანების კრიალა სახურავებზე, მაყურებელთა მოწყენილ სულებში.

ავთომ მაღალი, გაქექილი სავარძელი, ლითონის ძვლებსავით რომ გამოსჩროდა ურჩი ზამბარები, ფანჯარასთან მიაჩოჩა. ფეხები მოხერხებულად შემოაწყო. კეთილი წარსულის ზმანებებში უსიცოცხლოდ გარინდულ რადიატორზე და მელანქოლიის პოეტურ ტალღებში შეცურა. წვიმის ცქერით მოგვრილმა, ნოტიო ზეწარსავით უსიამოვნო გრძნობამ, რადიატორიდან წამოქროლილ სუსხიან სიოდ რომ დაიძრა სხეულში, სწრაფადვე გაუქარწყლა კომფორტისა და სიმყუდროვის ილუზია და, თუმცა არ გაძლიერებულა, ჯიუტი მოთმინებით გაყუჩდა იქ, შიგნით, სიბნელეში. ავთოს დაღლილმა ჩრდილმა გადაურბინა სახეზე. მართალია, შიგადაშიგ ყასიდად ამოიოხრებდა ხოლმე, დავბერდიო, მაგრამ ეს, თვითონაც იცოდა და მსმენელებიც ამჩნევდნენ, აშკარად, საწინააღმდეგოს დარწმუნების თხოვნას უფრო ჰგავდა, ვიდრე გულწრფელ აღიარებას – საკუთარ თავთან პირისპირ დარჩენილს ჯიუტად არ სურდა, მეტისმეტად შემოჩვეული შეგრძნების ასეთი ბანალური, უსიხარულო მიზეზით ახსნა – ბოლოს და ბოლოს ოცდათოთხმეტი წელიწადი რა ბედენაა, სიბერეზე ლაპარაკი სასაცილოც კია...

იქვე, ოთახში, ავთოს ცოლი ფუსფუსებდა, თაგვივით უხმაუროდ და საქმიანად, თან რაღაცას ლაპარაკობდა, დაღლილად, უმისამართოდ – ალბათ, ავთოს თუ საყვედურობდა. ცოლმა იცოდა, ამ ხმადაბალ საყვედურებს მაინც არ ეწერათ თავიანთი უპრეტენზიო მისიის შესრულება – მხაპუნა წვიმა ვერ მიიპყრობდა გამობრძმედილი ზღვაოსნის ყურადღებას, ყოჩაღად რომ გაეძლო უამრავი შტორმისათვის – ქალი გულს იოხებდა მხოლოდ.

ავთომ წამით უხალისოდ მიუგდო ყური ცოლს. ტოი, ისევ წუწუნებს. ალბათ, მართალია. მაგრამ რა ხელი აქვს ავთოს მის, ფხიზელი უმრავლესობის სიმართლესთან? ოცნებებიც კი ისეთივე განსხვავებული აქვთ, როგორც როკვარსკვლავსა და ბრინჯის ყანაში მომუშავე ვიეტნამელ გლეხს. ისე ცოდო კი ნამდვილად არის – ავთომ შემთხვევითი გამვლელის გულგრილი, ობიექტური მზერით გაზომა ცოლი – ჰო, მათი საერთო ცხოვრების ამ უკანასკნელ ხუთ წელიწადში მარტო თვითონ არ შელანძღულა – ქალს უფრო აშკარად, ეტყობოდა ეს. ახლა, როცა ასეთი ფხიზელი თვალით უცქეროდა ცოლს, ავთო არ გრძნობდა არაფერს.

სიყვარული თავიდანაც არ ყოფილა, უნიათო ნდომა კი, ქალის მომხიბვლელობის მწირ მარაგთან ერთად, კარგა ხანია შთანთქა, უკვე მოინელა კიდეც, საკუთარ ორგანიზმში ჩაბუდებულმა პატარა, მოურჯულებელმა დემონმა. და ახლა ავთო ამ ქალის მიმართ უკვე არ გრძნობდა არაფერს, ერთი მუჭა მიჩვევის, სიბრალულისა და მესაკუთრის ეგოისტური გრძნობის მეტს, ეს უბადრუკი ნაერთი კი არაფრით ჰგავდა იმ დიად, ამაღლებულ გრძნობას, უამრავ დიდ თუ წვრილმან სისულელეებს რომ ჩაადენინებს ადამიანს. თუმცა ანკი რას ელოდა? რას ელოდა ამ მორჩილი, ჩუმი ქალისაგან, ცოლქმრული ცხოვრებისაგან საერთოდ? არაფერს, ყოველ შემთხვევაში, რომანტიკულს, როდესაც ბოლოს დანებდა დედის საყვედუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად ქცეულ თხოვნა-დარიგებებს, საკუთარ სიმარტოვეს და შიგნეულობის იმ უსიამოვნოდ მწიწკნავ გრძნობას, სიბერის მოახლოებით ახსნა რომ არ სურს, სხვა მიზეზს კი ვერ პოულობს... კიდევ კარგი, ბავშვი ბებიასთან არის, თორემ ასე უშფოთველად ვერც დაჯდებოდა კაცი. ბავშვი მის მიმართაც არ გრძნობდა არაფერს განსაკუთრებულს – მხოლოდ მიჩვევასა და სიბრალულს, უფრო მეტ სიბრალულს და ნაკლებ მიჩვევას, ექვს წლამდე ასაკის ბავშვებთან ხანგრძლივი ურთიერთობისათვის რკინის ნერვები სჭირდება ადამიანს...

ავთო ისევ ჩაიძირა ზოგად, დაუმთავრებელ ფიქრთა უნიათო მორევში. ოცდათოთხმეტი წელი... ოცდაცამეტი უკვე მოიტოვა უკან, სიმბოლური ასაკი, ცოტათი რომ უსწრებს ილუზიათა ნაშთების რღვევასა და ურცხვად გაშიშვლებულ რეალობასთან მტკივნეულ შეჯახებას... ავთომ ცარიელ დარბაზში გააგრძელა თამაში; ალბათ, ამიტომ სჭირდება ასე ძალიან ნარკოტიკი – მუქი ფერის დამცავი სათვალე, თავდავიწყების ქვიშაში სირაქლემისეული ფანდით ნაპოვნი უშფოთველობა... თუმცა მაშინ, სულ პირველად, გაცილებით მარტივად მოხდა ყველაფერი – თვრამეტი წლის ასაკში დამატებითი სათვალე არაფერში სჭირდება ადამიანს. მაშინ ავტომანქანის მოპარულ საბურავებში აღებული, საამურად მჩატე ფული რომ გაუჩნდა ოთხ ხარბ და ცნობისმოყვარე ბიჭს, ყველამ განსაკუთრებულად გადაწყვიტა თავისი წილის დახარჯვა, მაგრამ მეხუთემ, ფულის გაყოფას იღბლიანად შემოსწრებულმა, გამოცდილებით შელანძღულმა მეგობარმა, სწრაფად მოუღო ბოლო ყოყმანსა და აზრთა სხვაობას, ძალდაუტანებლად გადალახა გაუთვითცნობიერებელი ბავშვური შიშის დაბრკოლებები და ერთი ხელის მოსმით გადაწყვიტა ფულის, ფულთან ერთად კი, მათი შემდგომი ბედ-იღბალიც...

ავთოს ნათლად წარმოუდგა მეხსიერებაში სამარადჟამო დამღად დარჩენილი შორეული წუთი, პირველად რომ ჩაყვინთა შეუცნობელი ნეტარების საშიშ მორევში. სამი წყვილი ცნობისმოყვარეობისაგან სასაცილოდ გაფართოებული თვალი ხარბად იჭერდა მის ყოველ მიმიკასა და მოძრაობას. „ჰა! როგორა ხარ, რას გრძნობ?“ – ესმოდა აქეთ-იქიდან, ესმოდა მკაფიოდ, მაგრამ როგორღაც შორეულად და უმნიშვნელოდ. ბოლოს ზანტი მედიდურობით ამოიყურყუმალავა კმაყოფილების ბნელი სიღრმეებიდან და ვიღაც უცნობის ხორხისმიერი ხმით გაჭირვებით ამოთქვა – „მაგრად!!!“ ცოტა მოგვიანებით, დრო და დრო რომ თავისუფლდებოდა მთვლემარე, ფერადი აბლაბუდისაგან, შიშნეული ნეტარებით უსმენდა ახლად ჩასახული, პაწაწინა დემონის სუსტ გულისფეთქვას... შემდეგ კი, წლების მანძილზე, პატარა, დესპოტურმა დემონმა კონკრეტული მიზანი შესძინა, შავი, საორიენტაციო წერტილი დაამჩნია უთავბოლო წლებით გამოფიტული ცხოვრების უსასრულო ჰორიზონტს. თავდაპირველად ეს უჩვეულო მიზანდასახულობა სიამოვნებდა, ამხნევებდა, რაღაც თუნდაც ძალიან უხამსს, მაგრამ აზრს აძლევდა ცხოვრებას... იმ შორეული დილით კი, მაღვიძარასავით უხეშად და დაჟინებით რომ გამოაღვიძა ცივ ოფლსავით წებოვანმა, უსიამოვნო შეგრძნებამ, ავთო მაინცდამაინც არ შეშფოთებულა. „რას იზამ, მედალს ორი მხარე აქვს“, – გაიფიქრა მაშინ ფილოსოფიურად. თანაც, დღიური ულუფის მიღების შემდგომ ჩვეული ნეტარების ტალღამ უფრო დიდი, უფრო ხელშესახები ბედნიერება მოიტანა თან... მაგრამ „ლომკა“ იმაზე გაცილებით უარესი, გაცილებით საზარელი აღმოჩნდა, ვიდრე ეგონა, იცოდა ან შეეძლო წარმოდგენა. არა, ფიზიკურ ტკივილებს კიდევ გაუძლებს კაცი – რა ფასად, ყველა ვერ მიხვდება – მაგრამ ამ წყეულმა სიცარიელემ, ეკლიანი ქარივით რომ დაძრწის გამოფიტულ სულში, შეიძლება რაიმე გამოუსწორებელი სისულელე ჩაადენინოს ადამიანს... მერე და მერე, წლებმა გამოცდილება რომ შემატა, ამ უკანასკნელმა კი თავის მხრივ – სიფრთხილე, უკვე ემალებოდა, ისეთივე სამარცხვინო სიმხდალით არიდებდა თავს „ლომკას“, როგორც დამარცხებული მამალი უძლეველ ფალავანს. თანაც ჩვენს უკუღმართ ქვეყანაში „წამალზე შეჯდომას“ ფული სჭირდება, საკმაოდ დიდი ფული, დიდი ფული კი ჩვენზე უკეთ მოწყობილი ქვეყნების ქუჩებშიაც არ ყრია... მართალია, „ლომკის“ წყალქვეშა რიფებს გამოცდილი ლოცმანივით მოხერხებულად არიდებდა ხომალდს, სამაგიეროდ თვითონ დემონს, თავისი პატარა, მახინჯი სხეულით რომ გადასწონიდა მთელი სამყაროს სულიერ თუ მატერიალურ საგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნძურს, ვეღარ დასძლევდა - ეს იცოდა. მათი გზები აღარასოდეს გაიყრებოდა, თავდაჭედილი კუბოს ნოტიო წყვდიადშიც კი - გზა იმქვეყნადაც ერთი ჰქონდათ. და ამის ცოდნა იმ ბრმა, ავადმყოფური გრძნობით უვსებდა არსებას, ბედკრული კატორღელი რომ განიცდის მასთან სამუდამოდ გადაჯაჭვული მეწყვილის მიმართ... თანაც დემონს, თბილად და უშფოთველად რომ მოეკალათა მის ორგანიზმში, მეძველმანესავით ჭრელი, მეშაქარლამესავით მაცდური საქონელი გამოეფინა დახლზე. რას არ ნახავდა კაცი - ზღაპრული ენერგიის წყაროს, მოუსვენარ ბუშტუკებად რომ ცქმუტავდა კოხტა სინჯარაში, ჯადოსნურ სათვალეებს, რომლითაც სასაცილოდ პატარად, შორეულად მოჩანდა ნებისმიერი ჯურის პრობლემა. ზუსტად ისე როგორც საგნები გადმობრუნებულ ჭოგრიტში, ცხოვრებისეული სიბრძნის ქარვისფერ კრიალოსანს, ათასგვარ აზებს, მთვლემარე ნეტარებასა და ფერად სიზმრებს რომ პირდებოდა მსურველთ, მამაცი და უტიფარი ბახუსით განთქმულ ლალისფერ ღვინოს ათასფრად აციაგებულ ბროლის ნატიფ სურაში - ყველაფერ ამის სანაცვლოდ კი, კეთილი, გულუბრყვილო ველურის მსგავსად, მხოლოდ იაფფასიან შუშის სამკაულებს ითხოვდა - ჯანმრთელობას, კეთილ რეპუტაციასა და ადამიანობის იმ პაწაწინა მარცვალს, ყოველ ჩვენთაგანს რომ უგდია სულის ჩაბნელებულ საკუჭნაოში... საბოლოოდ კი, მიზანდასახულმა, ცხვირქექია დემონმა სულ ადვილად მიაღწია თავისას - გაცხოველებული ვაჭრობის შედეგად ავადმყოფური სიხარბით ამოწუწნა მისგან ყველაფერი კარგი, რეალური რაც კი რამ გააჩნდა, ამოწუწნა შეუბრალებლად და მეთოდურად, როგორც ობობა ამოწოვს აბლაბუდაში გახლართულ მსხვერპლს საკუთარი შხამითვე გათხიერებულ შიგნეულობას. გადამუშავებული პროდუქტი კი, ფეკალური მასა, ნალველასავით მწუთხე ეგოიზმის სახით, წლების მანძილზე გროვდებოდა გამოცარიელებულ, გაუხეშებულ სულში...

სისულელეა ეს ყველაფერი, - გააწყვეტინა საკუთარ თავს თუ ვიღაც უცნობს, უმიზეზოდ გაღიზიანებულმა, - მაღალფარდოვანი გრძნობებისა და აზრების ყალბი რახარუხი! თვითონ ეს გულისამრევად ამაღლებული განწყობილებაც სისულელეა და მეტი არაფერი - ამ ოხერი წვიმის ბრალია ყველაფერი.

დამნაშავის პოვნამ ცოტათი დაამშვიდა - ფილოსოფიური აზრებისათვის შემდეგაც მოიცლის, მტერიანი რეალობის, ნაცრისფერ ფიქრთა და პრობლემათაგან დაღწევის შემდეგ. დღის წესრიგში ახლა მხოლოდ ერთი, მუდმივი საკითხი იდგა - „წამლის" შოვნა. ავთომ ცხადად იგრძნო, როგორ მოუთმენლად შეტოკდა სულის ბნელ სიღრმეებს შეფარებული, მოწყენილი არსება. ალბათ, ეს ნოტიო, უსიამოვნო შეგრძნებაც, უხალისოდ რომ დაბორიალობდა ორგანიზმში, სხვა არაფერი იყო თუ არა მისი, ბნელი მხეცუნას შიმშილის გრძნობა. ჰო, ალბათ კი არა, ნამდვილად ასეა და სიბერე აქ არაფერ შუაში იყო, ეს თავიდანაც იცოდა. უბრალოდ გამოტყდომა არ სურდა - საკუთარ თავთან თამაშის ჩვევაც დემონთან წილნაყარობის ერთ-ერთი მონაპოვარი იყო. „წამალი" კი არ ჰქონდა, ისევე, როგორც ფული, რომლითაც „წამლის" ყიდვას შეძლებდა, და ისევე როგორც იმედი, რომ სადმე იშოვნიდა „წამლის" საყიდ ფულს - ყველა რეზერვი კარგა ხანია ამოწურულიყო, ზუსტად ისევე, როგორც იმედი, ფული და ა. შ. თუმცა რაღაც მაინც გააჩნდა, რაღაც, რაც ზემოთ ჩამოთვლილ სამწუხარო ფაქტთა მიუხედავად აუღელვებელი, თავდაჯერებული იმედით უვსებდა გულს. იმედის ამ ხალისიან საიდუმლოს, ჯადოსნური რეაქციისათვის აუცილებელი ელემენტით სავსე პატარა შუშას ძველი და ნაცადი სამალავივით იკრავდა გულში, ისევე ნაზად, ისევე საიმედოდ, როგორც ადრე, ქარს გატანებულ წარსულში ბავშვობის უეშმაკო საგანძურს. ჰო, როლი ჰქონდა კიდეც, უხამსი, ეპიზოდური როლი, რომლის შესრულება არავის ანიჭებდა სიამოვნებას, არც მას და არც გულგრილ მაყურებელს. მაგრამ ეთიკის ელემენტარული ნორმები მაინც უნდა დაიცვას კაცმა, თუნდაც იმიტომ, რომ შემდეგ თავი არ ასტკივდეს.

საუბედუროდ, იმედს, ისევე, როგორც მომაკვდინებელ ინგრედიენტს (როლზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია), ვერ გაიკეთებ ვენაში ერთჯერადი შპრიცით, ვერ გაუშვებ ბლანტ ტალღებში გაუმაძღარი დემონის საზრდოდ. საჭირო იყო „წამალი" - უხამსი პროზით შეკაზმული ლოტოსის მითიური ყვავილი, თავდავიწყებაში ნაპოვნ ბედნიერებას რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰპირდებოდა კახპასავით ურცხვად. ამ ბედნიერების შეცვლა მისთვის უკვე აღარაფერს ძალუძდა სრულყოფილად, აღარაფერს „წამლის" მეტს. მის საშოვნად კი – იმედით პერანგის ჯიბეში თუ მის გარეშე – საჭირო იყო ის ავადმყოფურად მიზანდასახული ენერგია, ასე რომ სიამოვნებდა თავიდან და სწორედ მისი უქონლობა თუ უკმარისობა იყო, ალბათ, სიბერის მოახლოების ყველაზე ნაღდი, ყველაზე უტყუარი ნიშანი... „წამლის" გემოს გახსენებაზე, პავლოვის სახელგანთქმული ძაღლის მსგავსად, ნერწყვად მოადგა გულისრევის ზიზღნარევი შეგრძნება. ავთომ ზანტად გაიწვდინა ხელი და დაუდევრად ამოიღო ტკბილ მოგონებათა ყულაბიდან პირველივე ხელში მოხვედრილი ფირი... ფირი ძველი იყო, ხმარებისგან შელახული და მეტად ხმაურიანი; პატარა სამზარეულო გაჭირვებით იტევდა რვა ერთმანეთისათვის ნახევრად უცნობ, განსხვავებული ჯურის, ასაკისა და ტემპერამენტის ადამიანს, გადასახტომად გამზადებულ პარაშუტისტებსავით რომ შეყრილიყვნენ რეალობის ნაცრისფერ თვითმფრინავში. ავთომ ნათლად გაიხსენა შვიდივე, მათი სახეების გამომეტყველებაც კი; სამს (თვითონაც, სხვათა შორის) დაუდევარი გულმოწყალება ეწერა სახეზე, ორს – გულწრფელი თუ მოგონილი მადლიერება, ერთს – საქმიანი სიდარბაისლე, მეშვიდეს კი... ავთო უნდო, მალული ინტერესით ათვალიერებდა უცნობს – არა, თითქოს არაფრით იმსახურებდა ამ განსაკუთრებულ ცნობისწადილს, რიგითი, უსახელო ნარკომანი იყო, შეიძლება ჩვეულებრივზე ოდნავ გამხდარიც, რის გამოც ისედაც მოზრდილი ცხვირი ხაზგასმულობით იქცევდა ყურადღებას, მაგრამ ეს არ იყო მთავარი. გამომეტყველება ჰქონდა მის სახეს უჩვეულო, შეიძლება ითქვას, საეჭვოდ, და კიდევ, ბედსშერიგებული სასოწარკვეთა იკითხებოდა ამ თვალებში, მასთან ერთად კი სიხარბე და მონური მორჩილება ძლევამოსილი დემონის წინაშე... ალბათ, სწორედ ამ გაფაციცებული ყურადღების წყალობით თუ დაიჭირა უცნობის უმნიშვნელო მოძრაობა, უცნაური სიჯიუტით რომ ჩაიბეჭდა მეხსიერების რომელიღაც გაცრეცილ ფურცელზე; „მეანჰიდრიდემ" (სახელი, მგონი, მაშინაც არ იცოდა არავინ – თითქოს ციდან ჩამოვარდა მოულოდნელად, მყრალი სითხის შუშით) ხელში შეათამაშა წამით უმეთვალყუროდ დარჩენილი ოპიუმის პატარა ბურთულა – ახლო, კარზე მოუთმენლად მოკაკუნე მომავალში უხამსად რეალური ბედნიერების ყავისფერ მასად გადლაბნას რომ აპირებდა კოხტა, ემალისებურ ჯამზე – სწრაფად მოიქცია მუჭში და აჩქარებით გაჰკრა გრძელი, მოუვლელი ფრჩხილები... და ავთომ ცხადად წარმოიდგინა, თითქოს იგრძნო, როგორ ამოივსო ფრჩხილებქვეშა მგრძნობიარე ნაპრალები უზრუნველყოფილ სიბერესავით ტკბილი და უშფოთველი, წებოვანი ნივთიერებით... ავთო ისე გაერთო „მეანჰიდრიდის" უსიამოვნოდ კოლორიტული ფიგურის ცქერით, რომ კინაღამ გამოეპარა მეტად საპასუხისმგებლო მომენტი – არაკანსავით რწყავდნენ ბედნიერებას. თვალით სწრაფად გადათვალა თანამეინახეთა რაოდენობა, „ბოლო ორი ლოგშია" – გაიფიქრა მექანიკურად, შემდეგ ღრმა, საიმედო ჯიბეში გადანახული პლასტმასის პატარა თანაშემწე მოიძია და ენერგიულად გაიკაფა გზა იდაყვებით წინ, სასწაულმოქმედი სითხით სავსე პატარა ჩისაკენ... შემდეგ გაახსენდა გემოც, სავსებით ნათლად და მკაფიოდ, როგორც საყვარელი კერძის დამახასიათებელი გემო ენაზე, ნემსებად მჩხვლეტავ ნეტარებასთან ერთად რომ მოიტანა კოჭებიდან წამოსულმა შმაგმა, გახელებულმა ტალღამ... და იყო ის, რაც იყო ყოველთვის – ძლიერი და ღრმა, პირუტყვული კმაყოფილება, ფერადი სიზმრების მთვლემარე აბლაბუდა და ხმები – უცხო, შორეული ბგერები... ავთო გაბმულმა საყვირმა გამოარკვია ფიქრებიდან. ავტომანქანის დაკრეჭილი ხახიდან გამოტყორცნილი, გამაღიზიანებლად მჭახე ბგერები დაჟინებით აწყდებოდნენ ფანჯრის მინებს. „ავთო! ავთო!" – წამოეხმარა ვიღაც საყვირს. წამიერი, დაძაბული უმოქმედობის შემდეგომ ხმა თითქოს ეცნო, ფანჯარა გამოაღო და წვიმის გაცრეცილი კალთა თავით აკეცა. არ შემცდარა – ვახო იყო. ხელით ანიშნა, დაბლა ჩასულიყო. ავთომ თავი დაუქნია და ფანჯარა მოხურა, თავისთვის შეუმჩნევლად, გაცილებით ხალისიანად, ვიდრე გააღო.

ვახო... ავთოს ახსოვდა ეს ბიჭი, ახსოვდა ჯერ კიდევ ბავშვი, პიონერის ალისფერი ყელსახვევითა და ზურგზე მოკიდებული უზა-

რმაზარი სასკოლო ჩანთით. ის დღეც გაახსენდა ცხადად, თითქოს გუშინ იყო ყველაფერი, ვახომ რომ მოაკითხა დილით და დიდის ამბითა და ცერემონიებით რომ სთხოვა „რაზბორკაზე“ წაყოლა. სულ უმნიშვნელო ამბავი იყო, წართმეული მაჯის საათისა და რაღაც ამგვარის თაობაზე. ახლა კი... ჰო, წლები გარბიან - დაასკვნა ავთომ მექანიკურად და მექანიკურადვე შემოაწვა წყალწყალა და აუხსნელი სევდა.

მანქანაში ვახოს გარდა კიდევ სამნი ისხდნენ. ორს იცნობდა შორიდან. ვახოს უღიმღამო თაობა, ასეთები ჯერ კიდევ პატივისცემით ესალმებოდნენ ქუჩაში. მესამეს პირველად ხედავდა, მაგრამ ამ პირველსავე ჯერზე გულგრილი ანტიპათიით განეწყო მის მიმართ - ავთოს არ უყვარდა ასეთები, „მაგარი ბიჭის“ როლს შეჭიდებული უნიჭო მსახიობები.

- ანჰიდრიდი გაქვს? - ვახოს წინანდებურად აღარ დაუკარგავს დრო ცერემონიებისათვის - წლები, ეტყობა, მართლაც გარბოდნენ - ჯიქურ, მოურიდებლად გადავიდა საქმეზე.

ავთომ საჭირო პაუზას გაუძლო და უხალისოდ შეუდგა თავისი პატარა, წლებით შელანძღული როლის თამაშს. მას სძულდა ეს როლი, წყალწყალა, დაღლილი სიძულვილით, როლი, რომლისგანაც არ ელოდა არაფერს, ზრდილობიან აპლოდისმენტსაც კი, როგორც რიგითი, უღიმღამო მსახიობი, დიდი მაესტროების გადაღეჭილი, წვენგამოწურული როლის შესრულება რომ უწევს. ავთომ მაინც გადაწყვიტა მისი შესრულება, ალბათ, მაყურებელთა ასაკი თუ მიიღო მხედველობაში.

- კი, ცოტა მაქვს, მაგრამ კაცისთვის ფული მაქვს „წამალზე“ გატანებული და თვითონ დამჭირდება. თუ გამიკეთებთ...

ახალგაზრდა მამლაყინწამ მოურიდებლად ჩაიცინა მის სიტყვებზე.

ავთოს კუნთიც არ შეტოკებია სახეზე, არც კი გაუხედავს თავხედისაკენ - სხვა პროფესიონალ მსახიობთა მსგავსად, კარგა ხანია აღარ რეაგირებდა ზოგიერთი უზრდელი მაყურებლის უწესო საქციელზე. ვახომ კულისებში გამოზრდილი კაცივით დაუქნია თავი მოწონებისა თუ თანხმობის ნიშნად.

- მიდი, ჩამოიტანე და წავედით, მანქანაში გელოდებით!

სადარბაზოში, კიბეზე ასვლისას, მოულოდნელად დაიჭირა თავი, რომ ზუსტად ისევე ხალისიანად ახტებოდა ორ-სამ საფეხურს, როგორც ადრე, ბავშვობისას სჩვეოდა, როცა ხუთიანს მოარბენინებდა სკოლიდან.

ავთო ოთახში შებრუნდა, ცოლს ზურგი შეაქცია და აჩქარებით ჩაცუცქდა კარადასთან. შემდეგ სამალავიდან ქურდულად ამოაცოცა უფერო სითხით სავსე პატარა შუშა და დახვეწილი მოძრაობით მოათავსა პერანგის ღრმა ჯიბეში, გულთან საიმედოდ ახლოს. შემობრუნებული ცოლის გამჭოლ, ყოვლისმცოდნე მზერას გადააწყდა. ავთო შეცბა და ინსტინქტურად, დანაშაულზე წასწრებული ბავშვივით დახარა თვალები, თუმცა იცოდა, თვითონ რომ არა, შემდეგ წამს ცოლი მოარიდებდა თვალს. ქალმა რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ მხოლოდ ამოიოხრა, უსაშველოდ მძიმედ და დაქანცულად, თქმით კი აღარაფერი უთქვამს. „შეეგუა, ბოლოს მაინც შეეგუა, - სიხარულის ბოროტ, უნიათო ნაპერწკლად გაუკრთა ავთოს გონებაში, თუმცა ცოლზე აღარ ფიქრობდა, ახლა ცოტა ხანი მხოლოდ ერთ რამეზე შეეძლო ფიქრი, - ყველაფერს ეგუება ადამიანი“.

- როდის მოხვალ? - შეეკითხა ცოლი წყნარი და მორჩილი, ქანცგაწყვეტილი სასოწარკვეთით.

- მალე, - უპასუხა ისე, რომ ამაზე არ უფიქრია, - მალე მოვალ!



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ციური თარგამაძე

* * *

სუნთქვაშეკრულ ცას ზოგჯერ სჯობს
ქარდაკრული გზნება,
მკვდარი სივრცე ფრთებს ვერ გაშლის
არწივების ფრთებად.

მათრახებით გადარეკა
ქარმა ღრუბელთ ჯოგი,
ზოგი ჩქარა გამორბოდა,
ფეხაკრეფით - ზოგი.

რა გრძელია ტანჯვის წლები,
სიცოცხლე - რა მოკლე...
ჩემში ვიღაც - პოეტი თუ
დიდი ბავშვი მოკლეს.

* * *

ერთხელ უნდა გავხდე ღირსი
შენი ნდობის ლამპარის,
შენთან უნდა ვებნო ისევ
ნატვრისხეც და ზღაპარიც.
შენს გაზაფხულს ისე ველი,
ვით მაისის ოხშივარს,
შენი გადამრჩენი, მხსნელი
ზოგჯერ ისე მომშივა...
ოღონდ ნაღდი მაპოვნინე
და-ძმა წრფელი სულითა,
აღარ მომკლა ყალბი ღიმით, -
ხელით მოსყიდულითა.
მომირჩინე ეს ჭრილობა,
სიკეთის ვარ, მიცანი...
რომ ქართველი ქართველს ნდობდეს
გულის დასაფიცარად.
შენში უნდა ვებნო ლექსი -
ჩემი ღამის გათევა...
ისევ შენი გზების მეგზურ -
ვენთო ციცინათელად.

## სადღეგრძელო

მე ვადღეგრძელებ ყოველ სულდგმულს -
სადაც ვინ არის,
ყინვას რომ ებრძვის, ჩიტია თუ
მზე თუ ჩინარი,
და მძულს ცბიერი, ნიღბოსანი,
ყალბად მჩინარი,
მით უფრო კაცი, სიკეთის მტრად
ვინაც მძვინვარებს.
მე ვადღეგრძელებ ყოველ სულდგმულს,
კაცს უწინარეს,
ბნელთან ჭიდილში სანთელივით
ვინაც დაიწვა,
ვინაც იბრძოლა, გაანათა
და გადაიწვა...
თუმც ნაღვერდალი შეუნახა
გულს სხივმძინარე.
მე ვადღეგრძელებ ყოველ სულდგმულს,
იმედმცინარეს,
ფეხის დადებით წააქციეს ვინაც მზაკვრულად,
ქარებთან ბრძოლით ვინც ზაფხული
დაინაკლულა,
და მაინც მოდის თავანკარა,
როგორც მდინარე.
მე ვადღეგრძელებ ყოველ სულდგმულს,
ფიქრგამჭვირვალეს,
ვინაც ღიმილი დაგვიტოვა
სითბოს არჩივად,
ზღვა მიტევება შეუნახა
გულს უწინარეს
და ნაპერწკალიც - სიყვარულის
გადასარჩენად.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ყაყაჩო

თუმცა უწყინარია
გიშრისხალა ყაყაჩო,
ღამემ სული დალია,
დარდმა გული დააღრჩო.
მე ყაყაჩო ვიყავი...
განა ვისი ბრალია,
გულზე ჩრდილი მიყვავის,
ღერო მტკივა ძალიან.
უმცირესი ნიავიც
ფურცელ-ფურცელ დამფანტავს.
რადგან სოფლის სიავემ
გამომაშრო ქაღალდად.
რაღად მინდა წითელი
ან ცისფერი კაბა... და...
სევდა ფიქრსაც მითელავს,
დარდმა სული მაღადრა.
ვინ მაღირსებს მთას წმინდას,
არვინ მტოვებს ბაღადაც
ან პეპლები რად მინდა,
ან ჩიტები – რაღადა.
რა დროს ლექსის ალია
ან სიმღერა რაღა დროს;
განა ჩემი ბრალია –
დავიბადე ყაყაჩოდ.



რა შეიძლება ადამიანს უთხრა იმაზე მნიშვნელოვანი, იმაზე მეტი, რაც თავად მისი სიცოცხლეა, არსებობაა, ამჟამად არსებობაა; დაბადება! ყოფნაში უკვე ამ ყოფნის გარდაუვალობა-ო, წერს ესმა ონიანი ტერენტი გრანელზე.

ეს სიტყვები პოეტს ეკუთვნის, უფაქიზესი სულის პოეტს...

ეს მხატვრის სიტყვებია მხატვარზე...

თავად ქალბატონი ესმაა ეს, მისი სიცოცხლე ერთი დიდი, ლეგენდებით სავსე, მნიშვნელოვანი ფერწერული ჰანოა...

ესმას სიცოცხლე ლამაზი იყო...

მშვენიერება იყო ახლოს და, რაც უმთავრესია, შეგრძნებადი.

ქალბატონ ესმას ამ ჩანახატებში ჩანს ეს და, უპირველესად, მის პოეზიაში და ფერწერაში.



# ესმა ონიანი

## მუსიკა, პოეზია, ფერწერა

ფერწერა - ერთბაში ყველაზე! - აი, რა ყოფილა მისი უდიდესი თვისება. ჩემს „გადახვევებზე“ ვფიქრობდი, მინდოდა წარმომედგინა რამდენად შესძლებს ესა თუ ის მკითხველი მისი ორკესტრირების მთლიანობაში აღქმას; არადა, იმ ერთიანობის შეუმჩნევლად, რაც მას გაჭოლავს, ორგანულ მთელად კრავს, მას ბევრი აკლდება; აკლდება კი არადა, უფასურდება.

და მაშინ წავიდა ჩემი ფიქრი ამ გზით (იგივეს მე ყოველთვის ვფიქრობდი, ახლა სხვა ელფერით გამძაფრდა), - სწრაფვა გამთლიანება- სრულყოფისკენ (ყველა ნაწარმოებისთვის ასე აუცილებელი) *ერთბაშობა* - სისავსის წყურვილში იღებს სათავეს.

რაც შეეხება აღქმას, ერთბაში აღქმა-მოსმენის ყველაზე პირდაპირი, ბუნებრივი რეალობა ამ დარგებიდან ფერწერას აქვს. მუსიკა, პოეზია ადამიანური დრო-სივრცის განუყოფლობაში დროიდან გამოდიან - დროში ჰქმნიან სივრცეს; ფერწერა კი სივრცეში ჰქმნის დროს (ერთბაშობა - თეორიულ-აბსტრაქტულად უდროობა-უსივრცობად მაჩვენებს თავს, - სრული ერთბაშობა - ჩვენთვის ყველაფერი, ანუ სიკვდილია: ადამიანურად ჩვენ მხოლოდ მივისწრაფით ერთბაშობისკენ და შეგვიძლია განვასხვავოთ სრულყოფა - საფეხურები).

ამ სამიდან მუსიკა, პოეზია მეტად უსვამს ხაზს დროის გაადამიანურებას; ე. ი. მთელიდან მის (დროის) ბაღებას, სვლად, მდინარებად მის წარმოჩენას. ადამიანი აღიქვამს ნაწარმოებს, რომლის საწყისიდან სასრულისკენ დინება გარკვეული დროის *მანძილზეა* გადაჭიმული. ჭეშმარიტი ნაწარმოების ღირსება მისი სიმთლიანეა; ეს სიმთლიანე კი ფიზიკურად დროშია *გა-ნაწილ-ებული*; ჭეშმარიტი აღმქმელის ხსოვნას ინახავს ნაწილებს და დროის სივრცეში კრავს მთელად. ე. ი. ამ ნაწარმოებთა აღქმისას, მთელით ტკბობისას არ არის მათი ნაწილების გამუდმებული ფიზიკური „присутствие“, ხოლო ფერწერის შემთხვევაში არის. ფერწერული ნაწარმოები ერთბაშად აღქმადია სივრცე-დროში (მე არ ვლაპარაკობ რაიმე სიგრძივ კედელზე („ჩინური კედელივით“) მეტრობით გაჭიმულ მხატვრობაზე); მასში ადამიანურდება სივრცე, გამოიყოფა ზედაპირის ვრცობა (თუგინდ სულ მცირე ნაწარმოებში). ფერწერული ნაწარმოები აღქმისას ადამიანური დროის გაქრობის მეტ გემოს იძლევა; დროში გაუნაწილებლობა, გაჭიმულობა აღქმის გრაციონალურობით ნაკლებად გვემუქრება (შემოქმედს აქვს საშუალება, ერთბაშობა-სისავსის ეფექტი დიდ სიძლიერემდე მიიყვანოს):

(საინტერესოა - თუ მუსიკა-პოეზიას სულიერ-მატერიალურის ერთ მთელად მოხელთების, გამოხატვის უკეთესი ფიზიკური (სიადვილის მნიშვნელობით) შესაძლებლობები აქვთ მათი მასალის მეტი აბსტრაპირებულობის გამო, ეს კომპენსირდება აღქმისას, სადაც, როცა უკვე ფერწერას აქვს მეტი ფიზიკური შესაძლებლობა ნაწარმოების ერთ მთელად წარმოდგენაში). (დანახვებისთვის).

(აქ ადამიანური აღქმის ფიზიკურ თავისებურებებზეა ლაპარაკი, მათ არსული მთლიანობისთვის ხელშემწყობ თვისებების მეტნაკლებობაზე. თორემ სამივე შემთხვევაში შიდაარსული სრულყოფისთვის *ერთნაირი* უშეღავათო მოთხოვნები არსებობს.).

ისე *ერთბაშობის* გამოყენება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როდესაც ფერწერა უაღრესად ზუსტია და მასალისმიერი ორგანულობით ბადებს თავის სინამდვილეს; (ნაწარმოების ზომას, ზომის მიხედვით ფიზიკური დაშორება-მიახლოების რეგულირებას ისე, რომ „მთელმა“ დაგვატკბოს, ყველაფერს მნიშვნელობა აქვს).

ჭეშმარიტი ფერწერის შემთხვევაში *დრო ამოქმედებულია* მისი (ფერწერის) სიძლიერის *სიღრმეში ჩამთრევი უნარით*; მისი ეფექტი *უსასრულოდ სვლადია სიღრმეში*, როგორც ყოველი დარგის ჭეშმარიტი ნაწარმოებისა. მაგრამ ფერწერის შემთხვევაში ეს არის ფიზიკურად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთბაშად ხილული გამუდმებული სვლა სიმთლიანიდან ნაწილთა სიღრმისაკენ და პირიქით; ეს არის გამუდმებული ხილული მომენტი მთელის ნაწილებად და ნაწილების მთელად გადაღვრა-გადმოღვრისა, ეს არის ნეტარება მთელის მთელად გამუდმებული აღმოცენებისა, - ამ აღმოცენების გამუდმებული დანახვის შესაძლებლობისა აღქმასინათლის უჩქარესი გზით.

* * *

ახლა ჩემ ფერწერასთან დაკავშირებით ერთი მომენტი მახსენდება, რომელსაც განუხრელად მიველტვი, მაგრამ გამომწვევ მიზეზებზე არ დავფიქრებულვარ - ეს არის გამომსახველობის დიდ სიძლიერემდე მიყვანა (თან თითქოს გაზვიადებული გადასვლები), ისეთ სიძლიერემდე, რომ ის საჭიროებს უფრო და უფრო შორ მანძილს აღსაქმელად (ვგულისხმობ იმაზე მეტ მანძილს, რაც საერთოდ საჭიროა ფერწერული ნამუშევრის აღსაქმელად მეტ-ნაკლები ზომის მიხედვით); დაშორებაში ისე მცირდება ფართობი-სივრცე (ჩემი არცთუ ისე მცირე ზომის ნამუშევრების), რომ თვალის ერთი მოვლებით აღიქმება; თუმც ჩვეულებრივ სურათი ზედმეტად დაშორებისას კარგავს თავის ფერულ გამომსახველობით აზრს და, თუ არის კონკრეტულხაზობრივი გადაწყვეტა, მისი შინაარსობრივი ლოგიკაც იშლება, - ჩემი სურათები, პირიქით, იმ ზედმეტი სიშორიდან ჩანან, როგორც რეალობის ინტენსიური ნაგლეჯები (როგორც ჩანს, ზემოთნახსენები *ერთბაშობის* მოთხოვნილება იწვევს ამ სტილურ თავისებურებას. სურათზე კონცენტრაცია, დაპირისპირებულთა ერთ მთელად მოწოდების ძალა ისეთ საფეხურს აღწევს, რომ დიდი დაშორებით, როდესაც ისე მცირდება სურათის ფართობი-სივრცე, რომ მისი უცაბედი ერთბაში მოხელთებაა მზერით შესაძლებელი, - მისი გამომსახველობა არ მცირდება და, პირიქით, ის კოლორისტული თუ ფერული ჰარმონია თუ კონკრეტული ლოგიკა თუ საგანთა „გეოგრაფიული“ საზღვრები, რაც ნორმალური მანძილიდან სურათობრივად აღიქმება, ზედმეტი სიშორიდან *უცნაური სიზუსტით* (რომელიც თითქოს ფიზიკურად არ არის ტილოზე) უახლოვდება იმ ამბავ-საგანს, გარემოს, რისი გამოსახვის სურვილმაც მიბიძგა თავიდან სურათის დაწყებისკენ).

## დავით კაკაბაძე

ქართული ფერწერული გემოვნების აღზრდისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს დავით კაკაბაძის შემოქმედებით მემკვიდრეობას, რომელიც თუმც მრავალრიცხოვანი არ არის, სამაგიეროდ თავის-თავში მოიცავს და მასში, როგორც თესლში, მოწურულია და შერეულ-შებირთვულია ყველა ის აუცილებელი მინიშნება, რომელთა დანახვა-აღმოცენება უაღრესად საჭირო და მნიშვნელოვანი თვისებებით გაამდიდრებს ქართულ ფერწერას და მისი განვითარების სწორი გზით წარმართვას შეუწყობს ხელს.

დავით კაკაბაძე - შემთხვევითობა - მოშვებულობისაგან დაზღვევა, „გამოხატვის დისციპლინა“, ინტელექტი, მაორგანიზებელი და წარმმართავი ნების ბატონობა; მაგრამ რა იქნებოდა ყველაფერი ეს იმ (სანტაიანას სიტყვები რომ მოვიშველიოთ) „გრძნობადი ფონისა და სილამაზისადმი შინაგანი მიდრეკილების გარეშე“, ურომლისოდაც „ხელოვნების ვერც ერთი სახე ვერ მიაღწევს სიღრმისმიერ და დახვეწილ ეფექტს ზემოქმედებისა“.

არის ნაწარმოებები, რომლებშიც მხოლოდ „დისციპლინაა“ და მათი ცივი, მკვეთრად გამოხატული გააზრებულობა უკუგვაგდებს და არაფერს არ ათრთოლებს ჩვენში. არის ნაწარმოებები, რომელთა გრძნობიერი, ინსტინქტური ბარბაცი მხოლოდ და მხოლოდ სუსტისადმი შემწყნარებლურ ღიმილს აღმოგვიცენებს. კაკაბაძის გრძნობადობის უშველებელი კუზი კი მისი შუბლის სინათლეში გაინთქმება.

გაიხსენეთ, ვთქვათ, „ავტოპორტრეტი წითელ ფონზე“, სურათისმიერი სივრცის ვარდისფერ შუქსა თუ ვარდისფერ გარსში სახის ნაზ-მომწვანო ციმციმი; უკან, სიღრმიდან, პეიზაჟის პატარა მონაკვეთი წითლად შეფერილი ღრუბლების აღმოჩენასავით უეცარი სიხარულით შემოგებება და დაინახავ, რომ ქმნადობას, დახელოვნებას, მასალის შესაძლებლობათა სხვადასხვა საზღვრულობასა და ფარდობას კიდევ რაღაც ემატება; აქ არ არის თხრობა, არის ქმნა, ქმნა მეტად გაფაქიზებული, სრულქმნის ნაზ სუნთქვამდე მისული. აზრობრივ - ინფორმაციული დატვირთვა აკეთებს აქეთ-იქით რამდენიმე სვლას - იბადება გრძნობიერ საწყისში, განსხეულდება ორგანიზებულ, დეკორატიული ლოგიკით გაჭოლილ, ფეროვნული ფარდობითობით მოწესრიგებულ ლაქათა, კონტურ-ხაზთა უშემთხვევითო, ზუსტ-უზედმეტო დინებაში; რითმი იქცევა აუგლეჯელ ბეჭდად ავტორის აზრისა და ნებასურვილის ბატონობისა და ყველაფერი ეს გამოხატვის ისეთი ორგანულობით მიიღწევა, რომ კვლავ აღიქმება (ოღონდ უკვე მნიშვნელოვანება - სიღრმით დატვირთულ) გრძნობად იმპულსად, რომელიც მოედინება სურათიდან. ჩამავალი სიწითლე - ფარდა ორნამენტული ყვავილებით, სურათის სამყაროში შემყვანი მომწვანო-მკრთალი სახის კარიბჭე და ვარდისფერი გარსი, რომელიც საოცარ შთაბეჭდილებას იწვევს აზრის ფიზიკურად განსხეულებისა, მთელ სურათში გრძნობად - დასანახად დენისა, გაჟონვა-გავრცელებისა.

რითმული წესრიგი, ყოველი გამოსასახავი დეტალის მნიშვნელოვნად გამოცხადება და მოწოდება, საერთო მთელში მათ შორის ერთნაირად როლების განაწილება, მთელს დამორჩილება და მთელით განპირობებული მათი არსებობა, ორნამენტული ნაბეჭდობა, სათქმელის რიტმულ-დეკორატიულ ღერძზე დაყრდნობა - აი, რა უნდა ვისწავლოთ მისგან.

კაკაბაძე ხედავდა გამიჯნული დასავლურისა

ეროვნული ბიბლიოთეკა



და აღმოსავლურის თავისებურებებს. ცხადია, მისთვის მიუღებელი იყო მათი მექანიკურად გაერთიანების გზაცა და ცალმხრივობაც, რამდენადაც თვითონ იგი ორგანულად, ბუნებრივად იყო მატარებელ-შემცველი იმ უხსოვარ საწყისისა, რომელშიაც ეს გათიშვა არ არსებობს. იმაში კი, რაც აქამდე მოეტანა აღმოსავლურის და დასავლურის გათიშულ არსებობას, კაკაბაძის მრწამსი, პრინციპები სივრცისა თუ ორნამენტული განშლის საკითხები ცხადყოფს, რომ იგი აღმოსავლური მარადიულისაკენ იხრება.

დავით კაკაბაძე ეკუთვნის იმ ჭეშმარიტ, ბედნიერ შემოქმედთა რიცხვს, რომელთაც აქვთ თავიანთი მკვეთრად ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობა, პრინციპები, გაცნობიერებული მრწამსი და აქვს უნარი ყველაფერ ამის საკუთარ ნაწარმოებებით განხორციელებისა და სიტყვით გამოხატვისა, მათ ანალიტიკურ გონებას აქვს კომპლექსურად აზროვნების ძალა, მათი ყოფა ველარ ივარაუდება ფილოსოფიურ-ჭვრეტითი სარჩულის გარეშე

კაკაბაძემ თავის ფერწერას მიანიჭა მეტი სულიერ-სიღრმისმიერი დატვირთვა, მიგვახედა ფილოსოფიურ არსისმიერი ჭვრეტისაკენ.

თუ, ვთქვათ, ზოგიერთი ნაწარმოების მნიშვნელოვანება-სიღრმე - ერთგვარად თემა-შინაარსის სიღრმე-დრამატიულობაში იღებს სათავეს, კაკაბაძის ფილოსოფიური მრწამსი, მისი მარადისობასთან წილნაყარობა თემისა თუ წინასწარი განზრახვა - სურვილისაგან დამოუკიდებლად - ნაწარმოების ქმნის კანონზომიერებაში, მისი ბადების, სრულქმნის თავისებურებაში მჟღავნდება. ერთი შეხედვით თემისა თუ გადაწყვეტის სისადავე წარმოშობს დამაამებელ ძლომას სიმთლიანით, პოტენციურად სხვადასხვა მიმართულებათა და განწყობათა თავის თავში მატარებლობით, იმ მარადიული შეგრძნებების ამოტანით, რომელიც ცალ-ცალკე არც ფერწერას, არც პოეზიას და არც მუსიკას, არც დასავლურს და არც აღმოსავლურს არ ეკუთვნის - საერთოდ, ხელოვნების ჭეშმარიტი ნაწარმოების დამახასიათებელია.

## ტერენტი გრანელი

*არ სჭირდება ტერენტის შეღავათები! ის დიდი პოეტია; საერთოდ, დიდი რა არის? არსებობს ერთადერთი განსაზღვრება (ამისთვის) - ნამდვილი!*

*რა შეიძლება ადამიანს უთხრა იმაზე მნიშვნელოვანი, იმაზე მეტი, რაც თავად მისი სიცოცხლეა, არსებობაა, ამჟამად არსებობაა; დაბადება! ყოფნაში უკვე ამ ყოფნის გარდაუვალობა.*

„ხოლო აწ ესერა ჰგიეს სარწმუნოება, სასოება და სიყვარული, სამი ესე, ხოლო უფროს ამათსა სიყვარული არს“.

სიყვარული ამოძრავებს ტერენტი გრანელს; ტერენტი გრანელი ვერ გამოსულა სიყვარულის გრძნობიდან, მან ვერ დაიხსნა თავი სიყვარულისაგან; სიყვარულია მიზეზი მასთან სინანულისაც, ტირილისაც, სიხარულისაც. ადამიანთა უმეტესობა სიყვარულის გამუდმებულ ცვლაშია: მოვა - აქაურობა უყვარს, წავა - იქაურობა, დაბრუნდება - ისევ აქაურობა, იქაურობა აღარ ახსოვს, წავა - ისევ იქაურობა, აქაურობა აღარ ახსოვს; ტერენტის ერთნაირად უყვარს და ერთნაირად არ ავიწყდება; იგი მთლიანად გაჟღენთილია იქაურობის ხსოვნით (ასევე - აქაურობის სიყვარულით), იგი მოცულია იქაურობიდან მოყოლილი აქაურობის სხვადროს უკვე დათმობის მოუშორებელი სევდით, უკვე არსებული განშორების ხსოვნით. იგი წინა წასვლაზე თითქოს სამუდამოდ იყო გამსუბუქებული, განთავისუფლებული, მაგრამ არაჩვეულებრივმა ხსოვნამ, მონატრებამ, თავის დროზე აქაურობის უნაზესი სიყვარულით სიყვარულმა ისევ გაჭოლა დაბრუნების სხივით; იგი დაბრუნდა სიყვარულის ძალით, მონატრების, ერთხელ კიდევ ნახვა-გახსენების ძალით - გასაკეთებელი კი აქ თითქოს არაფერი ჰქონდა, მას ამოწურული ჰქონდა ადამიანად მოსვლის მარაგი, - მაგრამ დაარღვია და ერთხელ კიდევ ჩაეკრა მკერდში ადამიანობას, თვალცრემლიანი, შეხვედრის, ცნობის სიხარულით გაბრუებული. ამავე დროს, ასეთივე ძალითაა მოცული უკვე არსებული განშორების ხსოვნით, რაც აწინდელი განშორების სარკეცაა. მისი დაუვიწყებლობა იქაურობისა (იქ გადასვლისა) არ აძლევს მას საშუალებას, თუნდ სულ მცირე ხნითაც კი ბრმად - ადამიანად ყოფნისა, ადამიანურ-მიწიერი ბანგით ცოტა ხნით დასვენება-გაბრუებისა (შეცდომაა, მას რომ სიკვდილისა და ტირილის პოეტად მიიჩნევენ ხშირად; ყველაზე ძლიერად იგი გრძნობს სწორედ აქაურობის აქაურულ სიმშვენიერეს და სიყვარულს, მისი დათმობის და შემდეგ მისი მონატრების შიშს), მაგრამ იგი დაბრუნდა და უკვე ადამიანია, ახლა იგი, სანამ სიკვდილის კარით არ გავა, ველარაფრით მოიშორებს ამ ქერქს, ამ ადამიანობას; ახლა მან ამ ზურგით, ამ ადამიანური ზურგით უნდა იგემოს ყველაფერი (ზიდოს თავისი ჯვარი), ახლა მან ადამიანური მტკივნეულობა-მგრძნობელობით უნდა განიცადოს ის, რაც მას ენატრებოდა. მაგრამ მასში ადამიანად ყოფნის ენერგია-მარაგი ამოწურულია, ეს „გეგმისგარეშე“ დაბრუნებაა; ამიტომ იგი გამუდმებული ხლეჩვის ზღვარზეა: უმძაფრესი მონატრება-სიყვარული და ადამიანური ფეხმოუკიდებლობა, ვერშეძლება, ველარ გაძლება, ადამიანად არსებობის ვერცოდნა, ვერშეთვისება და თანაც მისკენ უდიდესი სიყვარულითა და ცრემლით ლტოლვა. პოეზია - მისი უტყუილო, ნამდვილი ბუნების შედეგია. ჭეშმარიტი პოეტი მხოლოდ თავისი სულის გამოცდილების ნამდვილობას მიელტვის პატიოსნად, სულის „ბიოგრაფიას“, სულის აქ ყოფნის „ისტორიას“ ტოვებს. ამჟამად ტერენტი ადამიანია და სწორი ადამიანური ბუნება უბიძგებს ქმედებისაკენ, ამქვეყნიურად *საჭიროდ* ყოფნისაკენ, სიყვარულით სავსებას გადმოღვრა სწყურია. მაგრამ სიყალბით ქმედება მას არ ძალუძს, ხოლო ადამიანურად ფეხმოუკი-

ეროვნული ბიბლიოთეკა



დებელი, იმ ნამდვილი სინამდვილის მეტს, რაც მის „მე“-შია, ვერაფერს ეფუძნება. მისი ბუნება შემოქმედებითია და უაღრესად მართალი, ეს არ აძლევს საშუალებას, ადამიანურად მოიმოქმედოს ის, რაც მასში არ არის, ხოლო მასში მხოლოდ ამქვეყნიური არსებობის სიყვარულის ხსოვნა, მასთან სხვა დროს უკვე განშორების სევდის ხსოვნა და მომავალი განშორების *მოლოდინია*. მისი სწორი ადამიანური ბუნება წინ აღუდგება გამოგონილსა და ყალბს, ნამდვილი კი მხოლოდ იქიდან გამოყოლილი ყოვლის მოცვის ხსოვნაა, ადამიანურად გამოუთქმელი, მაგრამ დაუძლეველი - შიდა წარმმართველი ძალისმიერობით. ადამიანური (მიწიერი) წარმოდგენით მისი დაუფუძნებლობა *ვერაფერს აკლებს* ყოვლისმოცვაში ყოფნის გამოცდილების შუქს, ყოვლისმოცვის ხსოვნით მინიჭებულ *ძალმოსილებას*. ეს იყო სწორედ, რაც აძლებინებდა მას, რაც ანიჭებდა საკუთარი თავისადმი რწმენას; რაც განამტკიცებდა მასში მისი ადამიანური ნამოქმედარის, მისი პოეზიის გამართლებულობის, ნამდვილობის, უკეთესობის მიხვედრას.

და ახლა წარმოიდგინეთ, რა პერიოდის საქართველოში, თბილისში მოუხდა არსებობა ტერენტის; როცა იკვირტებოდა მომავალი, გასაფურჩქნი ყავილი საბჭოური ინტერნაციონალიზმის, განსაკუთრებით რუს-ქართული „მოსიყვარულე“ პოეტური ძმობისა. წარმოიდგინეთ, რა „თავის ადგილზე“ აღმოჩნდა უნიჭიერესი, უმგრძნობიარესი პოეტი, მართალი და შინაგანი სისავსით უკომპრომისო; მარადიულობაზე მომართული, უფაქიზესი, გაუწყვეტელი სიმებით ჩახლართული აქაც და იქაც, ქართულ ჭეშმარიტ სურნელში.

### მატისი

*მატისთან საგნის აღწერაშია ჩამარხული საგნისვე განმარტება. თუ ვიფიქრებთ, რომ ფერწერაში საერთოდ ასეაო, არ იქნება სწორი; საკმაოზე ხშირად მხოლოდ „აღწერაა“ საგნისა და ამ აღწერაში არაა საგნის არსის განმარტება ან განმარტება საგნის აღწერის გვერდითაა და არა თვით ამ აღწერაში ჩატანებული.*

მატისს აქვს უნარი მოიცვას ყოველივე, რათა შემდეგ გადაშალოს და უკიდურესად მიმქროლს, გაქრომის ზღვარზე მოგვაკვრევინოს თვალი. მატისს შეიძლება მფვუსადაგოთ სპარსელების „იცოდე და დაივიწყოს“ პრინციპი, მოიხელთებს რა მოვლენა-საგნის ყველა საფეხურს, მოიხილავს რა მის სიღრმეებს, მატისი ჩაგვაბრუნებს საგნის არსული ჩანასახისაკენ, ადამიანური ფორმისათვის საერთო, ერთ-ფსკერული ხსოვნისაკენ. ახერხებს ფერული შთაბეჭდილებების მოუბეზრებელ, „დაუკაცებელ“ - გაუუხეშებელი სურნელების უკვე ძალმოსილი, დაბრძენებული ცნობიერებით გამოტანამოწოდებას. მატისი ახერხებს, იყოს ბრძენი არა „რთულ“ თემებსა და მატერიებს გამოდევნებით; მისი „უმანკო“ თემებით გადმოცემულია მუდმივი და წარუვალი. თუ მატისი სიღრმეთა ვერშემცნობ მნახველისათვის ცალმხრივი და მხოლოდ და მხოლოდ დეკორატიული პლანის მხატვარია, ნამდვილი შემფასებელი ხედავს მატისს - ჭეშმარიტ შემომქმედს, მოაზროვნეს, ფილოსოფოსს, რომლის დახვეწილი სტილია მაუწყებელი ავტორის აზროვნების სიღრმისა. მატისთან მუდმივი, წარუვალი კანონზომიერებები მის ფერწერულ პროცესშია გამოქონილი შეფარულად, თით - მიუშვერლად და მსჯელობის გარეშე; ჩვენ ვხედავთ საგანთა გაურყვნელ, პირველყოფილ არსს. სულს გვიამებს ფერთა დაპირისპირებებით მათგან ამოდევნილი პირველად - ბედნიერების ქროლვა; ხაზობრივ-ლაქობრივი წესრიგი, ისეთ ბუნებრიობამდეა მისული, როდესაც მოცემულ მთელს აღარც რაიმე შეიძლება დააკლდეს, აღარც რაიმე მიემატოს. ეს მაცდური, მოჩვენებითი სინადვილე-თამაშია, რაც მიბაძვისა და ასევე „ადვილად“ რაიმეს გამოხატვისაკენ უბიძგებს ზოგიერთს. მაგრამ რამდენადაც ამ მატისის მიერ „ბეწვის ხიდზე“ მხოლოდ მატისი თუ გაივლის, ცდა უშედეგოა და არაფერს გვაძლევს.

მატისის ფერწერული პროცესი, მატისის სურათების ზედაპირი (თხლად ნაწერი, ზოგჯერ დაუფარავი ტილოც კი ამოსჭვივის ალაგ-ალაგ. ეს არის მუდმივი დაწყება, ეს არის სიყვარული მოუბეზრებლობა-მიჩვევაში გადაუსვლელი (ბევრ მხატვარს გამოუცდია ალბათ სუფთა ტილოს პირველადი, მოწყურებული დაფარვის ეტაპზე ბედნიერება-ნეტარება; პირველადი შეხებისას, ნაცნობ სუნ-ზეთოვანი, ტილოს მკვრივი დრეკა ფუნჯქვეშ). მატისი ინარჩუნებს ამ „პირველი სიყვარულის“ დამათრობელ - აღტაცებას, იგი წყვეტს წერის პროცესს სინორჩის საფეხურზე (არ იგულისხმება, რა თქმა უნდა). როგორც კვიცი ჯერ არ არის ცხენი, არამედ სინორჩეში, აწმყოში ამოქონილი მომავლის ხატი, მომავალი შედეგ-ცხენის გემოა - მატისი - ეს არის დაწყება, თავის თავში სასურველ-შედეგის მინიშნების მომცველი, მაგრამ ამ სასურველ-შედეგების დაუმდგარობით, მისკენ გამუდმებული დენა-ლტოლვით ამაღელვებელი, მომაწყურებელი და მოუბეზრებელი. დიახ, მატისია თავისუფალი და უშიშარი, „სიყვარულის ერთგულ“ მის ჯაჭვახსნილ, განთავისუფლებულ „მე“-ს არ ეშინია, რომ მისი გონების სიმაღლეს, მის მიერ მოხილულ სიღრმე-უფსკრულთა რაობას ემუქრება სამუდამო გაქრობა და სიკვდილდაუნახაობით შთანთქმა გარეგნულად სადა, „მიამიტ“, პირველყოფილ-ბავშვურობით მოწოდებულ სახეებში; არ ეშინია, რომ მას, ასე „მდიდარს“, „ღარიბად“ ჩათვლიან; მასში არ არის სულსწრაფობის ნატამალი, იგი არ აქუცმაცებს დროს და ყოველთვის წყნარია; მას სწამს და იცის, რომ ის, რაც გაიცა, უკვე აღარ დაიკარგება, უსათუოდ გაანაყოფიერებს საჭირო ნიადაგსა და საჭირო მისამართს არ ასცდება, რომ „გამგები გაიგებს“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა





ჩემი მამულის, საქართველოს
მონას და მორჩილს,
მხოლოდ ერთი რამ
დაჟინებით
გულს ჩუმად მიღრღნის,
როგორ მოვასწრო,
დავეხმარო
ძვირფას სამშობლოს,
როცა მის თავზე შავი ღამე
აჩრდილივით მოდის და მიდის?!

გრიგოლ წერეთელი
(1870-1939)

# იოსებ ფიხმანი

## *მთარგმნელებისაგან*

*ჟურნალ „ცისკარში“ გრიგოლ წერეთლის შესახებ წერილის გამოქვეყნება სიმბოლური აქტია, იმ მხრივ, რომ ახლა იწყებს მთელი ძალით ხელმეორედ ამობრწყინებას ამ გიგანტის მიმქრალი შარავანდედი. ჟურნალის ამ ნომრის გამოსვლისათვის შევა ძალაში საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების პროექტი გრიგოლ წერეთლის დაღუპვიდან 60 და დაბადებიდან 130 წლისთავთან დაკავშირებით მისი ხსოვნის უკვდავყოფის ღონისძიებათა განხორციელების შესახებ, რომლის ნაწილი აღსრულდა კიდეც: დაიდგა მცირე ბიუსტი უნივერსიტეტის ვესტიბიულში, მისი სახელი მიენიჭა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას, გამოსაცემად გამზადებულია ლექსებისა და ეპისტოლიარული მემკვიდრეობის ორი ტომი, მზადდება დანარჩენი ტომები, იღებენ ტელეფილმს და ა. შ. ასე, რომ ცისკარი სათანადო პატივის მიგებისა უკვე გაიხსნა და ამის დასტურია ეს საინტერესო გამოკვლევაც „გრიგოლ წერეთელი და იტალია“, რომლის ავტორი აკად. ი. ფიხმანი ნებით თუ უნებლიეთ იღებს კისერზე ზოგიერთ ცოდვას: 1) ისე განიხილავს გრიგოლ წერეთელს არა მარტო რუს მეცნიერად, არამედ ეთნიკურადაც რუს პიროვნებად, რომ სრულებით არ ითვალისწინებს მის არც წარმოშობას, არც შემოქმედებას, არც მდიდარ ეპისტოლიარულ მემკვიდრეობას, ლექსებს, შეხედულებებს, გამონათქვამებს, საქართველოში გადმოსვლის მოტივებს (თუმცა, აღნიშნავს, რომ „ბევრ რამეში ჩახედული არ არის“). მეტიც, პაპიროლოგი ი. ფიხმანი „ვერ ამჩნევს“ გრ. წერეთლის უმთავრესი ნაშრომის „რუსეთისა და საქართველოს პაპირუსების კოლექციის“ ფუნდამენტური ხუთტომეული კორპუსის პატრიოტულ - ქართულ მნიშვნელობას. სინამდვილე კი ასეთია: მამით ქართველი და დედით რუსი გრიგოლ წერეთელი, გენეტიკური და ფსიქოლოგიური წყობით ნამდვილი ქართველი კაცი, ბუნებრივია, შეყვარებულია პეტერბურგზე და იმ გარემოზე, სადაც დაიბადა და გაიზარდა, მაგრამ ეს ხელს არ უშლის მამულისაკენ, საქართველოსაკენ სწრაფვასა და თავდადებაში. მამისა, მამულისა და გვარის გულმხურვალე პატივისმცემელი, მათ უძღვნის ლექსებს და სამეცნიერო ნაშრომებს, ბოლოს ტოვებს პეტერბურგში შექმნილ საუკეთესო პირობებს და უკიდურესად გაჭირვებულ საქართველოში მოემურება, სადაც „პროფესორის ხელფასი უფრო პატარა იყო, ვიდრე საშუალო სასწავლებლის პედაგოგისა“ (ს. ჯორბენაძე, „თბილისის უნივერსიტეტის ისტორია“, 1973წ.); მოგვიანებით, რეპრესიების პერიოდში, არაერთხელ ეძლევა შესაძლებლობა, დარჩეს საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებში და თავი გადაირჩინოს, მაგრამ საქართველოს დატოვება არ უნდა და უარყოფს ყველა წინადადებას. მისი უკიდურესად პატრიოტული სულისკვეთების გამოხატულებაა პეტერბურგიდან 1923 წელს მოწერილი ცნობილი წერილი მეუღლისადმი (კატ. № 1578), რითაც გაცამტვერებულია ყოველგვარი მითი გრიგოლ წერეთლის მტკიცე რუსული ორიენტაციის შესახებ და სულით და ხორცით თავგანწირულ ქართველ მეცნიერად, გმირ ქართველ მოქალაქედ გვევლინება. სხვაგვარად წარმოდგენა ამ დიდი მეცნიერისა, რომელმაც 68 (!) წლის ასაკში სრულიად უკომპრომისოდ და უყოყმანოდ შესწირა თავი თბილისის უნივერსიტეტსა და ქართულ ეკლესიას (ათეიზმის მძვინვარების ჟამს შედის თბილისის საეკლესიო საბჭოს შემადგენლობაში, რაც შემდეგში მისადმი წაყენებულ მძიმე ბრალდებად გადაიქცევა) აშკარა უსამართლობაა. სასამართლოზე მისი უკანასკნელი სიტყვა ასეთია: „საბჭოთა ხელისუფლების წინაშე მე არ მიმიძღვის არავითარი დამსახურება და რაც გავაკეთე ის ეკუთვნის მხოლოდ ქართველ ხალხს“.*

*2. ი. ფიხმანი აცხადებს, რომ „გრიგოლ წერეთელს არ უყვარდა არარუსები“, - მაშინ, როდესაც მან მთელი თავისი ცხოვრება და შემოქმედება ქართველების, რუსების, ბერძნების და ესტონელების მიმართ პედაგოგიურ და მეცნიერულ სამსახურს მიუძღვნა. მის „ავტობიოგრაფიულ შენიშვნებში“, ლექსებში, წერილებში გამოსჭვივის ამ ერთა კულტურისა და ახალგაზრდობისადმი მხურვალე ინტერესი და სიყვარული. მიზეზი ი. ფიხმანის ამ შეხედულებისა არის ეჭვი გრიგოლ წერეთლის ანტისემიტურ განწყობილებაზე, რაც სინამდვილეს*

ეროვნული ბიბლიოთეკა



*არ შეეფერება, რადგან მეცნიერის შემოქმედებაში არის მთელი რივი ადგილები, სადაც გამოხატულია აღტაცება და პატივისცემა ებრაელი ხალხის უსაზღვრო ინტელექტუალური შესაძლებლობების მიმართ. მაგრამ, როგორც ჩანს, ი. ფიხმანი მართლაც „არ არის ბევრ რამეში ჩახედული".*

*3. ასევე არასწორია აზრი ი. ფიხმანისა იმის შესახებ, რომ „იტალია და იტალიელები ერთადერთი ქვეყანა და ხალხია, რომელთა მიმართაც გრ. წერეთელი სიმპათიებს ამჟღავნებდა". საკმარისია, ჩაიხედოთ მის „ნეაპოლი-რომი-ბერლინში" და ნახავთ, როგორ არის იგი აღტაცებული გერმანიითა და გერმანელებით. გადახედოთ მის „ავტობიოგრაფიულ შენიშვნებს", აზრებს, გამონათქვამებს, ლექსებს, რომ იგრძნოთ უსაზღვრო სიყვარული საქართველოსა და საბერძნეთისადმი და ა. შ.*

*საერთოდ კი, რომ დასამარდეს გრიგოლ წერეთლისადმი გამოჩენილი სოცარი გულგრილობის გასამართლებელი და მისი პიროვნების მაკომპრომეტირებელი აზრები, რომ განმტკიცდეს შეხედულება არაჩვეულებრივად მოწამებრივი ბედის მოქნე გრიგოლ წერეთლისადმი, როგორც თბილისის უნივერსიტეტისა და ქართული ეკლესიისადმი თავშეწირული გიგანტი მეცნიერისა და გმირი ქართველი მოქალაქის შესახებ, რომ ხელმეორედ გაცოცხლდეს და აღსდგეს იგი ჩვენი ხალხის თვალში, როგორც ჭეშმარიტად ზნეობრივი, ვონებრივი და სულიერი გმირი, როგორც მეცნიერებისა და სარწმუნოების სამსხვერპლოზე თავშეწირული მსოფლიოში სახელმოხვეჭილი შემოქმედი, აუცილებელია გავეცნოთ აკად. აკაკი გაწერელიას ლიტერატურულ შედევრს, - რეკვიემს „ეროვნული ტაძრის ქურუმი".*

*მთარგმნელები მადლობას უძღვნიან ამ წერილის მომპოვებელს, ქ-ნ ნანა ყანჩაველსა და ქ-ნ ნია ბაქრაძეს.*

*მიუხედავად აღნიშნული ნაკლოვანებებისა, გრიგოლ წერეთლის მიერ დაფუძნებული რუსეთის იმპერიის პაპიროლოგიური სკოლის საბჭოთა პერიოდის ცნობილი წარმომადგენლის, აკად. იოსებ ფიხმანის მიერ დაწერილი ეს გამოკვლევა შეიცავს ძვირფას ბიოგრაფიულ და მეცნიერულ მასალებს და შეუნელებელი ინტერესით იკითხება, რისთვისაც ნებისმიერი მკითხველი მადლიერებით იმსჭვალება აკად. იოსებ ფიხმანის ამ ნაშრომის მიმართ, რომელიც ახლებურად წარმოგვიდგენს გრიგოლ წერეთლის არაჩვეულებრივად მრავალმხრივ პიროვნებას.*

# გრიგოლ წერეთელი და იტალია

კლასიკოსი ფილოლოგი, პალეოგრაფი, პაპიროლოგი, ლიტერატურული და დოკუმენტური ტექსტების გამომცემელი და მთარგმნელი, საბჭოთა პაპიროლოგიური სკოლის წინამძღოლი, საქართველოს კლასიკური ფილოლოგიის სკოლის დამაარსებელი, სსრკ-ს სამეცნიერო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გრიგოლ წერეთელი მე-20 საუკუნის რუსეთის და საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი შესანიშნავი წარმომადგენელია. ჩვენი ნაშრომის მიზანია, გამოიკვლიოს გრიგოლ წერეთლის ურთიერთობა იტალიასთან და იტალიელ მეცნიერებთან. ვეყრდნობით იმ კორესპონდენციებს, რომლებიც ინახება ლენინგრადსა და თბილისში(1).

ვიდრე შევუდგებოდეთ გრიგოლ წერეთლის იტალიური შთაბეჭდილებების ანალიზს და იტალიელ კოლეგებთან მის ურთიერთობას, გავეცნოთ ჯერ ფსიქოლოგიურ-სოციალურ პორტრეტს, რაც გაგვიადვილებს ამ ურთიერთობათა უკეთ გაგებასაც.

გრიგოლ წერეთელი იყო უკიდურესად ემოციური ნატურა. იგი მწვავედ რეაგირებდა როგორც ყველა საზოგადო მოვლენაზე, ისე პირად ცხოვრებაზე. ისეთი გამოთქმები, როგორიც არის „სამარცხვინო", „უსინდისო", „ამან ძალიან გამალიზიანა", „გაბრაზებული ვარ", მრავლად გვხვდება მის ნაწერებში. როგორც თვითონ აღნიშნავს, იგი ხშირად უკმაყოფილოა როგორც სხვებით, ისე საკუთარი თავით. მისი პირველი შთაბეჭდილება, იშვიათი გამონაკლისის გარდა, უარყოფითია, ხოლო მოგვიანებით ეს შთაბეჭდილება სხვა ელფერს იძენს.

გრიგოლ წერეთლის მამა ქართველი იყო, დედა რუსი. ცხოვრების 50 წელი რუსეთში, ელიტარული რუსი ინტელექტუალების გარემოცვაში გაატარა და საქართველო მისთვის „მამის სამშობლო" იყო. იგი არ ეკუთვნოდა არც ერთ პოლიტიკურ პარტიას, არ ერეოდა არანაირ პოლიტიკურ მოძრაობაში. საკუთარ თავს აცხადებდა უნივერსიტეტის ეროვნული პარტიის წარმომადგენლად, ხოლო მ. როსტოვცევს, ზელინსკის და სხვ. აკუთვნებდა დასავლურ პარტიას. მას არ უყვარდა არარუსები. კრიტიკულად იყო განწყობილი დასავლეთის მიმართ. ყოველი მოქმედება, რაც არ მოსწონდა და გულს ტკენდა, მიაჩნდა უცხო ეროვნული ხასიათის გამოვლინებად. იტალია და იტალიელები ბედნიერი გამონაკლისია. იგი ერთადერთია, ვისდამიც დიდი სიმპათია ჰქონდა და მეგობრულ გრძნობებს ამჟღავნებდა როგორც ქვეყნის, ისე ხალხის მიმართ.

გრიგოლ წერეთელი ბევრჯერ ეწვია იტალიას. პირველად ჩასვლის მიზანი სწავლა იყო. ამის საშუალება განათლების სახალხო სამინისტრომ

ეროვნული ბიბლიოთეკა


მისცა. მანამდე იმყოფებოდა ბერლინში, ვენაში, მიუნხენში, ლონდონში, ოქსფორდსა და პარიზში, სადაც შეისწავლა პაპირუსთა კოლექციები და ხელნაწერები. გაეცნო ყველა გამოჩენილ პაპიროლოგს (ვილკენს, კრებსს, შუბარტს, ვერესკს, ვოსელს, კენიონს, გრენფელს, ჰუნტს, მაჰაფის, სეიმურ დე რიჩის და სხვ.), კლასიკური ფილოლოგიის წარმომადგენლებს და მოსფლიოში აღიარებულ ბიზანტიოლოგებს (დილსს, ფონ ვილამოვიც მოელენდორფს, კრუმბახტერს და სხვ.). იგი მოუთმენლად ელოდა იტალიაში გამგზავრებას (2) და ამის გამო ხშირად ცვლიდა მოგზაურობის გეგმას (3). ეს დროც დადგა და ტრიესტის გავლით (4) ვენეციაში ჩავიდა (5). მიუხედავად მისი ხასიათისა, პირველი შთაბეჭდილება დადებითი აღმოჩნდა. იგი მოიხიბლა ზღვით, ხალხით, სიმღერების შესრულებით და მოსმენის მანერით. „მე ნაკლებად კომპეტენტური ვარ ხელოვნებაში და თქვენ გქონდათ შესაძლებლობა ამაში დარწმუნებულიყავით ლონდონში (6). აქ მოხიბლული ვარ. პირველ ხანებში მაოცებდა ეს ზარმაცი და მოლაყბე ხალხი, ახლა კი გემო გავუგე, მზადა ვარ მთელი საათები გავატარო მაგიდასთან და თვალყური ვადევნო სხვა მაგიდებს. ამ ხალხმა იცის, როგორ მოიქცეს და მუნიციპალურ გვარდიას აქ არაფერი ესაქმება. მახსენდება, რა აურზაურსა ჰქმნიდა პაველოვსკში (7) საუკეთესო საზოგადოება, სადაც ხშირად იმართებოდა კონცერტები. მახსენდება, როგორ ხმაურობენ გერმანელები, როცა სვამენ. აქ ამგვარი არაფერი ხდება", წერს იგი ს. ჟებელიოვს 1901 წ. 6 მაისს (სერგეი ჟებელიოვი (1867-1941 წ.წ.) აკადემიკოსი, ანტიკური ისტორიის ბრწყინვალე მცოდნე, გრიგოლ წერეთლის მეგობარი). სხვა წერილში ს. ჟ-ს წერდა, რომ შეისწავლიდა იტალიურ ენას, ფული რომ ქონდეს, რადგან „ძალიან მინდა იტალიურად ლაპარაკი... ...მიყვარს ეს ხალხი და მათი არაჩვეულებრივი ენა". 1901 წ. 2 ივნისს ვ. ერნშტედტს წერს (ვიქტორ ერნშტედტი (1854-1902) - აკადემიკოსი, გრიგოლ წერეთლის მასწავლებელი): „იცით, რატომ მიზიდავს ვენეცია? პირველად აქ მივხვდი, რომ შეიძლება ცხოვრება ყოველგვარი აქსესუარების გარეშე, იცხოვრო მხოლოდ იმიტომ, რომ უნდა იცოცხლო, რათა შეიგრძნო ბუნების სილამაზე. აქ გავიგე, რომ შესაძლებელია რამდენიმე საათი უცქირო ზღვას, ტალღებს, უკიდეგანო სივრცეს. ვფიქრობ, ეს საკმარისია სიცოცხლისა და ცხოვრების შესაგრძნობად. თავს იმდენად კარგადა და ბედნიერად ვგრძნობ, როგორც მლევიჩის გარდა (8) არსად არ მიგრძნია". ვენეციაში იგი 9 საათიდან 16 საათამდე მუშაობდა, მაგრამ კვლევის საგანს არ აზუსტებს. ალბათ, იოანე იტალის ხელნაწერებს სწავლობდა, რომლის რჩეული მოგვიანებით გამოიცა.

შემდეგი ეტაპი მოგზაურობისა ფლორენციაა. არ მოეწონა ქალაქი ზღვის გარეშე, მაგრამ მერე აზრი შეეცვალა. შეუყვარდა ბორცვების გზა (La Maute des collins), სადაც თავისუფალ დროს ხშირად სეირნობდა. სიამოვნებით დაათვალიერა პიტის გალერეა, აღაფრთოვანა მურილიოს მადონებმა, მაგრამ ფლორენციაში მას ყველაფერზე მეტად არიანეს ხელნაწერები და გ. ვიტელი აინტერესებდა (9). 1901 წლის 27 მაისის წერილში ვ. ერნშტედტს სწერს: „გავიცანი ვიტელი, ძალიან თავაზიანი და სიმპათიური მოხუცი". უფრო დეტალურია 1906 წლის 2 ივნისის წერილი: „ძალიან მომწონს ვიტელი თავისი უბრალოებითა და თავაზიანობით. მთხოვა, მისთვის მიმემართა ყველა შემთხვევაში, თუკი რაიმე დამჭირდებოდა და თან დასძინა, რომ ყველა წიგნი და ხელნაწერი, რაც კი ფლორენციაშია, ჩემს განკარგულებაში იქნება. თავაზიანობით და რაინდობით იგი განსხვავდება „Bibliotheca Vatikana"-ს თანამშრომლებისაგან, რომლებიც ამ თვისებებით თავს ვერ მოიწონებენ. (10). სხვათა შორის ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან გარდა ხელნაწერებისა, მათთან ურთიერთობის არავითარი ინტერესი არ გამაჩნია (11). ამ მხრივ სიტუაცია ვენეციაში არაჩვეულებრივია. ბიბლიოთეკარი ყოველითვის მზად არის რაც საჭიროა ყველაფერი გააკეთოს, გააკეთოს რაც შესაძლებელია (12). ერთადერთი მათი ნაკლი ხმამაღლა საუბარია, რაზედაც ჩივის ვიტელიც". ვიტელის უჭირავს უმნიშვნელოვანესი ადგილი ვ. ე-დმი მიწერილ ორ დანარჩენ წერილშიც: „გუშინ ვიყავი ვიტელისთან. სიმპათიითაა თქვენს მიმართ გამსჭვალული და საუკეთესო სურვილებს გიძღვნით. უფრო და უფრო მომწონს იგი, ვიდრე დილსი, მიუხედავად იმისა, რომ დილსი არაჩვეულებრივი პიროვნებაა (13)". „ვიტელის ხიბლი მის არაჩვეულებრივ სისადავესა და სიმშვიდეშია. სიმშვიდე ჩემზე ახდენს განსაკუთრებულ ზეგავლენას და ადამიანი, რომელსაც ეს თვისებები გააჩნია, ჩემთვის განსაკუთრებულად სასიამოვნოა. დღეს ვიტელი ფლორენციიდან ზაფხულის არდადეგებზე წავიდა თავის ოჯახთან ერთად". - 1901 წ. 6 ივლისი. რამოდენიმე დღის შემდეგ (28 ივლისი) რომიდან გამოგზავნილ წერილში წერს: „...ვიტელი გაემგზავრა და ვნანობ, რომ მისი ნახვა აღარ შემიძლია. იგი არის საოცრად კეთილი. სხვათა შორის, ვფიქრობ, რომ კარგი სამსახური გავუწიე აქაურ პაპირუსებს და აი რატომ: ვიტელიმ მაჩვენა რა პაპირუსები, ერთ ფრაგმენტზე თქვა, ამას არავითარი ღირებულება არ გააჩნიაო. წავიკითხე და გავიგე, რომ იგი ეხებოდა გაქცეულ მონებს. ეს ვუთხარი ვიტელის. მან, მადლობა გადამიხადა და მითხრა, რომ არ იცოდა მისი მნიშვნელობა. მე ვზეიმობ". (14).

ფლორენციიდან გრიგოლ წერეთელი რომში გაემგზავრა, სადაც ს. ჟებელიოვი დატოვა, თვითონ კი რამდენიმე დღით ფლორენციაში დაბრუნდა. შემდეგ კვლავ რომში გაემგზავრა (15). ს. ჟ.-ი ფიქრობდა, რომ გრიგოლ წერეთელზე რომმა ძლიერი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა და გრ. წერეთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა



იძულებული გახდა თავი ემართლებინა: „პირიქით, მე მოხიბლული ვარ... ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვხვდები ანტიკურ სამყაროს, რომელიც ასე მიყვარს“. რომიდან იგი აგვისტოში Grotta Ferrata-სკენ გაემგზავრა ორი კვირით, რათა კრიპტოგრაფიული ხელნაწერები შეესწავლა Diogenis Akritas ჩათვლით. ცხოვრობდა ფრასკატში, მაგრამ მთელ დროს გროტა ფერატაში ატარებდა, სადაც ბერებს დაუმეგობრდა. ბერების უმრავლესობა ბერძნები იყვნენ. განსაკუთრებით დაუახლოვდა ბერ რიფრონიოსს, რომელსაც ლათინურად ელაპარაკებოდა. დაუმეგობრდა, აგრეთვე, ბერ ბაზილს, რომელსაც ფრანგულად ესაუბრებოდა. აქ შეაგროვა აბრევიატურა, რომელიც შემდეგ თავის დისერტაციაში გამოიყენა (16).

იტალიაში გრიგოლ წერეთლის ყოფნის ბოლო ეტაპია ნეაპოლი. აქ, პომპეიში, მან მხოლოდ ერთი დღე გაატარა. „გიდებივით დავრბოდით. დროის მეტი ნაწილი დავუთმეთ Casa dei Vettii-ს და Priape-ს ოთახის დეტალურ დათვალიერებას, რომელიც მორალური თვალსაზრისით იყო დახურული“. ნეაპოლში გამოიკვლია Herculanum-ი, პაპირუსი, რამაც საშუალება მისცა კრიტიკული შენიშვნა გამოეთქვა ფ. კენიონის მიმართ. „მიუხედავად იმისა, რომ ბევრი პაპირუსი არ მინახავს, არ შეიძლება არ გაგაკვირვოს კენიონის მტკიცებამ: ნაშრომში „Paleography“ იგი წერს, რომ Herculanum-ის პაპირუსები (17) ერთფეროვანია. საყვედური მთლად მართებული არ არის; კენიონს, ალბათ, მხედველობაში აქვს არა ერთფეროვნება, არამედ ის საერთო, რაცა აქვთ Herculanum-ს და პტოლემეოსის ეპოქის ეგვიპტურ ნაწერებს. პირიქით, იგი საოცრად მრავალფეროვანი და ძალიან საინტერესო პაპირუსია, რომლის წარწერები ჰგავს ფრაგმენტუმ ვობიენს. ამ პაპირუსის დახმარებით შეიძლება, Oxyrhynchus პაპირუსი, რომელიც საფოს ტექსტს შეიცავს, მივაკუთვნოთ პირველ და არა მესამე საუკუნეს. ეს ჰიპოთეზა მოგვიანებით ვილკენმა დაუშვა და მკაცრად გააკრიტიკა ნეაპოლიტანური გამოცემის ღირსება: „არც ერთი ნახატი არ გამოსახავს დახასიათებულ პირს“ (18).

ნეაპოლი არაერთგვაროვან შთაბეჭდილებებს ახდენს გრიგოლ წერეთელზე: „ქალაქი ლამაზია ზღვისა და მთების წყალობით, მაგრამ ადამიანები აკეთებენ ყველაფერს, რომ ბუნება გაანადგურონ. ღმერთო ჩემო, რა სიბინძურეა. ტურინშიც კი არ მინახავს ასეთი სიბინძურე“ (19). ნეაპოლიდან ბრუნდიზიის გავლით საბერძნეთში გაემგზავრა და ამით დამთავრდა გრიგოლ წერეთლის პირველი მოგზაურობა იტალიაში.

იტალიაში გრიგოლ წერეთელი მეორედ ჩადის, როგორც ტარტუს (იურიევი) უნივერსიტეტის პროფესორი (20) და დაინტერესებულია ამჯერად არა პაპირუსებით, არამედ ხელნაწერებით. რომიდან მოწერილი პირველი ბარათი დათარიღებულია 1907 წ. 3 ივნისით. (21). ვატიკანის ბიბლიოთეკაში იკვლევს Agathias ხელნაწერებს მამა ერლანის შემწეობით, რომელმაც ნება დართო, ემუშავა ბიბლიოთეკის დახურვის შემდეგ კიდევ ერთი კვირა. ამიტომ გრიგოლ წერეთელმა გადადო ვენეციაში გამგზავრება. შემდეგ ვენეციაში ჩადის და ორი კვირის განმავლობაში ყოველდღე 6,5 სთ-ის განმავლობაში მუშაობს Agathias ხელნაწერებზე. „მივაღწიე იმას, რომ შემეგროვებინა Agathias ყველა ხელნაწერი. ჩემი იტალიაში მუშაობის შედეგად მე და მ. ნ. კრასილნიკოვს (22) შესასწავლი გვრჩება მხოლოდ ორი ხელნაწერი. ერთი ბრეზლოში (23), მეორე ლიდოში (24) და ჩვენი Agathias სავსებით დასრულებული იქნება. ძირითადი ხელნაწერი ვატიკანშია. გარკვეული ნაწილის ფოტოპირები მაქვს, ამიტომ შეიძლება ჩაითვალოს, რომ ნაშრომის ბირთვი მზადაა. კმაყოფილი ვარ (თუ გავითვალისწინებთ ჩემს ხასიათს, რომ ყოველთვის ყველაფრით უკმაყოფილო ვარ) იმდენად, რამდენადაც შეიძლება ადამიანი იყოს კმაყოფილი“ (25) - 1907 წ. 2 სექტემბერი.

შემდეგ წელს გრიგოლ წერეთელი კვლავ (ეს მესამედ) ჩადის იტალიაში და ჩვეულებისამებრ ვენეციაში ჩერდება „სადაც იტალიის მზე მოგვეალერსა“ (26). მთელ დროს Agathias და Menandre-ს უთმობს. ბევრს მუშაობს ვატიკანში „დღესასწაულის დღეებშიც კი“ და ეს ძალიან ღლის, „მაგრამ მაინც კმაყოფილი ვარ, ბნელი ფიქრები თავს იშვიათად მახვევია“ (1908 წ. 5 ივნისი). „რომში (27) ყველაფერს აღფრთოვანებაში მოჰყავს ადამიანი“, - წერს იგი ამ წერილში. იგივე მეორდება სხვა წერილებშიც (28). შემდეგ ცოტა ხნით ეწვია გროტა ფერატას, რომელთანაც დიდი მოგონებები აკავშირებდა. აქ იგი ჩვეული გულმოდგინებით მუშაობს მენანდრას თარგმანებზე (29). დიდი სინანულით დატოვა რომი (30) და რუსეთში გაემგზავრა პიზის (31), გენუის (32), მილანის, ვერონის, ნაბრუკის გავლით. ძალზე მტკივნეულად განიცადა იტალიასთან განშორება (33) და ეს განცდა მოსკოვმაც ვერ გაუქარწყლა (34).

გრიგოლ წერეთლის შემდგომი (მეოთხე) მოგზაურობა იტალიაში მის ოჯახთან არის დაკავშირებული. პირველი მსოფლიო ომის წინ მისი მეუღლე სოფიო წერეთელი ტუბერკულოზით დაავადდა და ექიმებმა დავოსში მკურნალობა ურჩიეს, მაგრამ, რაკი სასურველი შედეგი ვერ მიიღეს, იტალიაში, რივიერა დი პონენტეში გააგზავნეს 1912 წლის დეკემბრიდან 1913 წლის აპრილის ჩათვლით. ცხოვრობდნენ ოსპედალეტისში, ბორდიგერაში და ვენტიმიგიაში. დაათვალიერეს სან-რემო და მონტეკარლო (35). იტალიიდან გრიგოლ წერეთელმა მეუღლე იალტაში წაიყვანა და იქ დატოვა სამკურნალოდ, თვითონ კი იურიევში დაუბრუნდა უნივერსიტეტს, მაგრამ სოფიოს ავადმყოფობის გამო იურიევიდან ცარსკოე სელოში (36) ჩადის, საიდანაც

ეროვნული ბიბლიოთეკა



ყოველ ორ კვირაში ერთხელ ჩადის იურიევში. 1914 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია (37) და გადაყვანილი იქნა პეტერბურგის უნივერსიტეტში ბერძნული ფილოლოგიის პროფესორად.

1918 წელს გრიგოლ წერეთელი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს. 1919 წელს იგი თბილისის ახლად დაარსებულ უნივერსიტეტში მიიწვიეს, სადაც 1920 წელს ჩავიდა და დაიწყო მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ბოლო, ქართული პერიოდი. საქართველოდან იგი უკანასკნელად ეწვია იტალიას. 1924 წლის მაისივნისში გრიგოლ წერეთელი, როგორც თბილისის უნივერსიტეტის საპატიო დელეგატი, მონაწილეობას იღებს ნეაპოლის უნივერსიტეტის მე-700 წლისთავის აღსანიშნავ ზეიმში (მეხუთე მოგზაურობა). დოკუმენტები ამ მოგზაურობის შესახებ არ შემონახულა. საქართველოში დაბრუნებისას ჩანაწერები გამოქვეყნდა ქართულ ენაზე, რომელზეც, სამწუხაროდ, ხელი არ მიგვიწვდა (38). ვვარაუდობთ, რომ იტალიაში შეხვდა თავის ძველ კოლეგებს და ჰქონდა ახალი შეხვედრებიც (39). ყოველ შემთხვევაში, მალე დაიწყო მუშაობა Aegyptus-ზე და რამდენიმე სტატია გამოაქვეყნა (40). Aegyptus ღია იყო მისი საყვარელი მოწაფის პ. ერნშტედტისათვის. იტალიიდან ბერლინში გაემგზავრა, სადაც შესთავაზეს თანამდებობა ბერლინის მუზეუმში, მაგრამ უარი განაცხადა (41).

ამის შემდეგ ახლო ურთიერთობა დამყარდა გრიგოლ წერეთელსა და ლ. კასტილიონს შორის. 1926 წ. 27 მაისით დათარიღებულ წერილში პ. ერნშტედტს წერს: „...რომ აღარაფერი ვთქვა შუხარდტზე, რომელთანაც ხშირი მიმოწერა მაქვს, ამ ბოლო დროს გამიჩნდა თაყვანისმცემელი ლ. კასტილიონის სახით, რომელიც სარდინიის კალიარიის უნივერსიტეტის პროფესორია და ჩვენ ლათინურ ენაზე გვაქვს მიმოწერა (42). მალე გამოქვეყნდება ლ. კასტილიონის ანგარიში“ (43). იმ კოლეგებს შორის, რომელთაც გრიგოლ წერეთელმა დიდი მოცულობის შრომები გაუგზავნა, იტალიელი კოლეგებიც უნდა ყოფილიყვნენ. 1931 წ. 18 დეკემბერს პ. ერნშტედტისადმი გაგზავნილ წერილში წერს, რომ ერთი ეგზემპლარი ვიტელის გაუგზავნა და ამზადებს გასაგზავნად წიგნებს კასტილიონისა, დი ფალკოსა და ფერარისადმი. მეორე მხრივ, თვითონაც სისტემატურად იღებდა P.S. ს-ს, რომელიც პ. ერნშტედტის განკარგულებაში იყო. ბოლო ურთიერთობა იტალიასთან დაკავშირებულია ვიტელის გარდაცვალებასთან, (გ. წ-ს ფონდი № 964). ჩვენს განკარგულებაშია (44) გრიგოლ წერეთლის სამი შავად ნაწერი - ერთი რუსულად, ორი გერმანულად - სამძიმრის ტექსტი (გ. წ.-ის ფონდი № 955)-თხოვნა, რომ გამოუგზავნონ მას ვიტელის ფოტო, დასტურია მისი გულწრფელი სიყვარულისა იტალიელი მეცნიერისადმი.

გრიგოლ წერეთლის იტალიით დაინტერესების მეორე ასპექტი პაპირუსებთან კი არა, საქართველოსთან არის დაკავშირებული. ფილიპე მახარაძისადმი მიწერილ პეტიციაში სოფიო წერეთელი ჩამოთვლის მეუღლის გამოუქვეყნებელ ნაშრომებს და მოიხსენიებს „იტალიელი მისიონერის კასტელის ალბომს“. კასტელიმ იმოგზაურა საქართველოში მე-17 საუკუნეში და შეადგინა ქართველი ტიპაჟების ესკიზთა ალბომი ყოველდღიური ცხოვრების, ადათწესების და ტიპაჟთა ყოველმხრივი აღწერით. ლაპარაკია დონ ქრისტოფორო დე კასტელიზე, რომელიც საქართველოში 1628 წელს ჩამოვიდა მამა ანტონიო ჟიარდინასა და ბერ კლოდიოსთან ერთად და დარჩა 1652 -58 წლამდე. არავინ იცის, რა ბედი ეწია გრიგოლ წერეთლის მიერ გამოსაცემად გამზადებულ მასალას. ნანა ყანჩაველის ყველა ძალისხმევა, ეპოვა ეს ნაშრომი, უშედეგო აღმოჩნდა. კასტელის ალბომის ორიგინალი პალერმოში იყო დაცული. იგი გამოქვეყნდა თბილისში 1976 წელს ბ. გიორგაძის თარგმნილი ტექსტით და მასში ნახსენები არ არის გრიგოლ წერეთელი. ალბათ, მისთვის უცნობი იყო გრიგოლ წერეთლის ნაშრომი.

იმედი გვაქვს, ეს სტატია შესაძლებლობას მისცემს მკითხველებს, სწორად შეაფასონ იტალიის, იტალიელების და, საერთოდ, უცხოეთის როლი გრიგოლ წერეთლის ცხოვრებასა და შემოქმედებაში და ამასთან დაკავშირებით გრიგოლ წერეთლის საერთაშორისო მნიშვნელობა.

*(1) - ზოგიერთი წერილი დათარიღებული არ არის ან დათარიღებულია რუსული კალენდრის მიხედვით, რომელიც 13 დღით ჩამორჩება ევროპულს.*

*(2) - „მინდა გავცვალო ვენა, გერმანია, ცუდი გემოვნებითა და მუდმივი ქარებით, დალოცვილ, კურთხეულ იტალიაზე“ - წერდა ვ. ერნშტედტს, 1901 წ. 16 აპრილს.*

*(3) - „ჯერ ტურინში უნდა ჩავიდე, შემდეგ ფლორენციაში; მაგრამ მანამდე სამი კვირის სამუშაო მაქვს ვენაში“ - წერს ს. ქებელიოვს 1901 წ. 5 აპრილს, მაგრამ ორი კვირის შემდეგ მასვე წერს, რომ მიდის ვენეციაში, საიდანაც ორი კვირის შემდეგ ბოლონიის გავლით ჩავა ფლორენციაში, რათა ნახოს „ე. შიპასელის ახლად ნაყიდი პაპირუსი“. ხშირად უხდება მარშრუტის შეცვლა და ვ. ერნშტედტს წერს: „ფლორენციიდან წავალ რომში, შემდეგ ნეაპოლში, გენუაში, ტურინში ანდა რომიდან ვენეციაში, შემდეგ ტურინში. შეიძლება გავემგზავრო ესპანეთში“ (2. 06. 1901 წ.). სინამდვილეში ნეაპოლიდან საბერძნეთში წავიდა.*

*(4) - ტრიესტის კონვერტში თარიღი არ არის.*

*(5) - პირველი ბარათი ვენეციიდან თარიღდება - 1901 წ. 1 მაისით, ს. ქებელიოვისადმი.*

*(6) - ინვლისში იმყოფებოდა 1900 წლის ზაფხულში.*

*(7) - საიმპერატორო რეზიდენცია პეტერბურგის მახლობლად, სადაც იმართებოდა მაღალი საზოგადოების და სამეფო კარის საზეიმო შეხვედრები.*

*(8) - მამის, ფილიმონ გრივოლის ძის მამული, სადაც ძალიან უყვარდა დასვენება და აღმერთებდა*

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქაურ ბუნებას.

(9) - ვიტელი - პაპიროლოგიის ფუძემდებელი იტალიაში.

(10) - ვიტელის შესახებ იგივეს ამბობს ს. ქებელიოვისადმი იმევე დღეს მიწერილ წერილში, „ძალიან თავაზიანი ადამიანია“.

(11) - პაპირუსების ნახვისა და კვლევის შესაძლებლობა არის გრიგოლ წერეთლის განსაზღვრებათა ერთ-ერთი კრიტერიუმი: „არაჩვეულებრივად კითხულობენ პაპირუსებს გრენფელი და ჰუნტი. შეუძლებელია მათთან შეცდომების პოვნა, მაგრამ მათ ცოტა პაპირუსები მაჩვენეს... წყეული ინგლისელები“.

(12) - იოანე იტალის გამოცემაში გრიგოლ წერეთელმა გამოიყენა Laurentianus L XII: 32. 8. XV.

(13) - გრიგოლ წერეთლისა და დილსის ურთიერთობაზე ი. ფიხმანი წერს: „G.F. Zereteli und die Berliner Papyrussamlung"...p. 46.

(14) - ჩვენ ვერ შევძელით, ვიტელის მიერ გამოცემულ ტექსტებში გვეპოვნა გრიგოლ წერეთლის მიერ ნახსენები პაპირუსი. ყველა შემთხვევაში, პაპირუსი, რომელიც გაქცეულ მონებს ეხება, უკვე იყო გამოქვეყნებული 1865 წ.

(15) - მისამართი: Via Caracciolo G. Pension Giuntini.

(16) - სანკტ-პეტერბურგი, 1904 წ. - „ბერძნული ხელნაწერების აბრევიატურა“;

(17) - გრიგოლ წერეთელს, ალბათ, მოჰყავს კენიონის ნაშრომი The Palaeography of Grek papyri, oxford, 1899, p. 70.

(18) - წერილი ვ. ერნშტედტისადმი. მეორე წერილში ვ. ერნშტედტისადმი (1901 წ. 12 სექტემბერი) აკრიტიკებდა W. Grönert-ის გამოცემას. წერდა, რომ ვერც შეედრება ნეაპოლიტანურ გამოცემას. W. Grönert-ის ტექსტი იტალიურია. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა კომმარულია ნეაპოლიტანური გამოცემა, რა ცუდი ნახატებია. ამ წერილში გრიგოლ წერეთელი ემზადება, დაწეროს გამოკვლევა Herculanum-ის პალეოგრაფიაზე.

(19) - „ძალიან კმაყოფილი ვარ იტალიაში ყოფნით, მაგრამ მით უფრო ვწუხვარ, რომ მივდივარ რომიდან, ვიდრე პომპეიდან. თუ არ ჩავთვლით მუზეუმებს, ზღვას და პომპეის, - ნეაპოლისგან დარჩება მხოლოდ აღმოსავლური ბინძური ქალაქი“. - ვ. ერნშტედტისადმი მიწერილი წერილი 1901 წ. 12 სექტემბერს.

(20) - წერილების შემდეგი ადრესატია ს.ქებელიოვი. ვ. ერნშტედტი გარდაიცვალა 1902 წ.

(21) - მისამართია Viadel Campidogho - 5.გრიგოლ წერეთელი ცხოვრობდა რომში, სოფიო წერეთელი - კასტელამარაში.

(22) - მ. ნ. კრასილნიკოვი - ბიზანტიოლოგი, იურიევის უნივერსიტეტის პროფესორი.

(23) - „ეს ხელნაწერი მიჩნეული იყო, როგორც საუკეთესო. ვფიქრობ, რომ სინამდვილეში ეს ასე არ არის“. - გრიგოლ წერეთელი.

(24) - გრიგოლ წერეთელმა შესანიშნავად შეისწავლა ეს ხელნაწერი 1909 წ. ივლისში და სასიამოვნო მოგონებები გამოჰყვა: „იქ ძალიან თავისუფლად ვგრძნობდი თავს. ბიბლიოთეკაში იშვიათი კეთილგანწყობილებით შემხვდნენ. დამპირდნენ კიდეც, რომ იურიევში გამომიგზავნიდნენ ყველა ხელნაწერს, საგარეო საქმეთა სამინისტროს ჩარევის გარეშე. დამერწმუნებით, რომ ეს მათი მხრივ დიდი თავაზიანობაა“.

(25) - „მუშაობა Agathias-ზე იმდენად წინ წავიდა, რომ შესაძლებელი იქნება გამოცემა...“ მაგრამ იგი ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო არ გამოქვეყნებულა. შეიძლება კრასენინიკოვის უმოქმედობაა ამისი მიზეზი ან გრიგოლ წერეთელმა დაკარგა ინტერესი ხელნაწერებისადმი. წერილის თარიღია 1907 წ. 12 ივლისი.

(26) - იტალიის მზე მუდმივი თემაა გრიგოლ წერეთლისათვის.

(27) - მისამართია: Via Pompeio Magno 1. log. 1.

(28) - „როგორც წინათ, ახლაც ბევრსა ვმუშაობ. განსაკუთრებით Agathias-ზე. გული სიხარულით მაქვს სავსე. არ მინდა რომიდან წასვლა“. 1908 წ. II ივნისი. „რამდენიმე დღეში დავამთავრებ ჩემს სამუშაოს ვატიკანში, ამიტომ კარგ გუნებაზე ვარ...“. 1908 წ. 30 ივნისი. „ხვალ ვატიკანი იხურება საბოლოოდ და თავისუფალი ვიქნები. იმდენად შევეჩვიე ბიბლიოთეკას, რომ გული მწყდება, არ ვიცი, სახლში როგორ უნდა ვიმუშაო. არაჩვეულებრივად ვგრძნობ თავს. ბედნიერი ვარ. ამგვარი რამ დიდი ხანია არ განმიცდია“. 1908 წ. 2. ივლისი. „გუშინ დაიხურა ვატიკანი. დიდი მადლობა გადავუხადე პადრე ერლეს გულითადობისათვის. დავამთავრე მუშაობა Agathias -ზე გავშიფრე ერთი პალიმფსესტი, რათა კითხვაში მევარჯიშნა. არადა, მისი წაკითხვა თითქმის შეუძლებელი იყო“. 1908 წ. 5 ივლისი.

(29) - „ახლა ვასწორებ ჩემს თარგმანს და შემდეგ გამოვიგზავნი“. 1908 წ. 9 ივლისი.

(30) - „რომს ვერაფერი შეცვლის. იგი შეუდარებელია. რომი დგას ყველაზე მაღლა. ნამდვილად უჩვეულო ქალაქია. ბედნიერი ვიქნებოდი, ერთხელ კიდევ მენახა ვატიკანი“. - 1908 წ. 8 ივლისი.

(31) - „პიზა, სადაც დიდია აღმოსავლეთის გავლენა, ძალიან მომეწონა. მას შუასაუკუნეების კვალი აზის, რაც ძალიან მომწონს“. - 1908 წ. 19 აგვისტო.

(32) - გენუაში ერთი კვირა იმუშავა მისიონერ ურბანის ბიბლიოთეკაში, სადაც შეისწავლა ხელნაწერი Vita Constantini8

(33) - „რა სამწუხაროა იტალიის დატოვება. გამგზავრების არავითარი სურვილი არა მაქვს“. - 1908 წ. 15 ივლისი. „ნაღველი მიპყრობს“. - 1908 წ. 23 ივლისი. „იტალიიდან წასვლისას არ ვტიროდი, მაგრამ გული მეკუმშებოდა. დღესაც ასე ვარ“. - წერილი ინსბურკიდან 1908 წ. 23 ივლისს.

(34) - „მიუხედავად მოსკოვის ორიგინალურობისა, იგი არ მაფორიაქებს, როგორც რომი და პიზაც კი. რამდენადაც კარგია იტალიაში, იმდენად აქ ყველაფერი უმნიშვნელოა და მოსაწყენი. მინდა, რომ სიზმარში მაინცა ვნახო“. 1908 წ. 8 აგვისტო.

(35) - „აქ ჩვენ ავინაზღაურეთ ის, რაც დაკარგული გვქონდა. ყოველი შემთხვევისათვის, ვწერ ანდერძს: მენანდრას შენ გიანდერძებ. მარია ივანეს ასულ მაქსიმოვას, ჩემი მეუღლის დას, არქეოლოგს“ (მარია ხშირად მოგზაურობდა გრიგოლ წერეთლის ოჯახთან ერთად). - 1913 წ. 1 აპრილი.

(36) - გრიგოლ წერეთლის მეუღლეს, სოფიოს ურჩიეს პეტროგრადის (პუშკინოს) კლიმატი.

(37) - „მენანდრას ახალი კომედიები“. - იურიევი. 1919 წ.

*(38) - „ნეაპოლი, რომი, ბერლინი“. - ჟურნალი „ახალი კავკასიონი“. 1925 წ. როგორც ნანა ყანჩაველი გვატყობინებს 1989 წ. 21 თებერვალს, მოგზაურობის ჩანაწერები ინახება ქეთევან მაღალაშვილის პირად არქივში №761. ამ არქივის ნახვა ჩვენ ვერ შევძელით.*

*(39) - გრიგოლ წერეთელი ავტობიოგრაფიაში წერს, რომ კვლავ აღადგინა ურთიერთობა უცხოელ კოლეგებთან და ჩაატარა საჭირო სამუშაოები იტალიის ბიბლიოთეკებში (არა მხოლოდ ვატიკანის ბიბლიოთეკაში).*

*(40) - „ახლა ვსწავლობ არაბული ეპოქის დროინდელ (მეშვიდე საუკუნის) დოკუმენტებს - წერილი ვ. ერნშტედტისადმი, 1901 წ. 13 აპრილს.*

*(41) - 1931 წ. აგვისტოში სოფიო წერეთელი წერილში ი. სტალინისადმი - გრიგოლ წერეთლის დაპატიმრების გამო, რომელსაც მავნებლობაში ედებოდა ბრალი (დააპატიმრეს 1931 წ. 8 თებერვალს), წერდა: „1924 წელს მან უარი თქვა თანამდებობაზე ბერლინის მუზეუმში, როგორც გამოჩენილმა პაპიროლოგმა და საბჭოთა საქართველოში დარჩენა არჩია“.*

*(42) - გრიგოლ წერეთლისა და მუხარტის მიმოწერაზე იხ. წიგნი* I. F. Fichman. G. H. Zereteli und die Berliner Papyrussamlung...pp 50-52.

*(43) - წერილები არ შემონახულა. როგორც ნანა ყანჩაველი გვატყობინებს, კასტილიონის გვარი არ ფიგურირებს. ალბათ, ლაპარაკია სტატიაზე:* L. Castilioni Papiri greci letterari conservati in Russia e Georgia8 „Aeg", VII, 1926, pp..223-236.

*გრიგოლ წერეთელთან ინახებოდა გერმანული (№546) და რუსული (547) ვერსიები გრიგოლ წერეთლისა და მიპარელის ანგარიშებისა „La serittura latina nell eta romana“. არსებობს პ. ერნშტედტის წერილი (№2278), სადაც იგი მადლობას უხდის, რომ გაუგზავნა ანგარიშის ასლი. ჩანს, რომ ანგარიში არ გამოქვეყნებულა.*

*(44) - საფოსტო ბეჭდით თუ განვსაზღვრავთ, შეტყობინება გამოგზავნილია 1935 წ. 10 სექტემბერს. თბილისში მიღებულია 1935 წ. 21 სექტემბერს.*

*ფრანგულიდან თარგმნეს:* მანანა ჭუმბურიძემ
ფელიქს დანელიამ
და გია წერეთელმა

# აკაკი გაწერელია

## ეროვნული ტაძრის ქურუმი

უნივერსიტეტის მშვენებათა შორის ყველა არ ამოჩნდა სვებედნიერი. იყო ერთი განუმეორებელი და შეუდარებელი, რომლის ბედის გახსენება შანთივით დაღავს გონებას. იგი უღიდესი ელინისტი იყო, სულის დიდი არისტოკრატი, ნამდვილი სიამაყე ჩვენი უნივერსიტეტისა. ასეთად თვლიდა მას თვითონ ივანე ჯავახიშვილი.

იგი ძველი იონელის დიალექტზე წარმოსთქვამდა ხოლმე „ილიადას“ იმ სიმღერას, სადაც მოთხრობილია, თუ როგორ მისდევს აქილევსი ალაყაფჩაკეტილი ქალაქის კედლის გასწვრივ ტროელთა მხედართმთავარ ჰექტორს, რომელმაც ზურგი არ უჩვენა მტერს და შუბით განგმირული დაეცა.

გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთელს ჰექტორის ხვედრი არგუნა ბედმა, არც ის ამოჩნდა მხდალი. ასეთი გმირი მოღვაწეობდა ჩვენს უნივერსიტეტში.

ჩვენი უნივერსიტეტის ფრიზებს შორის ერთი გიგანტის დამსხვრეული ბარელიეფი არის შერჩენილი...

1964 წელს საქართველოს სამეცნიერო აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა გამოსცა გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთლის მიერ უბრწყინვალესად თარგმნილი „არგონავტიკა“ აპოლონიოს როდოსელისა. წიგნის ბოლოსიტყვაობაში აკად. ფ. ა. პეტროვსკი სხვათაშორის წერს:

"Г. Ф. Церетели был не только первоклассным ученим, но и высокоодаренным художником античного мира, великим его поэтом. Как счастливы те, кому привелось знать этого поэта, слушать его, беседовать с ним и наслаждаться его гением, не только по его произведениям, но и общаясь с ним лично "(337).

ამ ბედნიერთა რიცხვს ჩვენც ვეკუთვნით.

უნივერსიტეტის აუდიტორიაში მისი პირველი გამოჩენის მომენტიდან (1928 წ.) აქამდე ერთი დღეც არ მახსოვს, მასზე რომ არ მეფიქროს.

ლიტერატურის შესხებ ჩემს სმენას არაფერი გაუგონია უფრო შთამბეჭდავი, შთამაგონებელი, ვიდრე მისი ზეპირი ანალიზი ჰორაციუსის ოდებისა და ეპოდებისა.

ანტიკური ლექსთწყობის დიდი მცოდნე მეხმარებოდა ჩემს მუშაობაში სტუდენტობის წლებშივე. არა ერთხელ შემიღია მისი ბინის კარი...

...დასნეულებული ვარ მისადმი უსაზღვრო სიყვარულით. ყელამდე აღსავსე ვარ მისი ხსოვნისადმი უსაზღვრო ერთგულებით.

და სამგლოვიარო კორტეჟი, რომლითაც მისი ცხედარი არ გაუცილებიათ, მუდმივად იძვრის ჩემს გულში.

და ჩემი გული კვალდაკვალ მიაცილებს ოდესღაც ოლიმპიელის კვერთხით აღჭურვილის კატაფალკს.

როგორც ერთგული ვასალი მიაცილებს ამაყ, მაგრამ კეთილშობილი სენიორის კუბოს.

ხელმწიფევ ჩემო!

ცა ჩამომექცეს: დავკარგო ყველაფერი რაც მაბადია: გადავიყვარო ყველა; მათხოვრად ვიწანწალო კარიდან კარზე; ვზიდო ჩემი ჯვარი გოლგოთამდე; განვიცადო იმედგაცრუების ყველა საშინელება;

თვალთაგან მიმეფაროს საყვარელი ვაჟის ორი გიშერი; დავკარგო რწმენა საკუთარი თავისადმი; გამოვეთხოვო ტკბილ ქართულს და კალამი გადამიტყდეს; კეთრი შემეყაროს და, უდანაშაულო, ქვით ჩამქოლონ მზაკვართა და უღირსთა, -

არ ვინაღვლებდი, ოღონდ შევეძლოს იქიდან გადმოხედვა ერთი წამით და დანახვა - თუ რაოდენ შეძრულია შეგირდის გული შენს გამო.

ვაგლახ, რომ ამ სასწაულისა არა მჯერა!

მოძღვარო ჩემო!

სიჭაბუკის დილავ და ხანდაზმულობის მწუხრო ჩემო!.

სიმღერავ და ზარის თქმავ ჩემო!..

„...,...ბედნიერია ყველა, ვინც ამ გენიას პირადად იცნობდაო“.

ამ სიტყვებში კვალიც არაა გადაჭარბებისა.

...საჯაროდ და კატეგორიულად უნდა განვაცხადოთ: ჩვენი ჰუმანიტარული ცოდნის არცერთ დარგს (არც ე. წ. „ზუსტ მეცნიერებათ“), ივანე ჯავახიშვილის გარდა, არ ჰყოლია ისეთი დიდი პიროვნება და შემოქმედი, როგორიც გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთელი იყო. ნილს ბორები თუ ვერნერ ჰაიზენბერგები მეოცე საუკუნის ქართული კულტურის სხვა დარგებში არ მოიძებნებიან. გრ. წერეთლის შემოქმედებას კი მარადისობის ბეჭედი აზის, იგი უჭკნობ ელვარებას გამოსცემს.

თვით მისი სიარული ქუჩაში ქოლგა-ხელჯოხითა და პორტფელით ძალიან მიაგავდა ოლიმპოდან მიწაზე ჩამოსული ღმერთკაცის სიარულს, იგი თითქოს ამართლებდა ადამიანის ჯიშის მოვლინებას ჩვენს ცოდვილ დედამიწაზე.

გრ. წერეთელს ძალიან უნდოდა „ვეფხისტყაოსნის თარგმნა რუსულად, მაგრამ შესაფერი პწკარედი ვერ მოუმზადეს.

და ასეთი ადამიანის მემორიალი არსად ჩანს, არ ვიცით - არსებობს თუ არა უნივერსიტეტში მისი სახელობის სტიპენდია; არსად დგას ამ ოლიმპიელის პატარა ან დიდი ქანდაკება; არავინ ფიქრობს მისი მეცნიერული და ლიტერატურული მემკვიდრეობის სრულ პუბლიკაციაზე.

ასეთი უგულველყოფა გრიგოლ წერეთლის სახელისა სამარცხვინო ფაქტია!

გრიგოლ წერეთელს არ დარჩენია შთამომავლობა. მაგრამ ვინც ივანე ჯავახიშვილს პატივს სცემს, მათ უნდა იზრუნონ მისი მეგობრის, საფლავ დაკარგული ღმერთკაცის ქანდაკების აღსამართავად უნივერსიტეტის ეზოში. ეს მით უფრო საშური საქმეა, რომ სწორედ ახლა, ამჟამად: ამ გაზაფხულზე 120 წელი შესრულდა გრიგოლ წერეთლის დაბადებიდან...

ამ ქანდაკების ქვეშ მისი ცხედარი საძებარი არ იქნება, მაგრამ ასეთი გამონაკლისი დასაშვებია იმ ადამიანის მიმართ, რომელიც მთელ ქართულ კულტურაში წარმოადგენდა სრულიად იშვიათ გამონაკლისს.

*აკაკი გაწერელია*

*(„ლიტ. საქ-ლო. 24. I. 1969., „თბილისი“. 16. V. 1988 წ. და 13. VI. 1990 წ.)*



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ნათელა არველაძე

## „დარჩება ხსოვნად შთამომავლობას..."

ცნობილია, რომ თეატრის სარეპერტუარო პოლიტიკა მისი მოქალაქეობრივი და შემოქმედებითი პოზიციის გამომხატველი მოცემულობაა. მაგრამ ჩვენს პარადოქსალურ ეპოქაში, როდესაც სიტყვა და საქმე აგრერიგად ემიჯნება ერთურთს და არაერთ უცილობელ ცნებასაც ყავლი გასდის, ეს აქსიომაც კი მტკიცებას საჭიროებს. ყველაზე გამართული სარეპერტუარო ნუსხაც კი ვერ წარმოაჩენს დროის სულისკვეთებას, თუკი პიესის ინტერპრეტაცია არ შეეხმიანა ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურსა თუ ზნეობრივ ატმოსფეროს. „დროის პროდუქციას" მხოლოდ პიესის არჩევანი კი არ განაპირობებს, არამედ მისი ინტერპრეტაციის აქტუალობა. ამ თვალსაზრისით ნამდვილად დათმო თავისი პოზიციები ქართული თეატრის წამყვანმა ფრთამ. ამას სავალალო მოვლენად მივიჩნევ და ამიტომაც გამოვხატავ ჩემს პოზიციას, ვინძლო ჩავაფიქრო თეატრების ხელმძღვანელები, რადგანაც უწინარესად, ისინი არიან პასუხისმგებელნი დასის შემოქმედებითსა თუ მოქალაქეობრივ პრინციპებზე. სათეატრო კრიტიკას მართებს ჩაუღრმავდეს მიმდინარე სათეატრო ცხოვრებას, რათა საგულდაგულო ანალიზით მიაკვლიოს მიზეზებსა და ასახოს რეალური ვითარება, წარმოქმნას საზოგადოებრივი აზრი, მაყურებელსაც და შემოქმედებით გუნდსაც შეახსენოს ჭეშმარიტება: მხოლოდ ეპოქის სულისკვეთების გამომხატველი, ეროვნული სატკივარის ამსახველი, აქტიური, მებრძოლი, სამშობლოს ხვედრზე მზრუნველი და მაღალმხატვრული სასცენო ხელოვნება „დარჩება ხსოვნად შთამომავლობას". სადადგმო კულტურის მიღწევები და საშემსრულებლო ოსტატობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს დიდ წარმატებას, თუკი თეატრი საზოგადოებრივი ცხოვრების ავანგარდის როლს არ შეასრულებს. აკაკი ბრძანებდა: *„ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა"*. ერის წინამძღოლობაა ყოველი ხელოვანის მოქალაქეობრივი ვალდებულება, მით უფრო მცირერიცხოვანი ერის წარმომადგენელი როცა ხარ. ჩვენმა სინამდვილემ მთელის სიღრმით განგვაცდევინა აკაკის პოზიციის მართებულობა. იმაზეც დაგვაფიქრა, რაოდენ მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ყოფისთვის, მისი გამოფხიზლებისა და დარაზმვისათვის, როდესაც თეატრის უღელს ნიჭიერებით გამორჩეულ დიდოსტატთან ერთად მგზნებარე მამაულიშვილიც ეწევა. მამულიშვილობა ბედისწერა მგონია და ამ მირონით ცხებული ხელოვანი აგრერიგად ესაჭიროება ჩვენს სათეატრო ცხოვრებას. ეს არის, ჩემი ფიქრით, თავი და თავი ჩვენი უღიმღამო, ინერციული სათეატრო ყოფისა. მიუხედავად იმისა, რომ არაერთი კულტურული, აწყობილი, ლამაზი სანახაობაა შექმნილი დღეს ქართულ სცენაზე, მას სწორედ აქტუალური და მებრძოლი სულისკვეთებით აღვსილი ნიმუშები დააკლდა. ამიტომაც შესაძლებლად მიმაჩნია, აღვნიშნო: დღევანდელი სათეატრო აფიშა წელთა აღმნიშვნელია და არა ჟამთა აღმწერელი. ერთის შეხედვით, საგანგაშო სრულიადაც არ არის ორი აკადემიური თეატრის რეპერტუარი, მაგრამ, თუ ღრმად ჩავუკვირდებით, აღმოჩნდება, რომ საქართველოს აწმყო საგულდაგულო მსჯელობისა და შეფასების საგანს არ წარმოადგენს. აქ თანამედროვე ყოფის ამსახველ სურათებს, ცალკეულ რეპლიკებსა თუ მინიშნებებს არ ვგულისხმობ. თეატრის გამოკვეთილ პოზიციას, მბორგავ სულისკვეთებას მივუთითებ, რომელიც აზრთა მიმოქცევას ბადებს, დარბაზის აღზევებას იწვევს, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას ხელს უწყობს.

სრულიადაც არ ვთვლი, რომ თეატრი კალენდარული დროის აქტივობით უნდა ცხოვრობდეს. ეს ფსევდოაქტუალობა იქნებოდა. მთავარს ვგულისხმობ – რამდენად აწვალებს თეატრს აწმყო, რომელიც მშობელია მომავლისა, რამდენად აფხიზლებს იგი საზოგადოებას, რამდენად მოწოდებულია, წარმოაჩინოს დღევანდელი უკეთურობანი, რამდენად აქტიურად არის ჩაბმული ერის დარაზმვისა და აღმშენებლობის პროცესში. საქართველოს აწმყო კი ფიქრის, ანალიზის, ასახვის, მხილების საბაბს უთუოდ ბადებს. თეატრს ამ დაბრკოლებათა აღმოფხვრა არ ძალუძს (საამისოდ სხვა სახელმწიფოებრივი ინსტიტუტები არსებობენ), მაგრამ მას შეუძლია საამკარაოზე გამოიტანოს „ქართლის ჭირი", წარმოქმნას საზოგადოებრივი აზრი, ამგვარად იმოქმედოს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. და რომ ეს შესაძლებელია, და რომ ამის მოთხოვნილებაა აგრერიგად მნიშვნელოვანი, ამას ქართული თეატრის გუშინდელი დღე გვიდასტურებს. ახლა მხოლოდ რამდენიმე მაგალითს მოვუხმობ.

*1882 წელი.* მუდმივმოქმედი ქართული დასი დავით ერისთავის „*სამშობლოს*" წარმოადგენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სამშობლოს თავისუფლებისათვის იბრძვის ქართული თეატრი; ქვეყნის გადარჩენისათვის პირადული მიზნებისა და ვნებათაღელვის დათრგუნვას ითხოვს ქართული სცენა; გაერთიანებისათვის, პიროვნული და ეროვნული ღირსების დაცვისათვის უხმობს ერს დამღუპველი ჯგუფი და ასე ეხმიანება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, ასე იმკვიდრებს საზოგადოებრივი ცხოვრების ავანგარდის როლს. ავტორი, რეჟისორი, მსახიობები, მაყურებელი, სათეატრო კრიტიკა ერთიან ძალად იქცა, აღუდგა აწინდელ დამპყრობელს, მეტროპოლიის პრესას. მაყურებელმა პრემიერაზე დიდი სახალხო, „სამოქალაქო რიტუალით“ გამოხატა თავისი გულისთქმა. ხელში აყვანილი ავტორი, მიხეილ ბებუთაშვილი, ლადო მესხიშვილი, კოტე ყიფიანი მოწიწებით მიუცილებიათ ეტლამდე. მოძრაობაც კი შეწყვეტილა მოედანსა და ხიდზე.

ეს ის დროა, როდესაც ქართველს აეკრძალა საჯაროდ თავის სამშობლოდ საქართველოს მოხსენიება! როდესაც სასწავლებლებიდან იდევნება ქართული ენა, ქართველი მასწავლებელი! როდესაც ქართულ ეკლესიაში მღვდელმსახურება უცხო ენაზე მიმდინარეობს! ქართველ ახალშობილებს ქართულ სახელებს ვერ არქმევენ! უხუცესი ქართველი გიმნაზიელი სასწავლებლის საიუბილეო საღამოზე ამაყად აცხადებს მადლობა ღმერთს, ჩვენ გავრუსდით! თეატრი კი „*სამშობლოს*“ ირჩევს დასადგმელად და რისკიანი ინტერპრეტაციით მამულის სიყვარულის უწმინდეს, ყოვლისმომცველ, ამაღლებულ გრძნობას აზიარებს მაყურებელს.

*1922 წელი.* რუსთაველის თეატრი ლოპე დე ვაგას „*ცხვრის წყაროს*“ ირჩევს დასადგმელად. კოტე მარჯანიშვილის აქტუალური პოზიციით თეატრი წარმოაჩენს ესპანური სოფლის ამბოხს კომანდორის თავნებობათა ასალაგმავად. საფინალო შეკითხვას – „ვინ მოკლა კომანდორი?“ – დარბაზიც ესიტყვება: „ფუენტე ოვეხუნამ!“ გაერთიანებული სცენა და დარბაზი იბრძვის ძალადობის წინააღმდეგ. დროის სულისკვეთება გამოიხატა სცენაზე და ამ მოწოდებამ აღაგზნო მაყურებელთა დარბაზი.

*1934 წელი.* ალექსანდრე ახმეტელი შილერის პიესას სათაურს უცვლის, რუსთაველის თეატრის სცენაზე „*ინ ტირანოს*“ წარმოადგენს. ტირანიის წინააღმდეგ ამხედრებულია თეატრი და მისი ლიდერი. უთუოდ – ავბედითი პერსპექტივა განჭვრიტა რეჟისორმა და ისიც ამცნო მაყურებელს, რომ ტირანია ისევეა განწირული, როგორც ფუღუროებით დასერილი დიდი ხე, მთელს სცენას რომ ფარავდა. თავისუფლების უდიადეს და უმშვენიერეს ვნებათაღელვას გამოხატავდა თეატრი და საამისოდ უხმობდა მაყურებელსაც. ფეხზე შემართული, აღფრთოვანებული დარბაზი თავის გულისთქმას უერთებდა თეატრის მოწოდებას. დრო ითხოვდა მებრძოლ ხელოვნებას და თეატრი ესიტყვებოდა დროის მოთხოვნას.

*1957 წელი.* არჩილ ჩხარტიშვილის ინტერპრეტაციით მარჯანიშვილის თეატრი წარმოადგენს ვაჟა-ფშაველას „*მოკვეთილს*“. ფშაველები თავგანწირვით იცავენ თავიანთი მიწა-წყალს, დროშით ხელში კვდება ბახა. აღტკინებული მაყურებელი მხურვალე ოვაციას მართავს. ამ დროისათვის საქართველო იმპერიის პროვინციაა, სამშობლოდ მოიაზრება დედამიწის ერთი მეექვსედი და არა ის ქვეყანა, რომელიც „ოდესმე დიდი ყოფილა...“

*1960 წელი.* დიმიტრი ალექსიძის ინტერპრეტაციით რუსთაველის თეატრი წარმოადგენს დავით გაჩეჩილაძის „*ბახტრიონს*“ (ვაჟა-ფშაველას მოტივების მიხედვით). სამშობლოს წრფელი სიყვარულით გათანგული ლელა და ანდარეზი ბახტრიონის ციხის აღებას მსხვერპლად ეწირებიან. პატრიოტიზმის ამაღლებული ვნება ბობოქრობს დარბაზშიც. ამ დროს საქართველოს თავისუფლებაზე ფიქრიც კი შეუძლებელია. მეტროპოლია ესწრაფვის, დაპყრობილი პროვინციების ხალხებს ისტორიული მეხსიერება მოუშალოს. ქართული თეატრი კი ქართველ ხალხს თავის წარსულს, თავის ისტორიას ახსენებს.

*1962 წელი.* არჩილ ჩხარტიშვილის მნიშვნელოვანი ინტერპრეტაციით მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე იდგმება ევრიპიდეს „*მედეა*“. უსამშობლო ადამიანის პიროვნულ ტრაგედიას გვამცნობს თეატრი და დარბაზის დამოძღვრას ეშურება. აზვირთებული მაყურებელი გულმხურვალედ გამოხატავს მოწონებას. ეს ის დროა, როდესაც სამშობლო, თავისუფლება, პიროვნული და ეროვნული ღირსება ტაბუირებული ცნებებია. თეატრი არ ეპუება მეტროპოლიის პოლიტიკას.

*1968 წელი.* რუსთაველის თაეტრის მცირე სცენაზე მიხეილ თუმანიშვილი ინტელექტუალურ დრამას წარმოადგენს. ჟან ანუის „*ანტიგონეს*“ მეტად აქტუალური ინტერპრეტაციით თეატრი პოზიციათა, იდეათა დაპირისპირების დრამას წარმოაჩენს. თავისუფალი, პატარა ანტიგონეს ამბოხი ტირანი კრეონტის ძალაუფლებას უპირისპირდება და ამსხვრევს მის შეუვალობას. სცენაზე ბორგავს აზრი და ვნება, დარბაზში ბობოქრობს მწველი ფიქრი და გაღვიძებული სულის ყიჟინი. ამ დროისათვის ევროპა-ამერიკის კონტინენტზე ახალგაზრდების ღემარშმა თავდაყირა დააყენა ობივატელის „ფხიზელი გონებით“ მყარად ნაგები ყოფა, უშფოთველი ობივატელის კომპრომისული საცხოვრისის ცათამბჯენებს ყრმათა დაუმორჩილებელი ვნებათაღელვა წასალეკად დაემუქრა! ეს ის წელია, როცა რუსეთის ტანკებმა სისხლში ჩაახშეს ჩეხოსლოვაკელ ხალხთა ამბოხი, მათი თავისუფალი ნების გამოხატვის მცდელობა. იმპერიის ციტადელი შინაგანად ირყევა, მართალია, ხელშესახებად ჯერ არ შეიმჩნევა პოლიტიკური, ეკონომიკური, ზნეობრივი რღვევა, მაგრამ ხელოვანი ამ ბიძგს შეიგრძნობს და მხატვრული მინიშნებით გვამცნობს. ამ მოვლენათა ექოდ აღიქმება თეატრის ეს წარმატებული დადგმა, პიესის რისკიანი ინტერპრეტაცია.

*1974 წელი.* რუსთაველის სცენაზე რობერტ სტურუა პოლიკარპე კაკაბაძის პიესას „*ყვარყვარეს*“ წარმოგვიდგენს. რეჟისორული აქტუალური ინტერპრეტაციის წყალობით მოულოდნელი და ახალი თვისებით გაიჟღერეს ნაცნობმა ტექსტმა, ნაცნობმა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნიღბებმა. თეატრი გვიჩვენებს, აშიშვლებს ფსევდომესიად მოვლენილ ყვარყვარეს, ავანტიურისტის „ადმინისტრაციულ თამაშობათა“ მსხვერპლად წარმოგვიდგენს დაურვებულ, სასწაულის მომლოდინე მასას. გაოგნებული, შოკირებული მაყურებელი ტექსტისაგან გაუცხოებით თავის აწმყოს ახალი თვალსაზრისით აფასებს. ამ დროისათვის რუსეთის იმპერია თავისი არსებობის ახალ ფაზაშია. პოლიტიკურ თამაშობათა არსი იმითაც გამოირჩევა, რომ დაპყრობილ და დათრგუნვილ ხალხებს ზნეობრივად რყვნის, ფსევდოდაპირებებით „აპურებს“, დიადი მიზნის აღსრულებით აბრუებს, თეატრი ამხელდა ყოველი დროის ტირანიას, სიცრუეს, ფსევდომესიას.

*1983 წელი.* მარჯანიშვილის სცენაზე თემურ ჩხეიძე მიხეილ ჯავახიშვილის *„ჯაყოს ხიზნებს“* დგამს. ხევისთავთა დაკნინებისა და ჯაყოთა აღზევების დრამატურგიას წარმოსახავს თეატრი და პირუთვნელად მიგვანიშნებს აწინდელი ყოფის სიმახინჯესა და არსებული რეალობის მიზეზებზე აფიქრებს საზოგადოებას. ხევისთავიცა და ჯაყოც ჩვენი ავბედითი ისტორიის, ჩვენი გაუსაძლისი თანადროულობის ნიღბებია, სიმბოლოებია. ეს დიდებული სასცენო პარაბოლა მაშინაც და ახლაც მეტისმეტად აქტუალურია. ეს ის დროა, როდესაც ოფიციოზი რუსეთთან შეერთების მეორასე წლისთავის საიუბილეო დღესასწაულს მართავს. თეატრის პოზიცია აშკარად უპირისპირდება ოფიციოზის ზარ-ზეიმს.

*1989 წელი.* მარჯანიშვილის თეატრმა გრიგოლ რობაქიძის *„გრაალის მცველნი“* წარმოადგინა. დავით ანდღულაძის მიზანმისწრაფებული ინტერპრეტაციით 1924 წლის ამბოხება ჩვენი უახლესი ტკივილის გამოძახილად იქცა. მამულიშვილთა აჯანყება, სამშობლოს ბედზე მათი ვარამი და ჭმუნვა სახიერი მინიშნებებით უცხადესად წარმოჩინდა. მაყურებელმა პრემიერაზე „სახალხო რიტუალით“ გამოხატა თავისი აღფრთოვანება. აზვირთებული დარბაზი ცრემლსა და გულწრფელ აღტაცებას ვერ მალავდა. ეროვნული სულისკვეთებით გასხივოსნებული ადამიანები მღეროდნენ: *„ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია, აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი ჩვენია...“* ანთებული სანთლები მაყურებლის გულმხურვალებას გამოხატავდა, დარბაზში ამაყად ფრიალებდა ეროვნული დროშა. შემდეგ მედროშე ზევით აიყვანეს და ახლა სცენაზე გოროზად ირხეოდა თავისუფალი საქართველოს სახელმწიფო სიმბოლო. მაყურებელს ეროვნული ვნებათაღელვით ატორტმანებული ქუჩიდან შემოჰყვა მწველი განცდა და სამშობლოს აწინდელი ხვედრით აღმოცენებული აღშფოთება. სპექტაკლი 9 აპრილის სისხლიანი დილიდან ორი თვის შემდეგ ითამაშეს. ქართველთა სულის ღია ჭრილობას შეესიტყვა თეატრი და ასე გამოხატა საკუთარი პოზიცია.

როგორც მოხმობილი ფაქტებიდან ვხედავთ, თეატრისა და მაყურებლის უძლიერესი და უკეთილშობილესი ერთიანობა აღმოცენდება მაშინ, როდესაც სცენაზე თამაშდება საერთო საზოგადოებრივი, საერთო სახელმწიფოებრივი, ეროვნული მნიშვნელობის იდეები, მითები, ლეგენდები და ტრაგედიები; როდესაც სცენაზე წინა პლანზეა წარმოსახული ერის წარსული და აწყმო, როგორც მისტერიული და რიტუალური ქმედება; როდესაც სცენაზე წარმოჩენილია უმთავრესი ღირებულებები, კატეგორიები, მცნებები, რაც „ისტორიაში შეღწევით“ რეალობის შემეცნებასა და სინამდვილის შეფასების ახალ თვალსაზრისს ბადებს. ამ ცოდნით, ამ გამოცდილებით, ამ შეგრძნებით გამდიდრებული, შინაგანად აღტკინებული, სცენისა და დარბაზის თანადგომით აღფრთოვანებული და დაიმედებული მაყურებელი განიცდის ამაღლებას, უნივერსალურ კათარზისს. აღტაცებისა და ჰეროიკის ეს წუთები მუხტავს ადამიანებს, ისინი ახალი და აქტუალური თვალსაზრისით აფასებენ რეალობას. ამგვარ ბილატერალურ კომუნიკაციის ფორმას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოების გააქტიურების პროცესისათვის, რადგანაც იგი ბევრწილად განაპირობებს სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას (რა თქმა უნდა, ეს ერთადერთი საშუალება არ არის, მაგრამ დიდად მნიშვნელოვანი ფაქტორია). ამგვარი ზემოქმედება მაყურებელთა გონებასა და გრძნობაზე ბევრად წაადგება ჩვენს სადღეისო ყოფას, გამოკვეთს თეატრის მნიშვნელობასაც და მის როლსაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამაზე ღირს დაფიქრება!

ორი თეატრის მაგალითზე შეძლებისდაგვარად წარმოვაჩინე ჩვენი სათეატრო პროცესისათვის დამახასიათებელი ერთი ასპექტი. ვფიქრობ, გამოიკვეთა კიდეც, რომ იმ პერიოდისათვის ქართული თეატრის წამყვანი ფრთა პარაბოლური მინიშნებებითა და გააზრებული ქვეტექსტით აქტიურად ესწრაფოდა, მაყურებლის ინტერესთა არეალში მოხვედრილიყო ქვეყნის პოლიტიკური და ზნეობრივი რეალობა, ქართული სინამდვილე წარმოეჩინა ზოგადკაცობრიული ყოფის კონტექსტით. ახლა ვნახოთ, რას გვაუწყებს მათი სადღეისო ყოფა. ამჯერად მხოლოდ რეპერტუარს მიმოვიხილავ, წარმოდგენების მხატვრულ დონეზე არ შევჩერდები. ეს მნიშვნელოვანი პრობლემა ცალკე განსჯის ობიექტია და მასზე საგულდაგულო მსჯელობისათვის ერთი პუბლიკაცია საკმარისად არ მიმაჩნია.

*რუსთაველის თეატრის* სარეპერტუარო ნუსხა ასეთია: *შექსპირის „ჰამლეტი“, გრიგოლ რობაქიძის „ლამარა“, ნოდარ დუმბაძის „საბრალდებო დასკვნა“, კარლო გოცის „ქალი-გველი“*, ახლახანს აღდგენილი *ბერტოლდ ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრე“* (სპექტაკლების დადგმა განახორციელა რობერტ სტურუამ), *ლაშა თაბუკაშვილის „მერე რა, რომ სველია სველი იასამანი“* (რეჟისორები რობერტ სტურუა, დავით ხინიკაძე), *ირაკლი სამსონაძის „იქ, სადაც ღვარად მოედინება“* (რეჟისორი გიორგი თავაძე), *რეზო კლდიაშვილის „შორაპნელი ქალბატონები“* (რეჟისორი მედეა კუჭუხიძე), *ფრიდრიხ შილერის „მარიამ სტიუარტი“* (რეჟისორი გოჩა კაპანაძე), *ა. ნიკოლაის „მაცდური“* (რეჟისორი რეზო ჩხაიძე).

*მარჯანიშვილის თეატრის* აფიშა ასეთია: *დავით*

ეროვნული ბიბლიოთეკა

*კლდიაშვილის „სოლომონ მორბელაძე“* (რეჟისორი ანდრო ენუქიძე), *ფეოდორ დოსტოევსკის „მარადი ქმარი“, ავგუსტ სტრინდბერგის „მამა“* (სპექტაკლების დადგმა განახორციელა თემურ ჩხეიძემ), *ლალი როსებას „პროვინციული ამბავი“, რეზო კლდიაშვილის „საპოვნელა“* (სპექტაკლების დადგმა განახორციელა მედეა კუჭუხიძემ), *ოსკარ უაილდის „სალომეა“* (რეჟისორი დავით დოიაშვილი), *„დაუსრულებელი სიზმარი“* (რეჟისორი ლევან წულაძე).

ერთი შეხედვით ორივე აკადემიური თეატრის სარეპერტუარო ნუსხა საინტერესოდ გამოიყურება: უცხოური და ქართული კლასიკური ლიტერატურის ნიმუშები, თანამედროვე ქართული დრამატურგია, ჟანრის მრავალფეროვნებითაც გამორჩეულია რეპერტუარი: ტრაგედია, კომედია, სიმბოლისტური და ფსიქოლოგიური დრამა. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნე, მთავარი მარტო საინტერესო პიესების არჩევანი როდია, უმთავრესია მათი ინტერპრეტაციის სახეობა, რომლითაც იკითხება ჩვენი ამჟამინდელი ყოფისადმი თეატრის პოზიცია, რომლითაც ირეკლება რეალობის სატკივარი და პრობლემები. აი, ამ თვალსაზრისით ნამდვილად ვერ ვიტყოდი, რომ მასშტაბურად წარმოჩინდა ქართული კონცეპტუალური რეჟისურა. ერთი ტენდენცია კი აშკარად იკვეთება: თეატრი თავს არიდებს ჩვენი ქვეყნის საჭირბოროტო საკითხების სასცენო ადაპტაციას, საკუთარი პოზიციის გამჟღავნებას საზოგადოებრივი ცხოვრების უმთავრესი პრობლემების მიმართ. „სირაქლემას პოლიტიკა“ კი არა მგონია დამსახურებად ჩაეთვალოს ორ წამყვან შემოქმედებით კოლექტივს. კონცეპტუალური თეატრი და კონცეპტუალური რეჟისურა, უწინარესად, ამ თვისებით გამოირჩევა, ესაა ამგვარი თეატრის უპირველესი ნიშანი.

თავისი პრობლემატიკითა და ესთეტიკით სპექტაკლი *„მაკბეტი“* აგრძელებს რობერტ სტურუას პოლიტიკური თეატრის მთავარ თემას და მოიაზრებს ზოგადკაცობრიულ საკითხებს. საერთო, მსოფლიო საზოგადოებრიობის გულშემატკივრობაში იკარგება ქართული სინამდვილისადმი თეატრის საჭირისუფლო, ძლიერი გოდება. ჩემი ფიქრით კი მსოფლიო თანაცხოვრებაზე წუხილი საქართველოს „პაწია“ სამრეკლოდან უნდა ხდებოდეს. ეს არის ჩვენი უწინარესი საწუხარი, ჩვენი საზრუნავი, სატკივარი და მოუშუშებელი ჭრილობა.

ჩვენი სინამდვილის მეტად მტკივნეულ საკითხს ეხება *„მერე რა, რომ სველია სველი იასამანი“*. ნარკომანია და ნარკობიზნესისაგან მიყენებული აუნაზღაურებელი დანაკარგი მსოფლიო თანაცხოვრების უმნიშვნელოვანესი პრობლემაა, მით უფრო მცირერიცხოვანი ქართველი ერისათვის, რომლის წინაშე დემოგრაფიული პრობლემა მთელი სისასტიკით იკვეთება და საშიშროებას უქმნის მსოფლიოს რუკაზე ქვეყნის ხვალინდელ არსებობას. ოღონდ ესეც არის, თეატრი ადვოკატად უდგება ამ უკეთურობათა წარმომქმნელ - მსხვერპლს. შემოქმედებითი კოლექტივი უფრო შედეგს წარმოაჩენს გულმხურვალე თანაგრძნობით, ვიდრე მთელი სიმძაფრით ამხელს ამ უკეთურობათა პერსპექტივას და უღრმავდება მიზეზებს. თხუთმეტ-თექვსმეტი წლის ყმაწვილები გაფაციცებით, შინაგანი აღტკინებით ჭვრეტენ როგორ „იხარშება“ წამალი, როგორი სიშმაგით ეწაფებიან პერსონაჟები ამ შხამს. მაყურებლის ექსტაზი ნათელს ხდის - თეატრმა საგანგაშო მოვლენად კი არა, სავალალო ფაქტად მოიაზრა ეს რეალობა; სცენაზე მსახიობები ტკბებიან ნამდვილობის წარმოქმნით, დარბაზში ახალგაზრდები ნირვანაში იმყოფებიან ამ სიცხადის, ნაცნობი სიტუაციის ჭვრეტით. ვფიქრობ, პერსპექტივის განჭვრეტით უფრო უნდა ყოფილიყო თეატრი განწყობილი. ერთი ტენდენცია აშკარად გამოიკვეთა - სცენაზე მეფობს არა „ქუჩის რეალიზმი“, არამედ „ქუჩური რეალიზმი“, რამაც ქართული სალიტერატურო ენა და სასცენო მეტყველების ოსტატობა საშიშროების წინაშე დააყენა. ენას, როგორც ეროვნულობის უპირველეს ნიშანს, თვალისჩინივით მოვლა-პატრონობა ესაჭიროება. ამ „მძიმე ტვირთის“ ტარება ოდითგანვე დაანათლეს ეროვნულ სცენას პატრიოტმა მამულიშვილებმა.

თანამედროვე ცხოვრებიდან ამოკრეფილი ფაქტები, ნაცნობი პასაჟები, ცალკეული „სულისშემძვრელი“ რეპლიკები ჯერ კიდევ არ ნიშნავს სპექტაკლის აქტუალობას; არ ნიშნავს, რომ ნაწარმოები წარმოაჩენს მიმდინარე საზოგადოებრივი ყოფის ურთულეს პერიპეტიებს, მით უფრო - ეშურება სასიცოცხლო პრობლემების მიმართ პოზიციის აშკარა გამოხატვას. ორივე თეატრის სცენაზე რეზო კლდიაშვილის პიესების განხორციელება ერთგვარი ხარკის გაღება უფრო მგონია, ვიდრე სოციალურ-პოლიტიკური პროცესების მიზეზთა გააზრებისა და შეფასების მცდელობა. თუკი სამი, ოთხი ათეული წლის წინათ მსოფლიო სასცენო ხელოვნება საზოგადოებრივი ცხოვრების შედეგს უკვირდებოდა და მეტაფორული აზროვნების მასშტაბით გვიმხელდა დამდგმელთა მსოფლშეგრძნებას (გამონაკლისი მაშინაც იყო), ახლა თანამედროვე თეატრი უმეტესად ისწრაფვის მიზეზთა მიკვლევას და მაყურებლის დაფიქრებას საწუთროს უმთავრეს პრობლემებზე, წუთისოფლის წრებრუნვის სამარადჟამო კანონზომიერებაზე. ამ მრავალსახოვან, მფეთქავ მოზაიკურ პანორამაში კი ფაქტობრივ ინფორმაციასთან ერთად იკვეთება ეგზისტენციური ინფორმაციაც. ზოგადში კერძოს გულისფეთქვა მთელი სისრულით ირეკლება. ქართული თეატრი უფრო მეტად გაზრდის მაყურებელზე ზემოქმედების მასშტაბს, თუკი ჩაუღრმავდება სადღეისო ყოფას, ქვეყნის ამჟამინდელი მოვლენების მიზეზებს და, ფაქტების წარმოჩენის სანაცვლოდ, რეალურ საშიშროებაზე მიაპყრობს მაყურებლის მზერას, ფაქტს მოვლენის ხარისხში აღამაღლებს, წარსულსა და აწმყოს განიხილავს, როგორც დიალექტიკურ მთლიანობას, რომელიც განაპირობებს ერის, ქვეყნის, სახელმწიფოს მომავალს.

სინამდვილისაგან გაუცხოების ფაქტად მესახება *თემურ ჩხეიძის* კულტურული სპექტაკლები: *„მარადი ქმარი“, „მამა“, და რობერტ სტურუას ლამაზი სანახაობაც „ქალი - ველი“* (აქ სიუჟეტს არ

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვგულისხმობ). გულსატკენია, როდესაც სცენის ოსტატთა გუშინდელ შეუპოვრობას ვიხსენებთ და ამჟამინდელ თვინიერებას ვხედავთ. 70-80-იანი წლების სტურუას სათეატრო მოდელი მთელი სიღრმითა და მასშტაბით წარმოაჩენდა იმჟამინდელი ჩვენი საცხოვრისის უმთავრეს პრობლემებს, მისი მებრძოლი და აქტიური ხელოვნება არ ეპუებოდა ოფიციოზის კურსსა და საზოგადოების დამოძღვრას ეშურებოდა. თემურ ჩხეიძის ეროვნული სულისკვეთებით აღვსილი შემოქმედება საგულისხმო თვალსაზრისით ამდიდრებდა საზოგადოებას, ქართულ თეატრს, ნუთუ წარსულს ჩაბარდა მათი შემართება? ქართული სათეატრო კრიტიკა იმისათვისაც არის მოწოდებული, რომ ჩაუფიქრდეს ამ ფაქტის მიზეზებს და დროულად შემოჰკრას განგაშის ზარი. ამ მხრივ მეტად დამაფიქრებელია, რომ მარჯანიშვილის თეატრმა წარსულში წარმატებული სპექტაკლებიდან აღადგინა *„პროვინციული ამბავი“* და არა *„ჯაყოს ხიზნები“*. ეს უკანასკნელი არა მარტო წარმატებული დადგმაა, არამედ მნიშვნელოვანი და სადღეისოდაც მეტისმეტად აქტუალური სათეატრო მოვლენაა. ჩემთვის გაუგებარია რატომ უფრთხის თეატრი *„ჯაყოს ხიზნების“* გამოჩენას რეპერტუარში?!

ახლა, ჩემი ფიქრით, ძალზე მნიშვნელოვან საკითხზე გამოვთქვამ მოსაზრებას, ვინაიდან მას მივიჩნევ სათეატრო ყოფის განმაპირობებელ მთავარ მოცემულობად: მსახიობის შემოქმედებით, პიროვნულ, მოქალაქეობრივ აქტივობას ვგულისხმობ. აქტიორის სიტყვის ფუძე აქტივობაზე, მოქმედებაზე მიგვანიშნებს. სამწუხაროდ, სწორედ აქტიური, მებრძოლი, მამულიშვილი, მოქალაქე - ასეთი მსახიობი, ასეთი პიროვნება ბევრად დააკლდა ეროვნულ სცენას. მიზეზი არაერთია. ახლა მხოლოდ მთავარს მივუთითებ. დღეს თავისუფალი, ეროვნული თვითშეგნებით აღვსილი, მასშტაბურად მოაზროვნე პიროვნება-მოქალაქე კი არ ქმნის როლს, არამედ დაბეჩავებული დათრგუნვილი, დამშეული მსახიობი ცდილობს შეინარჩუნოს თეატრში არსებობა! იძულებულია კი არ გამოძერწოს როლი, არამედ უმეტესად თვინიერად დაემორჩილოს რეჟისორის ნებას! კი არ წარმართოს სასცენო შემოქმედების აქტივობა, არამედ პიროვნული ღირსების შელახვის ფასად დასის წევრობა გაინაღდოს! ხელისუფლების პოლიტიკური კურსი, ქვეყნის ეკონომიკური პირობებია, უწინარესად, ამ მოვლენის მიზეზი, მაგრამ დამაფიქრებელია ის ფაქტორი, სადღეისო სათეატრო ცხოვრებას რომ ბევრად განაპირობებს. აქტიორმა თვინიერად დათმო თეატრში თავისი გამორჩეული, პრიორიტეტული მდგომარეობა. იგი აღარ არის სათეატრო თანაცხოვრების პროტაგონისტი! მსახიობი ჯერ რეჟისორის ნებას დაემორჩილა, ახლა კი დირექტორის ქვეშევრდომიც გახდა. აქტიორის სუვერენიტეტის გაქრობამ გამოიწვია, რომ ქართულ სცენას აგრერიგად დააკლდა მაღალი იდეალებისათვის შეუპოვრად მებრძოლი გმირი. აქ არ ვგულისხმობ დადებით გმირს, საბჭოთა იდეოლოგია რომ ნერგავდა ჩვენს ცნობიერებაში, შეგნებასა და მხატვრულ შემოქმედებაში. აქ მივანიშნებ გმირის გაგების იმ ტენდენციას, საუკუნეთა მანძილზე რომ გამოიკვეთა მოაზროვნე-ხელოვანთა მიერ. ამ პროცესს ჩაუკვირდა უილიამ ფოლკნერი და განჭვრიტა პერსპექტივა, როცა აღნიშნა - ახლა ადამიანებს ისევე კოდავენ, როგორც ტახებსო. დაკოდილმა ადამიანმა, დაკოდილმა ხელოვანმა ვეღარ წარმოქმნა მაღალი ზნეობრივი იდეალების გამომხატველი, მთლიანი, ძლიერი, მებრძოლი გმირი.

მსახიობის შემოქმედებითი აქტივობის ნიველირება რეჟისორული თეატრის თვისება არ არის. იგი მისი მახინჯი ფორმაა. მას არაფერი აქვს საერთო ჭეშმარიტ რეჟისორულ თეატრთან. პირიქით, კონცეპტუალური რეჟისურა იბრძვის და ნერგავს ხელოვანთა უნივერსალურ, ინტელექტუალურ, ჰარმონიულ შემოქმედებით თანაარსებობას. სცენის ხელოვანთა სუვერენიტეტი, გაწონასწორებული თანაავტორობის პრინციპია ის ღვრიტა, რომელიც მაღალმხატვრულ და აქტიურ სასცენო შემოქმედებას ბადებს, დამდგმელ ჯგუფს აღუღაბებს. ქართველ მსახიობთა უმეტესობამ კი თავად დათმო შემოქმედებითი აქტივობა, საკუთარი, პიროვნული პოზიციის გამოხატვის შესაძლებლობა.

დღეს ამ ვითარებას დაემატა ეკონომიკური სიდუხჭირე. ახლა თეატრის ეკონომიკური ბერკეტი დირექტორის ხელთ არის. იგი კი, უმეტესად, სათავისოდ ასე მომგებიანად იყენებს არსებულ ვითარებას. ქვეყანაში გამეფებული ქაოსი, განუკითხაობა, კანონის უგულებელყოფა (პარადოქსია, კანონს არღვევს ის, ვინც კანონის სადარაჯოზე უნდა იდგეს!), ძალზე აადვილებს მღვრიე წყალში თევზის ჭერას. დირექტორი თეატრზე, დასზე, მის მომავალზე მეტად საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრობს, საამისოდ თავგადაკლული ილვწის, ვინაიდან იცის - ხვალ - „მგლის კანონი“ გამეფდება ჩვენში და მუსიკის დამკვეთი ის იქნება, ვისაც ექნება ფული! კაპიტალის კულტის ეპოქაში გაფაციცებით, არა კანონიერი გზითაც ხდება ეკონომიკური სიძლიერის მოპოვება! ახლა თეატრის ფაქტიური ხელმძღვანელი დირექტორი ხდება, ვინაიდან მის ხელთ არის საფინანსო ოპერაციების წარმართვის პრიორიტეტი. სახელმწიფოსაგან მივიწყებული, სოციალურად დაუცველი მსახიობი საბოლოოდ დაემორჩილა თეატრის ხელმძღვანელობას. მის წინაშე ფიზიკური გადარჩენის პრობლემა წამოიჭრა და არა მხოლოდ შემოქმედებითი შიმშილის საკითხი. იმ ორიოდ გროშის დაკარგვაც, რატომღაც შრომის ანაზღაურება რომ ჰქვია, კატასტროფის ტოლფასი ხდება. შერისხვისაგან არავინ არის გარანტირებული, თუკი ხელმძღვანელთა ნებას უსიტყვოდ არ დაემორჩილები! მსახიობიც დამყოლი, გაუბედავი, დაურვებული, მორჩილი გახდა, ოღონდაც კი თეატრიდან არ გააგდონ! ამ განუკითხაობის მსხვერპლია დღეს მსახიობი, რადგანაც მას ველარავინ იცავს, კანონიც კი! ბრძოლა და შეუპოვრობა კი რჩეულთა ხვედრია! ასეთები თითო-ოროლაა და ამინდს ვერ ქმნიან.

სადღეისოდ სრულიად გაუგებარი, წარმოუდგენელი ვითარება შეიქმნა ჩვენს სათეატრო ყოფაში:

სახელმწიფომ თეატრების მეურვეობა თავიდან აიცილა და ხელმძღვანელობას გადაულოცა; თეატრის ხელმძღვანელი, განსაკუთრებით დირექტორი, თვლის, რომ თეატრი მისი საკუთრებაა და არა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინსტიტუტი; თეატრის ხელმძღვანელი ხელშეუხებია, მსახიობი - განწირული; თეატრის ხელმძღვანელს სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურის, პარტიის (მათ შორის მმართველი პარტიის) წარმომადგენლები იცავენ, მსახიობს - არავინ; ხელმძღვანელი ყოველი სახის უფლებებით არის აღჭურვილი, ხოლო მოვალეობისაგან, პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებულია, მსახიობი კი უუფლებოა; დირექტორი აქირავებს თეატრის შენობის ნაწილს კერძო სტრუქტურებზე, დასი შიმშილობს, თვეობით ვერ იღებს შრომის საზღაურს!.. სად მიდის ამონაგები თანხა! ვინმემ თუ მოითხოვა პასუხი ამ კითხვაზე და პასუხისმგებლობა დააკისრა საფინანსო ოპერაციების (თუ მაქინაციების?!) განმგებელს? სწორედ იმიტომ, რომ სახელმწიფომ მოიხსნა პასუხისმგებლობა, აბსოლუტური უფლებებით აღჭურვა დირექტორი, სამხატვრო ხელმძღვანელი, არ შეიმუშავა დასის ინტერესების დამცავი მექანიზმი - ამით კი მსახიობს ქვეშევრდომული მდგომარეობა დაუმკვიდრდა - შედეგმაც არ დააყოვნა: სცენის ჯადოქარი, სცენის მეზღაპრე, სცენის მშვენება, მსახიობი, თეატრის ავანგარდის მდგომარეობიდან აბორიგენის რანგში მოგვევლინა და, ლამის არის აუტსაიდერად იქცეს...

ეკონომიკურად დათრგუნვილი, სოციალურად დაუცველი, ფიზიკურად გატეხილი, შემოქმედებითად დაუკმაყოფილებელი მსახიობი ზნეობრივად დაკნინდა. ღირსებააყრილმა ბერიკამ დაკარგა სილაღე, თავისუფლების მოთხოვნილება, შეთხზვის ხიბლი... და ქართულ სცენასაც მნიშვნელოვნად დააკლდა ბერიკათა დღესასწაული, თავისუფალი გაქანება, მასშტაბური აზროვნება, ამაღლებული ვნებათაღელვა, თვით ბრძენი მინდიაც კი („ლამარა“) სოფლის გლახად გამოიყურება იმ სცენაზე, სადაც გუშინ ტირანიას ებრძოდნენ, ავტოკრატიას არ ეპუებოდნენ, „პოლიტიკურ თამაშობათა“ ცინიზმს ამხელდნენ. ამ მოვლენამაც ბევრად განაპირობა რეპერტუარიც, პიესების ინტერპრეტაციის სახეობაც. საწუხარი აი, ეს არის!

ჩვენს სადღეისო საზოგადოებრივ ცხოვრებას არაერთი უკეთურობა ახასიათებს. პრობლემები უმძიმესია და ქართული სცენა უთუოდ ამაღლებს საკუთარ როლს თანაცხოვრების მოწესრიგებაში, თუკი პოზიციას გაამჟღავნებს და შეეხმიანება დროის სულისკვეთებას. ახლა რამდენიმე მტკივნეულ საკითხს მივუთითებ, რომელთა სასცენო ადაპტაცია აუცილებელი და შესაძლებელი მგონია: ეროვნული ნიჰილიზმი, ეს წამლეკავი სენი ჩვენი ეროვნული თვითშეგნებისა, ახალგაზრდების გაუცხოება გენეტიკური ფესვებისაგან, საზოგადოების ნაწილის გაუცხოება სახელმწიფოებრივი იდეისაგან - განა არ არის თეატრის საფიქრალი? ნიკო ლორთქიფანიძის საგანგაშო შეძახილი - „იყიდება საქართველო!“ - განა ახლაც არ გვიფორიაქებს სულს? საქართველოს გულიდან მოგლეჯილი მიწა-წყალი, გახლეჩილი საზოგადოება, ეროვნული ცნობიერების მორყევა - არ არის განსჯის საბაბი? ეკონომიკური მიზეზით ქართველობის უცხოეთს გახიზვნა - არ არის მტკივნეული პრობლემა? პირადული ინტერესების გაფეტიშება და საერთო - სახალხო, სახელმწიფოებრივი პრობლემებისადმი გულგრილობა - არ არის მნიშვნელოვანი საკითხი? განა სცენაზე მთელი სისრულით წარმოჩინდა აპათიაში მყოფი, გულგატეხილი, ფიზიკურად დავრდომილი, ფსიქიკამორყეული, სამშობლოს ხვედრით გულაფორიაქებული, არარეალიზებული ადამიანის ყოფა და სულისკვეთება? განა საამისო მხატვრული ნიმუშების, ეროვნული ლიტერატურის ძეგლების მოძიება და მათი ადაპტაცია შეუძლებელია? როცა ჩვენს წინაშე ასეთი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემებია წამოჭრილი, თეატრი სქესთა ბრძოლის პროცესთა ჩვენებითა და იტალიური ნიღბების გახსენებით კი არ უნდა იყოს დაკავებული, არამედ დროის სულისკვეთებას უნდა ეხმიანებოდეს, პოზიციას ამჟღავნებდეს! ქართული სცენა, უწინარესად, ქართველი ერის, მოქალაქეების პიროვნული და ეროვნული ღირსების სადარაჯოზე უნდა იმყოფებოდეს!

არა მგონია არსებული რეპერტუარითა და პიესების მსგავსი ინტერპრეტაციით აღნიშნულმა თეატრებმა შესძლონ საზოგადოებრივი ცხოვრების პროტაგონისტის როლის შესრულება, ავანგარდის მდგომარეობისა და ქართული თეატრის ლიდერობის შენარჩუნება. ამაზე კი ნამდვილად ღირს დაფიქრება!

ნამდვილად ღირს დაფიქრება იმაზე, დღევანდელი სათეატრო ცხოვრება როგორ „დარჩება ხსოვნად შთამომავლობას!“



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ივანე ამირხანაშვილი



## გიშრის თვალი ქარვის კრიალოსანში

### აგიოგრაფიული თხზულების ავტორის შესახებ

რატომ არის, რომ თანამედროვე მკითხველის ცნობიერებაში აგიოგრაფია ბოლომდე ვერ შეერწყა ბელეტრისტიკას; რა მიზეზია, რომ ლიტერატურის ისტორიის ეს ორგანული ნაწილი განცალკევებით აღიქმება, ცალკე წარმოიდგინება, ცალკე მოჩანს, როგორც კუნძული ზღვაში... ნუთუ ამის მიზეზი ის არის, რომ საქმე გვაქვს სასულიერო მენტალიტეტთან, საეკლესიო კანონებთან, საღვთისმეტყველო განწყობილებებთან და, საერთოდაც, ღვთივსულიერ ტექსტთან? ან იქნებ ის, რომ აქ ჭარბად შეინიშნება საისტორიო თხრობის ელემენტები? განცალკევებისთვის სხვა მიზეზი მართლაც აღარ იარსებებდა, აგიოგრაფია ლიტერატურის ისტორიის ორგანულ ნაწილად რომ არ მიგვაჩნდეს, მაგრამ საქმეც ის გახლავთ, რომ იგი „ოფიციალურად" მწერლობის სრულიად „კანონიკურ", ღვიძლ ნაწილად არის აღიარებული.

მაშ, მოსაძიებელია რაღაც მიზეზი.

ჩემი აზრით, ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ის, რომ აგიოგრაფიული თხზულების ავტორი რეალურად არ ჩანს, თითქმის არაფერი ვიცით მისი პიროვნების, მისი ვინაობის და ბიოგრაფიის შესახებ. ხშირ შემთხვევაში იგი წაშლილია, როგორც პალიმფსესტის ძველი წარწერა.

კაცმა რომ თქვას, არც „ვეფხისტყაოსნის" ავტორზე ვიცით ბევრი რამ, მაგრამ ჩვენს წარმოდგენაში შოთა რუსთაველის პიროვნულ ხატს ბევრი არაფერი აკლდება.

აგიოგრაფია მაინც სხვა სფეროა, სხვა განზომილება, სხვა ჟანრი თუ გვარი, სადაც შეიძლება ისეც ხდებოდეს, რომ ავტორი თან საგანგებოდ მალავდეს და ჩქმალავდეს თავის პიროვნებას და თანაც თავს უფლებას აძლევდეს, შევიდეს ნაწარმოებში, მიუახლოვდეს პერსონაჟებს, განივთდეს და განეზავოს ტექსტში, თავის ქმნილებაში. ძველი ქართული ლიტერატურის პირველივე ძეგლი, პირველივე ტექსტი მეტისმეტად თვალსაჩინოდ ცხადყოფს აღნიშნულ ტენდენციას. გონების განსაკუთრებული დაძაბვა გვჭირდება იმის გასაგებად, თუ რატომ გვთავაზობს იაკობ ხუცესი მოულოდნელ ექსპოზიციას: „და აწ დამტკიცებულად გითხრა თქუენ..." მკითხველი, თუ ის მკვლევარის დაინტერესებით არაა აღჭურვილი და არარსებულ წინარე შესავალს, წინა ბჭეს თუ რაღაც ამგვარს არ ეძებს, ვგონებ, საკმაოდ ბუნებრივად აღიქვამს ასეთ დასაწყისს, ვინაიდან უბრალო შესავლის უფრო გენიალურად წარმოდგენა შეუძლებელია და, რაც მთავარია, ავტორი ტექსტშია, პერსონაჟთა შორის იმყოფება, როგორც ამბის მოწმე, ანუ მოწამე, შერწყმულია, შენივთებულია თავის ქმნილებას და ამიტომ საჭიროდ აღარ მიიჩნევს ტრადიციული საავტორო წინასიტყვაობით დაარღვიოს ეს მთლიანობა.

ძნელია, გარკვეული პასუხი გაეცეს კითხვებს: ვინ არის აგიოგრაფიული ნაწარმოების ავტორი - უბრალოდ მწერალი თუ განგების ნებით არჩეული პიროვნება? თვითონ ირჩევს თემას თუ, პირიქით, თემა ირჩევს მას?

წმინდანთა ცხოვრება, რომელსაც ავტორი ლიტერატურის ფაქტად და ისტორიის საკრალურ საგნად აქცევს, ერთი დიდი მთლიანობის ნაწილია, გაგრძელებაა ძველისა და დასაბამია ახლისა, მომავლისა, სადაც ამ წმინდა მოვლენის სულმა უნდა შევას და გამოაჩინოს გამგრძელებელნი წმინდანთა საქმისა, მომბაძავნი მათი სათნოებისა და სიქველისა.

წამინდანთა საქმენი საგმირონი, მათი ცხოვრება და მოქალაქეობა ზოგადად დაფიქსირებულია ღვთის მიერ, შენახულია უზენაეს მეხსიერებაში, ის მორწმუნეთა შეგნებაშიც არსებობს, როგორც ზოგადი ხსოვნა, მაგრამ, ვინაიდან ადამიანის მეხსიერება შეზღუდულია, ამიტომ, ფაქტი დავიწყებას რომ არ მიეცეს, საჭიროა ხსოვნის გარდაქმნა ტრადიციად, ისტორიულ დროში ჩასმა, გამიწიერება, საღვთო ზოგადობიდან კონკრეტულზე, შეცნობაზე დაყვანა. ამ საქმის აღსრულება ავტორს ევალება

ეროვნული ბიბლიოთეკა



და ისიც თავის საქმეს ისე აკეთებს, რომ ერთდროულად დამოუკიდებელიც არის და არც ტრადიციის მკაცრ ჩარჩოებს არღვევს. აღსაწერი ამბავი, ვითარცა ფაქტი, მისთვის აწმყოს, თანამედროვეობის ასპექტს წარმოადგენს, ამბის შინაარსი კი ტრადიციას.

ტრადიციის იმპერატიული ნებელობის გამოხატულებაა ისიც, რომ ავტორი თავისი ნებით არ ირჩევს თემას, მეტიც, შინაგანად, მორალურ-ეთიკური თვალსაზრისით, ეწინააღმდეგება მის მიღებას, მაგრამ ტრადიციას ბედისწერაზე ნაკლები ძალა როდი აქვს – ავტორი ღებულობს შეკვეთას, რომელსაც სთავაზობს სულიერი მამა ან ის ადამიანი, ვისაც ახსოვს ამბავი, ვინც ჩართულია ტრადიციის მდინარებაში. ავტორი საგანგებოდ აფრთხილებს მკითხველს, რომ ის მხოლოდ ამბის უბრალო პროეცირებას ახდენს და არ იყენებს მხატვრული გამონაგონის ხერხს, რომელიც, როგორც ჩანს, საერო მწერლობის პრეროგატივად და ტყუილ-საცთურის სათავედ, ანუ მინუს-ხერხად მიაჩნია.

ტრადიციის წინაშე ქედის მოხრის ნიშნად, აგიოგრაფოსი თავს ავალდებულებს, გააკეთოს განცხადება იმ საკითხის თაობაზე, რაც ისედაც ნათელია.

„ჩვენ თავით თვისით არარა აღვიწერია“, წერს გიორგი მთაწმიდელი და ამით იმდენად ფაქტის კონსტატაციას არ ახდენს, რამდენადაც თავის თავს აფიქსირებს ტრადიციის საზღვრებში.

თითქოს ყველაფერი განგების კარნახით იწერება, „გლახაკი“ ავტორის ნების გარეშე, ზეშთაგონების სიმლევის ზღვარზე, სადაც ავტორის, შემოქმედის რაციოზე ლაპარაკიც არ შეიძლება, მაგრამ ყოველივე ეს უმალ პოზად და არაფრისმთქმელ ეტიკეტად იქცევა, როგორც კი ავტორს დასცდება მტკიცე, გამომაფხიზლებელი ფრაზა: „ხოლო ჩვენ პირველსავე სიტყვასა მოვიდეთ“!

ეს ფრაზა ქართულ აგიოგრაფიაში რომ არ არსებულიყო, იგი უნდა გამოეგონებინათ.

ეს არის არა მარტო კომპოზიციური სალტე და ნაწარმოების ლოგიკური მოდელირების მექანიზმი, არამედ შემოქმედებითი ბუნების ხმაც, რომელიც სტიქიურად აღმოცენდება ავტორის განწყობილებაში, როგორც შინაგანი იმპერატივი და აუცილებელი პირობა შემოქმედებითი თვითგამოხატვისა, მწერლური შესაძლებლობების თვითრეალიზაციისა. ეს მკითხველის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობის ნიშანიც არის და, სიმართლე რომ ითქვას, აგიოგრაფიულ ნაწარმოებში იშვიათია ადგილი, სადაც ავტორს ავიწყდება ან ვეღარ გრძნობს მკითხველსა და მსმენელს. პირიქით, მთელი აქცენტი აქეთ აქვს გადატანილი, მეტისმეტი პასუხისმგებლობითა და სიფაქიზით ეკიდება მკითხველის ყურადღებას და ესოდენი გულმოდგინება ზოგჯერ ისეთ ინტიმში გადაიზრდება, ლამის აღარც დაიჯერო, რომ ეს ყოველმხრივ თავშეკავებულ აგიოგრაფოსს დასცდა და უნებლიეთ გაამჟღავნა ის, რასაც მალავდა.

გიორგი ხუცესმონაზონი, „იოანეს და ეფთვიმეს ცხოვრების“ ავტორი, ხაზგასმული სიამაყით აღწერს ლეონ რომაელისა და გაბრიელ ქართველის ურთიერთობის ამბავს: მათ ერთმანეთის ენა არ იცოდნენ, მაგრამ შეეძლოთ მწუხრიდან ცისკრამდე მსხდარიყვნენ და ტკბილად ემასლაათათო. ათონზე ახლად ამოსული რომაელი სათნოდ ეთვისება ქართველებს მაშინ, როცა ლამის თანშეზრდილი ბერძნები მტრობისა და განხეთქილების ცეცხლს აღვივებენ. გიორგის ამ მორალური ანტინომიის გამოკვეთა სურს, უნდა, რაც შეიძლება თვალსაჩინოდ დაგვანახოს ბერძნების უსამართლობა და ამ დროს ვეღარ ამჩნევს, როგორ ვარდება სანტიმენტალიზმში, რომელიც, ასე მგონია, ათონელ ქართველ მამათა საერთო განწყობილების მახასიათებელი უნდა იყოს.

სხვათა შორის, გიორგი ხუცესმონაზონი ხასიათით თავის პერსონაჟს ეფთვიმეს ჰგავს – ისიც იმასავით გაურბის ამსოფლიურ შფოთსა და ამაოებას, მაგრამ, თავმდაბლობის მიუხედავად, შინაგანად უჭირს ნეიტრალიტეტის დაცვა, უსამართლობას ვერ ითმენს და განწყობილებას იმპულსურად გამოხატავს. ისიც უნდა ითქვას, რომ რომაელის ამბის გამო გამჟღავნებული გიორგის სანტიმენტალურობა და ეფთვიმეს მამის იოანეს „სპანიად“ გაქცევა ქართულ-ეროვნული ხასიათის კლასიკური გამოვლინებებია. უცხო ტომის წინაშე დამთმობი და ტოლერანტული კომპლექსებით შეპყრობილი იოანე და გიორგი გარეგნულად კი იბრძვიან მამაპაპათაგან ნაანდერძევი ათონის შესანარჩუნებლად, მაგრამ შინაგანად, გულისგულში, უთმობენ ბერძნებს. ქართული ხასიათის ამ თვისებაზე გიორგი თვითონ წერს: „ვითარცა უწყით ყოველთა, ადრე შევირყევით... და ამით მიზეზითა ფრიად ვავნებთ თვისთაცა სულთა და ადგილსაცა“ ( XIX თავი). თავშეკავებული და ზედმიწევნით კორექტული გიორგი გამოთქვამს, ერთი შეხედვით, სუბიექტურ, მაგრამ, როგორც ჩანს, მაინც საკმაოდ ცნობილ აზრს ქართული ხასიათის შესახებ. ეფთვიმეს მემკვიდრე გიორგი წინამძღვარიც ხომ „ადრე შეირყა“ და „ბერძენნი ფრიად რაიმე შეიყვარნა და განამრავლნა და სრულიად მათდა მიმართ მიდრკა, ხოლო ქართველნი, ვითარცა ნამსახურნი რაიმე და უნდონი, უგულებელსყვნა და შეამცირნა“ (თ. XIX). აკი ისარგებლეს ბერძნებმა და დაიწყეს ქართველთა აღმოფხვრა ლავრიდან, რომელიც ქართველთა ოფლითა და ღვაწლით იყო აგებული. ქართველთა შორის ბევრი შინაგამცემი აღმოჩნდა და საქმეს ვეღარც იმ მოსახსენებელმა უშველა, საძმომ რომ შეადგინა. ბევრი ეორგულა წმიდა ადგილს, „საფასის სიხარბითა“ და ბერძენთა „სიყვარულით“ გასცეს და გაყიდეს მთაწმიდა.

საყურადღებოა, რომ ნაწარმოების თავში

გიორგი მხოლოდ გაკვრით, მინიშნებით ახსენებს მთაწმიდის ქართული ლავრის საკითხს, ბოლოში კი მთელი სისრულით წარმოადგენს მას. რატომ? რა მიზეზია, რომ თხზულების დასაწყისში ავტორი გაურბის ამ თემაზე საუბარს? უბრალოდ, გიორგი ერიდება არააგიოგრაფიული ეპიზოდის წინ წამოწევას და მართალიც არის, რადგან ეს მეტად ფაქიზი თემა ექსპოზიციაში ან მომდევნო ნაწილში უთუოდ გამჟღავნებულ სახეს მიიღებდა. ფარულ იმპულსებს აყოლილ ავტორს ისიც ემჩნევა, რომ არანაირად არ სურს დაკარგოს სათხრობი მასალის ფლობის შეგრძნება, ვინაიდან იცის, თუ ამბის ქვეტექსტური შრეების კონტროლი ხელიდან გაუშვა, მაშინ ამბავიც კვდება და იდეაც. ამიტომ, როგორც ჭეშმარიტი აგიოგრაფოსი, უახლოვდება, შედის და განიზავება თავის მასალაში, ასე ვთქვათ, ახდენს თვითინიციაციას სუბიექტივაციის მიზნით. რეალისტური ნაწარმოების ავტორს თუ შევხედავთ, იგი, პირიქით, ცდილობს, დასცილდეს მხატვრულ სინამდვილეს, თავისი ფანტაზიით შექმნილ სამყაროს, თავის „მე"-ს, ივიწყებს სიმპათია-ანტიპათიებს, ემორჩილება ობიექტივაციის წესებს.

როცა აგიოგრაფიული ნაწარმოების ავტორზე ვსაუბრობთ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავითვალისწინოთ ის სინამდვილე, რომელშიც თხზულება იწერება. „სინამდვილეში", ცხადია, ვგულისხმობ ეპოქის იდეოლოგიური, ისტორიული, ფილოსოფიური, მორალურ-ეთიკური და ესთეტიკური თვალსაზრისების ერთობლიობას. ამ პრობლემის სირთულეს შესანიშნავად გრძნობენ თვით აგიოგრაფოსები და ამიტომაც თითქმის არც ერთი მათგანი ხელიდან არ უშვებს შესაძლებლობას, საკუთარი შემოქმედებითი „მე"-დან გამოდევნოს ნაწარმოების შექმნის, ზოგადად ქმნადობის იმპულსი და იკისროს შუამავლის ფუნქცია უზენაესის ნებასა და ტექსტს შორის.

„იოვანესა და ეფთვიმეს ცხოვრების" ავტორი გიორგი მთაწმიდელი კი აცხადებს: ჩვენ თავით თვისით არარა აღგვიწერიაო და თითქოს ნათქვამის გასამართლებლად ტექსტში ხშირად იმოწმებს ათონის ლავრის ანალებს, მაგრამ იგი, ფაქტობრივად, დაინტერესებული პირია და ნებით თუ უნებლიეთ, დგას იმ გაჭიანურებული კონფლიქტის ცენტრში, რომელიც იოანეს გარდაცვალების შემდეგ დაიწყო და დიდხანს მიმდინარეობდა მთაწმიდაზე მონასტრის წინამძღვრებსა და ბერობას შორის. ამდაგვარი „თეორიული" ნეიტრალიტეტის პარალელურად მკაფიოდ მოჩანს და სავსებით აშკარაა ტექსტის მეორე რეალობაც - ავტორი, როგორც კი ხელს ჰკიდებს წმინდანის ცხოვრების აღწერას, ის უმალ ხდება მოწმე თავისი გმირის ღვაწლისა და ამ მოვალეობას აგიოგრაფოსი მთელი ღირსებით კისრულობს, შეგნებულად ხდება პასუხისმგებელი ეკლესიისა და თაობათა წინაშე, წინაშე სიტყვისა და დროისა.

მიხაილ ბახტინი აგიოგრაფოსს ადარებს აკვარიუმში გამომწყვდეულ თევზს, რომელიც ვერასოდეს გააღწევს შუშის კედლებს მიღმა, მაგრამ, ვგონებ, არც ისეა საქმე, როგორც ეს ლამაზი და ეფექტური შედარება წარმოგვიდგენს. გარკვეული თვალსაზრისით თუ შევხედავთ, აგიოგრაფოსს საკმაო თავისუფლება აქვს იმისთვის, რომ აკვარიუმი ოკეანედ წარმოიდგინოს.

საკითხის კვლევისას წინ მოიწევს პრობლემა: ავტორი, როგორც წმინდა სუბიექტი და ავტორი, როგორც ნაწარმოების ნაწილი, კომპოზიციური წესრიგის ერთეული.

ე. წ. „წმინდა ავტორის" დანახვა ყოველთვის შეიძლება, რადგან ის არსებობს, როგორც ტექსტის შემოქმედი, მაგრამ გაცილებით ძნელია „ავტორიობიექტის" დანახვა ტექსტში. შემოქმედი ყოველთვის არ გადადის თავის ქმნილებაში, როგორც „ხატი", „სახე", თუმცა ეს გადასვლა რაღაც ფორმით ყოველთვის არსებობს. სხვა შემთხვევებზე რომ არაფერი ვთქვათ, ავტორი განფენილია ტექსტში, მთელ ნაწარმოებში, იგი წარმოადგენს ქმნილების მთლიანობისა და სისრულის გარანტს.

ტექსტის შექმნით აგიოგრაფოსი აყალიბებს საკუთარ თავს - როგორც ავტორს! თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ტექსტის მეშვეობით შესაძლებელია ავტორის პიროვნების მთლიანობაში დანახვა.

ავტორი შეიძლება დავინახოთ დეტალებში, რომლებიც ნაწარმოებში განსაკუთრებულ ფუნქციას ატარებენ და გამოყენებული არიან მკითხველის ყურადღების საორიენტაციოდ, კერძოდ, იქ, სადაც ავტორი განსაკუთრებით ცდილობს თავისი პოზიციის ან თვალთახედვის გამოკვეთას.

მაგალითად, ავტორის პიროვნება სრულებით არ ჩანს „აბიბოს ნეკრესელის წამებაში", მაგრამ თხზულებაში შესანიშნავად ვხედავთ მის შემოქმედებით ინდივიდუალობას - მძაფრი პოლემიკური ტონი და შემართება მთლიანობაში ახასიათებს ავტორის შინაგან ბუნებას და ეს არაპირდაპირი, ტექსტური დახასიათება უფრო საგულისხმო ინფორმაციას იძლევა ავტორის ხასიათზე, ვიდრე ამას მოგვცემდა პირდაპირი ცნობები მის ვინაობაზე. თხზულებაში მთავარია ეპიზოდი, როცა სოფელ რეხში იმართება საჯარო სიტყვისგება მარზპანსა და აბიბოს ნეკრესელს შორის. გარეგნულად ამბავი პოლემიკას ჰგავს, მაგრამ, ფაქტობრივად, ეს არის დაკითხვა, სადაც ბრალდებული ბრალმდებლად გადაიქცევა. არადა, პოლემიკა უნდა გამართულიყო, სიტუაციაც ამას მოითხოვდა. დაპირისპირება ხომ მეტად ნიშნეულია: ცეცხლთაყვანისმცემელი მარზპანი ქრისტიანი მღვდელმთავრის წინააღმდეგ! მაგრამ ავტორი ვერ ითმენს, ჩქარობს, მისი ფიცხი ბუნება პოლემიკის მონოტონურ რიტმს ვერ ეგუება და ამიტომაც სიტყვისგება წარმოგვიდგება ეპისკოპოს აბიბოს ნეკრესელის მონოლოგად, რომელშიც ცეცხლთაყვანისმცემლობა უნუგეშოდაა გაცამტვე-

რებული. მარტო აღნიშნულ ეპიზოდში არ იკითხება ავტორის ხასიათი, მთელი ტექსტი იძლევა ამგვარი წაკითხვის, ამგვარი რეცეფციის საშუალებას.

„შიოს და ევაგრეს ცხოვრების“ ავტორი მარტვირი-იოანე, მთავარი გმირისადმი დიდი მოკრძალების მიუხედავად, მოულოდნელად იმგვარ უშუალობას ავლენს, რომ ეს წამიერი გადახვევა პოეტურ ლიცენციადაც კი შეიძლება ჩაითვალოს. მაშ, რა ვუწოდოთ მარტვირი-იოანეს ლირიკულ აღტყინებას და ანაზდად წარმოთქმულ ეპითეტს: „ჩემი... შიო“? ალბათ, ეს არის თავისუფლების ნორმის ის მაქსიმუმი, რასაც ავტორი თავის თავს უწესებს. აი, ეს სიტყვები: „და ყვავიან სახლსა შინა ღმრთისასა, ვითარცა ვარდნი შვენიერნი, და ვითარცა შროშანნი სულნელნი, რომელთაგანი ერთი არს ჩემი ყოვლად-სასურველი, ღმრთივ ცნობილი, წინაისწარ და მიერვე გამორჩეული, სამგზის სანატრელი შიო“ (ძეგლები, წ. III, გვ. 108).

ერთი სიტყვით, აგიოგრაფიული ჩარჩოები შემოქმედის ინდივიდუალობას ისე არ ზღუდავს, რომ შეუძლებელი იყოს ავტორის დანახვა. მეტიც, ტექსტის რეალიებში აგიოგრაფოსის პიროვნულ-შემოქმედებითი ხასიათიც კი იგრძნობა. რომელი დაკვირვებული მკითხველი იტყვის, რომ არ შეუძლია ერთმანეთისგან განარჩიოს თავდაჭერილი იაოკბ ხუცესი და ენაწყლიანი, ლამის ეგზალტირებული ბასილ ზარზმელი; ან – რომ ვერ ხედავს განსხვავებას ხაზგასმულად დინჯ გიორგი მერჩულესა და პოეტურად განწყობილ იოანე საბანისძეს შორის, ზედმიწევნით პუნქტუალურ სტეფანე მტბევარსა და რეალისტ გიორგი მთაწმიდელს შორის და ა. შ.

აგიოგრაფოსს, როგორც ღვთისმსახურს, როგორც ღვთის მონას, შემოქმედებითი თავისუფლების თვალსაზრისით, მრავალი დაბრკოლება ელობება წინ, უპირველეს ყოვლისა – ჟანრობრივი ჩარჩოები. თუმცა ასეთი შეზღუდვები გარკვეულ შემთხვევებში ხელსაც კი უწყობს, რომ თხრობა ზომიერ, ბუნებრივ ტონალობებში წარმართოს და ამით მოცემული მასალის ობიექტივაცია, ანუ ჩანაფიქრის რეალიზება უფრო შთამბეჭდავი ფორმით მოახდინოს.

რამდენადაც სასულიერო მწერლობას ვიცნობ, აგიოგრაფოსს, ფაქტობრივად ეკრძალება გრძნობიერების, აღტაცების გამოხატვა, თუ ეს გმირს ან მასთან დაკავშირებულ მოვლენებს არ ეხება. საერო მწერლობაში ამგვარი შეზღუდვა არ არსებობს. საერო მწერალს, რომელსაც უდიდესი თავისუფლება აქვს და შეუძლია, როგორც უნდა, ისარგებლოს შეუზღუდავი საშუალებებით, გარკვეულად მართლაც უპირატესობა აქვს აგიოგრაფოსთან შედარებით, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ამ უკანასკნელს სწორედ ნორმატიული შეზღუდვა იცავს ისეთი ზედმეტობებისგან, რაც ხშირად მოსდით საერო მწერლებს, როცა ისინი შთაბეჭდილების ან ეფექტურობის გაძლიერების მიზნით გამოხატვის მაღალ რეგისტრს მიმართავენ და ამით ყალბ პათეტიკაში ვარდებიან.

ბოლოს და ბოლოს, თხრობის ხელოვნება იმისთვის არსებობს, რომ მთხრობელი რაც შეიძლება საინტერესოდ მოყვეს ამბავს და რაც შეიძლება მეტი ადამიანის გულისყური მიიპყროს. დაინტერესების მომენტი კი ისეთი ფაქტორია, რომ ავტორი ძალაუნებურად ემორჩილება თხრობის სტიქიას და ხელთ არსებული ყველა საშუალებით ცდილობს მკითხველის ყურადღების მიპყრობას. არ არსებობს შემოქმედი, მწერალი იქნება ეს თუ კომპოზიტორი, რეჟისორი თუ მოქანდაკე, მხატვარი თუ მსახიობი, რომ თავის თავში არ ეძებდეს რეციპიენტის, ანუ აღმქმელის მაქსიმალური დაინტერესების ფარულ ინტრიგას.

აგიოგრაფოსი, როგორი მზამზარეული მასალაც უნდა ჰქონდეს და რაოდენ რთული კონვენციური ჩარჩოებიც უნდა ზღუდავდეს, უპირველეს ყოვლისა, მწერალია, ტექსტის ავტორია და თავისი ფსიქოლოგიური მზაობით ზუსტად შეესაბამება შემოქმედის ტიპს, რომლისთვისაც მკითხველის დაინტერესებას გადამწყვეტი, შეიძლება ითქვას, საარსებო მნიშვნელობა აქვს.

აგიოგრაფოსი, ევანგელისტის მსგავსად, ნათელხილვას ანდობს თავის შთაგონებას, მაგრამ თხრობის პროცესში ეს მომენტი თავისთავად ფსიქოლოგიურ განწყობად გარდაიქმნება, რაც საშუალებას აძლევს, უხვად გამოიყენოს უკვე ხელთ არსებული დოკუმენტური მასალა, ხოლო ნათელხილვის, ანუ გამოცხადების მომენტი, როგორც კომპოზიციური აქცენტი, თხზულების საკვანძო ადგილებისთვის შემოინახოს.

შემოქმედებითი აქტი არის ხანგრძლივი და რთული პროცესის ნაწილი, სადაც მთავარ როლს თამაშობს განწყობა და ნებისყოფა.

ქართულ ლიტერატურისმცოდნეობაში იყო და არის სერიოზული ცდები იმისა, რომ მხატვრული შემოქმედების ზოგიერთი ასპექტი განხილულ იქნას დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიის შესაბამისად (აკაკი ვასაძე, რევაზ სირაძე). ყოველგვარი მხატვრული ტექსტი, რა ეპოქას და ჟანრსაც უნდა განეკუთვნებოდეს, საბოლოო ჯამში განიხილება როგორც პროდუქტი ავტორის ინსპირაციის, ანუ შთაგონებისა, რის საფუძველსაც წარმოადგენს ზოგადი ფსიქოლოგიური კომპლექსი. დიმიტრი უზნაძის აზრით, მხატვრულ შემოქმედებას საფუძვლად უდევს განწყობა, რომელიც შთაგონების (ინსპირაციის) წინა პერიოდში მზადდება და ცნობიერებაში მერე იჩენს თავს. შთაგონება, ანუ ინსპირაცია წარმოადგენს განწყობის მომწიფების გამოვლენას ცნობიერებაში (დ. უზნაძე. შრომები, ტ. III - IV, გვ. 601). ჩვეულებრივ, ეს მართლაც ასეა, მაგრამ დიმიტრი უზნაძეს თავისი თეორიის ჩამოყალიბებისას აგიოგრაფოსის შემოქმედებითი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნატურაც რომ გაეთვალისწინებინა, მაშინ მას მოუწევდა დაეშვა ანტითეზისი, ესე იგი, მხედველობაში მიეღო საპირისპირო დასკვნაც. საქმე ის არის, რომ, თუკი საერო ხელოვნებაში განწყობის მეშვეობით ხორციელდება გზა: ინსპირაცია - ცნობიერება, აგიოგრაფიაში, პირიქით, განწყობის მეშვეობით ხდება გადასვლა: ცნობიერება - ინსპირაცია. ეს არის ის ძირითადი მომენტი, რითაც საეკლესიო მწერლობა განსხვავდება საერო მწერლობისაგან და, ალბათ, აქ უნდა ვეძებოთ იმ განცალკევების კომპლექსის ერთ-ერთი მიზეზი, რაზედაც თავში მოგახსენებდით, და რის გამოც აგიოგრაფია ლიტერატურის ისტორიაში ისე მოჩანს, როგორც კუნძული ზღვაში ან გიშრის მარცვალი ქარვის კრიალოსანში.

აგიოგრაფოსს შეკვეთით ეძლევა თემა და ის ყველანაირად ცდილობს, მოიახლოვოს ინსპირაციის (შთაგონების) მომენტი, რისთვისაც მიმართავს განწყობის ინტენსიფიკაციას. თხზულების შესავალში მის მიერ გამოხატული თვითგვემამდე მისული თავმდაბლობა, - რომ ის არის ყოვლად უღირსი, უძლური, კადნიერი, უგუნური, „სულელთა ყოველთა უდარესი“ და ა. შ., წარმოადგენს ცნობიერი ინსპირაციის საშუალებას. ამგვარი გზით იგი განაწყობს თავს ღვთივსულიერი ტექსტის შესაქმნელად, თითქოს თავისუფლდება გონისაგან, რათა ადგილი დაუთმოს წმინდა შთაგონებას.

აგიოგრაფიის კლასიკური ხანის ეს იმანენტური კომპლექსი შემდგომში ირღვევა და უბრალო ეტიკეტის შინაარსს იძენს. მაგალითად, ეგრეთ წოდებული აღორძინების ხანის აგიოგრაფოსი გრიგოლ დოდორქელი - ვახვახიშვილი, რომელმაც აღწერა ცხოვრება და წამება ქეთევან დედოფლისა, ერთი შეხედვით, ძველ ტრადიციებს მისდევს, მისი თხზულების შესავალში ის რეალიებიც გაკრთება, რომლებსაც ძველ ავტორთა შინაგანი ბუნების გამოვლინებად და ინსპირაციის მომენტად მივიჩნევთ - „სიტყვანი ჩემნი კნინ და შეურაცხ...“ ან „მაიძულეს მე კაცთა ვიეთმე ღმრთის მოყვარეთა“ და მისთანანი - მაგრამ ტექსტში მაინც იგრძნობა დისტანცია ტრადიციის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ენობრივ-სტილური თვალსაზრისით გრიგოლი ზედმიწევნით ზუსტად იცავს ქართული აგიოგრაფიის კლასიკურ ფორმას, შინაარსობრივ ასპექტში ისტორიული ჟანრის გავლენას განიცდის. ერთი სიტყვით, ავტორის ფსიქოლოგიურ განწყობაში შეიჭრა რაღაც განსხვავებული, არატრადიციული მოტივი - დროის, ეპოქის ნიშანი, რომელმაც უფრო გამოკვეთა და ცხადყო, რომ კლასიკური პერიოდის ქართული აგიოგრაფია, როგორც თავისთავადი მოვლენა, დასრულებული, ჩაკეტილი სისტემა იყო და მისი გახსნა მხოლოდ პირობითობის დონეზე თუ შეიძლებოდა, დაახლოებით ისე, როგორც კლასიცისტებმა „გახსნეს“ ძველი ბერძნული დრამა. კლასიციზმი შემთხვევით არ მიხსენებია - ანტონ კათალიკოსის „მარტირიკაში“ წარმოდგენილი აგიოგრაფიული თხზულებების სტილისათვის მართლაც საკმაოდ ნიშნეულია კლასიციზმისათვის დამახასიათებელი რაციონალიზმი, მონუმენტურობა და სქემატურობაც კი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მაია არველაძე

## როგორ იწერებოდა პოემა „პატარა კახი“

აკაკი წერეთლის პოემა „პატარა კახმა“ მეტად საინტერესო შემოქმედებითი გზა განვლო. 1886 წელს პოეტმა საცენზურო კომიტეტს დასადგმელად წარუდგინა ისტორიული დრამა „ირაკლი ბატონიშვილი“, რომელიც კომიტეტმა აკრძალა. 1887 წელს აკაკიმ იგივე თხზულება სხვა სათაურით - „გელა“ კვლავ წარუდგინა საცენზურო კომიტეტს, მან ამჯერადაც უარი განუცხადა ავტორს. 1889 წელს აკაკიმ ნაწარმოები დრამატული პოემის სახით წარუდგინა იმავე საცენზურო კომიტეტს და მისი სცენაზე დადგმის თანხმობა მიიღო.

„პატარა კახის“ ხუთი ხელნაწერი არსებობს, რომელთაგან ორი დაცულია საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო არქივში /ფ. 480. №793; ფ. 480.№925/, ორი - ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის ფონდში /შ.II, 421; ფ.II, 420/, ხოლო ერთი შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ბიბლიოთეკა-მუზეუმის ფონდში /№685/. ამათგან ოთხი, „ირაკლი ბატონიშვილი“ და „გელა“, ისტორიული დრამებია, ხოლო ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში დაცული ხელნაწერი არის დრამატული პოემა „პატარა კახი“.

ჩვენ შევისწავლეთ ამ პოემის ლიტერატურული, ისტორიული და ფოლკლორული წყაროები /ჟურნ. „მნათობი“, 1997, №№11-12, გვ. 200/. აგრეთვე, დავადგინეთ, რომ „ირაკლი ბატონიშვილი“ და „გელა“ ამ პოემის ვარიანტები კი არ არის, როგორც ამას ი. გრიშაშვილი მიუთითებს თავის გამოცემაში /აკ. წერეთელი, თხზ.-თა სრ. კრ., ტ. VI, 1956, გვ. 386, 406/, არამედ პოემის პროზაული რედაქციებია /ჟურნ. „საქართველო“, 1998, №3/. პოემა „პატარა კახი“ კი ამ თხზულების მესამე - პოეტური რედაქციაა.

ამჯერად შევეხებით საკითხს, თუ როგორ იქმნებოდა პოემა ამ ორი პროზაული რედაქციისაგან. კერძოდ, თუ რა ხასიათის - ჟანრული, სტილური, კომპოზიციური, ტექსტუალური თუ იდეოლოგიური ცვლილებები განიცადა ნაწარმოებმა ამ პროცესში.

დრამები „ირაკლი ბატონიშვილი“ და „გელა“ „პატარა კახის“ პროზაული რედაქციებია და დაწერილია ლექსნარევი პროზით. „პატარა კახი“ თავიდან ბოლომდე ლექსად არის დაწერილი და პოემას წარმოადგენს. ე.ი., ავტორმა ორი პროზაული რედაქციიდან პოეტური რედაქციის შექმნისას შეცვალა არა მარტო სტილი, არამედ ჟანრიც და თითქმის ტექსტის შეუცვლელად მიიღო დრამატული პოემა. თუმცა აქ გვინდა ერთი შენიშვნა გავაკეთოთ: „პატარა კახის“ პოეტურ ხელნაწერს, რომელიც ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში ინახება, აკლია თავფურცელი. ჩვენი ვარაუდით, ამ ფურცელზე უნდა ყოფილიყო მოცემული ნაწარმოების სათაური ქვეშ გაკეთებული მინაწერით: „ისტორიული დრამა“. ჟანრობრივი განმარტება - „ისტორიული დრამა“ ჩვენ იმიტომ ვივარაუდეთ, რომ 1890 წელს გრ. ჩარკვიანის სტამბაში წიგნად გამოცემული ნაწარმოები „პატარა კახი“ განმარტებულია, როგორც „ისტორიული ხუთ-მოქმედებიანი დრამა“. დაახლოებით იგივე განმარტება ერთვის თან 1897 წელს „აკაკის თვიურ კრებულში“ შეტანილ ამ ნაწარმოებსაც.

სანამ ისტორიული დრამა საბოლოო სახეს მიიღებდა და ა. წერეთელი მას დრამატულ პოემად აქცევდა, ამ ნაწარმოებმა, შეიძლება ითქვას, ხანგრძლივი და საინტერესო გზა გაიარა „ირაკლი ბატონიშვილიდან“ ჯერ „გელა“-მდე, ხოლო შემდეგ „პატარა კახამდე“. საცენზურო კომიტეტისათვის თვალის ახვევის მიზნით ავტორმა ჯერ მთავარი მოქმედი პირი შეცვალა და შესაბამისად სათაურიც შეუცვალა, ხოლო შემდეგ ისევ უფლისწულის ფიგურა წამოსწია წინ და სათაურში კვლავ ყმაწვილი ერეკლე წარმოადგინა, მაგრამ არა „ირაკლი ბატონიშვილის“ სახელით, არამედ ამ შემთხვევაში მგოსანმა ხალხის მიერ შერქმეული სახელი - „პატარა კახი“ აირჩია.

ისტორიული დრამებიდან დრამატული პოემის ჩამოყალიბებისას ავტორი ითვალისწინებს ორივე პროზაულ რედაქციას, თუმცა კომპოზიციურად უპირატესობას ანიჭებს „გელას“. საბოლოოდ ცვლილებებმა ასეთი სახე მიიღო:

1. აღდგა პირველი პროზაული რედაქციის მოქმედებათა რაოდენობა და იგი კვლავ ხუთმოქმედებიანად იქცა.

2. „გელა“-სთან შედარებით გამოსვლათა რაოდენობა 28-დან 27-მდე შემცირდა.

3. რაც შეეხება ნაწარმოების მოქმედებების რაოდენობას, „პატარა კახი“, „ირაკლი ბატონიშვილის“ მსგავსად, ხუთი მოქმედებისაგან შედგება.

„გელას“ ხელნაწერში მეორე მოქმედებაში არის პატარა მოცულობის, რიგით მერვე, გამოსვლა, რომელშიც მოხუცი გელასა და მისი ქალიშ-

ვილის მოკლე დიალოგია მოცემული. ეს გამოსვლა აკაკის „პატარა კახში“ აღარ გადაუტანია, რის გამოც პოემაში, შესაბამისად - მესამე მოქმედებაში, ცხრა გამოსვლის ნაცვლად მივიღეთ რვა გამოსვლა.

პოემა „პატარა კახის“ მეოთხე მოქმედების პირველ სცენაში აკაკიმ ერთ გამოსვლად გააერთიანა, დრამა „გელას“ შესაბამისად, მესამე მოქმედების მეორე სცენის პირველი და მეორე მოქმედებები.

პოემა „პატარა კახის“ კომპოზიციამ, კერძოდ კი გამოსვლათა განსხვავებამ, გვიჩვენა, რომ იგი ამ მხრივ დრამა „გელას“ მისდევს.

ისტორიული დრამებიდან დრამატული პოემის შექმნისას ავტორმა განახორციელა მთელი რიგი ტექსტუალური ცვლილებები:

1. ლექსი „მუმლი მუხასა“, რომელიც მეორე პროზაულ რედაქციაში ცენზურის ზეგავლენით ამოიღო, კვლავ შეიტანა პოემაში.

2. მოახდინა ზოგიერთი იდეური ხასიათის ცვლილება. კერძოდ, შეზღუდა ქალ-პერსონაჟთა ბრძოლაში მონაწილეობა; სამაგიეროდ, ერთგვარად წინ წამოსწია გმირ ქალთა სამშობლოსათვის თავდადების ფაქტები.

3. ლეგენდას ქოშის გორის შესახებ პოემაში ავტორმა მეტი ემოციური დატვირთვა შესძინა.

4. ახალგაზრდა უფლისწულის - პატარა კახის გმირული და პატრიოტული შემართების წარმოსაჩენად შეცვალა ზოგიერთი პასაჟი და პოემას რამდენიმე დიალოგი დაუმატა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, პოემა „პატარა კახი“ ამ თხზულების მესამე - პოეტურ რედაქციად წარმოგვიდგება.

რედაქციულ განსხვავებებში ერთ-ერთი მთავარი ადგილი იდეური ხასიათის ცვლილებებს ენიჭება. იდეური ხასიათის ცვლილებად მოცემულ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს „პატარა კახის“ რედაქციებში ბრძოლის ველსა თუ მის ზურგში ქალების მამაკაცებზე არანაკლებ საპასუხისმგებლო როლის ან ხაზგასმა, ან უგულებელყოფა.

პოემის ტექსტში უხვადაა პატრიოტული მოტივით, იდეური თვალსაზრისითა თუ, უბრალოდ, ტექსტის პოეტურად გამართვის აუცილებლობით გამოწვეული ცვლილებები. დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ ამ სახის ყველა ცვლილება რედაქციულ სხვაობას წარმოადგენს და, თავისთავად, დრამა „გელა“, დრამა „ირაკლი ბატონიშვილის“ მსგავსად (რადგანაც ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ნაწარმოებ „გელას“ რედაქციაა) პოემა „პატარა კახის“ პროზაულ რედაქციას წარმოადგენს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათელა ნაკუდაიძე

# ქართული სალიტერატურო ენის დასაბამი

რევაზ თვარაძე ერთგან წერს: „ერთი ბედნიერი თვისება გამოარჩევს ქართულს ძველი კულტურის მქონე სხვა ხალხთა ენებისაგან: ქართული სალიტერატურო ენა ერთიანია და განუყოფელი. თხუთმეტი საუკუნის წინანდელი ნაწარმოებები თითქმის თანადროულივით გასაგებია განათლებული მკითხველისათვის“. (რ. თვარაძე. „მხატვრული სიტყვით გაცხადებული სული“. ქართული მწერლობა. ტ. 1. გვ. 7). გვინდა შევნიშნოთ, რომ ენა უფრო ერთიანი და განუყოფელი, უფრო თანადროულივით გასაგები იქნებოდა ყველა დონის მკითხველისთვის, უჩვეულო გარემოში რომ არ აედგა ფეხი – ბერძნული ენიდან ნათარგმნი ბიბლიური წიგნების წიაღში.

თამაზ გამყრელიძე მიიჩნევს, რომ ქართული დამწერლობის შექმნა ემთხვევა საქართველოში ქრისტიანობის შემოღების ხანას: „ქრისტიანობა იმთავითვე იყო მწიგნობრული რელიგია“. „მწიგნობრობისა და მწერლობის განვითარებას საკუთარ ეროვნულ ენაზე, ეროვნული ენისათვის ახალი დამწერლობის შექმნას და ნათარგმნი თუ ორიგინალური ძეგლების შეთხზვას“ სტიმულს აძლევდა სწორედ ეს ნიშანი ამ რელიგიისა. (თ. გამყრელიძე, წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა თბ. 1988 გვ. 197). იგი, აგრეთვე, ვარაუდობს, რომ ქართველებს ქრისტიანობამდეც ჰქონდათ გარკვეული წერილობითი ტრადიციები, რაც განდევნა ახალმა რელიგიამ (დასახ. ნაშრომი).

სავსებით დამაჯერებლად მიგვაჩნია პირველი დასკვნაც და მეორეც.

ბერძნულ წინდებულებზე დაკვირვების მიზნით (გვაინტერესებდა მათი გადმოტანის საკითხი ქართულ ოთხთავში) მოგვიხდა ბერძნულ-ქართული სახარების პარალელური წაკითხვა და მოწმე აღმოვჩნდით უამრავი ბერძნიზმისა, რაც მხოლოდ ტექსტის ზედაპირზე ტივტივებს. სიღრმეებში წვდომა შორს წაგვიყვანდა, თუმცა ასეთი სამუშაოს ჩატარება ბევრ საინტერესოს გვპირდება. მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების საშუალებას მოგვცემს ზმნის გადმოტანაზე დაკვირვება, ასევე უღლებების თარგმნის საკითხის შესწავლა, რომ აღარაფერი ვთქვათ სიტყვათა წყობისა თუ წინადადებათა წყობის შესახებ.

დღეისთვის, მოგეხსენებათ, გაურკვეველია ქართული ოთხთავის წარმომავლობის საკითხი. მეცნიერთა ნაწილი (კონიბერი, ლენგი, ლეიკი, ნიუ) ქართული ოთხთავის დედნად სომხურს მიიჩნევდა, ხოლო მეორენი (სერებრიაკოვი, კ. დანელია) აღიარებენ ქართული ოთხთავის დიდ სიახლოვეს ბერძნულ ტექსტთან. უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი მტკიცებისთვის არ არსებობს ისეთი საბუთები, რომლებიც საბოლოოდ დაამტკიცებდა ან ერთ, ან მეორე დებულებას. თუ არ ჩავთვლით ბერძნული ენის ძლიერ კვალს ოთხთავსა თუ, საზოგადოდ„ ძველ ქართულ ლიტერატურაში, რისი დამადასტურებელი მაგალითებიც უხვად მოჰყავთ ქართველ მკვლევარებს: ს. ყაუხჩიშვილს, ზ. სარჯველაძეს, ა. შანიძეს, ე. დოჩანაშვილს და, – საგანგებოდ აღვნიშნავთ – კ. დანელიას, ვინაიდან მან ყველაზე უფრო მეტად იღვაწა ამ სფეროში და ბევრი დამაჯერებელი არგუმენტიც მოიყვანა ქართული ბიბლიური წიგნების ბერძნული წარმომავლობის აღიარებისთვის. კერძოდ, მას შენიშნული აქვს მთელი რიგი ენობრივი მოვლენები, რაც დასტურდება ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში და რომლებიც აიხსნება ბერძნული ენის გავლენით (კ. დანელია, ნაშრომთა სერია: უცხო ენათა გავლენის კვალი ქართული წერილობითი ძეგლების ენაში: (მაცნე, ენისა ლიტ-ის სერია. 1957 წ. №4; 1979 № 1; 1979 № 3; 1981 № 2; 1989 № 1;) ასეთი მოვლენებია: და კავშირის ჭარბი ხმარება ძველ ქართულში, ადგილობით ზმნისწინთა სისტემა, ვიდრე-უდეტრიანი და ნუ-ნაწილაკიანი კონსტრუქციები და ა. შ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბერძნულ-ქართული ოთხთავის პარალელური წაკითხვის შედეგად უამრავი ბერძნიზმის მოწმე გავხდით; თითქმის ყველა მუხლსა თუ წინადადებაში ჩანს ძველი ბერძნული ენის კვალი, რაც გამოიხატება: თანდებულთა ხმარებაში სხვადასხვა ბრუნვასთან, გან - თანდებულიანი ნათესაობითით გამოსვლითის შინაარსის გადმოცემაში, ბერძნულის გავლენით მიმართვის სახელობით ბრუნვაში ჩასმასა (ვინაიდან ბრუნვაში რიგი სახელები სახელობითისა და წოდებითის ერთნაირად აწარმოებენ და ზოგჯერ ხდება მათი კალკირება) და ა. შ. ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ამ საკითხებზე შექმნილია სპეციალური ლიტერატურა და დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია, დეტალურად გაეცნოს ყველა მონაცემს.

ამდენად, ჩვენი დაკვირვების საფუძველზე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქართული ოთხთავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთხივე რედაქცია (იგულისხმება „ორი ძველი“ და „ორი ბოლო რედაქციები - DEC და FGHIK;) თარგმნილი ჩანს ბერძნულიდან. სხვა რომ არა, ქართული ეთნოფსიქოლოგიის მცოდნე კაცისთვის ნამდვილად ძნელად დასაჯერებელია აზრი, რომ, როდესაც ოთხთავი ბერძნულ ენაზე შეიქმნა, ქართველს კი საბერძნეთამდე ხელი მიუწვდებოდა, მან სომხური ოთხთავიდან თარგმნა ქრისტიანობის ეს ძირითადი წიგნი. რაც შეეხება რედაქციათა შედარებას, მიგვაჩნია, რომ adiშის (C) ოთხთავის განსხვავებული სახე, რაც ზოგიერთ მკვლევარს არასწორი დასკვნებისკენ უბიძგებს, სულაც არ ნიშნავს მის სომხურ წარმომავლობას. ადიშის ოთხთავი ისეთსავე მიმართებაშია ბერძნულ ტექსტთან, როგორც დანარჩენი რედაქციები. განსხვავება ჩანს მხოლოდ სტილისა და ლექსიკის დონეზე; აშკარაა, რომ ადიშის ოთხთავის მთარგმნელი სხვა კუთხიდან არის, ჯრუჭ-პარხლისა - სხვა. განსხვავება ჩანს, ასევე ქრონოლოგიაში: ადიშის ოთხთავი გვიანდელი თარგმანია, ვინაიდან იგრძნობა, რომ მის მთარგმნელს მუშაობის პროცესში წინ ედო ჯრუჭ-პარხლის ტექსტი, რაც პროტოვულგატად ითვლებოდა, თარგმნიდა და ბერძნიზმებს ქართული ენის წესების შესაბამისად ასწორებდა. აი, რაშია, ძირითადად განსხვავება ადიშისა და ჯრუჭ-პარხლის ოთხთავებს შორის. რაც შეეხება ჯრუჭ-პარხლის რედაქციას, ვფიქრობთ, ეს ერთ-ერთი პირველი თარგმანი უნდა იყოს ოთხთავისა (თუ საერთოდ პირველი არა). ამას გვაფიქრებინებს ის საოცარი კვალი გავლენისა, რაც მოუხდენია ბერძნულს. ჯრუჭ-პარხლის რედაქციის მთარგმნელი, აშკარაა, შიშველი ხელებით მიუახლოვდა ბერძნული ევანგელის ტექსტს. მის იარაღს ამ დროს წარმოადგენდა მხოლოდ ბერძნულისა და ქართული ენების ცოდნა; არანაირი მთარგმნელობითი ტრადიციები, ჩამოუყალიბებელი სალიტერატურო ენა. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ამ ნაშრომის ავტორი უარყოფდეს წერილობით ტრადიციებს, რაც უნდა არსებულიყო ქართული ანბანის შექმნამდე ქრისტიანობის შემოღებასთან ერთად, თუნდაც ალოგლოტოგრაფიულ მეთოდს, რასაც აღიარებს თამაზ გამყრელიძე (დასახელებული ნაშრომი). მაგრამ ძნელია დაჯერება იმისა, რომ ჯრუჭ-პარხლის ოთხთავის თარგმნისას ქართველებს ჰქონდათ გამართული სალიტერატურო ენა. ამას მოწმობს ის გაუბედაობა და მერყეობა, რაც ეტყობა ოთხთავის ამ რედაქციის მთარგმნელს. მაგალითისთვის საკმარისია ბერძნული *πιστεύω* ზმნის გადმოტანაზე დაკვირვება. მთავრგმნელს ეს ზმნა ხუთნაირად გადმოაქვს:

*1. ი.7.38– ὁ πιστεύων εἰς ἐμέ - DEFGNIK - რომელსა ჰრწმენეს ჩემი; C–რომელსა ჰრწმენეს ჩემდამო;*
*2. ი. 7. 39 πιστεύσαντες εἰς αὐτόν – მორწმუნეთა მათ მისა მიმართ DEHIK; FG . . . მისა მიმართთა;*
*C –რომელთა ჰრწმენა იგი;*
*3.ი. 7. 31. ἐπίστευσαι εἰς αὐτόν – DEFG – ჰრწმენა იგი; C – ჰრწმენა მისი; HIK – ჰრწმენა მისა მიმართ;*
*4. ი. 9. 18 οὐκ ἐπίστευσαν οὖν οἱ Ἰουδαῖοι περὶ αὐτοῦ – არა ჰრწმენა ჰურიათა მისთჳს DEFGHIK;*
*C – არა ჰრწმენა მისი;*

*როგორც ვხედავთ, πιστεύω ამ მაგალითებში ხუთნაირად არის წარმოდგენილი. „რწმენა“ ზმნასთან უბრალო დამატების გადმოტანის სიჭრელე განპირობებულია მთარგმნელის სურვილით, დედანიც ზუსტად გადმოიტანოს და ქართული ენის ბუნებასაც გაუწიოს ანგარიში, სადაც „რწმენა“ უბრალო დამატებას ნათესაობითში მოითხოვს. იმ დროს რომ ქართულ სალიტერატურო ენას გამოკვეთილი სახე ჰქონოდა, მთარგმნელი არ დაიწყებდა ძიებას, რომელი ფორმით ჯობს თარგმნა πιστεύω ზმნისა. მსგავსი არგუმენტების მოყვანა ბლომად შეიძლება, რაც კიდევ და კიდევ გვაფიქრებინებს, რომ ქართულმა სალიტერატურო ენამ ოთხთავის თარგმნისას აიდგა ფეხი. ოთხთავისა იმიტომ, რომ ის უძირითადესი წიგნია ქრისტიანთათვის და პირველ რიგში მას თარგმნიდნენ ახლად გაქრისტიანებული ქართველები. ამ აზრს, მოგეხსენებათ, ბევრი მკვლევარი იზიარებს.*

ამრიგად ძველი ქართული ენა (ანუ ქართული სალიტერატურო ენის საფეხური) არის ბერძნული ენისგან დეფორმირებული, ხელოვნური, ბერძნიზმებით დამძიმებული ქართული, რომელიც ჩვეულებრივ, იმ გენიოსს გვაგონებს, თავისი შემოქმედების დასაწყისში მეორე გენიოსის გავლენას რომ განიცდის და მხოლოდ შემდეგ იძენს ორიგინალურ იერს, როგორც შემოქმედი. კიდევ და კიდევ გავიმეორებთ იმ აზრს, რომ ოთხთავის თარგმნისას ქართული სალიტერატურო ენა ახლად შობილიც კი არ არის, შობადია და, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა სათუთია იგი. სწორედ ამ სისათუთის გამო მოერია აგრერიგად ძველი ბერძნული ენა და თავისი იერ-სახე დააკარგვინა. მხოლოდ მოგვიანებით, შუა საუკუნეებში, როცა საერო ლიტერატურა განვითარდა, ქართულმა ნელ-ნელა დაიბრუნა ორიგინალური სახე, ვინაიდან საერო ლიტერატურა ისე ძლიერად აღარ იყო დამოკიდებული ბიბლიურ წიგნთა თარგმანებზე, როგორც სასულიერო ლიტერატურა. თუმცა მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეებში ელინოფილთა ნაშრომებსა და თარგმანებში კვლავ იჩინა ბერძნულის (იმჟამად ბიზანტიურის) გავლენამ თავი, მაგრამ ეს გავლენა ისევე განსხვავდებოდა ძველი ქართულისთვის დამახასიათებელი გავლენისგან, როგორც ბიზანტიური ბერძნული ძველი ბერძნულისგან.

ამრიგად, კვლევა-ძიების გაღრმავების შედეგად შესაძლებელი გახდება აღვადგინოთ ქართული სალიტერატურო ენის ნამდვილი სახე. რაც უნდა ჰქონოდა მას, შესაფერის გარემოში რომ აღმოცენებულიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იკა ქადაგიძე

## პიროვნება და საზოგადოება

### (მიხეილ ჯავახიშვილის „თეთრი საყელოს“ მიხედვით)

მიხეილ ჯავახიშვილის შესახებ ბევრი საინტერესო გამოკვლევა არსებობს. ახლის თქმა თითქმის შეუძლებელია, თუმცა ჩვენ მაინც შევეცდებით, უმცირესი, მოკრძალებული წვლილი შევიტანოთ ამ საქმეში.

სამყაროში ყველაფრის პირველსათავე მითოსია. იგი ჩვენშიც ცოცხლობს ქვეშეცნეულად. უძველეს შრეებს ასაზრდოებს ოდესღაც ლეგენდადქცეული სინამდვილე. მითოსი პოეტური სამყაროს პირველქმნილებაა, მისი ჭეშმარიტი ხატება ჟამთა ცვლისას გადასხვაფერებული. მითოსი აზროვნების მრავალფეროვანი, უნივერსალური საშუალებაა. იგი არ ემორჩილება რაციონალურ განსჯას. აქ ირაციონალური ჭვრეტა ჭარბობს. თვით ყველაზე უმნიშვნელო საგანი /მოვლენა/ განსაკუთრებული თვალთახედვითაა აღქმული. ეს პირველქმნილი, უშუალო სამყაროა, რომელსაც ჩვენ შეუმჩნევლად მოვწყდით, რომლის პირველყოფილი ბუნებრიობა გონების წიაღში დაინთქა და მყარად თვლემს. მითოსური ელემენტი დროდადრო მაინც ამოტივტივდება, თავს შეგვახსენებს, როგორც არ უნდა გავემიჯნოთ და მოვწყდეთ მას, ბოლოს მაინც ვუბრუნდებით. მითოსი უძველეს წარსულთან გვაკავშირებს და ერთგვარი მოდერნიზაციის საშუალებით ჩვენში მკვიდრდება.

„უცებ მეხუთე თუ მეათე საუკუნეში გადავსახლდი. იქვე - გაუთლელი ლოდებისგან ახუხულებული, საქათმის-ოდენა ნიში. გვერდით - დაფლეთილი ბავრაყი - საეკლესიო და საომარი დროშა, არგანი, ასი წლის მედროშე, იგივ ხევისბერი. დროშისა და დეკანოზის წინ - ოციოდე ლანდი ჟამთა წარსულთა, შეჭედილი ჩაფხუტებით, პერანგებით, სამკლავეებით, ადლზე უგრძესი დაშნებით, ადლიანი სატევრებით.“ ეს სხვა სამყაროა, რომელსაც საკუთარი კანონზომიერება ახასიათებს, საკუთარი განზომილება და მორალურ-ეთიკური შკალა გააჩნია. აქ სინამდვილე, მითი და წარსული ერთმანეთში ისეა /არეული/ გადაწნული, რომ ორიენტაცია ჭირს. ლოდის, ლურსმნისა და აბჯრის წიაღიდან იწყება ცხოვრება. ადამიანის აზროვნება წარსულის ჩრდილებით იბინდება. იგი თითქოს სამოსს იცვლის, სხვა არსებად იქცევა, სულსაც სხეულის ფერისცვალებას უქვემდებარებს, ერთ მშვენიერ დღეს ადამიანი ტოვებს ოთხი კედლით შემოსაზღვრულ, ვიწრო სამყაროს /სამყოფელს/ და მიდის. ნაწარმოების მიხედვით მისი წასვლა განპირობებულია იმით, რომ თავისი უნარი სამშობლოს კეთილდღეობას მოახმაროს.

„საქართველოს სპილენძი აღარა აქვს, - ვთქვი და გადავწყვიტე. - უნდა ვიპოვნო“

სწორედ ეს გადაწყვეტილება ხდება ბიძგი ქალაქის დატოვებისა. ერთი შეხედვით აქ უჩვეულო არაფერია, თუმცა იქვე ფიქრობ, რომ ამ ნაბიჯს უფრო ღრმა მიზეზი აქვს. ვიწრო, შეხუთული შენობისაგან თავდახსნილი ადამიანი მიემართება იქ, სადაც ნაცნობი შეზღუდულობა არ შებოჭავს. მიემართება არა უმიზნოდ, არამედ იმისათვის, რათა იპოვოს ის უმთავრესი /ამ შემთხვევაში სპილენძად სახელდებული/, რისკენაც ქვეშეცნეულად ილტვის დასაბამიდან. უნდა იპოვოს მაღალი, მიუვალი მთის სათავეებში, რომელსაც არავინ /და არაფერი/ გაჰკარებია, „რომელიც უთვალავ საუკუნეთა განმავლობაში მზის ნახვას და გადადნობას ელოდებოდა.“

ცივილიზაციის სურნელით გაჟღენთილი ელიზბარი იმის ათვისებას ლამობს, რაც მზესაც კი ხელუხლებელი დარჩენია. სპილენძი ამ შემთხვევაში მოწყალე ბედის პოვნასთან ასოცირდება. ოთხკედელშუა გამომწყვდეული ელიზბარის აპათია მოულოდნელად ქრება. იგი მტკიცე გადაწყვეტილებას იღებს, რომელსაც ობიექტურ მიზეზზე ღრმა ფესვები აქვს. „მართლა ალაზნის სათავისკენ მივდიოდი. ხურჯინში ჰაბიხის გეოლოგია, ხელსაწყო და დიდი რუკა მედო, ხოლო გულში - იმედი სპილენძისა და მოწყალე ბედის პოვნისა. „სწორედ ეს ქვეცნობიერი იმპულსი ასხამს ხორცს მის გადაწყვეტილებას. ნაბიჯი გადადგმულია. ელიზბარმა არჩევანი მოახდინა. მეგზურის თანხლებით იგი უსიერი ტყის მდუმარებასა და უკაცრიელობას შეეჩეხა. ტყე გზის გასაყარია. იგი შუალედურ საფეხურად იქცა სინამდვილესა და ლეგენდას შორის. ტყე ირეალური სამყაროს დასაწყისია.

ელიზბარი ქვეშეცნეულად მზად არის ახალ

ეროვნული ბიბლიოთეკა



სამყაროსთან შესახვედრად. მას საგზალი არ წამოუღია, რადგან გზად შემხვედრი თუშების მასპინძლობის იმედი აქვს. საგზალი – მატერიალური სამყაროს ერთ-ერთი ატრიბუტი იჩრდილება. ახალი სამყარო ჯერჯერობით /ამ ეტაპზე/ არაფერს სთავაზობს უცხო არსებას. ერთურთის შესწავლისა და დაკვირვების პერიოდი ისადგურებს. მშიერი /მატერიალური ტვირთისგან თავდახსნილი/ ელიზბარი თხემამდე ადის და გაოცებული რჩება. თხემზე ასვლამდე იგი მეოთხე თუ მეხუთე გოლგოთას გადალახავს. როგორც ჩანს, უკვე გამქრალია ის თავდაპირველი სიმსუბუქე, რომლის ძალითაც იგი გზას იკვალავდა. ელიზბარი ფიზიკურად გადაქანცული ადის თხემზე და უჩვეულო სურათის მომსწრე ხდება: „ჩამავალი მზე ვით ფრთა-გაშლილი, უზარმაზარი, წითელი არწივი მიექანება უთავბოლო სივრცის გადაღმა. ირგვლივ – უსაზღვრო, ულაბური, მწვანე ოკეანე მთების, გორების, გორაკებისა და სერების. ამ ზღვაში თავწითელა ბორბალი ეხლა კუნძულს ჰგავს, უკვე მარჯვნივ წაწეულს, ხოლო კავკასიონის თეთრი გრეხილი – საარაკო ნაპირს, შორეულს, მიუვალსა და გარდუვალს.“

ამ ვიზუალური ხილვით იგი წყდება თავისი ცხოვრების გარკვეულ ნაწილს. ეთხოვება იმ ყოფას, რომელსაც გაერიდა. ფიზიკურად დაღლილი და დაცარიელებული საკუთრივ უმზერს წითელი არწივის ჩასვენებას, რომელიც იმპერიული რუსეთის სიძლიერის გაცხადებაა. როგორც ვიცით, ბიზანტიის შემდგომ სწორედ რუსეთმა გადაწყვიტა ეთავა სამყაროს წინამძღოლობა. წითელი არწივი მისი ბატონობის სიმბოლოა.

უკიდურესი განსაცდელით /გოლგოთას თხემზე ასვლით/ ფიზიკურად გადაღლილი პერსონაჟი ვიზუალური ხილვის მეშვეობით განჭვრიტავს წითელი არწივის სიძლიერის ჩასვენებას, რაც კანონზომიერ გარდუვალობად ისახება. აქ შემთხვევით არ არის ნახსენები კავკასიონის თეთრი გრეხილი – შორეული, მაგრამ გარდუვალი თავისუფლების სიმბოლო.

გაივლის რა გოლგოთის /ღვთის გზას/, ადამიანი მხოლოდ მას შემდეგ სძლევს შავ-ბნელ ძალას, რომელიც XX საუკუნეში წითელ სენად სახელდებულა. ამიტომ პერსონაჟი თავისუფლდება ცხოვრების იმ პერიოდისგან, რომელიც ამ ტოტალიტარულმა რეჟიმმა მოახვია თავს. თუმცა ჯერ ამ აქტს ვერ აცნობიერებს. უბრალოდ გრძნობს, რომ რეალური სამყაროს კანონზომიერება დაირღვა. სინამდვილეს გამორიდებული ახალ გზისსაყართან აღმოჩნდება, საიდანაც მის არსებაში ნელა შემოდის უცნობი ძალა. დაირღვა ტყის თავდაპირველი, მტრული მდუმარება, ის ზემოქმედებას იწყებს სირინოზის, ოჩოპინტეს, მაძახურასა და ეშმაკის მეშვეობით.

ამიტომაც ზღაპრული კალეიდოსკოპივით იცვლება, ათასგვარ სახეს ღებულობს. და ბოლოს, აბჯრისა და ასწლიანი ხევისთავის შემდეგ, ელიზბარი უცნობ სამყაროში შეაბიჯებს, რომლის ნიადაგიც ქანგშეჭმული სიძველით, ეპიურობითაა გაჯერებული.

ძიების პროცესში მყოფ ელიზბარს თავისი წინარე ცხოვრება ახსენდება, იგი ცდილობს მთლიანობაში აღიქვას ის ადამიანი, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი მეხუთე გოლგოთაზე ჩაესვენა. პერსონაჟი სხვისი /უცხო მაყურებლის/ თვალით აპირებს, გაიაზროს, გააანალიზოს საკუთარი ცხოვრება, რომელიც ახლა ჯოჯოხეთად ეჩვენება. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ეს ჯოჯოხეთი საოცრად მსუბუქად, ქარაფშუტულად იჭრება მასში.

„ჩემს სიცოცხლეში ისე იოლად და შემთხვევით არაფერი არ მომხდარა, როგორც ჩემი დაოჯახება მოხდა“.

ელიზბარის პირველი, იოლად ქორწინება ბრმა შემთხვევითობამ განაპირობა. ეს ის პერიოდია, როდესაც პერსონაჟი დროის წარმავლობას უწევს ანგარიშს და თავს ჯოჯოხეთში ამოყოფს. რამდენიმე საათში იგი სხვა ადამიანს უკავშირდება და ქმნის ოჯახს. ამიერიდან ელიზბარი ელიზია, /„ჩემი სახელი ელიზბარი ლოგინში ელიზად გადაკეთდა“/.

სახელის ტრანსფორმაცია მის არსებაში ავადმყოფური, სუსტი ნაკადის მომძლავრებას უკავშირდება. იგი, როგორც პიროვნება და როგორც მამაკაცი, კნინდება, ვინაიდან ბრმა შემთხვევითობის იარაღად იქცა. სწორედ ამ დაკნინება-დამცირების დასაწყისია სახელის დამახინჯება, უკეთურების /ცუცქიას სახით/ საშუალებით იგი დროებითი სისუსტის /ქალური პასიურობის/ მატარებელი ხდება. ელიზბარი კარგავს შინაგან თავისუფლებას. ამ ფაქტს აძლიერებს ისიც, რომ ელიზისა და ცუცქიას ქორწინება ღვთის მადლის გარეშე რჩება. აქ არც ჯვრისწერაა და არც ზეიმი. ღმერთი თავიდანვე გამოეცალა ამ წყვილს და ბედის ანაბარა დატოვა ისინი. ცუცქია /მანკურების განსახიერება/ არასერიოზულად იჭრება ელიზბარის ცხოვრებაში. ვერავინ წარმოიდგენს, ამ ქარაფშუტობის მიღმა რა იმალება. ამიტომ ღეიდა მაიკო ნამდვილ მეუღლედ არ აღიქვამს მას. ასეთი არსებები „ძაღლებივით ადვილად აეკიდებიან ერთმანეთს და მეორე დღესვე კატებივით ივიწყებენ ყველაფერს“.

სწორედ აქედან იწყება ელიზბარის ფსიქიკის დეგრადაცია, მისი „ელიზად“ გარდასახვა. თანდაყოლილი აპათია /თუ პასიურობა/ საშუალებას არ აძლევს, თავიდანვე აღკვეთოს ცუცქიას მანკიერება. ცუცქიას სახით ბოროტება ისადგურებს სახლში. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ბოროტებასთან დროებითი კავშირი მაშინ ხორციელდება, როდესაც პერსონაჟს ოცდაათი წელი მიუკაკუნებს ასაკი, რომელიც პიროვნული სიმწიფისა და სიძლიერის მაუწყებელი უნდა იყოს. აქ ზარატუსტრას მაგალითიც კმარა. ოცდაათის რომ შესრულდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ მაშინ წარემართა მთებში. ჩვენ სხვა პრობლემა გვაღელვებს და ამიტომ სათქმელს არ გადავუხვევთ. ელიზბართან სიბრძნის საჭურჭლეს შხამი ჩაეწვეთა. ამიტომაც ძლიერდება მისი სულის უმოქმედობა. იგი ცარიელი სიტყვებით /თეორიულად ერკინება/ ბოროტებას. ფრაზებით და არა მოქმედებით. იგი ჯერ კიდევ თვლემს, არ გამოსულა აპათიიდან.

ცუცქია ტკიპასავით სისხლს სწოვს, არ მუშაობს, დღენიადაგ ვიღაცეებთან დადის და ფულს სძალავს. მისთვის არ არსებობს მორალურ-ეთიკური ფასეულობა. ცუცქია მაღალფარდოვანი საუბრებით ინიღბება, იგი თანასწორობას ქადაგებს და თავისი საქციელით უზნეობის აპოლოგიას ეწევა. მას არ აინტერესებს ბუნების კანონი. პოლიტიკაც თავისებურად /ე. ი. დამახინჯებულად/ ესმის. იგი უსაქმურია, სხვისი სისხლით, ტვინით, ფულითა და ნერვებით საზრდოობს. ცუცქია ფსიქიკამორღვეული არსებაა. მისი ტრაგედიის ერთ-ერთი მხარე ის არის, რომ ერთ ენაზე საუბარი და აზროვნება არ ძალუძს.

„ცუცქიამ არც ქართული იცის, არც რუსული. ერთს რომ ქართულს იტყვის, ორს რუსულს დაურთავს. სიტყვებს ეძებს, ვერ პოულობს, კოჭლივით ჰბარავს და მთვრალივით ბორძიკობს, ყურები დომხალით მაქვს გაჭედილი. ცოლის აზრი უფრო გუმანით მესმის, ვიდრე გონებით.“

ცუცქიას უჭირს საღი, ნათელი აზროვნება, ვინაიდან ნიადაგი არა აქვს, რომელსაც დაეყრდნობა. იგი ეროვნულ ფესვებს მოწყდა და კოსმოპოლიტიზმის ბურანში ჩაიძირა. ამიტომ მისი აზროვნება გახლეჩილია და უნარი აღარ შესწევს, ნორმალურად აღიქვას სამყარო. იგი შინაგანად ცარიელია და ასე ადვილად იმიტომ შეელია ყოველივე მშობლიურს. ცუცქია გადაგვარებულია და ამიტომ არ ექვემდებარება კეთილისმყოფელ ზეგავლენას. პირიქით, თვითონ სურს „მსაჯულის“ პოზიციის დაკავება.

ცუცქიას ერთადერთი ხსნა დედობრივი უნარის გამოფხიზლებაა, მაგრამ აქაც უკეთურება ჭარბობს. იგი დაუნდობლად სპობს საკუთარ ნაყოფს. სპობს ცოცხალ ორგანიზმს და ამით თვითონვე იფიტება. შვილის მოლოდინი სიკვდილის შიშს უძლიერებს. მან უკვე მიაღწია იმ უკანასკნელ სტადიას, როდესაც სიცოცხლის წარმოშობა მის კვდომას უდრის. ცუცქიას /ბოროტებას/ კი თავისი არსებობის გახანგრძლივება სურს, თუნდაც ამისათვის საკუთარი ხორციც გასწიროს. ამიტომ ჩანასახშივე კლავს მომავალ არსებას, რომელიც ერთმანეთში შეუთავსებელ ადამიანთა უცნაურ /დამანგრეველ/ სინთეზად უნდა ქცეულიყო. ბოროტების ხაზი წყდება. წყდება ელიზბართან, რომელიც, საერთო ჯამში, დადებითი თვისებების მქონე პიროვნებაა. ცუცქიამ წარმოშვა ბავშვი /ახალი არსება/ თავისი მსგავსისა და სწორისაგან. მისი ერთადერთი შვილი მხოლოდ გაკვრით მოიხსენიება, მაგრამ ცხადია, რომ იგი ბოროტ ძალთა შეკავშირებისას გაჩნდა, ელიზბარი კი მისი ანტიპოდია და მანკიერისა და ღირსების გაწონასწორება /გვერდიგვერდ, უფრო ზუსტად ურთიერთკავშირი/ შეუძლებელია, მათი თანაარსებობა შემთხვევითია. იგი დროებითმა ცდომილებამ განაპირობა. ეს ორი ძალა მარადიულ ჭიდილშია და ამიტომ მათი ნაყოფი უდღეურია. ბავშვის დაღუპვის შემდეგ ჩაწყდა უკანასკნელი ძაფი ცუცქიასა და ელიზბარს შორის. ამიერიდან ისინი აშკარად უპირისპირდებიან ერთმანეთს. ცუცქიას /ბოროტების/ სიბერწის გაცხადებამ ძალა შემატა ელიზბარს, იგი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ცუცქიას არანაირი ფუნქცია აღარ შერჩა ბოროტების გარდა.

ბუნებრივია, იბადება კითხვა, რამ განაპირობა ესოდენ დეგრადირებული პიროვნების წარმოშობა. „ცუცქია მაწამებს, ტკიპასავით მწუწნის, უსაქმობით იწეწება და ოჯახში ჰარამხანას მიჩენს, მერმე წადი და სდიე. ფეხდაფეხ მიჰყევი და ქვეყანას უმტკიცე, რომ ცუცქია სტყუის, უღვთოდ სტყუის.“

უკუღმართმა დრომ, ამღვრეულმა ეპოქამ ჩამოაყალიბა, გააღრმავა ცუცქიას მოდელი. საშუალება მისცა, სრულად გამოევლინა საკუთარი პოტენციალი. ცუცქია განზოგადებული სახეა ბოროტი, დამანგრეველი ძალისა, რომელიც XX საუკუნეში ბოლშევიზმად იწოდა. ამიტომ იგი მშვენივრად მოერგო შემოთავაზებულ სისტემას, რომელიც ხორცმეტთა აღზევებას ისახავდა მიზნად. „წითელ ეშმას“ ამოეფარა და ბუნდოვანი პოლიტიკური ფრაზებით შეეცადა თვითდამკვიდრებას. მან ისარგებლა ხელსაყრელი სიტუაციით და „კანონის ჩარჩოში“ მოათავსა საკუთარი ამორალობა. ამიტომ მიეტმასნა პოლიტიკას /ხორცმეტების დასანერგ პოლიტიკას/, როცა სინამდვილეში არანაირი მრწამსი არ გააჩნდა. მას მიზნად დაუსახეს, საყოველთაო ნგრევის ჟამს გადარჩენილ ჯანსაღ ნაწილს მიკედლებოდა და სისხლი გამოეწოვა. სხვისი შრომის, ენერგიისა და ნიჭის ხარჯზე ეარსება. უფრო მეტიც, ცუცქიას არასრულფასოვნების კომპლექსი უნდა ჩაენერგა მოწინააღმდეგისათვის, რათა ფსიქოლოგიური ზეწოლით მთლიანად დაემორჩილებინა იგი. ამიტომ საკუთარ ნაკლს მას უკიჟინებდა და ჩამორჩენილად აცხადებდა. მარადიულ ფასეულობათა გაუფასურების ჟამმა წარმოშვა ცუცქია, რომელსაც, ყველაფერთან ერთად, რწმენა არ გააჩნია.

მიხეილ ჯავახიშვილს კარგად ესმის უღმერთო არსებათა ჭეშმარიტი არსი, სწორად აფასებს იმ მომაკვდინებელ საფრთხეს, რომელიც მორალურ-ეთიკური კატეგორიებისა და რწმენის დამსხვრევას მოჰყვება. ესმის იმ კატაკლიზმის ავბედითობა, რაც ეროვნული ძირების აღმოფხვრას გამოიწვევს.

„მიხეილ ჯავახიშვილს მეცნიერულად ჰქონდა შესწავლილი თანამედროვე საზოგადოება, მისი

სოციალური და ეკონომიური სტრუქტურა, ღრმად ესმოდა საზოგადოების განვითარების კანონები და თავისი მოძღვრების გატარებაში მეცნიერული ერუდიციის გვერდით, თანაბარი ძალით, იშველიებდა პოლიტიკურ სიფხიზლესა და მოქალაქეობრივ სიმტკიცეს, სიმახვილეს იჩენდა“ (ტ. კვანჭილაშვილი. „ თიი მწერალი“. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. 1989, .ვ. 19).

სწორედ მოქალაქეობრივი პოზიცია უკარნახებს მას, გაფრთხილების ზარი დაარისხოს, საზოგადოება გამოაფხიზლოს და გაილაშქროს წითელი სენის წინააღმდეგ. საბოლოოდ რწმუნდება ელიზბარი, რომ მას აღარ ძალუძს ბოროტებასთან თანაარსებობა. მისი აჯანყების გამოხატულებაა მელიტონის წინააღმდეგ გამართული სასამართლო პროცესი, რომელიც ერთგვარი ბიძგია მტკიცე გადაწყვეტილების მისაღებად. მორჩა, ელიზბარმა თავი დააღწია ცოლის /ხორცმეტთა მთელი სისტემის/ ზეგავლენას.

სინამდვილეში ელიზბარი ცხოვრების იმ წესს გაექცა, რომელიც მიზნად ისახავდა ადამიანთა გარკვეული ნაწილის ხორცმეტად გარდაქმნას. გარკვეულ ნაწილს იმიტომ ვამბობ, რომ საჭირო იყო მეორე ნაწილიც, რომელიც პარაზიტთა ექსპლუატაციის ქვეშ მოექცეოდა. ვინაიდან ელიზბარი მსხვერპლთა კატეგორიას განეკუთვნებოდა, იგი გაერიდა არსებულ სტრუქტურას. დროებით გაერიდა და არა გაექცა, როგორც ზოგიერთებს მიაჩნიათ.

ამიტომ სჭირდება ელიზბარს პიროვნული თავისუფლება. მან ემოციებისგან დაცლილმა უნდა გაანალიზოს ნებისმიერი მოვლენა, აწონ-დაწონოს, რათა სამზეოში საკუთარი ადგილი დაიმკვიდროს. გაარკვიოს, თუ რა დამოკიდებულებაშია საზოგადოებასთან. ამისათვის საჭიროა აღიდგინოს დაკარგული სიძლიერე, ორიენტაცია მოახდინოს და საკუთარი შესაძლებლობაც ახლებურად გაიაზროს. ამიტომ შეკრთება, როცა ჯურხა მთაში დარჩენას შესთავაზებს. გონებაში მომწიფებული აზრი ბიძგს საჭიროებს. ახლა კი საშუალება ეძლევა, კვლავ არჩევანი გააკეთოს.

ელიზბარში ილვიძებს აქტიური ძალა, რომელიც ნებისმიერი კანონის /მილმა/ გადალახვაში ეხმარება. ამიტომ გაწიკლაურების დროს ხათუთასთან დაძმურ დამოყვრებას თავს არიდებს. ჯერჯერობით ამ უხმო პროტესტით გამოხატავს საკუთარ პოზიციას. ელიზბარში ქრება პასიურობის გრძნობა.

ახალმა სამყარომ ასწავლა, რომ თვითდამკვიდრებისთვის ბრძოლაა საჭირო. ამიტომ თავდაპირველი წარმატება საგრძნობლად ცვლის. ჯურხაანთკარი სამოთხედ ეჩვენება, ხოლო ფიზიკური შრომა – სასიამოვნო აუცილებლობად. ვაჟიკა ხვდება, რომ სასიცოცხლო ძალით ივსება, ძლიერდება. ბუნების პირველქმნილი სიჯანსაღე მასშიც პოულობს გამოძახილს.

პერსონაჟი მიწის ნაყოფიერებას ითავისებს და მადლიერებით იმსჭვალება. იგი მიწას უბრუნდება, ყველაფრის დასაბამსა და ძლიერს.

იმ ქვეყანამ ელიზბარი ვერ მოინელა, ვინაიდან მან განკურნება გადაწყვიტა. ჯიშის სიწმინდის დაცვა და სიჯანსაღის აღორძინება დაისახა მიზნად, რწმენის განმტკიცება და წინაპართა საქმის განგრძობა აირჩია. ამიტომ მიწას, პირველსაწყისს /ეროვნულ ფესვებს/ დაუბრუნდა. სწორედ აქ, ჯურხაანთ-კარში /ახალ სამყაროში/ დასახა მიწიერი სამოთხე. ელიზბარის გათიშვა ახალ სამყაროსთან განაპირობა მისი მორალურ-ეთიკური კატეგორიების სახესხვაობამ. ჯურხაანთკარმა იგი გამოაჯანსაღა, თუმცა თავის ყაიდაზე ვერ გარდაქმნა, თავის აზროვნებას ვერ აზიარა, ვინაიდან ელიზბარს მკვეთრად გამოხატული მორალურ-ეთიკურ ფასეულობათა შკალა გააჩნია. პერსონაჟმა სცადა „გაწიკლაურება“, მაგრამ არ გამოუვიდა.

ჯურხა ხევსურთა რიტუალებით ცდილობს ელიზბარის მოქცევას. კუდიანთა ნუხრას შესრულებისას ისინი ჯვარს იშველიებენ, თუმცა ეს ადათი წარმართულ ხასიათს ამჟღავნებს, მას ღრმად სწამს კუდიანთა სიძლიერე და მეგობრის ურწმუნობა აოცებს. სწორედ ახლა რწმუნდება ხევსური, რომ ელიზბარი უცხოა, იგი დროებით შემოხიზნულია მათ სამყოფელს. ძმადნაფიცი მგზავრია, რომელიც დასვენების და სულის მოთქმის შემდეგ თავის სამყაროს დაუბრუნდება.

როგორც ვხედავთ, ელიზბარი საზოგადოების პროგრესისათვის ილვწის და შინაგანი სრულყოფილებისთვის მებრძოლ პიროვნებად გვევლინება. მან იქ, ცივილიზაციის შუაგულში უნდა დაიცვას მამული. იქ უნდა დაამტკიცოს, რომ მომავალი ჯანსაღმა, სუფთა ჯიშის ადამიანებმა უნდა განაგონ. საამისოდ კი ჯურხაანთ-კარმა აზიარა ეროვნულ ძირებს, შემატა სასიცოცხლო ძალა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# გვანცა ღვინჯილია

## ქართული საკომპოზიტორო სკოლის გენეზისის საკითხისათვის

ახალი ქართული პროფესიული მუსიკის გენეზისის საკითხი, რომელიც ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად მოიაზრება ქართული საკომპოზიტორო შემოქმედების შესწავლის პროცესში, მრავალმხრივი კვლევის საგანი არ გახდარა.

ქართული საკომპოზიტორო სკოლა, მე-19 საუკუნის სხვა ეროვნული მუსიკალური სკოლების მსგავსად, ფორმირების საწყისი ეტაპებიდანვე ევროპული მუსიკალური რომანტიზმის აშკარა მიზიდულობის ველში მოექცა, საკუთრივ რომანტიკული ტენდენციები კი პერმანენტულად ვლინდებოდნენ ქართული მხატვრული შემოქმედების მრავალფეროვანი დარგების და მათ შორის მუსიკალური ხელოვნების განვითარების განმავლობაში და, ვფიქრობთ, რომ ამ კუთხით კვლევის ინტერესს უდავოდ იმსახურებს ქართული საერო პროფესიული მუსიკის ისტორიული წანამძღვრები და თავად საკომპოზიტორო სკოლის კომპოზიტორთა შემოქმედების შესწავლა რომანტიზმის მხატვრულ-სააზროვნო სისტემასთან მიმართებაში თუ პროფესიული საკომპოზიტორო სკოლის წარმოქმნამდე ქართულ საერო სამუსიკო ხელოვნებაში, მხატვრული შემოქმედების სხვა დარგების მსგავსად, რომანტიკული მხოლოდ ტენდენციის სახით ვლინდებოდა, ახალი ქართული პროფესიული მუსიკა საკუთრივ რომანტიზმის, როგორც მიმართულების მხატვრულ-სააზროვნო სისტემას დაეფუძნა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ რომანტიკული მიმართულების წარმოქმნას საქართველოში ნაყოფიერი ნიადაგი სწორედ ეროვნული მხატვრული შემოქმედების, მრავალფეროვანი დარგების მთელ მანძილზე სავსებით მკაფიოდ გამოვლენილმა რომანტიკულმა ცნობიერებამ შეუქმნა.

საინტერესოა, მაინც როგორ ჩამოყალიბდა და რა გზა განვლო ქართულმა მუსიკალურმა შემოქმედებამ პროფესიული საკომპოზიტორო სკოლის წარმოქმნამდე, საერო მუსიკის ისტორიის რა პროცესებით შემზადდა ეროვნულ ნიადაგზე მტკიცე საფუძველი ევროპული მუსიკალური რომანტიზმის შეთვისებისათვის, რატომ მოექცა ახალი ქართული პროფესიული მუსიკა უმთავრესად სწორედ რომანტიზმის სისტემაში?

კვლევისას, ცხადია, ვითვალისწინებთ, რომ რომანტიკისადმი ლტოლვა ნებისმიერი ერის ცნობიერების ერთ-ერთი მახასიათებელია და მათ კულტურებში გამოვლენილი რომანტიკული ტენდენციები ამ ქვეყნებშიც ქმნის ნაყოფიერ ნიადაგს რომანტიზმის მიმართულების დასაფუძნებლად. ამასთან, სავსებით უდავოა, რომ არც ქართულ და არც სხვა ქვეყნების მხატვრული შემოქმედების დარგებში გამოვლენილი სწრაფვა რომანტიკულისადმი, რომანტიზმის როგორც მიმართულების წარმოქმნის მიზეზად საბოლოო ჯამში მაინც არ გვევლინება (ტენდენციები ჯერ კიდევ არ განსაზღვრავს მიმართულების წარმოქმნას, ამას თუნდაც სპარსული, არაბული პოეზიის ისტორია ნათელყოფს). ვითვალისწინებთ იმასაც, რომ რომანტიზმის ხანას ქართულთან ერთად მრავალი ახალი ეროვნული მუსიკალური სკოლების წარმოქმნა დაუკავშირდა, რომლებიც უმთავრესად სწორედ რომანტიზმის, როგორც მიმართულების მუსიკალურ-სააზროვნო სისტემაში მოექცნენ, თავად რომანტიზმს კი დასაბამი ამ ქვეყნის კულტურულმა ტრადიციებმა მისცა. ამ თვალსაზრისით საქართველო ამ ზოგადევროპული პროცესის მონაწილე ერთ-ერთი ეროვნული სკოლა იყო. ამდენად, ქართული კულტურა გამონაკლისად არ გვევლინება არც საკუთარი კულტურის განვითარების მთელ მანძილზე რომანტიკული ტენდენციების გამოვლენის და არც რომანტიზმის, როგორც მიმართულების, საკუთრივ მის წიაღში წარმოქმნის თვალსაზრისით. ყოველივე ამით ეროვნული კულტურა ზოგადად და ქართული საკომპოზიტორო სკოლის ჩამოყალიბება კერძოდ, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ ქართული მხატვრული შემოქმედება ზოგადევროპული კულტუროლოგიური პროცესების ნაწილია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქართული კულტურა ამ თვალსაზრისით ერთი შეხედვით თითქოს არაფრით გამოირჩევა ევროპული ქვეყნების კულტურებისაგან, მაგრამ ქართული მხატვრული შემოქმედების განვითარების პროცესი ცხადყოფს, რომ რომანტიკული ტენდენციები არცთუ იშვიათად და თანაც ძალიან მძლავრად ვლინდებოდა ქართულ კულტურაში მისი განვითარების გზაზე, ცხადია, ახალ თვისობრივ ხარისხში გარდასახულნი, დროით-ისტორიული სინამდვილის, მხატვრულ მიმართულებათა თუ ეპოქათა ცვლის თავისებურებათა შესატყვისად. ამას გარდა, ქართული კულტურის ფიქსირებულ დარგში - ლიტერატურა-პოეზიაში რომანტიზმი უშუალოდ რომანტიკული ტენდენციებიდან „მოვიდა". აუცილებლად გვესახება ერთი მეტად საყურადღებო ფაქტის აღნიშვნა - რომანტიზმი, როგორც მიმართულება, რენესანსისგან განსხვავებით მხოლოდ ევროპული მოვლენა იყო, რამეთუ იგი არ წარმოქმნილა აღმოსავლურ კულტურებში, რენესანსი კი გაცილებით მასშტაბური მოვლენა გახლდათ, რომელიც სწორედ აღმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოსავლური, არაქრისტიანულ კულტურებში იღებდა დასაბამს. (ჩინური, სპარსული, აგრეთვე ქართული რენესანსი), მიუხედავად ამ განსხვავებისა, არ შეიძლება არ აღინიშნოს ის, რომ ორივე - რენესანსული სულისკვეთების გავრცელება მთელს ევროპასა და აღმოსავლურ კულტურებში და რომანტიზმისა ევროპაში - მეტად მასშტაბური ხასიათის მოვლენა იყო. საინტერესოა, როგორი დამოკიდებულება ჰქონდა საქართველოს მსოფლიო კულტურის ამ ორ უზარმაზარ კულტუროლოგიურ პროცესთან. თუკი მე-19 საუკუნის საქართველოში რომანტიზმი, როგორც მიმართულება დასავლეთ ევროპასთან შედარებით პოეზიაში ოდნავ დაგვიანებით, ახალ პროფესიულ მუსიკაში კი უფრო გვიან იჩენს თავს, ახალი ჰუმანიზმის ეპოქა, ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში რენესანსის სახელით ცნობილი, ევროპულს უსწრებდა კიდეც წინ. სავარაუდოა, რომ ეს ერთ-ერთი თვალსაჩინო ფაქტია, ქართული კულტურის რთულ ფენომენოლოგიურ ბუნებას რომ განსაზღვრავს - კერძოდ, ქართული კულტურის განსაკუთრებულ მგრძნობიარობას, როგორც ევროპულ, ისე აღმოსავლურ კულტურებში მიმდინარე პროცესების მიმართ. საქართველოს მდებარეობა აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზაჯვარედინზე ბუნებრივად განაპირობებს ორივე კულტურის შეხვედრას ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, რადგან საქართველო აღმოსავლეთ ევროპის ნაწილია, უპირველეს ყოვლისა, რელიგიური ნიშნით, მსოფლმხედველობით, სულიერი წყობით, მიუხედავად აღმოსავლური კულტურის გარკვეული საუკუნეების განმავლობაში საგრძნობი გავლენისა, იგი ევროპული კულტურის ქვეყანა იყო. აქ შეიძლება გარკვეული პარალელი გავავლოთ ესპანეთთან და აღვნიშნოთ, რომ, მიუხედავად არაბული კულტურის უდიდესი გავლენისა, იგი ყოველთვის ევროპულ ქვეყნად რჩებოდა.

ჩვენი ქვეყნის ისტორიული ბედუკუღმართობის გამო, საუკუნეთა განმავლობაში აღმოსავლური სამყაროს გავლენის ქვეშ მყოფი საქართველო, ხელსაყრელი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი პირობების ხელშეწყობით, კვლავ დაუბრუნდა თავის ბუნებრივ კალაპოტს, აღდგა ევროპასთან მჭიდრო კონტაქტები, მეტიც, იგი მტკიცედ დაადგა დასავლეთევროპული ორიენტაციის გზას. ეს პროცესი განსაკუთრებით თვალსაჩინო გახადა სწორედ ახალი ქართული პროფესიული მუსიკის წანამძღვრებმა და საკუთრივ საკომპოზიტორო სკოლის იერსახემ. ის, რომ საქართველო სწორედ ზოგადევროპული რომანტიკული მიმართების ველში მოექცა მე-19 საუკუნეში - საყოველთაოდ რომანტიზმის ხანაში, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ ქართული კულტურა ევროპულის ორგანული ნაწილია. ევროპისაგან კარგა ხანს ჩამოშორებული ქართული კულტურის ასეთი მზაობა რომანტიზმის, როგორც საკუთრივ ევროპული მიმართულების, აღქმისკენ სწორედ ზემოთქმულით აიხსნება. ამრიგად, საქართველოს კულტურა ევროპული განვითარების ერთიან მაგისტრალურ ხაზს ზოგადევროპული მიმართულების - რომანტიზმის მიზიდულობის არეში მოქცევით დაუბრუნდა.

ქართული კულტურის ასეთი მზაობა რომანტიზმის, როგორც ზოგადევროპული მიმართულების, შეთვისებისა და დამკვიდრებისკენ მხოლოდ აღმოსავლური კულტურის ჰეგემონიის დაძლევის შედეგად ქართული კულტურის ევროპულ სამყაროსთან ხელახალი დაახლოებით არ აიხსნება. ქართულ კულტურაში ძალუმად ვლინდებოდა რომანტიკული ტენდენციები და, როგორც ჩანს, ეს ქართული ცნობიერების გარკვეული სიღრმისეული თავისებურებებით უნდა ყოფილიყო განპირობებული, კერძოდ იმით, რომ ქართული ცნობიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი რომანტიკულისკენ მუდმივი სწრაფვაა. ასე რომ, რომანტიკულობის, როგორც ქართული მხატვრული შემოქმედების ძალზე ტიპური მახასიათებლის საფუძველი უფრო სიღრმისეულ შრეებში - ცნობიერების სტრუქტურაში უნდა მოვიძიოთ.

საგულისხმოა, რომ, ქართული მუსიკისმცოდნეობისგან განსხვავებით, ეროვნულ ლიტერატურათმცოდნეობას ქართული პოეტური რომანტიზმის გენეზისის კვლევის გაცილებით მდიდარი ტრადიცია აქვს. ლიტერატურათმცოდნეები მე-19 საუკუნეში წარმოქმნილ რომანტიზმს საქართველოში თამამად მიიჩნევენ ჩვენი მწერლობის წიაღში მიმდინარე საუკუნოვანი პროცესების ლოგიკურ შედეგად. მათი აზრით, მთელი ქართული ლიტერატურა და, უმთავრესად, პოეზია მუდამ იყო მგრძნობიარე აზროვნების რომანტიკული ტიპისადმი და თანმიმდევრულად მიიკვლევდა გზას რომანტიზმისკენ, რომელიც, მათი აზრით, საკუთრივ ევროპული კულტურის წიაღში ჩამოყალიბებული მიმართულების ქართულ ნაირსახეობად მოგვევლინა.

ქართულ მუსიკისმცოდნეობაში კი, მიუხედავად ცალკეული საგულისხმო დებულებებისა და არსებულ ნაშრომთა თავისთავადი მეცნიერული ღირებულებისა, არსად არ განვითარებულა საკითხი ქართული საკომპოზიტორო სკოლის ჩამოყალიბებაში ქართული კულტურის წიაღში გამოვლენილ რომანტიკულ ტენდენციათა მნიშვნელობაზე. ამან განაპირობა საკვლევი საკითხის არჩევანიც და აქტუალობაც.

მიუხედავად იმისა, რომ ახალი ქართული პროფესიული მუსიკა ძირითადად ევროპულ მუსიკალურ სისტემას დაეფუძნა, მიუხედავად იმისა, რომ მე-19 საუკუნის საკომპოზიტორო შემოქმედება არ წარმოადგენს ქართული საერო მუსიკის თანმიმდევრული განვითარების უშუალო შედეგს (და ეს უკანასკნელი მხოლოდ ერთ-ერთ შენაკადად მოგვევლინა ახალი ქართული პროფესიული მუსიკისა), მაინც ვფიქრობთ, რომ ეროვნულმა კულტურამ საზოგადოდ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ახალი ქართული პროფესიული მუსიკალური სკოლის ფორმირებისას. სწორედ ეროვნულმა ნიადაგმა შეუქმნა მტკიცე საფუძველი საქართველოში მუსიკალური რომანტიზმის დამკვიდრებას.

ამდენად, ჩვენი აზრით, არსებობს გარკვეული მზაობა, ახალი ქართული პროფესიული მუსიკა დასმული პრობლემის ჭრილში, ეროვნული კულტურის სხვადასხვა სფეროებიდან მომდინარე გზების გადაკვეთის კონტექსტში განვიხილოთ. მხედველობაში გვაქვს ქართული ლიტერატურის და, უმთავრესად, პოეზიის, საკარო პოეტურ, მუსიკალურ-პოეტურ ლირიკულ ჟანრებში, მოგვიანებით მე-19 საუკუნის ქალაქურ ფოლკლორში გამოვლენილი საერო, რომანტიკული ტენდენციების მნიშვნელობა. რომანტიკულისკენ სწრაფვამ ჯერ კიდევ ჰაგიოგრაფიის ძეგლში „წამებაჲ წმინდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ“ იჩინა თავი,

შემდგომ შოთა რუსთაველის პოემაში „ვეფხისტყაოსანი“, დავით აღმაშენებლის თხზულებაში „გალობანი სინანულისანი“, ქართველ მეფეთა - თეიმურაზ პირველის, არჩილის, ვახტანგ მეექვსის, თეიმურაზ მეორის პოეზიაში, ე. წ. „გარდამავალი ხანის“ ლიტერატურაში, რომანტიკული მწერლობის წინამორბედად რომ მიიჩნევენ.

ახალი ქართული პროფესიული მუსიკალური სტილის ჩამოყალიბებისთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ქართული პოეტური აზროვნებისა და მეტყველების ქვეცნობიერი, ზოგჯერ პირდაპირი როლიც (თუნდაც თავისი ფიქსირებულობის გამო).

ეროვნული პოეტური მეტყველება ხომ ფოლკლორთან ერთად ზოგადად ქართველის სმენით წყობას და ინტონაციური აზროვნების თავისებურებების განმსაზღვრელი იყო. რადგან მუსიკალური ხელოვნების სპეციფიკურობა მის ინტონაციურ ბუნებაში მდგომარეობს, ახალი ქართული პროფესიული მუსიკის ისტორიის გააზრება, ბუნებრივია, პირველ რიგში სწორედ ინტონაციური აზროვნების პოზიციებიდან არის მიზანშეწონილი და ამ აზროვნების ერთიანი პროცესის რეკონსტრუირებას ითხოვს.

ფიქსირებული სანოტო და, შესაბამისად, ხმოვანი მასალების უქონლობის გამო შექმნილი ვაკუუმი, ბუნებრივია, ართულებს და არსებითად შეუძლებელსაც ხდის ეროვნული მუსიკალური ხელოვნების განვითარებას და მისი სტილური თავისებურების აღქმას, რაც გვაიძულებს, ირიბი, შემოვლითი გზები ვეძებოთ მუსიკალური ხელოვნების ისტორიული პროცესის ნაწილობრივ მაინც რეკონსტრუირებისთვის.

სწორედ ამ ძიებებმა მიგვიყვანა, ერთი მხრივ, საკუთრივ ქართულ პოეზიასთან და, მეორე მხრივ, საკარო და ქალაქურ მუსიკალურ-პოეტურ ჟანრებთან, რომლებიც თავიანთი სონკრეტული ბუნების გამო შესაძლოა დაგვეხმარონ ხსენებული პროცესის წარმოდგენაში. ამისთვის, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში უნდა მივიღოთ ზოგადად პოეტურ, ჩვენს შემთხვევაში კი ვერბალურ ტექსტსა და მუსიკას შორის გადაკვეთის წერტილი, რომელიც ლირიკულ პოეტურ ნაკადზე მოდის, თავისთავად რომ შეიცავს რომანტიკულ ტენდენციას. საინტერესო სწორედ პოეტური და მუსიკალური ინტონაციურობის ურთიერთმიმართებაა.

სავარაუდოა, რომ კარის მუსიკალურ-პოეტურმა ჟანრებმა თავისი რომანტიზირებული, ინტონაციურ-სახეობრივი ნაკადით ხსენებული პარამეტრების ურთიერთობის წყალობით ნაწილობრივ განსაზღვრეს მე-18, მე-19 საუკუნეების საკრავიერი და სასიმღერო ქალაქური კულტურის ორიენტალური განშტოება, ლირიკულ სიმღერათა ინტონაციური ბუნება. კარის პოეტ-მგოსანთა შემოქმედების მთავარ თემას ხომ, ევროპული მინეზინგერების მსგავსად, სარაინდო თემატიკა, რომანტიკული, ინტიმურ-ლირიკული განცდები შეადგენდა, რასაც სავსებით ბუნებრივად უნდა მოეხდინა გავლენა მუსიკალურ-პოეტურ ჟანრებში მუსიკის ლირიკული ინტონაციურობის ჩამოყალიბებაზე. საკარო ხელოვნება გარკვეული ეტაპი იყო ქართული საერო მუსიკის განვითარებისა, რომელშიც, სავარაუდოა, რომ, დაფიქსირდა რომანტიკული ნაკადი და, თუ კონკრეტულად რა როლი შეასრულა მან, ამას გარდა შემდგომი კვლევა გვიჩვენებს.

გარდა საკარო ხელოვნებისა, ქალაქურ ფოლკლორზე, კერძოდ მის ერთ-ერთ განშტოებაზე - ორიენტალურ სიმღერებზე, გავლენა მოახდინა აშუღთა ხელოვნებამაც, რომელთა შემოქმედების მთავარ თემას და სახეობრივ სფეროსაც ლირიკულ-ინტიმური განცდები შეადგენდა. აშუღთა ხელოვნების გავლენა ქართულ მუსიკაზე ჩვენ იმდენად გვაინტერესებს, რამდენადაც ამას კავშირი აქვს ჩვენს მიერ დასმულ საკვლევ საკითხთან; სავარაუდოა, რომ აღმოსავლურ კულტურაში ასე ძალუმად გამოვლენილი რომანტიკული ტენდენციები ნაწილობრივ კარის პოეტმგოსანთა და შემდგომ უკვე აშუღთა მუსიკალურ-პოეტური ჟანრების წყალობით ახდენდა გავლენას ქალაქური ფოლკლორის ორიენტალური განშტოების ლირიკული, სტილურ-ინტონაციური ბუნების ჩამოყალიბებაზე.

რაც შეეხება საკუთრივ ქართულ პოეზიას, საგულისხმოა, რომ თუკი საკარო ხელოვნების და ქალაქური სამუსიკო კულტურის სინკრეტული პოეტურ-მუსიკალური ჟანრების წყალობით, ქართული ნათარგმნი პოეზია უშუალო ზეგავლენას ახდენდა ეროვნული საერო მუსიკის სტილისტიკაზე, ქვეცნობიერი და ზოგჯერ პირდაპირი გავლენა მასზე საკუთრივ ქართულმა პოეზიამ, ზოგადად პოეტურმა მეტყველებამ მოახდინა. ეროვნული საერო მუსიკის ისტორიული გზის რეკონსტრუირება ნაწილობრივ შესაძლებელია საკუთრივ სწორედ ქართული პოეზიის განვითარების პროცესების გათვალისწინებით. ამასთან, საგულისხმოა, რომ რომანტიკული ტენდენციები პერმანენტულად, უპირველეს ყოვლისა სწორედ ქართული პოეზიის ლირიკულ განშტოებაში ვლინდებოდა მისი მრავალსაუკუნოვანი განვითარების მანძილზე. პოეტური შემოქმედების ფიქსირებულობა საშუალებას გვაძლევს, წარმოვსახოთ პოეზიის მუსიკალური ჟღერადობა, ინტონაციური ეკვივალენტობა. „მუსიკალური პოეზიის“ შესანიშნავ მაგალითს ქართულ სინამდვილეში თუნდაც ბესიკის, საიათნოვას პოეზია გვაძლევს. ქართული საერო პროფესიული მუსიკის ფორმირებისას დიდად მნიშვნელოვანი იყო ქართველ რომანტიკოსთა, მოგვიანებით სამოციანელთა პოეზიის როლიც ქართული ქალაქური ნახევრად პროფესიული, შემდგომ კი პროფესიული მუსიკის ლირიკული ინტონაციური ბუნების ჩამოყალიბებაში. პოეზიისა და მუსიკის ურთიერთზეგავლენის საშუალებას იძლეოდა ქართული ქალაქური კულტურის უმთავრესი ჟანრის რომანსის სპეციფიკა, რომელმაც პროფესიული საკომპოზიტორო სკოლის ხელოვანთა შემოქმედებაში უმთავრესი სტილური კატეგორიის მნიშვნელობაც კი მოიპოვა და სხვა ჟანრების, უპირველესად კი ოპერის, სტილურ-ინტონაციურ სათავედ იქცა.

მე-19 საუკუნის ახალი ქართული საკომპოზიტორო სკოლის წანამძღვრების შესწავლისას გასათვალისწინებელია საკუთრივ ევროპული ქვეყნებიდან შემოსული მუსიკალური ნაკადების როლი, რაც ქალაქური სასიმღერო ხელოვნების დასავლურ განშტოებას აძლევს დასაბამს. საყოველთაოდ აღიარებული მოსაზრების თანახმად, ევროპული მუსიკის ნაკადი საქართველოში რუსეთის გავლით შემოდის, რაც გარკვეული წინაღობის როლს თამაშობდა. ქართული კულტურის ნიადაგზე ევროპული მუსიკის მიღწევების უშუალო ათვისების პროცესში, ცხადია, არ ვაკნინებთ რუსული ევროპეიზმის როლს ქართული კულტურისათვის და მიგვაჩნია, რომ რუსულმა ყოფითმა რომანსმა (რომელიც ევრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პულ მუსიკალურ სისტემას ეყრდნობა) თავის მხრივ გავლენა მოახდინა ქართულ სარომანსო კულტურაზე. სავარაუდოა ისიც, რომ მოგვიანებით ახალი საკომპოზიტორო სკოლის წარმომადგენლები რუსეთის კონსერვატორიებში სწავლის და რუსეთში მოღვაწეობის წყალობით უშუალოდ ეცნობოდნენ ევროპული კლასიკური თუ რომანტიკული მუსიკის მრავალრიცხოვან ნიმუშებს. ამასთან, საგულისხმოა იმ ფაქტის აღნიშვნაც, რომ რუსული მუსიკა, ქართულის საპირისპიროდ, ევროპულ მუსიკასთან მიმართების სრულიად განსხვავებულ მაგალითს გვაძლევს. რუსული საკომპოზიტორო სკოლა ევროპული კლასიკური და რომანტიკული მიმართულების შერწყმის გზას დაადგა, მაგრამ კლასიცისტური მუსიკის ხვედრითი წონა აშკარად იგრძნობა ამ სკოლის ფორმირების საწყის ეტაპებზე. ახალი ქართული საკომპოზიტორო მუსიკა კი თავიდანვე უმთავრესად რომანტიკული მიმართულების მიზიდულობის ველში მოექცა და ევროპული კლასიცისტური მუსიკის ტენდენციებიც რომანტიკულ გარდატეხაში წარმოგვიდგინა. საგულისხმოა, რომ ვერც კლასიცისტური ლიტერატურის თარგმანთა სიმრავლემ უზრუნველყო საქართველოში კლასიციზმის, როგორც მიმართულების დამკვიდრება, მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურა და პროფესიული მუსიკაც სწორედ რომანტიზმის მიმართულების სააზროვნო სისტემაში მოექცა. მიუხედავად გარკვეული როლისა, რომელიც რუსეთმა შუამავლის სახით ითამაშა საქართველოს ევროპის კულტურასთან კვლავ დაახლოებისა და ზიარების თვალსაზრისით, მაინც მიგვაჩნია, რომ ევროპული მუსიკის ტრადიციები საქართველოში უშუალოდ, პირდაპირი გზითაც აღწევდა - ასე მაგალითად, ნეაპოლურმა სიმღერამ თავისებური როლი ითამაშა ქალაქური (უმთავერსად ქუთაისური) ფოლკლორის დასავლური განშტოების ფორმირებაში. ნეაპოლური სიმღერების ტექსტთა ქართულ ენაზე აჟღერება ახალ, ეროვნულ ინტონაციურ ქვეტექსტს სძენდა უკვე ცნობილ ევროპულ მელოდიებს. ძალიან დიდი იყო ევროპული საოპერო დასების და ცალკეულ ევროპულ შემსრულებელთა საქართველოში ჩამოსვლის როლიც ევროპული მუსიკის უამრავი ნიმუშის გაცნობისა და საკუთრივ ევროპული მუსიკალური სისტემის დამკვიდრების საქმეში.

ქართული კულტურის წიაღიდან მომდინარე ერთ-ერთი ხაზი, რომელმაც აგრეთვე განსაზღვრა მე-19 საუკუნის საკომპოზიტორო სკოლის იერსახე, არის ქართული გლეხური ფოლკლორიც. საგულისხმოა, რომ იგი პროფესიულმა შემოქმედებამ, აგრეთვე, რომანტიზმის ევროპული მუსიკალურენობრივი სისტემით განაზოგადა, თავად ფოლკლორის მრავალფეროვანი შრეების შემოქმედებითი ათვისება უმთავრესად სწორედ პროფესიული საკომპოზიტორო სკოლის წარმოქმნას უკავშირდება,ვინაიდან ქალაქურ სარომანსო კულტურაში იგი არ იქცევა ძირითად ინტონაციურ წყაროდ. ახალი ქართული პროფესიული სკოლის წარმომადგენლებმა უმთავრესად ის ფოლკლორული ნიმუშები გამოიყენეს ნაწარმოებებში, რომლებიც რომანტიზებულ ლირიკულ ნაკადს შეიცავდნენ პოტენციურად. ის სიმღერები კი, რომლებიც ჟანრული სპეციფიკის მხრივ ლირიკულ სახეობრიობას არ ეფუძნებიან, რომანტიკულ მუსიკალურენობრივ სისტემაში ადაპტირდებოდნენ მხატვრული ჩანაფიქრის თანახმად.

ასე, რომ ქართველ კომპოზიტორთა რომანტიკულ მსოფლაღქმაზე ორიენტაციამ ფოლკლორისადმი შერჩევითი დამოკიდებულებაც განსაზღვრა.

ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ნიმუშებისგან განსხვავებით ქართული საეკლესიო მუსიკის, სასულიერო ჰიმნების კვლევა ჩვენს მიერ დასმული პრობლემის ჭრილში, ვფიქრობთ არაფერს მოგვცემს, მიუხედავად იმისა, რომ ლიტერატურათმცოდნეობა ქართველ რომანტიკოს პოეტთა შთაგონების წყაროდ ჰიმნოგრაფიას მიიჩნევს.

ქართულ სინამდვილეში, ევროპულისგან განსხვავებით, საერო და საეკლესიო მუსიკას შორის შეხება საეკლესიოს წიაღში დინამიკურ პროცესებს არ განაპირობებდა; განსხვავებული სარწმუნოებრივი პოზიციის გამო მართლმადიდებლური ეკლესიის წიაღში პროფესიული მუსიკის ბედი ევროპულისგან განსხვავებულად წარიმართა, - საერო ტენდენციების გამომხატველი მუსიკალური ჟანრების წარმოქმნას ადგილი არ ჰქონია.

ამრიგად, ქართული კულტურის სხვადასხვა წყაროებიდან - სოფლური ფოლკლორიდან, ქართული ლიტერატურიდან და უმთავრესად პოეზიიდან, ნაწილობრივ საკარო ხელოვნებიდან, მოგვიანებით კი ქალაქური ფოლკლორიდან მომდინარე მრავალფეროვანმა ნაკადებმა ლირიკული ინტონაციურობის და რომანტიკული სახეობრივი აზროვნების პოზიციებიდან ნაყოფიერი ნიადაგი მოუმზადეს საქართველოში ევროპული რომანტიზმის მუსიკალური სისტემის დამკვიდრებას სწორედ ახალი ქართული პროფესიული მუსიკის გარიჟრაჟზე. ეს იყო მოვლენა, ეპოქალურად განპირობებული რუსეთთან შეერთების ფაქტით, რამაც თავისებური კატალიზატორის როლი შეასრულა ევროპასთან შეწყვეტილი კონტაქტების აღდგენისა და შემდგომი განმტკიცებისთვის და, ამგვარად, ეროვნულ ცნობიერებაში ჩადებული რომანტიკული კოდის გაღვივებისთვის. ამდენად არის მე-19 საუკუნის ქართული პროფესიული მუსიკა ქართული კულტურის წიაღში გამოვლენილი რომანტიკული მოსფლაღქმის და ტენდენციების მემკვიდრე.

საკითხის კვლევისას მცირე ექსკურსის მოწყობა კი ქართული მხატვრული შემოქმედების ერთ-ერთ წამყვან დარგში - ლიტერატურაში, განპირობებული იყო არა მარტო იმით, რომ ქართული საერო მუსიკა, სანოტო ფიქსირებული მასალების უქონლობის პირობებში, ქართული საერო მუსიკის განვითრების მთლიანი ისტორიული პროცესის აღდგენაში ნაწილობრივ დაგვეხმარებოდა, არამედ იმით, რომ საკომპოზიტორო სკოლის გენეზისს ეროვნული ცნობიერების პრობლემასთან მიმართებაში ვიკვლევთ, კერძოდ მის ერთ-ერთ თვისებასთან - რომანტიკულობასთან კავშირში. ეროვნული ცნობიერება კი ფართო ცნებაა, რომელიც ქართული კულტურის ყველა სფეროში და, აგრეთვე, ქართველი კაცის ცხოვრების წესში, ტემპერამენტში, ხასიათის თავისებურებებში ვლინდება; მეტიც, იგი თავისებურ ზეგავლენას ახდენდა თვით საქართველოს ისტორიის განვითარებაზე („ფუნქციონირებდა“ პროცესების წარმმართველის როლში).

ამგვარად, კვლევით ინტერესს უდავოდ იმსახურებს ახალი ქართული პროფესიული მუსიკის გენეზისის პრობლემა, რომელიც თუნდაც ჩვენს მიერ დასმული რაკურსით პრობლემათა მეტად ფართო და საინტერესო სპექტრს მოიცავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მორენა ანჯაფარიძე

## ტანჯული გმირი

რომანტიკული გმირი, უპირველეს ყოვლისა, ტანჯული გმირია. ჯერ კიდევ ადრეული რომანტიზმის თეორეტიკოსები ადამიანის ყოფას განიხილავენ, როგორც განწირულებას ტანჯვისათვის და ამ ფაქტს დიდი ესთეტიკური ღირებულება აქვს მინიჭებული. ტრაგიზმის განცდა სხვადასხვაგვარად არის მოტივირებული. ადამიანი იტანჯება მარტოობით, პესიმისტური ფიქრებით, თვითშემეცნებისა და სამყაროს შეცნობის პროცესში აღმოჩენილი ჭეშმარიტებებით. ეს არის კონფლიქტი ინდივიდუმის ამაღლებულ განწყობილებებსა და სურვილებს და მეორე მხრივ - რეალობას შორის. ტანჯვის ესთეტიკური ღირებულება იმდენად მაღალია, რომ უარყოფითი გმირიც კი ამ გზით განიწმინდება. მის მიმართ თანაგრძნობა, სიყვარული ხდება საფუძველი რეაბილიტაციისა, მიტევებისა.

ტანჯვისა და მსხვერპლის სიმბოლიკა მეტად მნიშვნელოვანია ქრისტიანული რელიგიის ესთეტიკისათვის, ქრისტიანული გმირის იდეალი, ძირითადად ამ კუთხით უპირისპირდება წარმართულს. მითოლოგიური პერსონაჟები იბრძვიან ბედნიერებისათვის, მათთვის ბუნებრივია წინააღმდეგობათა დაძლევის სურვილი, განსაცდელი კი მხოლოდ საშუალებაა გამარჯვებათა მოპოვებისთვის. შედეგი - გამარჯვება თავისი ღირებულებებით აღემატება მისი მოპოვების გზას - განსაცდელს. ქრისტიანულ რელიგიაში ტანჯვის არსი უკიდურესად მნიშვნელოვანია. მისი მიზანი ერთია და უცვლელი: ესწრაფვო, იყო სრული, როგორც შემოქმედი. ქრისტიანულ ესთეტიკაში გზა და მიზანი ერთიანობაშია მოცემული.

ტანჯვა, როგორც ცოდვათა გამოსყიდვის საშუალება, ძველ აღთქმაშივე იჩენს თავს, მაგრამ მისი სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა სახარებაში იღებს სათავეს. ქრისტეს მიწიერი ცხოვრება და მოწამეობრივი აღსასრული ქმნის ადამიანური ყოფის მოდელს. აქვე იბადება შეგრძნება იმისა, რომ გზა ცათა სასუფევლისაკენ ტანჯვასა და სამსხვერპლოდ განმზადებაზე გადის. სულიერი და ხორციელი გვემის ამგვარი გააზრება წინარექრისტიანულ მწერლობაში არ გვხვდება.

განვიხილოთ, რა არის ტანჯვა გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაში. იგი მხოლოდ გარდაუვალი აუცილებლობაა თუ ატარებს გარკვეულ ესთეტიკურ ღირებულებასაც? მხოლოდ განწირულებაა ადამიანისათვის თუ ენიჭება რამე ფუნქცია? ეს საკითხები წარმოაჩენს მისი შემოქმედების ძირითადი პრობლემების მიმართებას ქრისტიანულ აზროვნებასთან. ერთი რამ ეჭვგარეშეა: გრ. ორბელიანის ლიტერატურული მემკვიდრეობის თავისთავადობას, განუმეორებელ ხიბლს სწორედ ღრმა სულიერი განცდანი და ტანჯვის სიმბოლიკა ქმნიან. პოეტისთვის ინდივიდის შინაგან ძლიერებას სწორედ ის განსაზღვრავს, თუ რამდენად ძალუძს ადამიანს დაითმინოს განწირულება ტანჯვისათვის, რამდენად ხელეწიფება, აირიდოს თავიდან განსაცდელის ჟამს საკუთარი სულიერი სამყაროს მსხვრევა. ამგვარ დათმენას კი მხოლოდ მაშინ გააჩნია ღირებულება, როცა ტკივილი გაუსაძლისია, ჭეშმარიტია და ღრმა. როგორიც უნდა იყოს ტრაგიკული განცდების მიზეზი, ტკივილის სიღრმე მეტყველებს პიროვნების სულიერ სიღრმეზე. განცდათა ის ხარისხი, რასაც გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაში ვხედავთ, მხოლოდ გამორჩეული ინდივიდის საკუთრება შეიძლება იყოს, პირადი სატკივარი კი კონკრეტულიდან საკაცობრიომდე მაღლდება. პოეტურ „მე“-ში ხდება კაცობრიობის ჩანაცვლება. მთლიანობის მიღწევის ამგვარი გზა, როცა ზოგადსაკაცობრიოსაკენ სწრაფვა ხორციელდება არა ინდივიდუალურის დათრგუნვით, არამედ მისი გაღრმავებით, პირველ რიგში, სწორედ ბიბლიური აზროვნებისთვის არის დამახასიათებელი.

ტანჯვისა და მსხვერპლის სიმბოლიკა გრიგოლ ორბელიანის შემოქმედების სხვადასხვა თემატურ რკალში გვხვდება. ერთ-ერთი მათგანია სატრფიალო მოტივი. სიყვარულის ძალმოსილება სწორედ სულიერ განცდათა სიღრმეში ვლინდება. „სული ჩემი იტანჯვების“ /„მ...დმი“/, - ეს შეგრძნება აერთიანებს პოეტის სატრფიალო ლირიკას. ტანჯვა კი მით უფრო ძლიერია, რაც უფრო ღრმად დაფარულია. გამჟღავნება, ცრემლი და ოხვრა ხან წუთით აყუჩებს ტკივილს, ხანაც უცხოურია, შვება მოუტანოს ადამიანს. ტანჯვის სიმბლიკა ერწყმის დუმილის სიმბოლიკას. უძლური გული ეძიებს წამალს, რადგან შვება მისთვის მიზანია /„გამოსალმება“/, „გული კლდოვანი“ კი არ ესწრაფვის თავის დახსნას, იგი მზად არის, იტანჯოს; არ ეძებს თავის დახსნის გზებს. ფაქიზი სულიერი სამყაროს ნიშნად რომანტიზმში ძალიან ხშირად გამოდის ღრმა შეგრძნებები. სტენდალი „რასინი და შექსპირი II-ში“ ხაზგასმით მიუთითებს, რომ საკუთარი სულის განჭვრეტისათვის აუცილებელი პირობაა მძაფრი გრძნობების განცდის უნარი, ხოლო ტრაქტატში „სიყვარულის შესახებ“ იმოწმებს სენაკა დე მელიანის ციტატას წიგნიდან „XVIII საუკუნის გამოჩენილი ადამიანების პორტრეტები და ხასიათები“: „საფრანგეთში დიადი ვნებები ისეთივე იშვიათია, როგორც დიადი ადამიანები“ /სტენდალი, თხზულებათა კრებული თორმეტ ტომად, ტომი 7, მოსკოვი, 1978, გვ.: 124/. გრ. ორბელიანის შემოქმედებაში ტანჯვა კლდოვანი გულისთვის არის დამახასიათებელი. ტანჯვის სიმბოლიკის პარალელურად გვხვდება მსხვერპლის გააზრებაც. სიყვარულის ფენომენი, რომლის მნიშვნელობაც განუზომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლად დიდია ადამიანის სულით მაღლობის პროცესში, სწორედ ტანჯვისა და მსხვერპლის პოეტისეულ ინტერპრეტაციას ემყარება. მსხვერპლშეწირვის ძველაღთქმისეულ გაგებას ქრისტიანულმა რელიგიამ მსხვერპლად ყოფნისათვის ნებაყოფლობითი მზადყოფნა დაუპირისპირა. მსხვერპლი კი განსაზღვრა, როგორც „სული შემუსვრილი, გული შემუსვრილი და დამდაბლებული“. მსხვერპლი და შესაწირავები არ გვსურს, მაგრამ სხეული განმიმზადე მე“ /პავლე, ებრაელთა, თ. 10;5/. უფლის სავანე ადამიანის გულია. გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაში ჩანს ამგვარი აზროვნების ანარეკლი: „თვითოეული გულისა ძგერა არს სიყვარულის ჩვენისა მსხვერპლი“ /„სადღეგრძელო“, I ვარიანტი, 124-128/, სატრფოს ხატი კი დავანებულია ლირიკული გმირის სულში. საკუთარი სიცოცხლე მიაქვს სიყვარულის სამსხვერპლოზე „მოგონების“ ლირიკულ გმირსაც, თავდავიწყებული ტრფიალება ხდება მიზეზი სამსხვერპლოდ მზადყოფნისა. ზვარაკად საკუთარი თავის გააზრებას კიდევ უფრო საინტერესოდ ხდის მიზანი ამგვარი თვითშეწირვისა: „შენ განსვენებით ოღონდ იცოცხლე და მე, თუ გინა, საფლავმა მფაროს“. თავგანწირვის მიზანი არ არის საპასუხო გრძნობის შესყიდვის მცდელობა. სატრფო „გულით იცვალა“, „არც კი იცნობს“ პოეტს. გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაში გაცილებით ღრმაა მსხვერპლის სიმბოლიკა, ვიდრე გაცემა-მოპოვების ჩვეულებრივი ჯაჭვი. თავგანწირვა სრულიად უანგაროდ ხდება, რაც განსაკუთრებული სხივით მოსავს მსხვერპლშეწირვის აქტს. საყურადღებოა ისიც, რომ მისი მიზანი საყვარელი ადამიანის სიმშვიდეა, რაც ერთ-ერთ ქრისტიანულ სათნოებას წარმოადგენს. ტანჯვა ესთეტიკური კატეგორიაა მაშინაც, როცა ცრემლებით არის გამოხატული. ცრემლის, როგორც ცოდვათაგან განწმენდის გაგება ქრისტიანული აზროვნების ატრიბუტია. ღვევმირის მითოლოგიურ სახეს ქრისტიანობა უპირისპირებს ადამიანის სულიერი სამყაროს სიფაქიზეს. მომხიბლავი ხატია ცრემლმდინარი სატრფოს სახე გრიგოლ ორბელიანის ლირიკაში /„მტირალი ნ...ს“/. ცრემლი პოეტისთვის „ზეციური ნამია“, ამიტომ შვენის იგი მტირალს და არამარტო იმიტომ, რომ ვარდ-ლაწვთა და მარგალიტთა მომხიბლავი მეტაფორული სურათი იქმნება. ლირიკული გმირი მზად არის, თავად იტვირთოს განსაცდელის სიმძიმე, შეენაცვლოს სატრფოს, მაგრამ ეს მზადყოფნა არ არის მთავარი. ტანჯვა რომ ესთეტიკური კატეგორიაა, თუნდაც იქიდან ჩანს, რომ პოეტს „უხარის“ სატრფოს მზერა, ენანება ცრემლიან თვალთა შეშრობა. მტირალი ბანოვანის სახე ერთდროულად ქმნის როგორც მშვენიერის, ისე ამაღლებულის ესთეტიკას, რაც ცრემლის ქრისტიანულ გააზრებას ეყრდნობა.

ტანჯვისა და მსხვერპლის გაგება მხოლოდ სატრფიალო პოეზიაში არ ჩნდება. თავად მიზეზი ტრაგიკული განწყობილებისა ხანდახან უკანა პლანზეც იწევს, რადგან მის საბაბს ცხოვრება განუწყვეტლივ იძლევა: „ნეტავი მოვკუდე და ამდენს სიგლახაკეს მოვრჩე“ /ზაქარია ორბელიანისადმი, 1845, 19 იანვარი/, - ამგვარი განცდა ეუფლება პოეტს, მაგრამ ტანჯვის მიზეზი ის გრძნობებია, რომლის გარეშეც ადამიანის ცხოვრება აზრს კარგავს: მოყვასის სიყვარული, ტრფიალება, სამშობლოსთვის თავგანწირვის უნარი.

მსხვერპლის სიმბოლიკას ახალი ძალით წარმოაჩენს გრიგოლ ორბელიანის პატრიოტული ლირიკა. მსხვერპლად გაღებულ სიცოცხლეს აქ ხშირად ენაცვლება სამსხვერპლოდ განმზადებული გული. განზრახვა, უნარი თავგანწირვისა მსხვერპლის გაღების ტოლფასია. გულისთქმათა ამგვარი ინტერპრეტაცია, აქცენტის გადატანა ფიზიკური მოქმედებიდან სულის მოძრაობაზე კვლავ ნაკარნახევია ქრისტიანული ეთიკით, რადგან „ნდომა“ „ჩადენის“ ექვივალენტურია. მათი ხვედრი, ვინც რეალურად დაადასტურა ამგვარი მზადყოფნა, სანატრელია /„იარალის“/, სიცოცხლის დაზოგვა კი მარადიული კიცხვის მიზეზი ხდება. პატრიოტულ პოეზიაში ცრემლის ქრისტიანულ გააზრებას სისხლის სარწმუნოებრივი გააზრებაც ერწყმის. მოწამეობრივი სისხლი წმინდაა გრ. ორბელიანის შემოქმედებაში. იგი სულის სიმაღლეს გვიმტკიცებს.

თავგანწირვისათვის ნებაყოფლობით მზადყოფნას გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაში უპირისპირდება „უმწე მსხვერპლის“ გაგება. ეს სახე გვხვდება ლექსში „თამარ მეფის სახე ბეთანისს ეკლესიაში“: და რაც დაეცა, ის წარიტაცა, შავმან ყორანმა ვით უმწე მსხვერპლი“. მსხვერპლის უმწეობა თავისთავად მიანიშნებს, რომ მასზე, ამ შემთხვევაში ქვეყნის ბედზე, ძალმომრეობას ჰქონდა ადგილი. „უმწე მსხვერპლი“ მოკლებულია ნებაყოფლობითობას, გარდა ამისა, იგი გულისხმობს არა ცალკეულ ადამიანთა სიცოცხლეს, არამედ ქვეყნის ბედს. ამიტომ იგი არ წარმოადგენს არც ეთიკურ, არც ესთეტიკურ ფენომენს. დარღვეულია ის პრინციპები, რასაც მსხვერპლის სიმბოლიკა ეყრდნობა გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაში: სამსხვერპლოდ ნებაყოფლობითი მზადყოფნა და „სასიკვლოდ განმზადებით“ ზნეობრივი სრულყოფა.

მსხვერპლისა და ტანჯვის გაგება უკავშირდება ინდივიდის პირად ცხოვრებასაც. მწუხარება ადამიანური ყოფის თანამდევი ელემენტია, მაგრამ გაჭირვებაში ხდება სულიერი ძალების წვრთნა: „არა უძლურს ჰყოფს გულსა ტანჯვანი“. /„ნაწყვეტები, ურითმო და რითმიანი“, 11/. განსაცდელის ამგვარი ინტერპრეტაცია ქრისტიანულ აზროვნებას ეყრდნობა: „ვინც უყვარს, მას წვრთნის უფალი... ყოველი წვრთნა... სიხარულად კი არ გვეჩვენება, არამედ მწუხარებად, მაგრამ... მშვიდობის სამართლიან ნაყოფს აძლევს მას /პავლე, ებრაელთა, თ. 12; 4-12/. ეს შეგრძნება უმტკივნეულოდ არ ეძლევა ლირიკულ გმირს. გაუსაძლისი კირთების დათმენის სირთულე ქმნის ტანჯვის ესთეტიკურ ღირებულებას. ამგვარი გააზრება განსაცდელისა და მსხვერპლისა ქრისტიანული აზროვნებიდან იღებს სათავეს. გრიგოლ ორბელიანის შემოქმედება კი მის უაღრესად საინტერესო ინტერპრეტაციას გვთავაზობს.

აფხაზეთის განთავისუფლების პარტია

LIBERATION PARTY OF ABKHAZIA

აფხაზეთის განთავისუფლების პარტიის დროშა



Omega

ომეგა

დედის დაზღვევა

INSURANCE OF MOTHER

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო კომპანია

GEORGIAN STATE INSURANCE COMPANY



## ახალი წიგნები













ნომერში
გამოყენებულია
დავით
გაგოშიძის
ნამუშევართა
რეპროდუქციები

